бой модель или образец поведения. Эти социальные нормы предписывают предпринимателю, как следует вести себя в той или иной ситуации. Отклонение от правила поведения порождает наказание нарушителя со стороны других членов общества, ограничивает возможности выбора для предпринимателя, препятствуя реализации его стремления к рациональному для него использованию ресурсных, информационных, временных и иных возможностей в достижении цели его предпринимательской деятельности. Рациональность поведения предпринимателя ориентирована на результат в то время, когда социальные нормы не ориентированы на него, последние с учетом интересов других субъектов и общества предписывают, рекомендуют или запрещают предпринимателю определенное поведение.

По большому счету, любое правило или социальная норма, независимо от их характера при осуществлении экономического действия, выступает в роли некоторого ограничителя выбора. Даже диспозитивные нормы гражданского права, предоставляющие широкие возможности для предпринимателя, делают это в рамках широкого, но все же ограниченного выбора, предоставляя множество допустимых альтернатив, но, отнюдь не делая его универсальным, всеобъемлющим. Поэтому с точки зрения экономического анализа характер нормы – обязывающий, запрещающий или разрешающий – не является ее существенным признаком.<sup>4</sup>

В сфере предпринимательской деятельности значение имеют как формальные институты, так и неформальные институты.

Формальные институты возникают, в основном, на базе уже существующих неформальных институтов. В структуре формальных институтов выделяются:

- 1) политические правила;
- 2) экономические правила;
- 3) контрактные правила.

В сфере предпринимательства политические правила устанавливают иерархическую структуру государственных образований, определяющих политику и регулирующих предпринимательскую деятельность, правила принятия гражданами решений по созданию и функционированию бизнеса, а также его контроля со стороны государства и общества. Формальные экономические институты в научной литературе рассматриваются чаще всего в одном контексте с правами собственности. Экономическими называются правила, непосредственно определяющие формы организации деятельности, в пределах которых предприниматели вступают в соглашения, принимают решения по использованию тех или иных ресурсов.

К контрактным правилам, с позиции новой экономической институциональной теории, относятся уставы, учредительные договоры коммерческих структур,

4 Сухарев, О.С. Институциональная экономика: Учебник и практикум / О.С. Сухарев. - Люберцы: Юрайт, 2016. – с. 321

а также правила, устанавливающие взаимоотношения между самостоятельными предприятиями или его структурными подразделениями.

В неформальных институтах не существует четкой регламентации функций, социальных ролей, средств и методов деятельности, а также санкций за отклонение в поведении. Все это заменяется неформальным регулированием при помощи социальных норм, обычаев и традиций. Вместе с тем неформальный институт выполняет определенные регулятивные функции, в большинстве случаев оказывая большее влияние, чем формальное правило. Чаще всего к неформальным институтам ученые относят привычки, традиции и обычаи.<sup>5</sup>

Соотношение формальных и неформальных правил в сфере предпринимательства имеет важный и сложный характер для понимания, поскольку зависит:

а) от выбора предпринимателем, с учетом ожидаемой выгоды и издержек, исполнения формальных или неформальных правил, при этом адресатом учитываются ожидаемые издержки, вызванные нарушением титульных норм;

б) от стимулов гарантов (должностных работников органов управления) к добросовестному исполнению своих служебных обязанностей по применению мер принуждения к предпринимателям-нарушителям.

Сегодня немало фактов, когда по различным субъективным причинам гаранты не замечают нарушений со стороны отдельных предпринимателей, а иногда и содействуют им в совершении таковых действий.

Возможны следующие ситуации соотношения формальных и неформальных норм в сфере предпринимательства. Во-первых, возникающие неформальные правила способствуют реализации формальных норм, дополняют последние, исходя из их сущностных характеристик в случаях, когда они (титульные нормы) по содержанию или форме недостаточно ясно регламентируют поведение предпринимателя либо гарантов правила. Во-вторых, формальные нормы противодействуют сложившимся неформальным правилам поведения предпринимателя либо гаранта нормы, которые приводят к издержкам общества или государства. И, наконец, третья ситуация – это когда неформальные правила на основе возникновения высоких издержек для предпринимателя и/или государства вытесняют формальные, что свидетельствует о проблемах уполномоченных органов в сфере правотворчества. Это основные три ситуации соотношения формальных и неформальных правил, возникающих в сфере предпринимательства.<sup>6</sup>

В зависимости от того, какие именно формальные и неформальные налоговые институты действуют в

5 Одинцова, М.И. Институциональная экономика: учебник для академического бакалавриата, перераб.и доп / М.И. Одинцова. - Люберцы: Юрайт, 2016. – с. 124

6 Одинцова, М.И. Институциональная экономика: учебник для академического бакалавриата, перераб.и доп / М.И. Одинцова. - Люберцы: Юрайт, 2016. – с. 179

рамках налоговой системы того или иного государства, как они соотносятся между собой, определяется не только эффективность функционирования этой системы, но и перспективы ее дальнейшего развития. В этой связи важно подчеркнуть динамичность налоговых институтов, тот факт, что со временем они постепенно меняются, эволюционируют.

О предпринимательстве предметно можно говорить только с учетом его динамики, взаимодействия его субъектов, влияния институциональных соглашений и институциональной среды на предпринимателя, и наоборот. Разумеется, ядром и первым уровнем рассматриваемых отношений является предприниматель, ко второму уровню относятся институциональные соглашения и к третьему – институциональная среда. При этом под институциональными предпринимательскими соглашениями следует понимать договоренности между предпринимателями и/или их группами, определяющими способы кооперации и конкуренции (различные виды договоров). Под институциональной предпринимательской средой, соответственно, совокупность основополагающих социальных, политических, юридических и экономических правил, определяющих рамки поведения предпринимателя, а также поведения других лиц, имеющих отношение к предпринимательству. Основу этой институциональной среды составляют нормы Конституции, иных законодательных актов и т.д.

Эффективность института налогообложения может проявляться косвенно в обобщенных характеристиках, например, в степени доверия населения к действующим в обществе формальным институтам. В современных исследованиях доверие исследуется и как элемент внутренней институциональной среды организации, являясь важнейшей составляющей теории эффективного управления организацией. При исследовании институтов, оказывающих влияние на предпринимательство, ученые, как правило, акцентируют свое внимание на институтах, формирующих определенную предпринимательскую среду – благоприятную, либо неблагоприятную. Вследствие этого в поле зрения анализа, в первую очередь, оказываются: налоговая система, таможенная политика, законодательная деятельность государства в области регулирования хозяйственной жизни общества, национальная кредитно-финансовая система и ее состояние и т. д.

Налогообложение является одним из формальных институтов, который можно назвать слабым из-за того, что функции, присущие налогам, выполняются не в полной мере.

Институт налогообложения в России на современном этапе выполняет главным образом фискальную функцию и не стимулирует развитие предпринимательства. Существующие специальные налоговые режимы, которые, казалось бы, должны уменьшать налоговую нагрузку с предпринимателей, в реальности не

только не сокращают, но и зачастую увеличивают налоговое бремя.

Совокупная налоговая нагрузка в рейтинге 2013 г. достигла максимального значения 54,1% и в последующие годы снизилась до 47%, что все еще выше, чем по данным рейтингов 2011 и 2012 гг. – 46,5 и 46,9%, соответственно.

Характеризуя структуру общей налоговой ставки, следует отметить, что наибольшая составляющая налогового бремени типового предприятия приходится на уплату налогов на доходы от труда. Их доля в общем налоговом бремени составила в рейтинге 2016 г. 35,6%, что превышает значение показателя в предшествующий год.

В условиях высоких налоговых ставок неправильный или недостаточный учет налогового фактора может привести к весьма неблагоприятным последствиям или даже вызвать банкротство предприятия. С другой стороны, правильное использование предусмотренных налоговым законодательством льгот и скидок может обеспечить не только сохранность полученных финансовых накоплений, но и возможности финансирования расширения деятельности, новых инвестиций за счет экономии на налогах или даже за счет возврата налоговых платежей из казны.

По данным статистики, из 100 случаев банкротства, 80 инициируются налоговыми органами, при этом большая часть банкротств осуществляется после ошибочного начисления налогов на предпринимателя.

Совершенствование налогового законодательства является актуальной задачей. Непомерное налоговое бремя для предприятий – основной экономической порок российской системы налогообложения. Ее фискально-карательный характер постоянно усиливается за счет расширения налоговой базы и ставок по отдельным налогам, введения новых налогов и сборов, ужесточения финансовых санкций и условий налогообложения.

Правовая форма налогообложения также весьма несовершенна. Налоговое законодательство излишне усложнено, страдает неполнотой, противоречивостью, наличием пробелов. Попытки устранить эти недостатки путем многочисленных, наслаивающихся друг на друга изменений и дополнений действующих законодательных актов, а также посредством спорадического и бесконтрольного издания различного рода подзаконных актов, приводят лишь к еще большему запутыва-

нию, усложнению и деформации правовой базы налогообложения, создавая почву для налоговых нарушений. В нашей же стране система налогов имеет очень сложную структуру. В ней присутствуют различные налоги, отчисления, акцизы и сборы, которые, по сути, почти ничем друг от друга не отличаются. Однако такая масса платежей приводит к тому, что бухгалтерия предприятий очень часто ошибается при отчислениях налогов, в результате чего предприятие платит пени за несвоевременную уплату налога. Опыт налоговой системы в России говорит о том, что только законодательная форма дает оптимальную возможность обеспечения правомочия участников налоговых отношений, воздействовать на их поведение силой авторитета правовых норм, придавать этим отношениям необходимую стабильность и определенность.

В настоящее время во всем мире наблюдается тенденция к упрощению налоговой системы. Это и понятно. Чем проще налоговая система, тем проще определять экономический результат, меньше забот при составлении отчетных документов и тем больше остается времени у предпринимателей на обдумывание того, как снизить себестоимость продукции, а не на то, как снизить налоги. Налоговым же органам проще следить за правильностью уплаты налогов, что позволяет уменьшить число работников в финансовых органах.

По мнению многих предпринимателей, помимо налоговой нагрузки, также существует и административная, и коррупционная нагрузки, которые также существенно тормозят развитие предпринимательства на территории нашей страны.

#### **ИСПОЛЬЗОВАННЫЕ ИСТОЧНИКИ:**

1. Одинцова, М.И. Институциональная экономика: учебник для академического бакалавриата, перераб. и доп. / М.И. Одинцова. - Люберцы: Юрайт, 2016. - 459 с.
2. Олейник, А.Н. Институциональная экономика: Учебное пособие / А.Н. Олейник. - М.: НИЦ ИНФРА-М, 2013. - 416 с.
3. Сухарев, О.С. Институциональная экономика: Учебник и практикум / О.С. Сухарев. - Люберцы: Юрайт, 2016. - 501 с.
4. Федеральная налоговая служба - URL: <http://www.nalog.ru> (дата обращения: 15.04.2017)

**ნოვაციური მენეჯმენტი, საბაჟო (სსს ესნ) სტატისტიკის  
გამოყენების პროგრამული უზრუნველყოფა**

*ეკატერინე შილაკაძე  
ტრანსპორტისა და მრეწველობის  
მენეჯმენტის დოქტორანტი,  
დავით ვარამაშვილი  
ინფორმატიკისა და მართვის  
სისტემების მაგისტრანტი*

**რეზიუმე**

სამუშაოს მიზანია საბაჟო და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სტატისტიკის გამოყენების ისეთი ორიგინალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებს მისცემს მცირე და საშუალო მენარმეებს და საერთოდ ბიზნესს დამოუკიდებლად, ჩაატაროს მარკეტინგულ კვლევების, მაკროეკონომიკური და დარგობრივი ანალიზი, რაც გახდება მარკეტინგული იარაღი სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი, მცირე და საშუალო მენარმეობა.(სეს ესნ) კოდები, საძიებო სისტემა,ექსპორტ/იმპორტი.

**SUMMARY**

Aim of the work is to ensure such kind of original software using commodity nomenclature statistics of customs and foreign-economic occupation which will enable small and middle entrepreneurs and generally business independently to make marketing researches, macroeconomic and sectoral analysis, which will become marketing tool in getting strategic business-resolution.

**Keywords:** Marketing,business,impot/export, HS code.

\* \* \* \*

ექსპორტ-იმპორტი, მსოფლიო დონეზე ახასიათებს სახელმწიფოს სპეციალიზაციას შრომის განაწილებაზე, აგრეთვე ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკის დახმარებით შესაძლებელია შედგეს ზუსტი ანალიზი ბაზრის ძალიან მნიშვნელოვანი პოზიციებისთვის. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) შეიცავს ინფორმაციას გარე ვაჭრობის მონაწილეთა საქმიანობის შესახებ განსაზღვრულ საქონელზე და ბაზარზე მის მოცულობაზე; მიწოდების დინამიკაზე ; საქონლის ღირებულებაზე; ექსპორტ/იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაზე ქვეყნების მიხედვით; მონოდებების სტრუქტურისა და ტრანსპორტის სახეობებზე და სხვა.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია იმპორტისა და ექსპორტის გარეშე. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია საქონლის სია, რომლებიც მონაწილეობენ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში. **საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა ( სეს ესნ )** წარმოადგენს გარკვეული სახით სისტემატიზირებულ საგარეო ვაჭრობის საქონელთა ნუსხას.

არებობს უამრავი გზები პროდუქციის კლასიფიცირებისათვის და მისი კოდების დასადგენად, ჩვენს მიზანს კი წარმოადგენს მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობა საწარმოებელი პროდუქტისათვის (სეს ესნ) კოდების დადგენისა გამარტივებული მეთოდით.

საერთოდ, პროდუქციის სეს ესნ კოდის განსაზღვრის რამოდენიმე მეთოდი არსებობს :

**პირველი მეთოდი:**

ჩვენთვის საინტერესო პროდუქციის გამყიდველთან დავადგინოთ, **სეს ესნ** -ის რომელი კოდი შეესაბამება გასაყიდად გამოტანილ საქონელს. მაგრამ მაშინაც, თუ თქვენი პოტენციური გამყიდველი ზედმინევენით და ყველა წესების დაცვით ახდენს საქონლის კლასიფიკაციას, ეს არ ნიშნავს, რომ პროდუქციის კოდი რეალურთან შესაბამისობაშია;

**მეორე მეთოდი:**

მოიძებნოს ინფორმაცია, ვინ შემოიტანა საქონელი და **სეს ესნ** -ს რომელი კოდით, მოიძებნოს ზუსტად ისეთი მახასიათებლებით, როგორც თქვენთვის საინტერესო საქონელს შეესაბამება .

**მესამე მეთოდი:**

მოიძებნოს თქვენთვის საინტერესო საქონელი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში. როგორც ადრე აღვნიშნეთ ჰარმონიზებულ სისტემაში კოდების ფორმირება მოხდა 4 ძირითადი ნიშნის მიხედვით:

- წარმოშობის პრინციპით;
- მასალის მიხედვით, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი;
- საქონლის ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
- ქიმიური შედგენილობის მიხედვით.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქონლის ეს ნიშნები ამომწურავია მის მისაკუთვნებლად დეტალიზაციის განსაზღვრული დონისადმი, მაგრამ ისინი გაოდის პრიორიტეტულად ყველაზე მსხვილი დონის -

სასაქონლო განყოფილების არჩევისას.

ამ შემთხვევაში ძიება უნდა დაიწყოთ პროდუქციის 4 ძირითადი ნიშნიდან გამომდინარე და იქვე მითითებულ ჯგუფებში, შემდეგ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ჯგუფებში მოხდება კოდების შერჩევა საქონლის კონკრეტული მახასიათებლებიდან გამომდინარე. აქვე ავლნიშნავთ (სეს ესნ) კოდების მინიჭების დროს მთავარია გათვალისწინებული იყოს ინტერპრეტაციის ძირითადი წესები, შენიშვნები განყოფილებებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებიც ხაზგასმული იყო ზემოთ, ასევე ნარმოადგენენ სისტემის განუყოფელ ნაწილს და მას ადგენენ ამ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. ეს კი არის საბოლოო რეალური კოდის შერჩევა საქონლის ექსპორტ-იმპორტის დროს. მაგრამ მანამდე მენარმემ უნდა განსაზღვროს (სეს ესნ) -ის მიხედვით მისთვის მენარმისათვის საინტერესო საქონლის კოდები.

**მეთოხე მეთოდი:**

თვითონ გავერკვეთ კლასიფიკაციის პრინციპებში.

ეხლავე ავლნიშნავთ, ამით ღირს დაკავება, თუ თქვენ ხართ იმპორტიორი, შემოგაქვთ ბევრი და ხშირად მრავალფეროვანი საქონელი.

ვინაიდან ეს საქმე არ არის მარტივი, მოითხოვს გარკვეულ თვისებებს და რაც მთავარია ხანგძლივ პრაქტიკას. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა ნარმოადგენს ხისმაგვარ სტრუქტურას, რომლის კენწეროში იმყოფება „განყოფილებები“, რომელთა დასახელებები მეტ-ნაკლებად ასახავენ მრეწველობის დარგებს და/ან მათ მიერ გამოშვებულ პროდუქტს. ცოტა ქვემოთ იმყოფება „ჯგუფები“ (ორი ნიშანი), რომლებიც დაყოფენ განყოფილებებს იმაზე დამოკიდებულებით, თუ:

- მასალები, რომლისგანაც მზადდება საქონელი;
- შესასრულებელი ფუნქცია;
- დამუშავების ხარისხი.

კიდევ უფრო ქვემოთ „სასაქონლო პოზიციები“ (4 ნიშანი), რომლებსაც გააჩნიათ იურიდიული მნიშვნელობა კლასიფიკაციისათვის.

შემდეგ მოდის სასაქონლო სუბპოზიციები, რომელთაც გააჩნიათ ორი დეფისი («-«, «- -«).

სასაქონლო სუბპოზიციები თავის მხრივ იყოფა უფრო ღრმად. ამგვარად, მიიღება: რაც უფრო მეტი დეფისი დგას კოდის წინ, მით მეტი განტოტვა და დეტალიზაციაა გავლილი.

თუ გამოვალთ მხოლოდ კლასიფიკაციის კრიტერიუმებიდან (მასალა, ფუნქცია, ხარისხი, დამუშავება), მაშინ ერთი და იგივე საქონელი შეიძლება ადვილად მივაკუთვნოთ სხვადასხვა სასაქონლო პოზიციებს. ამით გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სეს ესნ-ს გააჩნია „შენიშვნები განყოფილებებისა და ჯგუფების მიმართ“, რომლებშიც მითითებულია რომელი საქონელი შეიძლება იყოს კლასიფიცი-

რებული და რომელი არა. თუმცა, იმისათვის, რომ სწორედ მოხდეს საქონლის კლასიფიკაცია, უნდა ყურადღებით იქნეს შესწავლილი არა მხოლოდ თქვენთვის საინტერესო „განყოფილება და/ან ჯგუფი“, არამედ მთელი სასაქონლო ნომენკლატურა. ამიტომ, როგორც თქვენთვის საინტერესო საქონლის ან ტერმინის აღწერა, შეიძლება სრულიად სხვა ადგილას აღმოჩნდეს. სწავლა უნდა დაიწყოს სეს ესნ. ინტერპრეტაციის წესების შესწავლით.

სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულია, რომ კონკრეტული სეს ესნ კოდის მიხედვით, კონკრეტული პროდუქციის შემდგომში „პროდუქტი“ დასახელების დადგენა ან პირიქით, კონკრეტული „პროდუქტი“ დასახელებით სეს ესნ კოდების განსაზღვრა ონლაინ რეჟიმში. მაგალითად რუსეთის ფედერაციაში კლასიფიკაცია და საქონლის კოდის განსაზღვრა ხდება ათნიშნა კოდით და განთავსებულია მისამართზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საიტზე განთავსებულია ონლაინ რეჟიმში საქონლის კოდირების განსაზღვრის „Harmonized System Codes (HS Code) Main Page“ გვერდი, რომლის მისამართია:

<https://www.foreign-trade.com/reference/hscodet.cfm?code=0102>, სამწუხაროდ კოდები მოცემულია ექვსნიშნა ციფრების დონეზე.

<http://www.cybex.in/HS-Code/Default.aspx> ამ მისამართზე სრულყოფილადაა მოცემული ჯგუფების, დასახელების და კოდების მიხედვით რვანიშნა ციფრების დონეზე ძიების სისტემა. ძალიან გამარტივებულია პროდუქციის დასახელების მიხედვით კოდის განსაზღვრა და ეკუთვნის ინდოეთს.

ერთ ერთი უძლიერესი საიტი ევროპაში, რომელიც ემსახურება გერმანიას, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს, არის განთავსებული საიტზე [http://www.tariffnumber.com/2015\\_en/70109043.html](http://www.tariffnumber.com/2015_en/70109043.html), სადაც ძიება ხდება როგორც პროდუქტის დასახელებით, ასევე უშუალოდ კოდის მითითებით. აქაც მონაცემები რვანიშნა კოდითაა მოცემული.

საინტერესოა, რომ საქართველოშიც არის ჯერჯერობით ერთადერთი მისამართი, ვებ გვერდზე „<http://rs.ge/4509>“ საძიებო სისტემა, რომელიც მუშაობს ონლაინ რეჟიმში და ეკუთვნის შემოსავლების სამსახურს. აღმწული საძიებო სისტემა მუშაობს „ძებნა კოდით“, რეჟიმში და ითხოვს მხოლოდ ოთხციფრის დონეზე კოდის შეყვანას, დანარჩენი უნდა მოიძებნოს ჩაკეცილი ფაილების გახსნით, რაც ძალიან მოუხერხებელია ჩვენი მიზნებისათვის.

მაშინ როდესაც, ნებისმიერი ქვეყნის საძიებო სისტემები მუშაობენ სიტყვის ძიების ნებისმიერ ფორმაზე სეს ესნ კოდის მითითებით, საქართველოში ასეთი სისტემა არ არსებობს, ხოლო ზემოთ აღნიშნული მიზნის - მზარდი იმპორტის პირობებში ყველაზე მოთხოვნადი „პროდუქტის“ ბაზრებზე გამოსავლენად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:


1. მენარმის მიერ „პროდუქტის“ დასახელების

მიხედვით სეს ესნ კოდის განსაზღვრა;

2. ამ კოდის მიხედვით „პროდუქტის“ იმპორტის რაოდენობის დადგენა წლებისა და თვეების მიხედვით;

3. მენარმის მიერ ამ „პროდუქტის“ ექსპორტიორი ქვეყნისა და პროდუქტის ერთეულის ფასის დადგენა;

დღეისათვის საქართველოში არსებული ნორმატიული, ტექნიკური და სხვა ინფორმაციით, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში, შესაძლებელია ამ ამოცანების გადაწყვეტა შემდეგი პროცედურებით. ამ პროცედურების შედეგის შედეგად კი ბლოკ სქემას ექნება შემდეგი სახე:



ამრიგად, სეს ესნ კოდის ძიება, პროდუქტის სახის დადგენა, მისი იმპორტი წლების მიხედვით, პროდუქტის მოთხოვნადობის, საბაჟო ფასის დადგენა და შემდომი პროცედურები, ერთი შეხედვით სირთულეს არ წარმოადგენს მაგრამ, პროცედურათა სიმრავლე, გადასვლა ერთი მისამართიდან მრავალ მისამართზე, მონაცემთა ამონერა, და მათი შედარებები, მცირე და საშუალო მენარმეთათვის და არა მარტო მათთვის შრომატევადია, ითხოვს ამ პროცედურების შემცირებასა და გამარტივებას, რათა ხელმისწვდომი იყოს მენარმეთა ფართო წრისათვის. სწორედ აღნიშნული სატატია ეძღვნება ინოვაციური მიდგომის კერძოდ, სტატისტიკური მონაცემე-

ბის გამოყენებას მცირე და საშუალო მენარმეთათვის ჩვენს მიერ დამუშავებული საძიებო პროგრამის საშუალებით.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო იყო საიტის შექმნა. საიტს უნდა შესძლებოდა საქონელის შესახებ ინფორმაციის გამოტანა, უნდა ჰქონოდა ძიების ფუნქცია და ამ ყველაფრის მომხმარებლისთვის მარტივი სახით წარმოდგენის საშუალება. ამისთვის საჭირო იყო გამოგვეყენებინა :

- PHP ( Hypertext Preprocessor )
- MySQL
- HTML ( HyperText Markup Language )
- CSS ( Cascading Style Sheets )
- Javascript

პროგრამირების ენები. საიტის ამუშავების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენდა საჭირო ინფორმაციის ამოღება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1697179> მისამართიდან, ეს კი იყო ინფორმაცია საქონლის შესახებ. რადგან საიტზე განთავსებულია დიდი მოცულობის ინფორმაცია, ამ ინფორმაციის ხელით ამოღებას და მის დახარისხებას დასჭირდებოდა დიდი დრო, ამიტომ, ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, გამოვიყენეთ პროგრამირების ენა PHP. საჭირო ინფორმაცია წარმოდგენილი იყო ცხრილის სახით და მისი გაფილტვრისთვის ამ გვერდის კოდში ვეძებდით სიტყვა "<table>"-ს და მის დახურვას "</table>"-ს. ამ ნაწილის მოძებნის შემდეგ ამ ორ tag-ს შორის არსებულ ინფორმაციას ვწერდით ცვლადში (variable). ყველა ცხრილის ამოღების შემდეგ შედეგების გადახედვა და რამდენიმე ცხრილის ხელით ნაშლა მაინც გახდა საჭირო, რადგან ამ გვერდზე იყო ისეთი ცხრილებიც, რომლებიც ჯგუფების შესახებ საჭირო ინფორმაციას არ შეიცავდნენ. ინფორმაციის გაფილტვრაში დავგვეხმარა ფუნქცია „strpos“. ამ ფუნქციის საშუალებით შესაძლებელია ტექსტში აღმოაჩინო რაიმე სიტყვის ან ტექსტის ნაწილის დაწყების ინდექსი : strpos(„abcd“,„bc“) = 1, რომლის საშუალებითაც ვიღებდით „<table>“-ის და „</table>“-ის ადგილმდებარეობას და შემდეგ ამ ადგილმდებარეობებით ვახდენდით ტექსტის ნაწილის ამოღებას საიტიდან „substr“ ბრძანების საშუალებით. ამ ფუნქციას შეუძლია ტექსტიდან ამოიღოს მისი რაიმე ნაწილი, თუ მივუთითებთ ტექსტის ნაწილის დაწყების და დასრულების პოზიციებს : substr(‘abcded’,1, 2) = ‘bc’. რადგან ამ ცხრილებში არსებული ინფორმაციის ძიების ფუნქციის გაკეთება გვექონდა გადაწყვეტილი საიტზე, ამიტომ საჭირო იყო ცხრილებში არსებული საჭირო ინფორმაციის ბაზაში შენახვა. ამისთვის დავგჭირდა კიდეც ერთი ფილტრის გამოყენება, რადგან ცხრილში ჩვენთვის არასაჭირო ინფორმაცია ციფრული ჩანერილი. ცხრილიდან ამოვიღეთ საქონელის 3 მთავარი მონაცემი:

- სეს ესნ კოდი
- საქონლის დასახელება
- კატეგორია



მიება

დამატებითი ინფორმაცია

ინფორმაცია

სურათი 1

010 მიება

დამატებითი ინფორმაცია

ინფორმაცია

<b>0101</b>	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:	No Category
<b>0101 21 000 00</b>	-- წმინდა ჯიშისანი საწაშენე ცხოველები	- ცხენები:
<b>0101 29</b>	-- დანარჩენი:	- ცხენები:
<b>0101 29 100 00</b>	--- საკლავი	- ცხენები:
<b>0101 29 900 00</b>	--- დანარჩენი	- ცხენები:

სურათი 2

010 მიება

დამატებითი ინფორმაცია

ინფორმაცია

<b>0101</b>	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:	No Category
<b>0101 21 000 00</b>		
<b>0101 29</b>		
<b>0101 29 100 00</b>		
<b>0101 29 900 00</b>		

იმპორტი

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
0101	0	0	0	0	0	0	0
0101 21 000 00	10	0	5.16600	0	0	19.6785	28.6952
0101 29	0	331.062	10.0608	0	1.79324	0	18.5002
0101 29 100 00	0	331.062	10.0608	0	1.79324	0	18.5002
0101 29 900 00	0	331.062	10.0608	0	1.79324	0	18.5002
0101 30 000 00	0	0	2.31531	0	0	0	0
0101 90 000 00	0	0	0	0	0	0	0
0101 29 900 00	0	0	0	0	0	0	0
0102	0	0	0	0	0	0	0
0102 21	344.080	181.617	202.130	364.915	955.485	1554.44	851.946
0102 21 100 00	344.080	181.617	202.130	364.915	955.485	1554.44	851.946

სურათი 3

ჩვენს ბაზაში. მეორე ეტაპი იყო საქონლის იმპორტის შესახებ მონაცემების ბაზაში შეყვანა წლების მიხედვით, Excel ფაილიდან. ინფორმაციის გაფილტვისათვის საჭირო იყო ფაილის Excel ფორმატიდან XML (Extensible Markup Language ) ფორმატში გადაყვანა. XML ფორმატში გადაყვანის შემდეგ უკვე საკმაოდ გამარტივდა ინფორმაციის ამოღება. PHP-ის ფუნქცია simplexml\_load\_string ის საშუალებით ამოვიღეთ მონაცემები XML ფაილიდან, რის შემდეგაც უკვე პირდაპირ შეგვეძლო საჭირო ველებს მივწვდომოდით და ბაზაში ჩაგვეწერა. ამ ინფორმაციის წაღების შემდეგ საჭირო იყო ინფორმაციის ეკრანზე გამოტანა. პირველ რიგში შევქმენით ვებ გვერდის დიზაინი HTML ის და CSS ის გამოყენებით, რომელშიც უნდა გამოსულიყო ინფორმაცია საქონელის შესახებ.

**(იხ. სურათი 1)**

ვებ გვერდს სჭირდებოდა ძიების ფუნქცია რომელიც MySQL ბაზიდან ამოიღებდა ინფორმაციას ძიების ველში შეყვანილი ტექსტის მიხედვით. ამისთვის გამოვიყენეთ Javascript და PHP. Javascript საჭირო იყო იმისთვის, რომ ძიების ლილაკზე დაჭერისას არ მომხდარიყო გვერდის თავიდან ჩატვირთვა. ძიების ლილაკზე დაჭერის შემდეგ მუშაობას იწყებს Javascript ფუნქცია, რომელიც ბაზიდან ინფორმაციის ამომღებ გვერდს გადასცემს ძიების ველში შეყვანილ ტექსტს. ინფორმაციის ამომღები გვერდი არკვევს ძიების ველში შეყვანილი ტექსტი წარმოადგენს საქონელის ნომრის ნაწილს თუ მისი აღწერის ნაწილს და ამის მიხედვით იწყებს ბაზიდან ინფორმაციის ამოღებას. ეს ამოღებული ინფორმაცია უბრუნდება Javascript ფუნქციას და მას უკვე გამოაქვს ის ვებ საიტის მთავარ გვერდზე.

**(იხ. სურათი 2)**

საიტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინფორმაცია საქონელის იმპორტის შესახებ, ამიტომ გვერდს დავუმატეთ ლილაკი „დამატებითი ინფორმაცია“ რომელშიც გამოდის ინფორმაცია მთავარ გვერდზე გამოტანილი საქონელის იმპორტის შესახებ, წლების მიხედვით.

**(იხ. სურათი 3)**

სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით მცირე და საშუალო მენარმეთათვის ჩვენს მიერ დამუშავებული საძიებო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა განთავსებულია ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მისამართი <http://sesesn.gtu.ge/> და მისი გამოყენება უფასოა ინტერნეტ ქსელში.

**დასკვნა**

- შემოთავაზებულია საბაჟო და (სეს ესნ) სტატისტიკის გამოყენების ისეთი ორიგინალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებს იძლევა მცირე და საშუალო მენარმეებს და საერთოდ ბიზნესს დამოუკიდებლად, ჩაატაროს მარკეტინგული კვლევების, მაკროეკონომიკური და დარგობრივი ანალიზი, რაც წარმოადგენს მარკეტინგული იარაღს სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებაში.

- პროგრამული უზრუნველყოფა განთავსებულია ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და მისი გამოყენება უფასოა ინტერნეტ ქსელში.

- წარმოდგენილი პროგრამა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ყველაზე მოთხოვნადი საქონელი საქართველოს ბაზრებზე მზარდი იმპორტის პირობებში.

- დახმარება გაუწიოს მენარმეებს, ვინც აპირებს აწარმოოს პროდუქცია, გააფართოოს სასაქონლო ნომენკლატურა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, შეიჩიოს პერსპექტიული საბაზრო არეალი.

- სტაბილური შემოსავლების მიღების უზრუნველსაყოფად დაეხმაროს მწარმოებლებს პროდუქციის ასორტიმენტის კორექტირებაში (ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად).

- დაეხმაროს სტარტაპის მსურველებს, რომელთაც სურთ შექმნან ახალი ნაწარმი და გადაწყვეტილი არა აქვთ თუ რა კონკრეტული პროდუქტი აწარმოონ. დაეხმაროს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი საქონლის გამოვლინებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იაშვილი გ. სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში „ ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2009. 328გვ
2. ინტერნეტ-მარკეტინგი: ნუგზარ თოდუა, რატი აბულაძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; [რედ: ჩარიტა ჯაში]. 2011წ. 319გვ.
3. Julia Backmann, Martin Hoegl, John L. Cordery, Soaking It Up: Absorptive Capacity in interorganizational New Product Development Teams, Journal of Product Innovative Management, 2015 წ.
4. ინტერნეტ რესურსი; <http://sesesn.gtu.ge/>
5. ინტერნეტ რესურსი; <http://www.ifcg.ru/info/tnved/search.html?q=%D0%AD%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%82%D1%80%D0%BE%D0%B1%D1%80%D0%B8%D1%82%D0%B2%D1%8B&g=85>

## ქვახის ორგანული პროდუქტების მსოფლიო ბაზარი: მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები

თ. ლაჭყებანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ვ. ზეიკიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ბ. მურვანიძე

სტუ დოქტორანტი

### რეზიუმე

საკვლევი თემა ეძღვნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მსოფლიო ბაზარსა და მის სტრუქტურას. სტატიაში გამოვლენილია ორგანული პროდუქციის უმსხვილესი ბაზრები, მისი მოხმარების საშუალო სიდიდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. გაანალიზებულია ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შეფასებულია ორგანული მინათმოქმედებისათვის გამოყენებული ნათესი ფართობების წილი და ზოგიერთ ქვეყნებში კულტურების სტრუქტურის თავისებურებანი. **საკვანძო სიტყვები;** ორგანული სოფლის მეურნეობა, ეკოპროდუქციის ბაზარი, ეკოლოგიური მინათმოქმედების მსოფლიო გამოცდილება.

### WORLD MARKET OF ORGANIC FOODSTUFFS: STATE, TENDENCIES OF DEVELOPMENT

#### SUMMARY

The paper touches upon the world market for organic food and its structure. The largest markets for organic products and the value of its per capita consumption in the different countries of the world are revealed. The author analyzed current trends in the development of organic agriculture, estimated the share of organic lands and particular crop structure in some countries. **Keywords:** organic agriculture, market for organic food, world experience of organic agriculture.

\*\*\*\*

**შესავალი:** ორგანული სასურსათო ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკურია განვითარებად ბაზრებს შორის. ამავე დროს მრავალი ასპექტით იგი რევოლუციური, უპრეცედენტო და ნოვატორულია. ძნელად თუ მოიძებნება კვების ინდუსტრიაში სხვა რომელიმე მარკირება „ორგანულზე“ უფრო დადებითი დახასიათებით. „ორგანული“ - ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორცაა: ეკოლოგიური, მდგრადი, ლოკალური, ჰუმანური, მკვებავი, სასარგებლო, უსაფრთხო, ჯანმრთელი. აღნიშნული ხარისხის პროდუქცია თანამედროვე საზოგადოებაში

სულ უფრო მეტად მოთხოვნილია და ხდება რეალური გააზრება ჯანსაღი კვების აუცილებლობასა და მოხმარებაზე. ორგანული კვების პროდუქტების მსოფლიო ბაზრის ზოგადი საკითხების კვლევას ეძღვნება ქართველ და უცხოელ ექსპერტთა: პ. კოლუაშვილის, ე. ხარაიშვილის, თ. კუნჭულიას, რ. ზანოლის, ნ. ლამპკინის, ხ. ვილერის. ვ. გუსაკოვისა და სხვათა შრომები.

**ძირითადი ნაწილი:** ორგანული სოფლის მეურნეობა ორიენტირებულია მაღალხარისხიანი სასურსათო პროდუქტების წარმოებაზე, რომელიც არ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს და მიღებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ინარჩუნებენ ბუნებრივ რესურსებს და აუმჯობესებენ ეკოსისტემების მდგომარეობას. თანამედროვე ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორი, როგორც მთელი კვების მრეწველობის სექტორი, ავლენს მასთან მსგავსებას ბაზრის კონცენტრაციის ხარისხსა და სტრუქტურასთან მიმართებაში. თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულ ბაზარზე იყიდება მხოლოდ „ნორმალური სიკეთე“ ელასტიური მოთხოვნით. ისევე როგორც აგრარული პროდუქციის ჩვეულებრივ ბაზარზე, ორგანული ბაზარზეც ვლინდება კონსოლიდაციის ტენდენციები მოხმარებელთა მხრიდან, წარმოდგენილია გადამამუშავებელი და სატრანსპორტო გაერთიანებების კომპანიების ფორმით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი მონოპოლიონია, მიმართული ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებისა და შემოსავლების არასამართლიანი განაწილებისკენ.

ამასთან დაკავშირებით ფერმერები თანდათანობით კარგავენ ავტონომიურობას და შემოსავლის წილს, ხოლო იმის გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, თუ რა და როგორ უნდა აწარმოონ, გადადის რიტეილერებისა და გადამამუშავებლების ხელში. ამ უკანასკნელს ერგება სულ უფრო მეტი წილი მწარმოებლის მოგებიდან, რაც აიძულებს ფერმერებს შეამცირონ ინვესტიცია კომუნიკაციაში მოთხოვნის გასაფართოვებლად (მაგ.: რეკლამის გზით) და ტექნოლოგიებში დანახარჯების შესამცირებლად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ეფექტიანობით მიღებული სარგებელი აღემატება საბაზრო ხელისუფლების კონცენტრაციით მიღებულ დანახარჯებს. ვერტიკალური კონტროლიცაა განაპი-

რობებს პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის ამაღლებას და აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესების გამოხატვას. ჰორიზონტალური ინტეგრაცია გულისხმობს დიდ ეკონომიას მარკეტინგული გადანყვეტილებებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში. თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები აღნიშნულ ბაზარზე პოზიტიურად მოქმედებენ მომხმარებელთა საკეთილდღეოდ.

ორგანული პროდუქტების მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ზრდის მდგრადი ტენდენციით ხასიათდება. ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნილება ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013 წლისთვის IFOAM-ის მონაცემებით ორგანული პროდუქტების საერთაშორისო გაყიდვებმა 72 მლრდ. აშშ. დოლარს მიაღწია, რაც თითქმის ხუთჯერ აღემატება 2000 წლის მონაცემებს. ევროპის ქვეყნები იძლევიან ეკოლოგიური სემინტის განსხვავებულ დინამიკას. მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება გერმანიის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და ფინეთის ბაზრებზე. მაშინ, როცა ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და საბერძნეთში იგი უმნიშვნელოა. აბსოლუტური გაყიდვებით ლიდერობს გერმანია. (ეკოპროდუქციის ბაზარი - თითქმის 10 მლრდ. აშშ. დოლარი 2013 წ.) ამასთან სასურსათო ბაზარზე ეკოსექტორის წილით ლიდერობს დანია, შვეიცარია და ავსტრია (6 %-ზე მეტი).

ევროპულ ბაზარზე შეინიშნება კონსოლიდაციის ტენდენცია „ჩაყლაპვის“ გზით. ბაზარზე ორგანული პროდუქციის წინ ნაწილაში უდიდეს როლს თამაშობს მსხვილი სავაჭრო ქსელები. მომხმარებელი ამოიცნობს და ლეზულობს აღნიშნული ქსელების მიერ მარკირებულ და მინოდებულ ეკოპროდუქციას. მაგ.: უმსხვილესი სასურსათო რიტეილერი შვეიცარიის ბაზარზე - Coop Switzerland საკუთარი ლეიბლით ახორციელებს ქვეყანაში ორგანული პროდუქტების გაყიდვების საერთო მოცულობის


ნახევარზე მეტს. დანიის ქსელის Coop Denmark-ის კერძო ლეიბლი - Englamark -ი ასევე იკავებს ბაზრის ნახევარზე მეტს. კერძო მარკირებისადმი ნდობის ფორმირების სფეროში მეტად დიდ წარმატებას მიაღწიეს გერმანიის სასურსათო დისკაუნტერებმა. მათ მიერ მინოდებული ორგანული პროდუქციის ფასები ხშირად ჩვეულებრივი სუპერმარკეტების ფასებსაც კი ჩამოუვარდება.

ჩრ. ამერიკაში ორგანული სექტორი იკავებს 4%-ს კვების პროდუქტების ბაზარზე, შეფასებულია რა 35 მლრდ. აშშ. დოლარით და ამასთან ამჟღავნებს ზრდის მაღალ ტემპს. ხოლო ბაზარზე მოთხოვნილება ზრდის ტემპით ხასიათდება და აღემატება მინოდებას, თუმცა ნაწილობრივ კომპენსირდება მზარდი იმპორტით. წარმოების ჩამორჩენის ტენდენციები შეინიშნება ისეთ კატეგორიებში, როგორცაა ორგანული ხილი, ბოსტნეული, ხორცი, რძის პროდუქტები. ევროპის მსგავსად ჩრ. ამერიკის ბაზარი კონსოლიდირდება, ხოლო ყველა წამყვანი სავაჭრო ქსელები მომხმარებელს სთავაზობს ორგანული პროდუქციის საკუთარ ხაზს.

ეკოპროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნები შეინიშნება აზიის ბაზრებზეც. განსაკუთრებით ინტენსიურია მოთხოვნა საბავშვო კვებაზე, რაც აიხსნება უსაფრთხო საკვებზე მოთხოვნილების გაზრდით. ავსტრია და ახალი ზელანდია, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნები წარმოადგენენ ორგანული პროდუქციის უმსხვილეს მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს. თუმცა შიდა მოთხოვნები აღნიშნულ ეკოპროდუქტებზე არც თუ ისე დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმრავლესობა ორგანულ პროდუქციას აწარმოებს შიდა მოხმარებისთვის, აღნიშნულ სემენტში მსოფლიო ვაჭრობა სწრაფად ვითარდება. ეკოპროდუქციის მსხვილი მსოფლიო ექსპორტიორებია იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი და აშშ. აზიურ ბაზრებზე კი - ინდოეთი, ჩინეთი და ვიეტნამი. (ნახ. 1 )

ნახატი 1 - 10 ქვეყანა ორგანული პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლით 2013წ. მლნ. ევრო



ცხრილი 1

ორგანული პროდუქციის გლობალური ბაზარი 2013 წ. (გაყიდვები, მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე და კეთილდღეობის დონე ზოგიერთ ქვეყნებში)

	ქვეყნები ორგანული პროდუქციის გაყიდვების უდიდესი მაჩვენებლით		ქვეყნები ორგანული პროდუქციის მოხმარების უდიდესი მაჩვენებლით		
	ქვეყანა	გაყიდვა, მლნ ევრო	ქვეყანა	მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, ევრო	მთლიანი ეროვნული შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე (ადგილი მსოფლიოში)
1	აშშ	24 347	შვეიცარია	210	57 960 (9)
2	გერმანია	7 550	დანია	163	45 350 (15)
3	საფრანგეთი	4 380	ლუქსემბურგი	157	61 340 (8)
4	ჩინეთი	2430	ლიხტენშტეინი	129	-
5	კანადა	2 375	ავსტრია	127	45 250 (16)
6	დიდი ბრიტანეთი	2 065	შვეცია	106	45 930 (14)
7	იტალია	2 020	გერმანია	93	45 020 (17)
8	შვეიცარია	1 668	აშშ	77	54 000 (11)
9	ავსტრია	1 065	კანადა	71	42 410 (18)
10	შვეცია	1 018	საფრანგეთი	55	38 180 (25)
11	იაპონია	1 000	ნორვეგია	44	66 360 (6)
12	ესპანეთი	998	ავსტრალია	42	42 220 (19)
13	ავსტრალია	962	ნიდერლანდები	40	47 660 (13)
14	დანია	917	ბელგია	38	41 900 (20)
15	ნიდერლანდები	840	დიდი ბრიტანეთი	33	38 370 (24)

წყარო : შედგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემების საფუძველზე

ორგანული პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარი ორიენტირებულია სამხრეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებსა და ევროპაზე. მათ ხვედრით წილად მოდის მსოფლიო გაყიდვების 97 %. ეკოპროდუქციის უდიდესი მომხმარებელია აშშ, ჩინეთი და იაპონია (ცხრ. 1).


ეკოპროდუქციის ინდივიდუალური მოხმარების მაღალი დონე კანონზომიერად შეინიშნება ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები მაღალია. მიუხედავად ამისა ორგანული სოფლის მეურნეობა ინერგება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ისინი იკავებენ მიწის მზარდ ტერიტორიებს.

ორგანული პროდუქცია იწარმოება საშუალოდ 78 მლნ ჰა მიწის ფართობზე. დაახლოებით 43 მლნ ჰა მიეკუთვნება მიწათმოქმედებას. მათ შორის 40 % - ოკეანეთის ქვეყნებში (ძირითადად ავსტრალია). 27 % - ევროპაში; 15 % - ლათინურ ამერიკაში; 8 % - აზიაში; 7 % - ჩრდ. ამერიკაში და 3 % - აფრიკაში. ორგანული სასოფლ-სამეურნეო მიწების პარალელურად გამოყოფენ აგრეთვე სხვა ტერიტორიებს,

რეგულირებადს ორგანული პროდუქციის შესახებ კანონით. ასეთი ტერიტორიების საერთო ფართობი მსოფლიოში 37 მლნ. ჰა -ია. აღნიშნულ კატეგორიაში შედის ტერიტორიები, რომელზედაც განვითარებულია მეფუტკრეობა, მეთევზეობა, და ველურ მცენარეთა შეგროვება. (Wild collection areas). ასეთი სერტიფიცირებული მიწების ფართობით მსოფლიოში ლიდერობს ფინეთი. (ველური კენკრის მოგროვება 9 მლნ. ჰა; სოკოსი 2642 ჰა მიწაზე, რომლებიც მსოფლიო სტატისტიკით ოფიციალურად აღიარებულია შესაბამისი ორგანული სტანდარტებით.)

მსოფლიოს 24 ქვეყანაში ორგანული საშუალებებით დამუშავებული მიწების წილი დამუშავებული მთლიანი ტერიტორიის 5 % -ს აღემატება. მათგან 11 ქვეყანაში, ძირითადად კი ევროკავშირის ქვეყნებში, 10 %-საც აღემატება. მაგ.: ლიხტენშტეინის მაჩვენებელი 31 %-ს შეადგენს, ავსტრიაში - 19%-ს, ესტონეთში - 16%-ს, ლატვიაში კი 11 %-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანული საშუალებებით დამუშავებული ტერიტორიები არათანაბრად არის განაწილებული როგორც რეგიონების, ასე-



ვე ცალკეული ქვეყნების ფარგლებში. (ნახ.2) ეს შეიძლება აიხსნას ნიადაგების რაოდენობითა და ხარისხით, სექტორში ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის დონით, აგრეთვე საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გავლენით.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ჩამოყალიბდა ორგანული პროდუქციის სრულფასოვანი ბაზრები ისეთი სეგმენტებისთვის, როგორცაა: ბოსტნეული და ხილი, რძე და რძის პროდუქტები, ბავშვთა კვება, კვერცხი და სხვა პროდუქტები. ამასთანავე ეკოპროდუქციის მოხმარების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. მაგ.: აშშ-ში ორგანული პროდუქციის 40,5 % მოდის ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებაზე; 14,6 %- რძის პროდუქტებზე; 1,8 % - ხორცზე; 7 % - პურსა და მარცვლოვნებზე; 12,1 % - სასმელებზე. საფრანგეთში ყიდულობენ და მოიხმარენ ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულს და ხილს - 73%-ს, კვერცხს - 63%-ს, რძის პროდუქტებს - 49%-ს, პურფუნთუშეულს - 41%-ს, ფრინველს -34%-ს, ღვინოსა და სასმელებს -23%-ს. ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება ორგანული პროდუქციის ბაზარი იტალიაში, ირლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში და გერმანიაში. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ ევროპაში, რეალიზებული ორგანული პროდუქციის უდიდეს წილს შეადგენს რძე და რძის პროდუქტები. ორგანული ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყიდვები განსაკუთრებით მაღალია ბელგიაში, ნიდერლანდებში, ფინეთსა და საფრანგეთში, იკავებს რა ბაზრის 10%-ს. და პირიქით, მრავალ ქვეყანაში ორგანული ხორცისა და ხორცპროდუქტების ბაზარი საკმაოდ სუსტადაა განვითარებული, რაც სავარაუდოდ მიუთითებს გადამამუშავებელი სიმძლავრეების, ორგანული და არაორგანული ხორცის ფასის დიფერენცირებას. მარცვლეული პროდუქტების რეალიზაცია სუპერმარკეტების გზით მაღალია ჩეხეთში, ფინეთსა და ნორვეგიაში. ორგანული პროდუქ-

ტების ასორტიმენტში პური და პურფუნთუშეული მნიშვნელოვან როლს თამაშობს შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ფინეთსა და გერმანიაში.

ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილებისა და მსოფლიო ბაზარზე აღნიშნული სეგმენტის ზრდის სწრაფი ტემპების გათვალისწინებით, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი ორგანული პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტისათვის.

ბიოორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის ეფექტიანი ფორმირებისათვის, უპირველეს ყოვლისა მსგავსი კლიმატური პირობებით ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგრობიოლოგიური და აგროტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება, რათა მიღებულ იქნეს კონკურენტუნარიანი ორგანული პროდუქცია და მიეცეს ეკონომიკური შეფასება მისი რეალიზაციის შესაძლებლობებს.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორგანული მინათმოქმედება ქვეყნის ტერიტორიაზე დაკავშირებული იქნება მთელ რიგ თავისებურებებთან, განპირობებული განსაზღვრული ეკონომიკური და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით. ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებში წარმატებით მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები, ზეთოვნები, პარკოსანი კულტურები, ხილი და ბოსტნეული. (ცხრილი 2 ) მაგ.: პოლონეთში მდებარეობს მსოფლიო სავარგულების მეოთხედი, რომელზედაც მოჰყავთ ორგანული ვაშლი. პერსპექტივაში საქართველოშიც შესაძლებელია ორგანული წესით მარცვლეულის, პარკოსნების, ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის წარმოება. (მათ შორის ჩირის, ნვენების და ა.შ. ფორმით)

ორგანული აგროწარმოების განვითარებისთვის

**ცხრილი 2**

**ორგანული მიწათმოქმედებისთვის გამოყენებული ნათესი ფართობების წილი % სახვადასხვა ქვეყნებში**

ქვეყნები	კულტურები				
	მარცვლოვნები	ხილი ზომიერი კლიმატის	ზეთოვნები	ცილოვანი	ბოსტნეული
ლატვია	5,0	23,4	-	-	3,4
ლიტვა	6,5	6,9	1,2	-	0,5
ნორვეგია	2,6	8,4	0,3	8,1	4,1
პოლონეთი	1,6	15,1	0,2	2,8	5,9
რუსეთი	0,03	0,01	0,002	0,1	0,01
უკრაინა	1,9	0,2	0,5	3,5	1,0
ფინეთი	4,3	9,6	3,7	67,1	1,5
შვეცია	9,2	9,6	3,1	72,1	6,2
ესტონეთი	7,8	13,2	-	21,0	5,1

სათანადო პირობების შექმნა სოფლის სავარგულე-ბის 10%-ზე მაინც, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში და მისცემს მას ეკოპროდუქციის მწარმოებელ ექსპორტიორთა რიგებში შესვლის შესაძლებლობებს.

**დასკვნა:** წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორგანული პროდუქციის მსოფლიო ბაზრის განვითარების მაღალი პოტენციალი, მის მონაწილეებს (წვრილ ფერმერებს, საშუალო და მსხვილ მწარმოებლებს, გადამამუშავებლებსა და რეალიზატორებს) აძლევს ახლად მზარდ ნიშაში დამკვიდრების საშუალებას, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო დონეებზე. ეკოპროდუქციის ბაზრის განვითარების შესაბამისად მომხმარებელი იღებს ორგანული პროდუქციის მზარდ ასორტიმენტს სულ უფრო მეტად ხელმისაწვდომ ფასებში. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაფართო-

ვდეს ორგანული კვების პროდუქტების ასორტიმენტი როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პ. კოლუაშვილი - საღი გონება ჯანმრთელ სხეულში - კვება „ბუნებრივი“ საკვებით. ჟ. ბიზნეს იმჟინერინგი №2 – 2014.
2. პ. კოლუაშვილი - ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პერსპექტივები. ჟ. ეკონომიკა -2005 -.
3. В. Г. Гусаков [и др.] = Развитие биоорганического сельского хозяйства. «Институт системных исследований в АПК Национальной академии наук Беларуси». – Минск, 2012. – 76 с.
4. Ефремов, Н. А. - Индустрия органики: мировой опыт. Фундаментальные исследование. -2015. - №5-2

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური ქსავის თავისებურებანი

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ნინო ვანიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი

რეზიუმე

სტატიაში უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად არის გამოკვლეული მოსახლეობის ფინანსური ქცევის თავისებურებანი საქართველოში. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) მიერ შემუშავებული ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის გაზომვის 2015 წლის სახელმძღვანელო.

OECD/INFE-ს სახელმძღვანელო შესაძლებელს ხდის შეგროვდეს ინფორმაცია და გამოყვანილ იქნეს ფინანსური ქცევის დონის განმსაზღვრელი ქულები. საქართველოში შეგროვებული მონაცემები შეყვანილია OECD/INFE-ს 2016 წლის საერთაშორისო შედარებით ანგარიშში, რომელიც ქვეყნებს შორის მსგავსებებსა და საერთო გამოწვევებს გამოავლენს და მიუთითებს რიგ ეფექტურ გადანყვეტილებებზე.

სტატიაში განხილულია ფინანსური ქცევის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ძირითადი ფინანსური ცნებების ცოდნა და რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი, პირადი და შინამეურნეობის ფინანსების მართვა, ფინანსური მიზნების დასახვა და მათ მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, დაზოგვა და ბიუჯეტირება, ფინანსური მოულოდნელობებისა და საპენსიო ასაკისთვის მზაობა, სესხება და ვალის მართვა, ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტირება, აქტიური დაზოგვა, საპენსიო თავდაჯერებულობა, ფინანსური მიზნები, მიმდინარე ანგარიში, სასესხო ვალდებულებები, ფინანსური აქტივები, ვალის ტვირთი, არაფინანსური აქტივები, ონლაინ სესხი.

PECULIARITIES OF THE FINANCIAL BEHAVIOR OF THE POPULATION IN GEORGIA

Merab Vanishvili - Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University
Nino Vanishvili - Doctor of Business Administration, Senior Teacher of Georgian Technical University

RESUME

The latest literary sources and the rich factual materials, consistently studied the behavior of financial features in Georgia. The methodological basis for the research is the 2015 manual of Financial Education and Financial Engagement Measurement developed by the Organization for Economic Cooperation and Development (OECD / INFE).

It is important to note that the OECD / INFE's manual allows information to be collected and quantified by the determining level of financial behavior. The data collected in Georgia is included in the OECD / INFE's International Comparison Report 2016, which identifies the similarities and common challenges between countries and indicates a number of effective decisions.

The article deals with the financial behavior of important issues, such as basic financial concepts, knowledge and real-life application of skills, personal and household financial management, financial goals and achieve them to take concrete steps, saving and budgeting, financial unexpected circumstances and the age of retirement readiness, borrow and Ali's management, financial products and other awareness and usage.

Keywords: budgeting, active savings, pension self-confidence, financial goals, current account, loan liabilities, financial assets, debt burden, non-financial assets, online loan.



## შესავალი

ინდივიდის გონივრული ფინანსური ქცევა მისი ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორია როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ზოგიერთი ქცევა, მაგალითად, გადასახადების დაგვიანებით გადახდა, ან ფინანსური პროდუქტის შექმნა სხვადასხვა შეთავაზებების წინასწარი შედარების გარეშე, შეიძლება უარყოფითად აისახოს ინდივიდის ფინანსურ მდგომარეობასა და, შესაბამისად, მის ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამიტომაც, არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ქცევების შესწავლა და შეფასება.

წინამდებარე სტატია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და კვლევითი ორგანიზაცია სონარის მონაწილეობით საქართველოში შეგროვებულ მონაცემებს ეყრდნობა [1]. მონაცემები შეგროვდა მთელი ქვეყნის მასშტაბით 18 და 18 წელზე უფროსი ასაკის 1100 რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის გზით. გამოკითხვულ იქნა სტრატეგიული კლასტერული შერჩევის მეთოდი, შერჩევა კი რეგიონებისა და დასახლების ტიპების (ქალაქი/სოფელი) მიხედვით განხორციელდა. შერჩევის წერტილები მოსახლეობის პროპორციულად, ხოლო რესპონდენტები — შინამეურნეობებში შემთხვევითი შერჩევით, „ბოლო დაბადების დღის პრინციპით“ შეირჩა. საველე სამუშაოები 2016 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილამდე პერიოდში ჩატარდა. მონაცემები რეგიონის, ასაკისა და სქესის მიხედვითაა შენონილი.

კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის გაზომვის 2015 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება [2]. OECD/INFE—ს კითხვარში მოცემულია სხვადასხვა სტილის შეკითხვები, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ის პოზიტიური და ნეგატიური ფინანსური ქცევები, რომლებიც მოსახლეობას ახასიათებს, მათ შორის, ფინანსური პროდუქტის შექმნამდე შესაძლო ვარიანტების ანონ—დანონვა, გადასახადების დროულად გადახდა, ბიუჯეტის შედგენა, ფულის შენახვა, და სესხება თავის გასატანად. საქართველოში შეგროვებული მონაცემები OECD/INFE-ს 2016 წლის საერთაშორისო შედარებითი ანგარიშის ნაწილია [3].

საგულისხმოა, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში ფინანსური ქცევის გასაზომად გამოყენებული რამდენიმე ინდიკატორი 5—ქულიან შკალას იყენებს, რომელიც რესპონდენტს საშუალებას აძლევს უფრო კონკრეტულად გამოხატოს, თუ როგორ იქცევა იგი გარკვეულ სიტუაციებში. რესპონდენტები, რომლებიც შკალაზე 1 ან 2 ქულას ირჩევენ, ფინანსური თვალსაზრისით სწორი ქცევებით გამოირჩევიან.

## ძირითადი ტექსტი

კვლევის შედეგების მიხედვით, ზოგადაა, საქართველოს მოსახლეობის ფინანსური ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც შერეული: გამოკითხულთა 90% დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა იმ დებულებას, რომ ახალი ნივთის შექმნას სიფრთხილით ეკიდება. გადასახადების დროულად გადახდა მოსახლეობის 89%-ისთვის, ხოლო ფინანსური საკითხების კონტროლი მოსახლეობის 75%—ისათვის ჩვეულ ქცევას წარმოადგენს. აღნიშნულის საპირისპიროდ, გამოკითხულთა გაცილებით მცირე რაოდენობა (41%) აცხადებს, რომ გრძელვადიანი ფინანსური მიზნები აქვს და ისწრაფვის მათ მისაღწევად. ფინანსური ქცევების პროცენტული გადანაწილება მოსახლეობაში ასახულია 1-ელ ცხრილში.

საზგადასამელია ის გარემოება, რომ კვლევაში გამოყენებული ფინანსური ქცევის დანარჩენი ინდიკატორები სხვადასხვა კითხვებზე გაცემული პასუხების კომბინაციით მიიღება. ავილოთ, მაგალითად, „**ბიუჯეტირების**“ ინდიკატორი.

ტრადიციულად, ბიუჯეტის შედგენა განიხილება, როგორც ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი საშუალება, და ასევე, ზოგადი ფინანსური განათლების აუცილებელი კომპონენტი. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ფინანსურ გადანყვეტილებებთან ერთად, ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხებიც იქნა შესწავლილი.

საყურადღებო ფაქტია, რომ თუ რესპონდენტის შინამეურნეობა აწარმოებს ბიუჯეტს, მაგრამ თავად რესპონდენტი არანაირ მონაწილეობას არ იღებს ბიუჯეტის შედგენაში, ან შინამეურნეობის სხვა ფინანსური გადანყვეტილების მიღებაში, მაშინ ეს რესპონდენტი ვერ ჩაითვლება მაღალი ფინანსური განათლების მქონედ. ანალოგიურად, რესპონდენტს ვერ ჩაეთვლით ფინანსურად განათლებულად, თუ ის პასუხისმგებელია შინამეურნეობაში ფინანსური გად-

ცხრილი 1: ფინანსური ქცევების პროცენტული გადანაწილება მოსახლეობაში

ახალი ნივთის შექმნას სიფრთხილით ეკიდება	გადასახადებს დროულად იხდის	ფინანსურ საკითხებს ზედმინევენთ აკონტროლებს	მიზნად ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს და ცდილობს მათ მიღწევას
90%	89%	75%	41%
რესპონდენტების წილი, რომლებიც დაეთანხმნენ დებულებას (ე.ი. დებულება 1 ან 2 ქულით შეაფასეს)			

ცხრილი 2: შინამეურნეობების ფინანსური გადანყვეტილებები და ბიუჯეტი

ვინ იღებს ყოველდღიურ გადანყვეტილებებს ფულთან დაკავშირებით შინამეურნეობაში?	გაქვთ თუ არა შინამეურნეობის ბიუჯეტი?	ფულთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებზე პასუხისმგებელი ბიუჯეტის მქონე შინამეურნეობაში
87%	64%	57%
% თავად ან სხვასთან ერთად იღებს ამ გადანყვეტილებებს	% დადებითი პასუხი	% იღებს გადანყვეტილებებს და ამასთან აცხადებს, რომ შინამეურნეობას ბიუჯეტი აქვს

ანყვეტილებების მიღებაზე, მაგრამ მის შინამეურნეობას ბიუჯეტი არ გააჩნია.

აქედან გამომდინარე, მოხდა ამ ორი ინდიკატორის შეკრება ერთი, კომბინირებული ინდიკატორის შესაქმნელად, რომელიც მე-2 ცხრილის 1-ელ და მე-2 სვეტებში მოცემული ორი კითხვის საფუძველზე გამოავლენს რესპონდენტებს, რომლებიც ფინანსურ საკითხებზე სრულ ან ნაწილობრივ პასუხისმგებლობას იღებენ ბიუჯეტის მქონე შინამეურნეობაში (ცხრილი 2; სვეტი 3).

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, რესპონდენტთა 57%-ს აქვს ბიუჯეტი შინამეურნეობაში და ამავედროულად, პასუხისმგებლობას იღებს შინამეურნეობაში ფინანსური გადანყვეტილებების მიღებაზე. ამ გაერთიანებული ინდიკატორის ცალკეულ კომპონენტთა ანალიზი (1-ლი და მე-2 სვეტები) აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა (87%) შინამეურნეობის (ან შინამეურნეობის არარსებობის შემთხვევაში, პირად) ფინანსურ გადანყვეტილებებზე სულ მცირე გარკვეულ პასუხისმგებლობას მაინც იღებს, რაც, თუ გავითვალისწინებთ ფინანსური განათლების საერთო დონის შესახებ მიღებულ მაჩვენებელს, მიუთითებს, რომ მხოლოდ ეს შეკითხვა ფინანსური განათლების სუსტი დეტექტორია; რაც შეეხება ბიუჯეტს — მოსახლეობის 64% აწარმოებს შინამეურნეობის ბიუჯეტს.

ასევე საინტერესოა „აქტიური დაზოგვის“ ინდიკატორი. დაზოგვა ფინანსური კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. ის ადამიანები, რომლებიც ზოგავენ, ჩვეულებრივ უკეთ ახერხებენ შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას, ფინანსური მიზნების მიღწევას და ფინანსურ მოულოდნელობებთან გამკლავებას<sup>1</sup>.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის 37.9%-მა ამა თუ იმ ფორმით დაზოგა ფული და დაზოგვის მიზნით მოსახლეობამ საშუალოდ 1.7 სხვადასხვა წყაროს მიმართა. ბოლო 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 23.4%-ს საერთოდ არ გადაუღია ფული შესანახად. გამოკითხულთა 28.1% ფულს სახლში ინახავს, 13,8% ფულს ოჯახის წევრს გადასცემს შესანახად, 9,8%

1 საგულისხმოა, რომ OECD/INFE-ს სახელმძღვანელო ცალკე გამოყოფს „აქტიურ“ დამზოგველებს. „აქტიური“ დაზოგვის ინდიკატორი დაზოგვის მხოლოდ ისეთ ფორმებს ითვალისწინებს, რომლებიც ქმედებებს წარმოადგენს, და რომლებსაც რესპონდენტმა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიმართა.

მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო 7% — შემნახველ ანაბარზე ინახავს ფულს. ამასთან, მოსახლეობის 6.8% ფულს არაფორმალური გზით ინახავს, მაგალითად, თამაშობს „ლატარეას“. OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 35% ითვლება „აქტიურ“ დამზოგველად.

ზოგადად, არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, ერთი მხრივ, დაზოგვის კულტურასა და მეორე მხრივ, შემოსავლისა და ფინანსური განათლების დონეებს შორის: შემოსავლისა და ფინანსური განათლების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, ადამიანები უფრო აქტიურად და ფორმალური გზების გამოყენებით ინახავენ ფულს<sup>2</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ფულის სახლში შენახვა მეტწილად 550 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტისათვისაა დამახასიათებელი. ყველაზე აქტიური შემნახველები 901 ლარს ზევით შემოსავლის მქონე ჯგუფში გვხვდებიან და ისინი ყველაზე უკეთ ერკვევიან დაზოგვის ფორმალურ მეთოდებში, როგორცაა საინვესტიციო პროდუქტების შეძენა და შემნახველ ანაბარზე თანხის დაგროვება. საგულისხმოა, რომ დაბალშემოსავლიანი სეგმენტი თანხას შედარებით მცირე მოცულობით და/ან მოკლე ვადით ზოგავს, რაც განაპირობებს მათ გადანყვეტილებას თანხა სახლში ან ოჯახის წევრებთან შეინახონ; ამ შემთხვევაში, თანხა ბევრად უფრო ადვილად ხელმისაწვდომი რჩება.

ფულის დაზოგვის მეთოდები განსხვავდება დასაქმების სტატუსის მიხედვით. კერძოდ, თვითდასაქმებული მოსახლეობა (რესპონდენტები, რომლებსაც საკუთარი ბიზნესი ან მეურნეობა გააჩნია) ფულს ძირითადად მიმდინარე ანგარიშზე, ან ქონების შეძენის გზით ინახავენ, როგორცაა ოქრო, პირუტყვი, და ა.შ. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულები (გარდა თვითდასაქმებული სეგმენტისა) ფულს ყველაზე ხშირად მიმდინარე საბანკო ანგარიშზე, არაფორმალური გზების გამოყენებით (მაგალითად, „ლატარეა“), საინვესტიციო პროდუქტების შეძენით, ან შემნახველ ანაბარზე ინახავენ. დიასახლისებისთვის, დროებით უმუშევრებისა და

2 ფორმალური გზით დაზოგვის შესახებ დისკუსიის ფარგლებში საინტერესოა „გალაპის“ 2015 წლის მსოფლიო გამოკითხვა (Gallup World Poll 2015), რომლის მიხედვითაც, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ნდობის მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის მე-4 ადგილზე, და რომლის შედეგებიც შეყვანილია Legatum Institute-ის Prosperity Index-ის დათვლაში [5].

პენსიონერებისთვის ფულის ფორმალური გზით შენახვა ნაკლებად არის დამახასიათებელი. დროებით უმუშევრებსა და პენსიონერებს შორის ყველაზე გავრცელებული შემნახველი ქცევა ფულის ოჯახის წევრებისთვის მიცემაა, ხოლო დიასახლისებისთვის — არაფორმალური გზების გამოყენება და ფულის სახელში შენახვა.

თუ დაზოგვის მეთოდებს განვიხილავთ იმ დროის ქრილში, რომლის განმავლობაშიც შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში შინამეურნეობა შეძლებდა თავის გატანას სესხების ან სტანდარტული საცხოვრებელი პირობების შეცვლის გარეშე, დავინახავთ, რომ თავის შედარებით დიდი ხნის მანძილზე გატანის უნარი დაზოგვის მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. იმ ადამიანებს 64% ვინც შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში 3-დან 6 თვემდე შეძლებდა თავის გატანას, ამა თუ იმ ფორმით ახერხებს ფულის დაზოგვას. დაზოგვის ყველაზე სუსტი ჩვევები მათ აქვთ, ვინც აცხადებს, რომ თავის გატანას 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებდა.

საყურადღებოა აგრეთვე „ფინანსური პროდუქტების შექენისას ბაზარზე საუკეთესო ფასის ძიების“ ინდიკატორი. პროდუქტის შექენამდე საუკეთესო ფასის ძიების (ე.წ. „Shopping around“) ინდიკატორი ორ შეკითხვას ეფუძნება, რომლებიც მხოლოდ იმ ადამიანებს დაესვით, რომელთაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში რომელიმე ფინანსური პროდუქტის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი. თუ ამგვარი პროდუქტი რამდენიმეა, მაშინ ინტერვიუერი რესპონდენტს სთხოვს ყველაზე ბოლოს შერჩეული პროდუქტის შესახებ ისაუბროს. ამ მიდგომის მიზანია უზრუნველყოს, რომ რესპონდენტს ახსოვს პროდუქტის შერჩევის პროცესი.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მოცემულ ორ შეკითხვაზე მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საუკეთესო ვარიანტის შერჩევის მიზნით, მოსახლეობის მხოლოდ 32.9%-მა განიხილა რამდენიმე არჩევანი. მოსახლეობის 23.5%-ს პროდუქტის შექენამდე არც ერთი ალტერნატიული ვარიანტი არ განუხილავს მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში პროდუქტის შერჩევისას რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (20%) ფილიალში მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო, ხოლო საკუთარ გამოცდილებაზე და ახლობლის რეკომენდაციაზე დაყრდნობით გამოკითხულთა 17-17%-მა მიიღო გადაწყვეტილება. საინტერესოა, რომ სხვადასხვა არხებით გავრცელებულ რეკლამებს ჯამში გამოკითხულთა 11% დაეყრდნო, ხოლო სხვა ინფორმაციის წყაროებს — 4%-ზე ნაკლები. დამოუკიდებელი ფინანსური მრჩევლისგან რეკომენდაციის მიღება კი საერთოდ არ არის გავრცელებული პრაქტიკა.

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ასევე „ფინანსური თვალსაზრისით თავის გატანის“ ინდიკატორზე: მოსახლეობის ფინანსური თვალსაზრისით თვიდან თვემდე თავის გატანის

უნარი 2 შეკითხვით შემოწმდა. მიღებული პასუხები საშუალებას იძლევა შეფასდეს ის სტრატეგიები, რომლებიც რესპონდენტებმა იმ შემთხვევებისთვის შეიმუშავეს, როდესაც შემოსავალი მიმდინარე ხარჯებს ვერ ფარავს. მოცემული 2 შეკითხვით შექმნილი საერთო ინდიკატორი 1 ქულას ანიჭებს რესპონდენტებს, რომელთაც: (ა) არ გამოუცდიათ შემოსავლის უკმარისობა უკანასკნელი წლის განმავლობაში (რაც მიუთითებს, მათ შორის, ფინანსების მართვის კარგ უნარზე), ან (ბ) გამოუცდიათ შემოსავლების უკმარისობა, მაგრამ არ უსესხიათ ფული ხარჯების დასაფარად (რაც მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული გეგმა ამგვარ სიტუაციასთან გამკლავების მიზნით). რესპონდენტებს, რომელთაც თავის გასატანად ფულის სესხება დასჭირდათ, 0 ქულა მიენიჭათ.

აღნიშნული მიდგომით მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოსახლეობის 62%-მა გამოსცადა შემოსავლის უკმარისობის შემთხვევა, მთლიანი მოსახლეობის 45%-მა კი ისესხა ფული თავის გასატანად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბევრ ადამიანს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის საერთოდ არ აქვს გაკეთებული დანაზოგი, ან, უკვე გამოიყენა საკუთარი დანაზოგი.

კვლევის ფარგლებში გარკვეული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის საპენსიო ასაკისთვის და გაუთვალისწინებელი ფინანსური შემთხვევებისთვის მზაობას: აღმოჩნდა, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ერთობ ბუნდოვანი ცნება აღმოჩნდა გამოკითხულთა დაახლოებით 71%-თვის. მოსახლეობის 28.9% რამდენადმე დარწმუნებულია, რომ საპენსიო ასაკისათვის ადეკვატური ფინანსური გეგმები დაისახა და აქედან მხოლოდ 11.7% არის აღნიშნულში სრულიად დარწმუნებული.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მოსახლეობა პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი თავის დაფინანსებას ძირითადად სახელმწიფო პენსიით გეგმავს (73%). მოსახლეობის 66%-ს შვილებისა და ოჯახის წევრების იმედი აქვს. 46%-სათვის მეუღლე ან პარტნიორი წარმოადგენს საიმედო დასაყრდენს, მხოლოდ 8% ამყარებს იმედს სამსახურის საპენსიო სქემაზე და 10%-ს ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლის იმედი აქვს.

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია საპენსიო ასაკში საკუთარი თავის დაფინანსების სხვადასხვა გეგმებს შორის, ჩატარდა რესპონდენტთა საპენსიო გეგმების ფაქტორული ანალიზი. აღმოჩნდა, რომ კორელაცია ნამდვილად არსებობს. ფაქტორული ანალიზით 3 სხვადასხვა ჯგუფი იქნა მიღებული, რომელთაგან პირველი ჯგუფი დაფინანსების შემდეგ წყაროებს აერთიანებს: (1) ფინანსური/არაფინანსური აქტივების გაყიდვა; (2) ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლით თავის დაფინანსება; (3) სამსახურის საპენსიო სქემის მეშვეობით თავის

დაფინანსება.

პირველი ჯგუფი დანარჩენი ორი ჯგუფისაგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მასში შემავალ რესპონდენტებს საპენსიო ასაკში თავის დამოუკიდებლად დაფინანსება საკუთარ ინვესტიციებზე და/ან შრომაზე დაყრდნობით შეუძლიათ, სახელმწიფოსა და ოჯახის ნევრებზე დამოკიდებულების გარეშე. ამ ჯგუფს პირობითად დამოუკიდებელი ვუნდით.

ამის საპირისპიროდ, მეორე და მესამე ჯგუფში შემავალი რესპონდენტები პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი თავის ფინანსური უზრუნველყოფისთვის სხვებს ეყრდნობიან და დამოუკიდებლად თავის რჩენა არ ძალუძთ. უფრო კონკრეტულად, მეორე ჯგუფში შემავალი რესპონდენტები იმედს შვილებზე, მეუღლესა და ოჯახის სხვა ნევრებზე ამყარებენ, მესამე ჯგუფში გაერთიანებული ადამიანები კი სახელმწიფო პენსიის იმედად არიან, რაც არსებითად, ქვეყანაში საპენსიო ასაკისთვის ძირითად ფინანსურ დასაყრდენს წარმოადგენს. შესაბამისად, მე—2 ჯგუფს პირობითად ოჯახზე დამოკიდებული, ხოლო მე—3 ჯგუფს სახელმწიფოზე დამოკიდებული ეწოდება.

თუკი ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულ ჯგუფებს სიდიდის მიხედვით გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ ოჯახზე დამოკიდებული და მთავრობაზე დამოკიდებული სეგმენტები ერთობლიობაში მოსახლეობის 80%-ს შეადგენს. შესაბამისად, დამოუკიდებელი სეგმენტი რესპონდენტთა მხოლოდ 20%-ს მოიცავს.

გამოკითხულთა შორის, პენსიაზე გასული სეგმენტი ყველაზე მეტადაა დარწმუნებული, რომ საპენსიო ასაკში საკუთარი თავის ფინანსურად უზრუნველყოფის მიზნით სათანადო გეგმები შეიმუშავა. ამ ჯგუფს მოსდევს თვითდასაქმებული სეგმენტი, ხოლო დიასახლისები და უმუშევარი რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ სათანადოდ ემზადებიან საპენსიო ასაკისთვის.

თუ მონაცემებს შემოსავლების ჭრილში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ რესპონდენტები, რომელთა შინამეურნეობის ყოველთვიური შემოსავალიც 2000 ლარს აღემატება, ყველაზე მეტად არიან დარწმუნებულნი, რომ საპენსიო ასაკისთვის ეფექტური გეგმები აქვთ შედგენილი. გასაკვირი არაა, რომ რესპონდენტები, რომელთა შინამეურნეობების ყოველთვიური შემოსავალი 550 ლარს არ აღემატება, ამ მიმართულებით თავს ყველაზე ნაკლებად დარწმუნებულად გრძნობენ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საპენსიო თავდაჯერებულობა ასაკთან ერთად მატულობს; 35 წლამდე ასაკის ინდივიდები ყველაზე ნაკლებ რწმენას აფიქსირებენ საკუთარ საპენსიო გეგმებთან დაკავშირებით.

გაუთვალისწინებელი ფინანსური სირთულეებისთვის მზაობა ერთ—ერთ მნიშვნელოვან ფინანსურ მიზნად მოიაზრება, თუმცა ეს მიზანი საქართველოში საკმარისად გავრცელებული არ არის. კვლევის

შედეგებმა გამოავლინა, რომ რესპონდენტის მზაობა ისეთი მოულოდნელი ფინანსური გამონვევებისთვის, როგორცაა შემოსავლის დაკარგვა, მის ჯანსაღ ფინანსურ ჩვევებზე მიუთითებს, რამდენადაც ასეთი სიტუაციებისთვის მზაობა გარკვეულწილად მაინც საჭიროებს ფულის დაზოგვის, ფინანსური დაგეგმვისა და გონივრული ხარჯვის უნარების გამოვლენას.

წინამდებარე კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 75% დღესდღეობით მოუმზადებელია მოულოდნელი ფინანსური ხარჯებისათვის. ეს ნიშნავს, რომ თუ რესპონდენტს დღეს პირადად მოუწევდა რაიმე მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა — მისი ყოველთვიური შემოსავლის ოდენობით — იგი ვერ შეძლებდა ამ ხარჯის ფულის შესხების ან ოჯახისა და მეგობრებისათვის დახმარების თხოვნის გარეშე დაფარვას. მოსახლეობის მხოლოდ 18% აცხადებს, რომ შეუძლია მსგავს შემთხვევებს ფულის შესხების გარეშე გაართვას თავი, ხოლო 7%-მა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე. იმ სეგმენტის ფინანსური განათლების დონე, რომელიც აცხადებს, რომ თავს გაართმევს შექმნილ ვითარებას ფულის შესხების გარეშე, საკმაოდ მაღალია (63.3 ქულა) იმ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულასთან შედარებით, რომელსაც არ შეუძლია ზემოხსენებული ფინანსური დაბრკოლების დამოუკიდებლად გადალახვა (57.6).

უკიდურეს შემთხვევაში, თუ შინამეურნეობა შემოსავლის ძირითად წყაროს დაკარგავს, გამოკითხულთა 27.8% ერთ კვირაზე ნაკლები დროის განმავლობაში შეძლებს საარსებო ხარჯების დაფარვას სესხის აღების ან ცხოვრების სტანდარტული პირობების შეცვლის გარეშე (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ცვლილების გარეშე). გამოკითხული მოსახლეობის 33.2% შეძლებს თავის გატანას ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში, ხოლო 10.9% შეძლებს თავის გატანას ერთ თვეზე მეტი, მაგრამ სამ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში. 5.8% შეძლებს აღნიშნულ ვითარებას 3-დან 6 თვემდე გაართვას თავი, ხოლო 6.1% — 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. დაბოლოს, გამოკითხულთა 16.2% ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ იძლევა.

ეს ცვლადი საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელთან; რაც უფრო დაბალია ფინანსური განათლების დონე, მით უფრო ნაკლებადაა სეგმენტი მზად ფინანსური გამონვევებისათვის. იმ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა, რომელიც ვერ შეძლებს თავის გატანას ერთ კვირაზე მეტხანს, 55.4-ს შეადგენს, ხოლო იმ რესპონდენტების ქულა, რომლებიც ერთ კვირაზე მეტ ხანს შეძლებენ თავის გატანას, საშუალოდ 63.1-ს შეადგენს.

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა **ფინანსური მიზნები და ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება**: ზოგადად, ფინანსური მიზნების ქონა მიანიშნებს, რომ ადამიანი მეტნაკლებად გათვითცნობიერებულია ფინანსურ საკითხებში, და რომ გარკვეულწილად ფლობს ფულის გონივრუ-

ლი ხარჯვისა და დაზოგვის ჩვევებს. მოცემული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 57%-ს ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვს, ხოლო 41%-ს საერთოდ არ გააჩნია ფინანსური მიზნები.

ფინანსური მიზნების მქონე სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა 100-ქულიან შკალაზე 62.1-ს შეადგენს. ამის საწინააღმდეგოდ, ფინანსური განათლების მაჩვენებელი ფინანსური მიზნების არმქონე სეგმენტში მხოლოდ 54.5 ქულაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფინანსური მიზნების ქონა ფინანსური განათლების მაღალ დონესთან ასოცირდება.

ფინანსურ მიზნებს შორის ყველაზე გავრცელებულია მიმდინარე სასესო ვალდებულებების დაფარვა (28%), საკვების შექმნა (25%) და კომუნალური გადასახადების გადახდა (24%), რაც მიანიშნებს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავებულია გადაუდებელი ხარჯების დაფარვაზე ზრუნვით და ნაკლებად მოსალოდნელია მათ მიერ გრძელვადიანი ან დიდ ხარჯთან დაკავშირებული მიზნების დასახვა. ფინანსურ მიზნებს შორის ასევე გვხვდება ახალი სახლის შექმნა (21%) და არსებული საცხოვრებლის გარემონტება (21%), ავტომობილის შექმნა (19%) და განათლების მიღება (16%). რაც შეეხება ახალი ბიზნესის დაწყებას — როგორც აღმოჩნდა, ეს მიზანი ქვეყანაში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული.

საქართველოში ტიპურ მოსახლეს საშუალოდ 2 ფინანსური მიზანი აქვს. ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში ფინანსური მიზნების რაოდენობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. აჭარაში, გურიასა და მცხეთამთიანეთში კი აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალია. საინტერესოა, რომ ფინანსური მიზნების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება დასაქმებისა და სქესის ჭრილში, თუმცა სახეზეა მცირედი, მაგრამ ნეგატიური კორელაცია ფინანსური მიზნების რაოდენობასა და ასაკს შორის. კერძოდ, რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ნაკლები ფინანსური მიზანი აქვს მას.

იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სულ მცირე ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვს, 21%ს მიზნის მისაღწევად არაფერი მოუმოქმედებია, დანარჩენები კი შესაძლებელ ქმედებათა არსენალიდან ერთ ან რამდენიმე ქმედებას მიმართავენ. როგორც ვხედავთ, ფინანსური მიზნის მისაღწევად მიზნის მქონეთა 31% ამცირებს ხარჯვას, 22% ეძებს ახალ/დამატებით სამუშაოს, და მხოლოდ 15%-ს აქვს მომზადებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამასთან, მიზნის მქონეთა 14% ინახავს ან აბანდებს ფულს, ხოლო 12% ეძებს კრედიტს/სესხის წყაროს.

წინამდებარე კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობას სმენია ბაზარზე არსებულ ფინანსურ პროდუქტთა უმრავლესობის შესახებ. გამოკითხული მოსახლეობისათვის ყველაზე კარგად ნაცნობი პროდუქტებია: სალომბარდო სესხი, განვადება და ფულადი გზავნილები. როგორც მიმდინარე, ისე ბოლო 2

წლის განმავლობაში მოხმარების სიხშირის მიხედვით ყველაზე გავრცელებული პროდუქტებია განვადება, მიმდინარე ანგარიში და სალომბარდო სესხი. მოხმარების სიხშირით განვადებას, მიმდინარე ანგარიშსა და სალომბარდო სესხს არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი, ფულადი გზავნილი და საკრედიტო ბარათი მოსდევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფინანსური პროდუქტის გამოყენების მაჩვენებელი შესაძლოა არაზუსტი იყოს, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს სმენიათ არსებული ფინანსური პროდუქტების უმრავლესობის შესახებ, სავარაუდოა, რომ მათ კარგად არ ესმით ამ პროდუქტების არსი. საილუსტრაციოდ, მიმდინარე ანგარიში ხშირად სხვა ფინანსურ პროდუქტებთანაა დაკავშირებული (როგორცაა სტუდენტური ბარათი, დეპოზიტი), და მომხმარებელი, რომელიც ასეთი რომელიმე პროდუქტით სარგებლობს, შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ მიმდინარე ანგარიშსაც ფლობს. ამასთან, სხვადასხვა წყაროები მოწმობს, რომ ფინანსური პროდუქტების სარგებლობის მაჩვენებელი საქართველოში არ არის დაბალი. საილუსტრაციოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2016 წლის ფინანსებზე წვდომის კვლევის (inancial Access Survey) მიხედვით, საქართველოში ყოველ 1000 ზრდასრულ ადამიანზე საშუალოდ 1578 საბანკო ანგარიში მოდის, რაც შესადარის ქვეყნებში დაფიქსირებულ მონაცემებს მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდება, და რიგ შემთხვევებში, აღემატება კიდევ [6].

კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური თაღლითობების შემთხვევები ძალზე იშვიათია. გამოკითხულთა მხოლოდ 3.1%-ს ჰქონია თანხის სხვისი, თაღლითური რჩევის საფუძველზე დაბანდების გამოცდილება. მოსახლეობის მხოლოდ 2.3%-ს ჰქონია შემთხვევა, რომლის დროსაც ფინანსური ინფორმაცია გასცა ინტერნეტით ან ტელეფონით და შემდგომ აღმოაჩინა, რომ ეს ყველაფერი თაღლითობა იყო. დაბოლოს, გამოკითხულთა მხოლოდ 1.6%-მა განაცხადა, რომ მისი ბარათი გამოუყენებიათ მისი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიზანს შინამეურნეობაში სესხით სარგებლობის ტენდენციებისა და ვალის ტვირთის მიახლოებითი დონის დადგენა წარმოადგენს. კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 53%-ს შინამეურნეობაში მიმდინარე სესხი აქვს, ხოლო გამოკითხულთა 37% აცხადებს, რომ მის შინამეურნეობაში მოცემული მომენტისათვის სესხით არავინ სარგებლობს.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მომხმარებლების მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული სესხის სახეობა ახლობლებისგან აღებული უპროცენტო ვალია. მოსახლეობის 39%-სათვის სესხის ძირითად წყაროს ბანკი წარმოადგენს, მომხმარებელთა 18% სალომბარდო სესხით სარგებლობს, ხოლო გამოკითხულთა 12%-ს აქვს ე.წ. სწრა-

ფი, „ონლაინ“ სესხის აღების გამოცდილება. ამასთან, მოსახლეობის 11%-ს გამოტანილი აქვს სესხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, ხოლო 3% კერძო გამსესხებლებისგან (კერძო მევახშისგან) აღებული სესხით სარგებლობს (დიაგრამა 8). მოსახლეობის იმ 12%-დან, რომელმაც გასულ წელს „ონლაინ“ სესხი აიღო, 9%-ს კვლავაც აქვს მიმდინარე „ონლაინ“ ვალდებულება, საშუალოდ 350 ლარის ოდენობით.

მოსახლეობის ვალის ტვირთის მიახლოებითი შეფასების მიზნით საინტერესოა სხვადასხვა შემოსავლის მქონე შინამეურნეობებს შორის სესხის მომსახურების კოეფიციენტების [სესხზე გადასახადისა და შემოსავლის თანაფარდობა — Payment-to-Income ratio (PTI)] შედარება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, შინამეურნეობის შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია PTI-ს ზრდაც, კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საშუალოშემოსავლიანი შინამეურნეობებს (რომელთა ყოველთვიური შემოსავალიც 551—სა და 900 ლარს შორის მერყეობს) ყველაზე მაღალი PTI აქვთ და, შესაბამისად, ყველაზე მეტად არიან დატვირთულნი მიმდინარე ვალდებულებებით.

აღნიშნული შედეგი შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს იმით, რომ როგორც ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, საშუალოშემოსავლიანი შინამეურნეობები ფულს ხშირად ლომბარდებისა და ე.წ. „ონლაინ“ სესხების გამცემი ორგანიზაციებისგან სესხულობენ, რომლებიც საკუთარი მომხმარებლების გადახდისუნარიანობას შესაძლოა საერთოდ არ ამომწებდნენ ან არ ამომწებდნენ ისე ზედმინევით, როგორც ბანკები, რაც შედეგად ამ სეგმენტის მიერ სესხების ქარბად დაგროვებას აპირობებს.

შემოსავლის დონეების მიხედვით სესხის წყაროების განხილვა საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საბანკო სესხის გამოყენების სიხშირე განუხრელად იზრდება შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად. საბანკო სესხით მოსარგებლე ადამიანების შეხვედრის ალბათობა ყველაზე მაღალია სეგმენტში, რომლის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 1501 ლარიდან იწყება; თვეში 901—დან 1500 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტის 65.6%, და 551—დან 900 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტის 60.9% მიმდინარე ეტაპზე საბანკო სესხით სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ სესხის არც ერთი ფორმალური წყარო არ არის განსაკუთრებით გავრცელებული იმ სეგმენტში, რომლის ყოველთვიური შემოსავალი 550 ლარამდე მერყეობს; ამ სეგმენტის 64.2%-ს უპროცენტო სესხი მეგობრისგან ან ნათესავისაგან აქვს აღებული.

საინტერესოა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები დემოგრაფიულ ჭრილში. თითქმის არ არსებობს განსხვავება შინამეურნეობების მიერ სასესხო ვალდებულებების აღების სიხშირის თვალსაზრისით გენდერულ ჭრილში. გამოკითხული მამაკაცების 53.2% და ქალების 52.3% აცხადებს, რომ შინამეურნეობაში

სესხი აქვს.

ზოგადი განათლების დონის გაუმჯობესების პარალელურად, შეიმჩნევა შინამეურნეობების მიერ სესხის აღების მზარდი ტენდენციაც. კერძოდ, უმაღლესი განათლების მქონეთა 55%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში მაშინ, როდესაც იგივე არასრული საშუალო განათლების მქონეთა მხოლოდ 43%—ზე შეიძლება ითქვას.

თუ ყველა პროფესიის ანაზღაურებად მუშაკებს (გარდა თვითდასაქმებულებისა) ერთად დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფში შემავალი რესპონდენტები ყველაზე მეტად არიან მიდრეკილნი სესხით სარგებლობისკენ: ჯგუფის 70%—ს შინამეურნეობაში სესხი აქვს. ამ სეგმენტს თვითდასაქმებული სეგმენტი მოსდევს, რომლის 65.3%-საც შინამეურნეობაში მიმდინარე სესხი აქვს. თუ უმუშევარ რესპონდენტებს ერთად დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ მათი 44.2% სარგებლობს სესხით, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად დასაქმებული მოსახლეობის (თვითდასაქმებულების ჩათვლით) 68.2%—ს აქვს სესხი შინამეურნეობაში.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 55% სესხით სარგებლობს, მაშინ, როცა იგივე ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 51%-ზე შეიძლება ითქვას. მცხეთამთიანეთში, იმერეთსა და გურიაში ყველაზე მეტი რესპონდენტი სარგებლობს სესხით. ყველაზე ნაკლები სიხშირით სესხით სამეგრელოში სარგებლობენ, სადაც გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 34%-ს აქვს მიმდინარე სესხი. ქართულენოვანი მოსახლეობის 53.4%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში, ხოლო არაქართულენოვანი რესპონდენტებიდან სესხით 46.1% სარგებლობს.

კვლევის შედეგების თანახმად, ფინანსური ქცევის საერთო მაჩვენებელი იმ პოზიტიურ ქცევებს ითვლის, რომლებიც მოცემულ სფეროში განხილულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით გამოვლინდა. ფინანსური ქცევის მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა 9 ქულაა, ხოლო მინიმალური მნიშვნელობა - 0 ქულა. OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, 6 ან მეტი ქულა შედარებით მაღალ ქცევით მაჩვენებლად მიიჩნევა. საქართველოში აღნიშნული ქულა გამოკითხულთა მხოლოდ 36%-მა მიიღო. ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობას რამდენიმე პოზიტიური ქცევა ახასიათებს: მოსახლეობის 28.7%-მა 5, ხოლო 19.2%-მა - 4 პოზიტიური ქცევა გამოავლინა. საქართველოს მოსახლეობის საშუალო ქცევითი მაჩვენებელი მაქსიმალური 9 ქულიდან 5.0 ქულას შეადგენს.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფინანსური ქცევის მიმართულებით გარკვეული სტანდარტებისა და ორიენტირების დასახვისთვის, ასევე, ფინანს-

ური ქცევის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ცალკეული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია ისეთი პასუხისმგებლობით აღსავსე ქცევები, როგორცაა გადასახადების დროულად გადახდა და რაიმე ნივთის შექენამდე ფინანსური შესაძლებლობების ანონდანონვა, ხშირად გვხვდება ისეთი ქცევებიც, რომლებსაც ფინანსურად არასახარბილო შედეგებამდე მივყავართ.

მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებმა ჩვევად აქციონ პირადი და შინამეურნეობის ბიუჯეტის შედგენა, აქტიური დაზოგვა და გრძელვადიანი მიზნების დასახვა, რათა მათი ფინანსური გადანყვეტილებები ფართო ფინანსური გეგმის ნაწილს წარმოადგენდეს, და არა სპონტანურ და გაუაზრებელ ნაბიჯებს. საყურადღებოა, რომ ფინანსური პროდუქტის/მომსახურების შექენამდე მოსახლეობის 23.5% სხვადასხვა შეთავაზებებს არ განიხილავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები შესაძლოა ამა თუ იმ მომსახურებისთვის არაგონივრულად ბევრს იხდიდნენ, ან პოტენციური სარგებლის ნაწილს კარგავდნენ.

როგორც კვლევამ წარმოაჩინა, ეს უკანასკნელი სათანადო ფინანსური ქცევების არქონით უფრო არის გამოწვეული, ვიდრე არჩევანის ნაკლებობით. ასევე საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა 45% ფულს სესხულობს, რათა გაუმკლავდეს ისეთ მოულოდნელ ფინანსურ სირთულეებს, როგორცაა შემოსავლის უკმარისობა. ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობამ გაიაზროს, რომ მიზანშეწონილია გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ფინანსური გეგმების დასახვა, და ამგვარ სიტუაციებში, უმჯობესია სესხების ნაცვლად სხვა გამოსავალი ეძიონ.

აქვე, იკვეთება პოზიტიური კავშირი დაზოგვის ჯანსაღ კულტურასა და ფინანსურად თავის გატანის მაჩვენებელს შორის; დაზოგვის კულტურის არმქონე მოსახლეობა კი ხშირად შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეს, სადაც ადამიანი ახალ სესხს ძველის დასაფარად იღებს.

სასარგებლო ფინანსური ქცევების წახალისების მიზნით, მნიშვნელოვანია არსებობდეს სპეციალური

არხები, სადაც სანდო და შედარებადი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, როგორცაა, რესურსცენტრები, ინტერნეტ-პორტალები და მობილური არხები. გარდა ამისა, რეკომენდებულია დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ კამპანიების გააქტიურება და დაზოგვის ხელშეწყობისთვის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება და გავრცელება.

## ლიტერატურა/REFERENCES:

1. ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევის ანგარიში/ანგარიში მომზადებულია შპს სონარის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით/კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) მიერ/ პროექტი განხორციელდა ევროპული ფონდის სამხრეთაღმოსავლეთ ევროპისთვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერით. - 2016 წლის ნოემბერი საქართველო. - [https://www.nbg.gov.ge/uploads/2016finganat/Financial%20Literacy%20Study\\_GEO.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/2016finganat/Financial%20Literacy%20Study_GEO.pdf)
2. OECD/INFE (2015), „2015 OECD/INFE Toolkit for Measuring Financial Literacy and Financial Inclusion“, OECD, Paris. - [http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015\\_OECD\\_INFE\\_Toolkit\\_Measuring\\_Financial\\_Literacy.pdf](http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015_OECD_INFE_Toolkit_Measuring_Financial_Literacy.pdf)
3. OECD/INFE (2016), „OECD/INFE International Survey of Adult Financial Literacy Competencies“. - <http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/OECD-INFE-International-Survey-of-Adult-Financial-Literacy-Competencies.pdf>
4. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/law\\_geo.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/law_geo.pdf)
5. The Legatum Prosperity Index (2015). - <http://www.prosperity.com>
6. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2016 წლის ფინანსებზე წვდომის კვლევა (Financial Access Survey). - <http://data.imf.org/?sk=E5DCAB7E-A5CA-4892-A6EA-598B5463A34C&sId=1460054136937>

**მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება ინკლუზიური ბიზნესის განვითარების გზით**

*რამაზ ოთინაშვილი*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,*  
*გიორგი პაპაშვილი*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში - მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება ინკლუზიური ბიზნესის განვითარების გზით. განხილულია საქართველოს ღარიბი მოსახლეობის ბიზნესში ჩართვის პერსპექტივა. მაგალითად მოყვანილია გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ს მოხსენებაში განხილული გამოცდილება - ფილიპინების, გაიანას, კენიის, ტანზანიის და სხვა ქვეყნების მაგალითები, სადაც ღარიბი მოსახლეობის ჩართულობით მრავალი ბიზნესი წარმატებით ამუშავდა.

საქართველოს მთავრობამ მრავალი დოკუმენტი შეიმუშავა სიღარიბის დასაძლევად, მაგრამ მათში მოცემული ღონისძიებები ვერ (ან ნაწილობრივ) განხორციელდა. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დღესაც ხელმოკლედ ცხოვრობს. მათ მდგომარეობას არც ბიუჯეტიდან გაცემული სოციალური შემნეობები აუმჯობესებს.

სტატიაში საუბარია საქართველოს მთავრობის ახალ დოკუმენტზე - „საქართველო 2020“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოების დაბალშემოსავლიან ფენებს. აღნიშნულია, რომ მასში დასახული ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით აღმოჩნდება მოსახლეობის მხოლოდ 18% (ნაცვლად ამჟამინდელი 21,4%-სა). ავტორები კრიტიკულად აფასებენ ამ დოკუმენტს, რადგან მასში არ არის ნაჩვენები თუ რა გზებით მოხდება სიღარიბის შემცირება და თავად გვთავაზობენ ღარიბი მოსახლეობის ჩართვას ბიზნესში, ანუ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის დანერგვას, რომლის განვითარების ინიციატივა მთავრობამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური ბიზნესი, ღარიბი მოსახლეობა, ბიზნესუნარები, სიღარიბე, სამუშაო ძალა, სიღარიბესთან ბრძოლა.

**THE DECREASE OF POOR POPULATION LEVEL TO THE WAY OF INCLUSIVE BUSINESS DEVELOPMENT**

**Ramaz Otinashvili**  
Professor of Georgian Technical University  
**Giorgi Papashvili**  
Doctoral of Georgian Technical University

**S U M M A R Y**

In the article “**The decrease of poor population Level to the way of Inclusive business development**” is discussed the perspectives of Georgian poor population in business involving. The example of this is the experience what we have in UNDP report- Philippines, Guiana, Kenia, Tanzania’s and others examples where a lot of businesses start working successfully involving poor people.

Georgian government made many documents to reduce poverty, but the activities which were given in it weren’t done or done partly. In the result of this, almost half of Georgian population are living very poor even nowadays. The sums which are taken from budget to help people can’t improve their social situation.

In the article it is discussed the new document of Georgian government- “Georgia-2020”, in which the attention is paid to the society with low incomes. It is mentioned that in the result of realizing these planning activities, it might be under 60% of the media consumption only 18% of population (instead of current 21, 4%). The authors criticized this document, because there is not shown the ways how to reduce poverty and they suggest to Georgian government to get involved poor population in business or to start the Inclusive business model in action, our government should take responsibility and initiative to develop it.

**Key words:** Inclusive business, poor population, business skills, poverty, working power, fight against poverty.



## შისავალი

დედამინის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი ყოველწლიურად 2 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს ღებულობს, ხოლო დაახლოებით 1/5-ს ელექტროენერჯიაზე, 2/3-ს კი ინტერნეტზე ვერ მიუწვდება ხელი.<sup>1</sup> ამავე დროს ღარიბ მოსახლეობას გააჩნია სამენარმეო აქტივობის დიდი პოტენციალი, რომლის გამოყენება სათანადოდ არ ხდება.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) 2008 წლის მოხსენებაში ხაზგასმულია, თუ ბიზნესს როგორ შეუძლია დაეხმაროს ხელმოკლე მოსახლეობას. ამ მოხსენების საკვანძო აზრი მდგომარეობს იმაში, რომ „ბიზნესი ღარიბების მონაწილეობით ყველასათვის მომგებიანია“. ასეთი ბიზნესი ინკლუზიური ბიზნესად იწოდება. მენარმეობის ეს მოდელი გულისხმობს ხელმოკლე მოსახლეობის ჩართვას ღირებულების შექმნის ჯაჭვში ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით. ჩინური ანდაზის მიხედვით - „გაჭირვებულს თუ გინდა დაეხმარო - წყალობის ნაცვლად მიეცი სამსახური“.

**1. მოსახლეობის სიღარიბე და ინკლუზიური ბიზნესის დანერგვის პირობები.** სიღარიბის განვითარებას საქართველოში გარდამავალი პერიოდის სირთულეებმა შეუწყო ხელი. ერთი შეხედვით ქვეყნის მთავრობა ღებულობდა გარკვეულ ზომებს მის დასაძლევად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი სამთავრობო დადგენილება: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ და „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია“ (2002 წელი), რომელიც 2015 წლამდე ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის გეგმას წარმოადგენდა. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას და სიღარიბის არსებით შემცირებას, საქართველოს მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას.<sup>2</sup>

ამ დოკუმენტების მიხედვით 2017 წელს საქართველოს მოსახლეობას უკვე უნდა გააჩნდეს კეთილდღეობის დონე და ღირსეული ცხოვრების პირობები. მაგრამ დღეს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ისევ ღარიბ-ღატაკია, ხოლო ღირსეული პირობები აქვს ალბათ მოსახლეობის მხოლოდ 5-10%-ს - საშუალო და მდიდარ ფენას. 1991-2002 წლებში მდგომარეობა უფრო სავალალო იყო.

სიღარიბე სხვა ქვეყნებშიცაა, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც მოსახლეობის 30% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. მაგრამ იქ საარსებო მინიმუმი თვეში 902,5 დოლარს შეადგენს, რაც საქართველოში შეძლებული ოჯახის საშუალო შემოსავალსაც კი აღემატება. ასე რომ განსხვავება მნიშვნელოვანია.

1 შაბურიშვილი შ., სოციალური მენარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები, ჟ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, 2012, გვ. 106.

2 საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია, თბ., 2002.

სიღარიბეა სხვა ქვეყნებშიცაა. ყველა ქვეყნის მთავრობა, და, მათ შორის ჩვენი მთავრობაც, ამუშავებს და ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს სიღარიბის დაძლევის პროგრამები. ზოგან იგი შედეგიანია, ზოგან ნაკლებშედეგიანი და ზოგან კი საერთოდ უშედეგო. სიღარიბის დაძლევის საქართველოს სამთავრობო პროგრამები ძირითადად გამოიხატება უმწეო მოსახლეობისათვის პენსიების, შემწეობების, სუბსიდიების გაცემაში, პირველადი მოხმარების პროდუქტების დარიგებაში და ა.შ. მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის მნიშვნელოვანი თანხები ბიუჯეტიდან იხარჯება. ამ მიზნით საკმაოდ დიდი მოცულობის სახსრები შემოდის საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან (მსოფლიო ბანკიდან 640 მლნ აშშ დოლარი, სავალუტო ფონდიდან 470 მლნ აშშ დოლარი) და ცალკეული ქვეყნებიდან.<sup>3</sup> ამ თანხების ნაწილი პირდაპირ ბიუჯეტში ირიცხებოდა, ნაწილი კი ხმარდებოდა სოციალური ინფრასტრუქტურის და ცალკეული დარგების განვითარებას. თუმცა ამის მიუხედავად სიღარიბე საქართველოში ისევ მასშტაბურია.

სიღარიბის შემცირების მიმართულებით მთავრობის მცდელობა არ შეწყვეტილა. დღესაც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში („საქართველო 2020“), რომელიც შემუშავდა 2013 წლის ნოემბერში, აღნიშნულია, რომ „საქართველო ისწრაფვის გახდეს თავისუფლების, კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის ქვეყანა. სადაც საზოგადოების ყველა წევრი სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მიღებული სიკეთით და მაქსიმალურად არის გამოყენებული თითოეული მოქალაქის პოტენციალი“. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „სოციალურ უზრუნველყოფის სფეროში მთავრობის პოლიტიკას ორი მიზანი აქვს - შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მონყვლად ჯგუფებს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“. შედეგად, 2020 წლისთვის უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზანმიმართული სოციალური დახმარებით (TSA) მოხდება 80%-ის ფარგლებში. მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვევით აღმოჩნდება მოსახლეობის 18% ამჟამად არის 21,4%. 40%-ის ქვემოთ - 5%, დღეს არის 8%. ჯინის კოეფიციენტი გახდება 35%, ამჟამად შეადგენს 41%-ს. საპენსიო დახმარება 100%, ხელფასის ჩანაცვლების მაჩვენებელი 25% ამჟამად არის 22%.<sup>4</sup>

ასევე დაგეგმილია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, განათლების განვითარება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

3 <http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2002-2002&art=2494>

4 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო - 2020“, თბ., 2013, გვ. 58.

როგორც ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შე-  
მცირების საშუალებები.

ეს პროგრამა ამოქმედებულია და უკვე ძალაშია  
შესული. ასე რომ, მოსახლეობამ იცის, თუ რას აპი-  
რებს ამ მიმართულებით ქვეყნის მთავრობა. მხო-  
ლოდ არ იცის როგორ, რა გზებითა და საშუალებე-  
ბით აპირებს უმუშევრობის 12%-მდე შემცირებას,  
მთლიანი შიდა პროდუქტის 13000 ლარამდე გაზ-  
რდას. იმ პირობებში, როცა ეკონომიკის 4,5%-იანი  
დაგეგმილი ზრდა ქვეყნის მთავრობამ 2015 წლის  
აგვისტოში 2,5 პროცენტზე ჩამოიყვანა და ლარის  
გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში მისი შეს-  
რულება ც მეთად საეჭვო გახდა.

უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში ისე-  
თი მასშტაბურია, რომ მხოლოდ პროგრამების დაწე-  
რა ვერ უშველის. საჭიროა უფრო ქმედითი და რადი-  
კალური ღონისძიებების გატარება. ჩვენი მსგავსი  
და უფრო ღარიბი ქვეყნების სიღარიბის დაძლევის  
პროგრამების განხილვამ (მხედველობაში გვაქვს  
აფრიკის და აზიის ქვეყნები), მათმა ანალიზმა და  
შეფასებამ, საშუალება მოგვცა გამოგვეკვეთა სი-  
ღარიბის ფინანსური ასპექტები და შეგვეშუშავებინ-  
ა მისი ეტაპობრივი დაძლევის ჩვენი კონცეფტ-  
ტუალური ხედვა.

პირველ ასეთ ღონისძიებად მიგვაჩნია ბიზნესში  
ღარიბი მოსახლეობის ჩართვა, ანუ ინკლუზიური  
ბიზნეს-მოდელის შექმნა და დანერგვა. მთავრობა  
და „საქსტატი“ გვისაბუთებს, რომ საქართველოს  
ეკონომიკა იზრდება. თუ აღნიშნული ზრდა უტყუ-  
არია, ხოლო სიღარიბე ქვეყანაში არ მცირდება ეს  
იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბი მოსახლეობის პო-  
ტენციული სათანადოდ არ გამოიყენება.

**2. ინკლუზიური ბიზნესი საზღვარგარეთ.** გაე-  
როს განვითარების პროგრამის (UNDP) 2008 წლის  
მოხსენებაში აღნიშნულია თუ ბიზნესს როგორ შე-  
უძლია დაეხმაროს ღარიბებს, მათი როგორც მყიდ-  
ველების, მწარმოებლების, მომუშავეების და მენა-  
რმეების გამოყენების გზით.

მოხსენებაში მოყვანილია იმ კომპანიების მაგა-  
ლითები, რომლებიც ღარიბების ბიზნესში ჩართვით  
იღებენ მოგებას. ქმნიან ზრდის ახალ პოტენციალს  
და ამაღლებენ ნაკლებმოსავლიანი მოსახლეობის  
ცხოვრების დონეს. მოხსენების საკვანძო აზრია:  
„ბიზნესი ღარიბების მონაწილეობით - ყველასთვის  
მომგებიანია“.

ზემოთხსენებული მოხსენებაში განხილულია  
50 წარმატებული კომპანიის მაგალითი, რომლებიც  
ბიზნესს ახორციელებენ ღარიბ მოსახლეობასთან  
საშუალებით. განხილული მაგალითები გვთავა-  
ზობენ იდეების ფართო ნაკრებს საქართველოში  
ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შესაქმნელად. ამ  
მოდელში ღარიბები ჩართულნი იქნებიან როგორც  
მომხმარებლის, ისე კლიენტების და მყიდველების  
სახით. ასევე ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვა-  
დასხვა ეტაპზე თანამშრომლების, მწარმოებლები-

სა და მენარმეების სახით. იგი უზრუნველყოფს ბიზ-  
ნესის ურთიერთხელსაყრელ განვითარებას ღარიბ-  
თა მონაწილეობით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის  
უპირატესობა მხოლოდ უშუალო მოგების მიღებასა  
და შემოსავლის ზრდაში არ გამოიხატება. ბიზნე-  
სისთვის ეს იქნება ინოვაციური მიდგომების განვი-  
თარების, ბაზრების გაფართოების და მომარაგების  
სისტემის განმტკიცების ახალი შესაძლებლობების  
ზრდა.

ზემოთაღნიშნული გაეროს პროგრამის მოხსე-  
ნებაში ინკლუზიური ბიზნესის კონცეფცია დაფუძ-  
ნებულია მყარი განვითარების შესახებ მენარმეთა  
მსოფლიო საბჭოს და ამ სფეროში მომუშავე ორგა-  
ნიზაციების გამოკვლევებზე - შესაძლებლობა ყვე-  
ლასთვის. ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა მოსა-  
ხლეობის ამ ჯგუფს ბაზარზე გასვლის შესაძლებ-  
ლობას აძლევს. აღნიშნული სიღარიბის დაძლევის  
უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. თავის მხრივ, მენარმე-  
ების და კომპანიებისათვის იგი არის ინოვაციური  
გადანყვეტილება - ბაზრების შექმნა, ეკონომიკური  
ზრდის ახალი სფეროების ძიება.

ღარიბი მოსახლეობა კერძო სექტორის აქტიური  
მონაწილე ხდება. ყველა ითვლება მომხმარებლად,  
მათი უმრავლესობა დაქირავებული მუშაკი ან კერ-  
ძო მენარმეა.

არაორგანიზებული ბაზრები არ იძლევიან აუ-  
ცილებელი რესურსების მიღებისა და ეფექტურად  
გამოყენების შესაძლებლობას. ბიზნესი ღარიბებს  
შორის, როგორც წესი, დაფუძნებულია არაფორმა-  
ლურ შეთანხმებებზე: ოჯახი ან მეგობრები აწოდებ-  
ენ რესურსებს, რის გამოც კონკურენცია სუსტია,  
ფასები საქონელსა და მომსახურებაზე - ზრდადი.

ღარიბებთან ბიზნესს შეუძლია საფუძველი ჩა-  
უყაროს გრძელვადიან ზრდას ახალი ბაზრების გა-  
ნვითარების, ინოვაციების, სამუშაო ძალის რეზე-  
რვის გაფართოებისა და წარმოებით-გამსაღებელი  
ჯაჭვის გამყარების ხარჯზე. ღარიბებთან ერთად  
ბიზნესის წარმართვას უფრო მაღალი მოგების მო-  
ტანა შეუძლია, ვიდრე ბიზნესს განვითარებულ ბა-  
ზრებზე. რიგმა საფინანსო კომპანიამ მიკროკრედი-  
ტების სფეროში შეძლო 23%-ზე მეტი მოგების მი-  
ღება. მაგალითად, კომპანია „Smart Communication“,  
რომელიც ფილიპინებში დაბალი შემოსავლის  
მომხმარებლების სატელეფონო კავშირს ემსახუ-  
რება, მიაღწია ქვეყანაში ფუნქციონირებულ 5000  
მსხვილ კომპანიას შორის ყველაზე მაღალ მოგებას.  
ინდოეთის კომპანია „Sulabb“-მა, რომელიც სანიტა-  
რულ-ჰიგიენურ მომსახურებას დაბალ ფასში ახორ-  
ციელებდა, 2005 წელს 5 მლნ. დოლარის მოგება  
მიიღო.<sup>5</sup>

ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნას შეუძ-  
ლია ხელი შეუწყოს ინოვაციური გადანყვეტილე-  
ბის მიღებას კომპანიების კონკურენტუნარიანობის  
ამაღლების გზით. მაგალითად, ღარიბების საჭი-

5 UNDP - 2008 წლის მოხსენება - სიღარიბის დაძლევა  
მსოფლიოში, გვ. 96.

როებისა და მოთხოვნების უზრუნველსაყოფად კომპანიებმა უნდა მოახერხონ ხარისხისა და ფასის ოპტიმალური შეხამება. მათ უნდა შეძლონ ღარიბებთან თანამშრომლობის სიტუაციაში ბიზნეს-მოდელის ახალი პროდუქტების და მომსახურების დამუშავება, რომელიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნას დაბალმყიდველუნარიან ბაზრებზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად.

ღარიბი მოსახლეობა სამუშაო ძალის შევსების მძლავრი წყაროა. მათი დაქირავების უპირატესობა ცილდება დანახარჯის შემცირების ჩარჩოს. შესაბამისი სწავლებისა და ეფექტური მარკეტინგის დროს ღარიბებს შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, ხოლო ადგილობრივი ბაზრისა და კავშირების გამოყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას დეპრესიული რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც მყიდველთა რაოდენობის გასაფართოებლად.

ღარიბთა ინტეგრაცია წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში მწარმოებელთა, მომწოდებელთა, დისტრიბუტორთა, საცალო გამყიდველთა, ფრანშიზის მფლობელთა სახით, როგორც ალენიშნეთ, დაეხმარება კომპანიას, რომელიც მუშაობს ადგილობრივ ბაზრებზე, გააფართოოს მყიდველთა წრე და შეამციროს რისკი.

ბიზნესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ანუ გაეროს ტერმინოლოგიით - მათი ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას, რომელიც ღირსეული ცხოვრების მიღწევაში აისახება.

მაგრამ ღარიბ მოსახლეობაში ბიზნესის წარმართვა კომპანიისთვის სარისკოა. იქ სადაც სიღარიბე ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი - მოგება, როგორც წესი, ნაკლებია. ამიტომ, კომპანიები მაინცდამაინც არ მისწრაფვიან ღარიბებთან თანამშრომლობას. ასეა საქართველოშიც.

UNDP-ს მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ამ სფეროში არსებულ ხუთ ძირითად პრობლემაზე.<sup>6</sup>

**1. ბაზრებზე ინფორმაციის შეზღუდულობა.** ბიზნესმა ძალზე ცოტა იცის ღარიბებზე. მათთვის მიუწვდომელია ინფორმაცია ღარიბთა ინტერესების შესახებ;

**2. არაეფექტური რეგულირება.** მსგავს ბაზრებზე არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ნორმალურად უზრუნველსაყოფად;

**3. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.** აქ იგულისხმება სატრანსპორტო სტრუქტურა, გზების და დამხმარე ობიექტების უქონლობა. წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემების, ასევე კანალიზაციისა და ტელეკომუნიკაციის სისტემების არარსებობა. მაგალითად, კომპიუტერების მწარ-

მოებელი კომპანია Tsinghua Tongfang, რომელიც დაინტერესებული იყო ჩინეთის აგრარულ რაიონებში საკუთარი საქონლის გავრცელებით, ამ სფეროში წააწყდა ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის და ინტერნეტპროვაიდერების სიმწირეს;

**4. ცოდნისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე.** ღარიბმა მოსახლეობამ როგორც მომხმარებელმა შეიძლება არ იცოდნენ ახალი ტექნიკის უკეთ გამოყენება ან სხვა საქონლის უპირატესობებით სარგებლობა;

**5. შეზღუდული დაშვება ფინანსურ რესურსებსა და მომსახურებაზე.** კრედიტის მიღების შესაძლებლობის უქონლობის გამო ღარიბ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს არ შეუძლიათ ინვესტიციის ან მსხვილი შესყიდვის დაფინანსება.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე დავამატებთ კიდევ სხვა პრობლემებს, და ბარიერებს. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რაიონებში - სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ზემო სვანეთი და სხვა ცხოვრობენ. ეს ადგილები ნაკლებდასახლებული და მიუდგომელია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ არ შეიქმნება მისთვის ხელსაყრელი პირობები.

სიღარიბესთან ბრძოლა არაა ბიზნესის მთავარი მიზანი. მისი ამოცანაა მოგების მაქსიმიზაცია, რომელიც ობიექტურად ინვესტს დასაქმებულთა რიცხოვნების ზრდას და მათი რეალური შემოსავლის ამაღლებას. მაგრამ თუ ბიზნესი არ მიდის ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ დეპრესიულ რეგიონებში ოპერირება. ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები. მაგალითად, მსოფლიოში სასურსათო ფასების ამჟამინდელი ზრდა ქმნის ქართული სასოფლო წარმოების განვითარების წინაპირობას. პრობლემა ამ შემთხვევაში სახელმწიფო მხარდაჭერაშია. თუ ეს საკითხი (ინფრასტრუქტურის შექმნა) დადებითად გადაწყდა, ამ პროცესში ჩართული სუბიექტები - ღარიბი მოსახლეობა, ბიზნესი და სახელმწიფო მოიგებს. შედეგად, თუ სიღარიბის დაძლევის ეს მექანიზმი არ ამუშავდა, მაშინ დეპრესიულ რაიონებს, ასეთები კი საქართველოში უმრავლესობაა კიდევ უფრო დაუძლურება ემუქრება.

გაეროს მოხსენებაში მითითებულია, რომ საბაზრო მიდგომა თავისთავად პანაცია არაა ღარიბებისათვის. სიღარიბის სხვადასხვა ასპექტები მოითხოვენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. ვილაცამ შეიძლება უპირატესობა მიიღოს ბაზარზე დაშვების გაუმჯობესების შემთხვევაში, თუ მისი აქტივია მინა, ჯანმრთელობა და განათლება ანუ განვითარებისათვის მცირე შემოსავალი მაინც. მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში ღარიბი მოსახლეობა მოკლებულია ამ ფაქტორებს და მათ არ შეუძლიათ აღნიშნული უპი-

6 UNDP 2008 წლის მოხსენება - სიღარიბის დაძლევა მსოფლიოში.

რატესობის გამოყენება. მათთვის აუცილებელია მიზნობრივი მხარდაჭერა მყარი შემოსავლის მისაღებად და საბაზრო ურთიერთობის გამოყენება.

გაეროს აღნიშნულ მოხსენებაში საუბარია ეგრეთწოდებული „ჯარიმა (გადასახადი) სიღარიბეზე“, რომელსაც საქართველოშიც ვხვდებით. მაგალითად, კრედიტების გაცემაში. საქართველოში „ჯარიმას სიღარიბეზე“ იხდიან დეპრესიულ რაიონებში მცხოვრებნიც. ეს უმთავრესად ეხება საბანკო-კომუნალურ მომსახურებას, რომელთა ფასები რაიონებში თბილისთან შედარებით უფრო მაღალია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მით უფრო იაფია მომსახურების ღირებულება ანუ მოქმედებს მასშტაბის ეფექტი. საქართველოს ლარიზ რეგიონებში კი - სიმჭიდროვე დაბალია.

მოხსენებაში ღარიბებზე ინფორმაციის უქონლობა მიჩნეულია ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად. რა სახის საქონელი და მოხმარება არის ღარიბებისთვის აუცილებელი? რამდენს გადაიხდიან მათზე? უეჭველია რომ ღარიბების მომსახურება და მათთვის საქონელის მიწოდება შეიძლება გახდეს პერსპექტივა ახალი ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა მიმართულებები უკვე ამონაშრულია. ამ ასპექტით რომელიმე განვითარებული ბიზნეს-სტრუქტურის გასვლა ღარიბ ბაზარზე, ახალი საქონლის წარმოების კუთხით რეალურია.

განხილულია პოლონეთის მაგალითი, სადაც ტრანსნაციონალურმა სასურსათო კორპორაციამ გააერთიანა ძალისხმევა ბავშვთა ჯანმრთელობასა და კვების საკითხებზე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან. სწრაფი მომზადების პროდუქტების უმსხვილესმა კორპორაციამ მომხმარებელს შესთავაზა, ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული, იაფ ბურღულთან რძის ნარევი ბავშვებისათვის.

2006 წლის ბოლოს ამ პროდუქტებზე დანახარჯი დაიფარა და პოლონეთის მასშტაბით მისით სარგებლობს დაახლოებით 33 ათასი ოჯახი. საქონლისა და მომსახურების სეგრეგაცია სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის ის მოდელია, რომელსაც უკვე მრავალი მენარმე იყენებს, ასეთია პარიზში „tati“, მოსკოვში „Копеечка“, „Азбукавкуса“ და სხვები.<sup>7</sup>

საქართველოშიც ამის დიდი შესაძლებლობებია რეგიონებში. კახეთში ჩურჩხელების და ფელამუშის წარმოება შეიძლება გავიდეს ინდუსტრიულ დონეზე და მასში ღარიბი მოსახლეობა დასაქმდეს. მთა-თუშეთში - პაჭიჭების, ფარდაგ-ხალიჩების ქსოვა. აქაც ღარიბები დასაქმდებიან. სვანეთში - სვანური სულგუნის და მარილის წარმოება, ხევსურეთში - წინდების ქსოვა, რაჭაში - მინერალური წყლების ჩამოსხმა და მრავალი სხვა. ამ საქმეს თვითონ ღარი-

ბები ვერ დაინყებენ. ეს მსხვილმა კომპანიამ უნდა ითაოს, პატრიოტული გრძნობიდან გამომდინარე, რადგან თავდაპირველად მას ამ საქმეებში მოგება არ ექნება. ან ხელისუფლებამ. სახელმწიფოს ისედაც ევალება ამის გაკეთება. თუმცა ბიზნესშიც მოიძებნება პატრიოტი ხალხი, რომლებიც აიტაცებენ ამ იდეას, საჭიროა მხოლოდ მისი „კარგად შეფუთვა“ და ისე მიწოდება.

სიძნელების მიუხედავად, კომპანიების რიცხვი, რომლებიც ღარიბთა ბაზრებზე მუშაობენ, მსოფლიოში მუდმივად იზრდება. თითოეულმა კომპანიამ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, დაამუშავა გადაწყვეტილებათა ნაკრები, რომლებმაც მათ წარმატება მოუტანა ადგილობრივ ბაზრებზე.<sup>8</sup>

1. საქონლისა და პროცესების ადაპტაცია ადგილობრივ პირობებთან. მაგალითად, აფრიკის შორეული რაიონებისთვის გამოიყენება ტელემედიცინა, ანუ ტელეგადაცემით მკურნალობა და ა. შ.;

2. ინვესტიცია საბაზრო წინააღმდეგობების დასაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე შეზღუდულობის გადალახვა, როგორც წესი, ითვლება სამთავრობო საქმიანობის სფეროდ, არც თუ იშვიათად კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, თვითონ წყვეტენ აღნიშნულ ამოცანებს. მაგალითად, გაიანაში საფეიქრო კომპანია „Denmor“-ის ყველა თანამშრომლისათვის ტარდება კროს-ტრენინგი. შედეგად, თითოეულ თანამშრომელს შეუძლია იმუშაოს წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, რაც შესაძლებლობას იძლევა დაცული იქნას ვადები დიდი რაოდენობის დაკვეთების პერიოდებში.

3. ღარიბთა ძლიერი მხარეების გამოყენება. ღარიბები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის საფუძველზე ითვლებიან კომპანიის საკვანძო პარტნიორებად. მათი მოზიდვისა და სოციალური ქსელის ხარჯზე კომპანიებს შეუძლიათ გააფართოონ ბაზრებზე დაშვება, ნდობისა და გამჭვირვალობის ამაღლება. ეს მონაცემები კომპანიებს ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს და ზრდის მათ მონაწილეობას ღირებულების შექმნის ჯაჭვში. გასაღების სფეროში ღარიბთა ჩართვის ერთ-ერთი მოდელია მიკროფრანჩაიზინგი. ასეთი მოდელის გამოყენების მაგალითია კომპანია GFW კენიაში. იგი არის კლინიკისა და აფთიაქის მიკროფრანჩაიზინგის სისტემა. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი ბაზრის ცოდნა და ნდობა ღარიბთა საზოგადოებებში. თვით ღარიბები ხშირად სთავაზობენ უკეთეს იდეებს ღარიბთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დასამუშავებლად. მთლიანობაში ღარიბთა მოზიდვა ამცირებს ბიზნესის დანახარჯს;

4. რესურსებისა და შესაძლებლობის შეხამება სხვა ორგანიზაციებთან. ისევე როგორც სხვა ბიზ-

7 UNDP 2008 წლის მოხსენება - სიღარიბის დაძლევა მსოფლიოში. გვ. 117.

8 UNDP 2008 წლის მოხსენება - სიღარიბის დაძლევა მსოფლიოში. გვ. 100-104.

ნეს-მოდელი, ინკლუზიური მოდელი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს სხვა ბიზნესებთან ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის გზით, აგრეთვე არატრადიციული პარტნიორობით. ეს უკანასკნელი მოიცავს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

5. მთავრობასთან დიალოგი პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე. აღნიშნულ სფეროში დიალოგი ღარიბ მოსახლეობასთან ბიზნესის წარმართვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ შემთხვევაში კომპანია თავისთავზე ლიდერის როლს ღებულობს, რამდენადაც ასეთ ბაზრებზე ბიზნესის წარმართვის პირობები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

აღნიშნული ხუთი პრობლემა, რომელსაც ბიზნესი ღარიბთა ბაზრებზე აწყდება, სხვადასხვა მასშტაბით დაკავშირებულია სამთავრობო პოლიტიკასთან. ხშირად კომპანიები პოულობენ ბაზარზე არსებულ სიძნელეების გადალახვის შემოქმედებით გზებს, მაგრამ სასურველია ამ საქმეში მთავრობის ჩართვაც. პრობლემებზე, რომელსაც ბიზნესი აწყდება, მთავრობას შეუძლია, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება და ამ პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზების შეთავაზება.

ინკლუზიურ ბიზნესს, როგორც წესი, განსაზღვრული ამოცანები გააჩნია, რომელთა შორის გამოიყოფა სახელმწიფოს მხრიდან საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფის სტიმულირება, რომელიც აუცილებელია რომელიმე რეგიონში ბიზნესის გასაძლიერებლად. ზოგჯერ ცალკეული ინდივიდის ან კომპანიის საქმიანობას შეიძლება კარგი შედეგი მოყვეს ბაზრის სტრუქტურის ცვლილების ან ახალი ბაზრების ათვისების კუთხით. მაგალითად, Tiviski-ს (აქლემის რძის ფერმა მავრიტანიაში) ფერმის დამფუძნებელთა საქმიანობის წყალობით, ევროკავშირმა აქლემის რძის პროდუქტებისათვის

ბაზარი შექმნა. ასე შეიძლება შეიქმნას ქართული ჩურჩხელის, სულგუნის, სანებლების ბაზრები და ა.შ. თუ კი რომელიმე ქართული კომპანია წამოიწყებს მათ წარმოებას ღარიბი მოსახლეობის ჩართვით.

### **დასკვნა**

ინკლუზიური ბიზნესი ახალი მოვლენაა. იგი არა თუ საქართველოში, საზღვარგარეთაც ეხლა იწყებს განვითარებას. ეს არის ბიზნესი, რომელიც ნაწილობრივ ქველმოქმედებასთან ასოცირდება. მასში ღარიბი მოსახლეობა დასაქმებული და რასაც გამოიმუშავებს საკუთარი შრომით გამოიმუშავებს და სხვისი შემყურე არ არის. ამას ქართველი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რადგან ქართველი ერი ამაყიერია. ამიტომ, თუ საქართველოს მთავრობას უნდა, რომ სიღარიბემ არ დააბნეოს და ღირსება არ დააკარგინოს, ხელი უნდა შეუწყოს ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას და უნდა იქცეს ასეთი ბიზნესის ხელშემწყობად.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შაბურიშვილი შ., სოციალური მენარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, 2012.
2. საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია, თბ., 2002.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო - 2020, თბ., 2013.
4. UNDP-ს 2008 წლის მოხსენება - „სიღარიბის დაძლევის შესახებ მსოფლიოში“.

## გადასახადის სოციოლოგიისა და საგადასახადო სამართლიანობის არსი

მერაბ მიქელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

### რეზიუმე

საგადასახადო დაბეგვრის სხვადასხვა ასპექტების თეორიული განზოგადების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი მთლიანი კონცეფცია, რომელიც ერთგვაროვნად აღწერს გადასახადის, როგორც სახელისუფლო ორგანოების ინსტრუმენტის მნიშვნელობასა და როლს, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს სხვადასხვა მატერიალური შესაძლებლობების მქონე მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის ნიველირება. გადასახადების ფისკალური ფუნქციის პირველადობა ამახინჯებს მისი სხვა ფუნქციების იერარქიას და უკანა პლანზე გადაჰყავს გადასახადის სოციალური არსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების გადაწყვეტა. ამასთან, აუცილებელია საგადასახადო დაბეგვრის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების სფეროს სოციალური პროცესის შესწავლა. ეს პროცესი განისაზღვრება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, რომელთა შორის გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ქცევა და საგადასახადო კულტურა განუყრელადაა დაკავშირებული და გავლენას ახდენს საგადასახადო დაბეგვრის პროცესის ეფექტურობაზე.

### THE BASE OF THE TAX SOCIOLOGY AND TAX JUSTICE

**Merab Mikelashvili**

Associated Professor of Georgian Technical University  
Academic Doctor of Economics

### RESUMÉ

Despite generalising various theoretical aspects of taxation, there is not a wholesome concept, which describes the importance and the role of the tax, by which the government can level the different social segments. The fiscal role of tax disfigures the hierarchy of its other functions and reduces its social role, without which solving the social-economic resistance existing in modern Georgian society is impossible. Studying taxation as social process of economic relations is vital as well. This process is defined by subjective and objective factors. Taxpayers' tax behavior and tax culture are the most important factors and are

strongly linked with and impacting the effectiveness of the taxation process.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახადო სამართლიანობა; გადასახადის სოციოლოგია; სოციალური წინააღმდეგობები; გადასახადის ფუნქციების სოციალური არსი, პროგრესული საგადასახადო დაბეგვრა, საგადასახადო კულტურა, საგადასახადო მორალი, საგადასახადო სოლიდარობა

### შესავალი

ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში განსაკუთრებულად იზრდება საზოგადოების დაუცველი ფენების სოციალური მხარდაჭერის როლი. ამ მიმართულებით სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების განხორციელების მექანიზმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგადასახადო ინსტრუმენტებს და გადასახადის სოციალური ფუნქციის პრაქტიკულ რეალიზაციას. ფიზიკური პირების, როგორც გადასახადის გადამხდელების საგადასახადო დაბეგვრის არსი, შეიძლება განხილული იქნას, როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქის სოციალური კონტრაქტი, რომელიც წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური წესების ერთობლიობას და გავლენას ახდენს ამ პროცესის მონაწილე სუბიექტების ვალდებულება-მოლოდინის თანაფარდობაზე მათი ურთიერთქმედების პროცესში. გადასახადის გადამხდელების ღირებულებების, შეხედულებებისა და სოციალური ნორმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მთელი რიგი ფაქტორების გამოვლენა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საგადასახადო სოლიდარობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. ეს უკანასკნელი კი სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მიღმა უნდა იქნას განხილული.

### ძირითადი ტექსტი

საგადასახადო დაბეგვრის სოციალური როლი მდგომარეობს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ პროცესებზე გადასახადის სხვადასხვა ელემენტების ზეგავლენაში. ამ ზეგავლენის მიზანია სოციალური სტაბილურობის რეგულირება, რომელიც შეუძლებელია საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის გარეშე. „გადასახადის სოციოლოგიის“ არსი საგადასახადო ურთიერთობის სამ მთავარ პრინციპს ემ-

ყარება: საგადასახადო პოლიტიკას, გადასახადის გადამხდელის რაციონალურ ქცევას და საგადასახადო სამართლიანობას [1, გვ. 9]. სამართლიანობის პრინციპი საგადასახადო დაბეგვრის კლასიკური თეორიის ძირეული პრინციპია, რომელიც პირველად ინგლისელი ეკონომისტის ა. სმიტის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ არის ხაზგასმული: „სახელმწიფოს ქვეშევრდომები შეიძლებისდაგვარად, თავისი შესაძლებლობებისა და ძალის შესაბამისად უნდა მონაწილეობდნენ ხელისუფლების შენახვაში, ე.ი. ქვეშევრდომის მხარდაჭერა უნდა იყოს იმ შემოსავლების თანაზომიერი, რომელსაც ის იღებს სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცულობის საფუძველზე“ [2, გვ. 312]. ამგვარად, საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობა უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, როცა გადახდილი გადასახადების ოდენობა თანაზომიერია მიღებულ შემოსავლებთან მიმართებაში. ფილოსოფიაში ტერმინი „სამართლიანობა“ გულისხმობს ადამიანის პრაქტიკული როლის შესაბამისობას საზოგადოებაში მის სოციალურ როლთან [3] ვან ლუის მიხედვით, საუკუნეების განმავლობაში ადამიანი ესწრაფოდა სამართლიანობისკენ და დღეისათვის სამართლიანობა აყვავებული სახელმწიფოს ყველაზე მთავარი ღირებულებაა [4]. დევიდ ჯერის და ჯულია ჯერის დიდი სოციოლოგიური ლექსიკონი სამართლიანობას განიხილავს, როგორც ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ინდივიდებმა უნდა მიიღონ ის, რასაც იმსახურებენ. ამავე ლექსიკონის მიხედვით, სოციალური სამართლიანობის ზოგადი პრინციპები შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს „ინდივიდუალური სამართლიანობის“ კონცეფციას. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ეთმობა გამანაწილებელ სამართლიანობას. ე.ი. შემოსავლების დამოუკიდებელ განაწილებას, ვიდრე სამართლიანობის ფორმალურ ან პროცედურულ პრინციპებს [5, გვ. 279]. ამერიკელი მეცნიერის ჯონ რულზის მიხედვით, სამართლიანობა განმარტებულია როგორც „პატიოსნება“ [6, გვ. 19]. ცნობილი გერმანელი მეცნიერი ო. ხიოფე, თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში „სამართლიანობა“ ადამიანის არსის განხორციელების მთავარ საფუძველად მიიჩნევს სამართლიანობას, როგორც მორალურ ვალდებულებას, რომელიც ნებაყოფლობით აღიარებულია და წარმოადგენს სარგებელს თითოეული ადამიანისათვის [7, გვ. 91].

ზემოთმოტანილი განმარტებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ სახელმწიფოში მოქმედებს საგადასახადო სისტემა, სადაც სრული მოცულობით სრულდება აღნიშნული პრინციპები, საზოგადოების მნიშვნელოვანი დიფერენციაცია შემოსავლების ოდენობის მიხედვით ნაკლებად მოსალოდნელია. სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის დონე გარკვეული ხარისხით ახასიათებს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონეს. ამ დებულებას

ამტკიცებს ის ფაქტი, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ცხოვრების დონე ყოველთვის მაღალია სხვა შედარებით განვითარებულ ან განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებთან მიმართებაში. საზოგადოების დიფერენციაცია შემოსავლების მოცულობით მიხედვით დგინდება ჯინის კოეფიციენტის საფუძველზე, რომელიც ზომავს უთანაბრობას საზოგადოებაში. საქართველოში 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით (ეს ხარჯები მოიცავს როგორც სამომხმარებლო ფულად, ასევე არაფულად ხარჯებს) შეადგენს 0,40%-ს, მაშინ, როცა განვითარებად ქვეყნებში ეს კოეფიციენტი 0,25-0,34%-ის ფარგლებში მერყეობს [8].

გადასახადის სოციოლოგია წარმოადგენს საგადასახადო დაბეგვრის სფეროს ახალ მიმართულებას, რომელიც სწავლობს სოციალურ ფენომენებს, რომელსაც განიცდის საზოგადოება საგადასახადო დაბეგვრის გამო. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ცალკეული კატეგორიების გადასახადების განთავისუფლების საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადებისგან თავის არიდების საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა და სხვა.

გადასახადებზე ახალი შეხედულება ბადებს კრიტიკული დიალოგის საფუძველს საგადასახადო დაბეგვრის ეკონომიკურ და სამართლებრივ მიდგომებთან დაკავშირებით. სამართლებრივი თვალსაზრისით, გადასახადი მოიპოვება, როგორც სამართლებრივი ვალდებულება, ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც ღირებულება. გადასახადის სოციოლოგია ამ გააზრებას უმატებს გადასახადის გადამხდელის დამოკიდებულებას გადასახადთან და სახელმწიფოს დამოკიდებულებას საგადასახადო პოლიტიკასთან.

საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება ხდებოდა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთან ერთად. საგადასახადო გარდაქმნების კლასიკურ მიდგომად გამოდგება გადასახადების შემოღება, როგორც კრიზისულ მოვლენებზე პასუხი. 1798 წელს დიდ ბრიტანეთში შემოიღეს საშემოსავლო გადასახადი საფრანგეთთან მიმდინარე ომის დაფინანსებისთვის, რომელიც გააუქმეს 1842 წელს ეკონომიკური ვარდნის პირობებში. აშშ-ის პირველი ფედერალური გადასახადი ემსახურებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომის დაფინანსებას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი წარმოადგენს საგადასახადო გარდაქმნების თავისებურ კატალიზატორს გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე.

საქართველოში ჯერ კიდევ დიდია იმ გადასახადის გადამხდელთა ხვედრითი წილი, რომელთა მხრიდან საგადასახადო ვალდებულების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და სოციალური უკმაყოფილება ფიქსირდება. გაჩნდა გადასახადისაგან თავის არიდების ეკონომიკური სარგებლის ცნება, რომელ-

იც გულისხმობს შემდეგს:

- გადასახადისგან თავის არიდება განიხილება როგორც ეკონომიკური რისკი, რომელიც დამოკიდებულია მოსალოდნელ ობიექტურ სარგებელზე;

- საგადასახადო დაბეგვრის საერთაშორისო პრაქტიკაში განიხილება საგადასახადო დანაშაულის ეკონომიკის ცნება, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატს გერი ბეკერს ეკუთვნის [9];

- შეისწავლება კოლექტიური დოვლათის შექმნის პროცესი.

გადასახადის გადამხდელთა ქცევაზე გავლენას ახდენს არა მარტო მათი შემოსავლების მოცულობა და გადასახადის განაკვეთი, არამედ მათი დამოკიდებულება ფისკალური სისტემის მიმართ და იმასთან, თუ როგორ იხარჯება მათ მიერ გადახდილი გადასახადები. საყოველთაოდ ცნობილი ა. ლაფერის მრუდის თანახმად, მაღალი საგადასახადო განაკვეთები ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს, მაგრამ გვხვდება პრაქტიკაში შემთხვევები, როცა მაღალ საგადასახადო განაკვეთებს თან ახლავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. შედეგში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძალიან მაღალი საგადასახადო განაკვეთები ადამიანთა უმრავლესობის მიერ გონივრულადაა მიჩნეული მაღალი სოციალური მხარდაჭერის ფონზე, საფრანგეთში საზოგადოების მხრიდან გადასახადების გადახდის პროცესი არ არის აღქმული როგორც უარყოფითი ფაქტორი, თუმცა მათი უმრავლესობა ხაზს უსვამს საგადასახადო მექანიზმის სირთულეს. გადასახადის გადახდის პოლიტიკური ლეგიტიმაცია გამოიხატება გადასახადის გადამხდელის მორალურ და სოციალურ ვალდებულებებში. გერმანიაში გამოკითხვითა მხოლოდ 4% აიგივებს თაღლითს ქურდთან, ხოლო 43% ასეთ ადამიანს მოხერხებულ ბიზნესმენად თვლის. ინგლისში თმენით ეპყრობიან საგადასახადო სფეროში ჩადენილ დარღვევებს, მაგრამ შეუწყნარებელნი არიან საგადასახადო დანაშაულის მიმართ. ამგვარად, საგადასახადო სამართალდარღვევების მორალური გაკიცხვა არცთუ ისე მაღალია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი. მოქალაქის საგადასახადო პასუხისმგებლობაზე გავლენას ახდენს სხვა გადასახადის გადამხდელების და გადასახადის არ გადამხდელების მაგალითები, ინფორმაცია გადასახადებზე და საგადასახადო სისტემაზე. გადასახადის გადამხდელთა გარკვეული ნაწილი სწორად აფასებს თავის საგადასახადო ვალდებულებებს, უმრავლესობა კი იკარგება პროცედურების ტექნიკურ დეტალებში. ფისკალური ინფორმაციის სირთულე წარმოადგენს გადასახადის როლის ობიექტური შეფასების ნინალობას. ყველაზე უფრო ინფორმირებული გადასახადის გადამხდელები პოულობენ გადასახადისგან თავის არიდების გზებს, რომლის დროსაც იკარგება საზღვარი თაღლითობა და თავის არიდებას შორის.

სოციოლოგიაში გამოყოფენ გადასახადების ოთხ სხვადასხვა სახეს:

- უმტკივნეულო გადასახადი – საგადასახადო დაბეგვრის შედეგი არ იგრძნობა საქონლის მომხმარებლის მიერ, ზუსტად ისე, როგორც არაპირდაპირი გადასახადების შემთხვევაში. დღე, აქციზი და იმპორტის გადასახადი შედის საქონლის ღირებულებაში, რის შედეგადაც მცირდება მომხმარებელთა შემოსავლები, თუმცა მომხმარებელთა უმრავლესობის მიერ ეს ფაქტი გაცნობიერებული არ არის;

- გადასახადები გაცვლაზე – განიხილება როგორც ფასი, რომელსაც იხდიან იმ მომსახურებისთვის, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იღებს სახელმწიფოსგან. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებისთვის;

- გადასახადი ვალდებულება – ფინანსური შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, თანხის უკან დაუბრუნებლობის პირობით. ესება კანონმორჩილ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც გადასახადის გადახდას თავის ვალდებულებად თვლიან;

- გადასახადი-იძულება ვლინდება მაშინ, როცა საგადასახადო ტვირთი აუტანელი ხდება.

გადასახადების სოციოლოგიაში მთავარი განსახილველი მიმართულებაა სოციალური სამართლიანობის სისტემის მართვა, რომელსაც შემდეგი ფუნქციები გააჩნია:

- ანალიტიკური (სოციალური სამართლიანობის სისტემის მართვის მიზნების განსაზღვრა)

- მიზანმიმართული (სოციალური სამართლიანობის სისტემის მართვის მიზნების განსაზღვრა)

- ორგანიზაციული (ლონისძიებათა განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სოციალური სამართლიანობის მისაღწევად) [10]

ჩვენი აზრით, ამ სისტემის ცალკეული ფუნქციები საჭიროებენ დაზუსტებას, კერძოდ, მიზანმიმართების ეტაპზე აუცილებელია განსაზღვრა როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნებისა, ამასთან, იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის საშუალებას მოგვცემენ. აღნიშნული მიზნები და ამოცანები შეიძლება განისაზღვროს სოციალური და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების დროს. ამასთან, საგადასახადო პოლიტიკასთან უშუალოდ დაკავშირებული ლონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ საგადასახადო განაკვეთების ცვლილებს შესაძლებლობებს, საგადასახადო შეღავათების დაწესებას, საგადასახადო ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების განსაზღვრას და სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის უზრუნველყოფის სისტემა შეიძლება ცალკე გამოიყოს როგორც



სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის სისტემის შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების უმრავლესობა იმყოფება არაერთგვაროვანი არჩევანის წინაშე – კერძოდ, როგორ შეიძლება საგადასახადო დაბეგვრის არსებულმა სისტემამ უზრუნველყოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესების თანასწორობა. ეს ამოცანა განიხილება რამდენიმე პოზიციიდან, კერძოდ:

- კომპრომისების ძებნა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, საგადასახადო ტვირთის განაწილების და რეგიონალური და ნაციონალური სოციალური პროგრამებისა და პროექტების ფინანსირების ნაწილში;

- სახელმწიფოს და გადასახადის გადამხდელების ეკონომიკური ინტერესების თანაფარდობა;

- მოსახლეობის მალალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი კატეგორიების თანაფარდობა გადასახადის, როგორც სოციალური წინააღმდეგობების გადაჭრის ფორმის გამოყენების მეშვეობით.

სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობა გადასახადის გადახდის პროცესში აყალიბებს კვლავწარმოებითი პროცესის ყველა ეტაპზე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ეკონომიკური ქცევის მოდელებს. როგორც ფული და ფინანსები, ასევე გადასახადები არაფერს არ ანაწილებს და არ აკონტროლებს. გადასახადის თითოეული ფუნქციის (ფისკალური, გამანაწილებელი, საკონტროლო) უკან დგას გადასახადის გადამხდელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესაბამის ქმედებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით. ის დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, რა მოცულობით, რომელ ვადებში და როგორ განახორციელოს საგადასახადო გადახდები, კონტროლი, განაწილება, რეგულირება, ინვესტირება და ა.შ. [11] გადასახადის ფუნქციების რაწიურება დაკავშირებულია მის ფისკალურ ფუნქციასთან, რომლის პირველადობა ლოგიკური და უეჭველია, რადგან მისი განუხორციელებლობა გარეშე დანარჩენ ფუნქციებზე საუბარი ფუჭია. ფისკალური ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს ფუნქციონირების ფინანსურ უზრუნველყოფას, მათ შორის სოციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას. ამ შემთხვევაში საგადასახადო დაბეგვრა გვევლინება, როგორც სახელმწიფოს სოციალური მოღვაწეობის ნაწილი. ამასთან, გადასახადების ფისკალური ფუნქციის რეალიზაცია უნდა ხდებოდეს მისი სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო დეტალურად გავიგოთ სახელმწიფოს მიზნები და ამოცანები სოციალური პოლიტიკის ნაწილში.

საგადასახადო დაბეგვრის სოციალური ფუნქცია მიმართულია შემოსავლების განაწილებისკენ, რის შედეგადაც იცვლება საზოგადოების სოციალური

განშრეგება, სოციალური ჯგუფების სტრუქტურა, მოსახლეობის ეკონომიკური ქცევის მოდელები და ღირებულებები. ნეოლიბერალური პოლიტიკის თავისებურებების მიუხედავად, რომელიც მიმართულია გადასახადების რაოდენობისა და საგადასახადო განაკვეთების შემცირებისკენ, მათი სოციალური ფუნქცია უცვლელად რჩება [12].

მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას საგადასახადო დაბეგვრის სფეროში წარმოადგენს ოპტიმალური შეფარდების პოვნა მის ეკონომიკურ ეფექტურობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის, რომლის ფორმირების საფუძვლადც გვევლინება გადასახადის ეკონომიკური ბუნება. ეკონომიკური ეფექტურობა მჭიდროდაა დაკავშირებული გადასახადის ფისკალურ ფუნქციასთან, მაშინ როცა ეკონომიკის სოციალური მიმართულება ასახვას ჰპოვებს გადასახადის სოციალურ ფუნქციაში. გადასახადები ასრულებენ რა თავის ფისკალურ ფუნქციას, პრაქტიკულად არ ახდენენ თავისი სოციალური ფუნქციის რეალიზაციას, რადგან ამ უკანასკნელს ფაქტობრივად ცვლის გამანაწილებელი ფუნქცია, რომელიც რეალიზდება საგადასახადო პოლიტიკის არსებული მოდელით. შესაბამისად, გადასახადები, ასრულებენ რა თავის მთავარ ფუნქციას – ფისკალურს, უზრუნველყოფენ საზოგადოებას ფულადი რესურსებით და ამით ქმნიან სახელმწიფო ინსტიტუტებს, მათ შორის სოციალური ინსტიტუტების განვითარებისა და ფუნქციონირების მყარ საფუძველს. სწორედ ამის გამო გადასახადები განხილული უნდა იქნეს როგორც არსებული სოციალური წინააღმდეგობების დაძლევის ფორმა და მეთოდი.

სოციალურად ორიენტირებული საგადასახადო დაბეგვრის რეალიზაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევისა და მონაწილეობის ხარისხს. გასული საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელებულმა საგადასახადო დაბეგვრის ნეოლიბერალურმა რეფორმებმა გამოიწვია არსებული საგადასახადო განაკვეთების ცვლილება და მნიშვნელოვნად გამოკვეთა საგადასახადო პოლიტიკის სოციალური შემადგენელი. გადასახადები უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტი. მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა განიხილება როგორც სოციალური სამართლიანობის განხორციელების ერთ-ერთი ინსტრუმენტი [13].

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე შვეიცარიაში, სადაც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სოციალური ორიენტირი საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი, გადასახადის სოციალური ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები წარმოადგენს საზოგადოების სოციალური სტაბილურო-

ბის საზღაურს, რომელსაც იხდიან მაღალი შემოსავლების მქონე მოქალაქეები დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეების სასარგებლოდ [14].

გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ინვესტორების ბაზრებისა და კაპიტალის გადაადგილებას, დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკების ფორმირებაზე, ამ ქვეყნების ფისკალურ და საგადასახადო პოლიტიკაზე, სოციალური პროგრამების ფინანსირებაზე. დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოში საგადასახადო დაბეგვრის არსებულ ნორმებთან დაკავშირებული დისკუსია. ეროვნული ეკონომიკების ინტერნაციონალიზაცია, სახელმწიფოებს უბიძგებს ტრანსნაციონალური ინვესტიციებისთვის ბრძოლაში კონკურენციის პროცესში ჩაერთონ საგადასახადო შეღავათების დაწესების ფორმით. ამის შედეგად სახელმწიფოთა უმრავლესობა იძულებულია გადაანყოს საკუთარი საგადასახადო სისტემა, მოახდინოს საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია ახალი მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის პირობებში საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. არსებობს იმის საშიშროება, რომ კაპიტალის მობილობამ, როგორც ეკონომიკის გლობალიზაციის მნიშვნელოვანმა შემადგენელმა, შეიძლება გამოიწვიოს მაღალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ქვეყნებიდან კაპიტალის გადინება დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ქვეყნებში და ეს პროცესი მოხდეს ისეთ მასშტაბებში, რომ შეიძლება ქვეყნები მნიშვნელოვანი საგადასახადო ბაზის გარეშე დარჩნენ, რაც თავისთავად საფრთხეს შეუქმნის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფინანსირებას [15].

თეზისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია საზოგადოების არაკონკურენტუნარიანი მოსახლეობის მხარდაჭერა, კამათს არ ინვესტ, მაგრამ გადასახადების გამოყენება საზოგადოებას არსებული სოციალური წინააღმდეგობების დასაძლევად ყოველთვის არ იძლევა ეფექტურ შედეგს. საზოგადოების მენტალობიდან გამომდინარე, გადასახადის სოციალური ფუნქციის გამოყენება ინვესტ სოციალურ მუქთახორობასა და პარაზიტობას, შრომითი საქმიანობის მოტივაციის დაკარგვას. ინდივიდის დამოუკიდებლად თვითკმარობის უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის საზოგადოებაში ადაპტაციის პოზიციურ ფორმას, რომელიც გულისხმობს თვითრეალიზაციას, მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თითქმის არ არის გამოკვეთილი საგადასახადო დაბეგვრის გავლენა გადასახადის მთავარი გადამხდელების – ფიზიკური პირების ეკონომიკურ ქცევაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების პროცესში მოსახლეობის ჩართვის ფორმები და მეთოდები, გადასახადებისა და საგადასახადო შეღავათების ურთიერთკავშირი

გამამანილებელ პროცესებში, ამასთან, ცალკე კვლევის საგანია სახელმწიფოს როლი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებასთან მიმართებაში.

შემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საშემოსავლო გადასახადით საგადასახადო დაბეგვრის ელემენტებს, როგორც საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის უმთავრეს ბერკეტს. ფიზიკური პირების საგადასახადო დაბეგვრის ძირითად ელემენტებს, რომლებსაც შეუძლიათ სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა, მიეკუთვნება:

- ცალკეული გადასახადის გადამხდელების კატეგორიის გათავისუფლება გადასახადის გადახდისგან;

- სოციალური ბაზის განსაზღვრა გადასახადის გადამხდელებისთვის დამახასიათებელი სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;

- საგადასახადო დაბეგვრის ისეთი შკალის დადგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ არა მარტო გადასახადის გადამხდელების შემოსავლებში არსებული არათანაბრობა, არამედ მათი სოციალური მდგომარეობა და სახელმწიფოს ზოგადი სოციალური პოლიტიკის თავისებურებები;

- მიღებული შემოსავლების საფუძველზე განეულები ხარჯების დონის კონტროლის ორგანიზაციის საშუალება;

შემომოტანილი ელემენტების დეტალური გააზრება, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ფიზიკური პირების საგადასახადო დაბეგვრის ის ელემენტები, რომლებიც თავისი არსით ეწინააღმდეგებიან საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს:

- გადასახადის გადამხდელები არიან ყველა ფიზიკური პირები, რომლებიც გამონაკლისის გარეშე წარმოადგენენ საგადასახადო რეზიდენტებს. ჩვენი აზრით, ისეთი სოციალური ჯგუფების წევრების მხარდაჭერა, როგორიცაა უნარშეზღუდულები და მრავალშვილიანი მშობლები, ხელს შეუწყობს გადასახადის სოციალური როლის ეფექტის ზრდას;

- საგადასახადო ბაზის გამოთვლის არსებული მეთოდი გარკვეულწილად ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალურ თავისებურებებს საგადასახადო გამოქვითვის დაწესების გზით, მაგრამ არსებული კანონმდებლობით გამოქვითვების არსებული წესი ყოველთვის არ ასახავს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნებს, რადგან არ ითვალისწინებს სხვადასხვა რეგიონების სპეციფიკას და ინდექსაციას ინფლაციის გათვალისწინებით;

- საგადასახადო დაბეგვრის პროპორციული სისტემა არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელების შემოსავლების არათანაბრობას და შესაბამისად, მათ ფაქტობრივ უნარს გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით;

ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადით

საგადასახადო დაბეგვრის ასეთი სისტემა არ უწყობს ხელს გადასახადის მარეგულირებელი ფუნქციის შესრულებას, არ შეესაბამება საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს და მთლიანობაში საქართველოში ჩამოყალიბებული ფიზიკური პირების საგადასახადო დაბეგვრის სისტემა ხელს არ უწყობს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას და სამართლიანობას.

სახელმწიფოს ფუნქციის რეალიზაცია ხდება მის განკარგულებაში არსებული მობილიზებული შემოსავლების საშუალებით, რომლებიც, როგორც წესი, გადასახადების აკრეფით მიიღწევა. შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის რეალიზაციის პროცესში.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- სოციალური მდგრადობის და საზოგადოების სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- პოლიტიკური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ხელისუფლების ისეთი დანაწილების უზრუნველყოფა, რომელიც უმრავლესობის მიერ სამართლიანად იქნება მიჩნეული;
- ეკონომიკური რესურსების ისეთი განაწილება, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის მიერ სამართლიანად იქნება მიჩნეული;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა.
- მთლიანობაში მოსახლეობის სოციალური დაცულობის საკმარისი დონისა და ცალკეული სოციალური ჯგუფების დაცულობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა ეკონომისტების მოსაზრებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი უმრავლესობა სოციალური სამართლიანობის მიღწევის მთავარ გზად ფიზიკური პირების შემოსავლების პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მეთოდის გამოყენებას მიიჩნევენ. ა. სმიტის მიერ ჩამოყალიბებული იქნა ე.წ. „ოქროს წესი“: დიდი შემოსავლიდან – დიდი გადასახადი. ჯ. ლოკის თეორიის მიხედვით, განვითარებული ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოების საგადასახადო სისტემები არ ხასიათდება პირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის შინაარსით და მათი კომპენსაცია ხდება შემოსავლების პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის ეფექტური მეთოდით. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში კი პირიქით, როგორც წესი, საგადასახადო დაბეგვრა ხორციელდება მაღალი საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე პროპორციული სისტემით [16] პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის სასარგებლოდ გამოთქვამდა აზრს ი. პეტი [17], რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციალური თანასწორობა მიიღწევა მხოლოდ პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის გამოყენების დროს. ამასთან ერთად, შოტლანდიელი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ არ არის სა-

სურველი გადაჭარბებული პროგრესული შინაარსის მატარებელი პირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის სისტემის არსებობა, რადგან ისიც არყვეს სოციალური თანასწორობის ძირითად პრინციპებს.

მაღალი ცხოვრების დონით გამორჩეული დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად შემოსავლების გადანაწილების ინსტრუმენტად გამოიყენება საგადასახადო დაბეგვრის პროგრესული სისტემა გადასახადის გადამხდელების ცალკეული კატეგორიებისთვის საგადასახადო შეღავათების დანესებასთან ერთად.

## დასკვნა

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ზრდის დროს არ ირღვევა სოციალური დაცულობისა და სოლიდარობის ლიგია. ამასთან, ტარდება საშემოსავლო გადასახადის ორი მოდელის – პრუსიული და ინგლისური მოდელების შედარება. პრუსიული მოდელი მიმართულია სოციალური დაცულობის რეჟიმის ხელშეწყობისკენ, ხოლო ინგლისური მოდელი ეფუძნება სოციალური სოლიდარობის რეჟიმს. წინათ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო წარმოადგენდა საზოგადოების ღარიბი ფენების მხარდასაჭერი საგადასახადო პოლიტიკის სიმბოლოს, მაგრამ დღეს ხალისდება სოციალური ჯგუფების მხარდაჭრა, რომელიც ექვემდებარება ეკონომიკური შინაარსის სოციალური ინტერვენციის ლოგიკას და საზოგადოების დემოკრატიული მოდელის მხარდაჭერას.

საშემოსავლო გადასახადის სოციალური ფუნქციის რეალიზაცია ხდება საგადასახადო დაბეგვრის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნის ჩარჩოში. მიმდინარეობს ფისკალური სოციოლოგიის ინტეგრაცია სოციალური ჩარევის სოციოლოგიასთან. ამის წყალობით ადგილი აქვს გადასახადის სოციალური ფუნქციის პრევალირებას გადასახადის ფინანსურ ფუნქციასთან მიმართებაში.

ეკონომიკური სოციოლოგია ცდილობს შეიტანოს საგადასახადო სისტემაში უფრო ფართო სოციალური კონტექსტი და გამოყოს მისი დამოკიდებულება საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან. აქცენტები კეთდება საგადასახადო ეთიკაზე და განსხვავებებზე სხვადასხვა ქვეყნებს შორის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მიმართულებით. გამოყოფენ საგადასახადო მორალის არსის გაგების სამ მნიშვნელოვან ფაქტორს: ეთიკური ნორმები, სამართლიანობა და დამოკიდებულება გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის. აქედან გამომდინარე, სოციალური ნორმების განხილვა ხდება გადასახადის გადამხდელების ეკონომიკური ქცევის კონტექსტში.

შესწავლის საგანია ეროვნული საგადასახადო

კულტურა, როგორც ყველა შესაბამისი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო სისტემასთან. ეს ინსტიტუტები წარმოადგენენ ქვეყნის კულტურაში ისტორიულად ჩაშენებულ ინსტიტუტებს, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან.

გადასახადის სოციალური ფუნქციის ევოლუცია მიმდინარეობს საზოგადოების სოციალური ევოლუციის ფარგლებში. სოციალური ევოლუციის, როგორც ადამიანის და სოციალური გარემოს ურთიერთშედეგების პროცესის განხილვა მიზანშეწონილია მეთოდოლოგიური ჩარჩოებისა და ურთიერთგავლენის კონტექსტში. ამისთვის აუცილებელია იმის განსაზღვრა, რაში მდგომარეობს საგადასახადო აზროვნებისა და ქცევის ტრანსფორმაციის სოციალურ-კულტურული მექანიზმი. ამასთან, უნდა განისაზღვროს სოციალური ევოლუციის ხასიათი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს საგადასახადო კულტურის, როგორც გადასახადის სოციალური ფენომენის საფუძველი.

#### ლიტერატურა:

1. Марк Леруа, Социология налога М. Дело и сервис, 2006.
2. ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ თბილისი, ილიაუნის გამომცემლობა, 2007.
3. <http://terme.ru/termin/spravedlivost.html>.

4. Ван Люй, Справедливость, М. «Шанс», 2017.
5. Дэвид Джерри, Джулия Джерри Большой толковый социологический словарь В 2-х томах: Пер. с англ. Н.Н. Марчук. М.: Вече, АСТ, 1999.
6. [https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24\\_rawls\\_theory\\_of\\_justice.pdf](https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24_rawls_theory_of_justice.pdf)
7. Хеффе Отфрид - Справедливость. Философское введение М.: Практис, 2007.
8. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=187&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo)
9. <https://id.hse.ru/data/2012/05/04/1209315768/3.pdf>
10. <http://institutiones.com/general/601-socialnaya-spravedlivost.html>
11. <https://dvfu.pure.elsevier.com/en/publications/mandatory-payments-as-an-instrument-of-public-fiscal-policy>
12. <https://socio-logos.revues.org/2073>
13. <http://www.marquette.edu/polisci/documents/SwankTaxingChoices2013.pdf>
14. <file:///C:/Users/User/Desktop/transformatsiya-rol-i-mesta-nalogovyh-otnosheniy-v-sovremennoy-ekonomicheskoy-sisteme.pdf>
15. [http://www.svensteinmo.com/articles/Steinmo\\_2002\\_globalization\\_and\\_taxation.pdf](http://www.svensteinmo.com/articles/Steinmo_2002_globalization_and_taxation.pdf)
16. [http://platon.net/load/knigi\\_po\\_filosofii/istorija\\_novoe\\_vremja/lokk\\_dzhon\\_sochinenija\\_v\\_3\\_tomakh\\_t\\_1\\_2\\_3/10-1-0-55](http://platon.net/load/knigi_po_filosofii/istorija_novoe_vremja/lokk_dzhon_sochinenija_v_3_tomakh_t_1_2_3/10-1-0-55)
17. უ.პეტი, ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ, თბილისი, "სიტყვა", 2013.

# თავდაცვის ეკონომიკური პარსკაქტივები საქართველოში

რატი აბულაძე

ეკონომიკის დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## შესავალი

გეოპოლიტიკური დაძაბულობა და რისკები გავლენას ახდენს გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პერსპექტივებზე. მოკლევადიან პერსპექტივაში გლობალური ეკონომიკური პროგნოზი რჩება მგრძობიარე გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და რისკებისადმი.

გლობალური გამონეწვევისა და რისკების ფონზე, განსაკუთრებული მოთხოვნის ხდება კომერციული და თავდაცვითი სამხედრო პროდუქციის წარმოება და ექსპორტი.

კონფლიქტების მასშტაბებისა და სირთულეების ზრდასთან ერთად, სახელმწიფოები ითვისებენ თავდაცვის თანამედროვე ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიურ იარაღს, რომელიც საჭიროა კიბერშეტევითი, კიბერთავდაცვითი და კიბერ სივრცეში სადაზვერვო მიზნებისათვის.

სტატიაში ანალიზი წარმოებულია სხვადასხვა წყაროების შეფასების საფუძველზე, განხილულია სამხედრო პროდუქციის საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემები და შეფასებულია ნაციონალური პოტენციალი.

**საკვანძო სიტყვები:** იარაღით ვაჭრობა, სამხედრო ხარჯები, კიბერიარაღი

## I. გლობალური კონფლიქტური გარემო

კვლევებით დასტურდება, რომ შეიარაღება და ვაჭრობა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. გლობალური მშვიდობის ინდექსით (global peace index), 163 ქვეყნის ძალადობა, კონფლიქტი და პოლიტიკური არასტაბილურობა 13.6 ტრლნ დოლარით ფასდება. სადაც, სახელმწიფოების შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განეული ხარჯი 4.2 ტრლნ დოლარს აჭარბებს. კონფლიქტებისაგან გამონეწული ზიანი აღწევს 742 მლრდ დოლარს, ხოლო სამხედრო ხარჯი 6.2 ტრლნ დოლარს [1].

დღეს მსოფლიოში, ცხელი წერტილებისა და ომში ჩართული ქვეყნების რაოდენობა 67-საღწევს, ხოლო პარტიზანი, ტერორისტულ-სეპარატისტული-ანარქისტული ჯგუფების რაოდენობა კი 745-ს შეადგენს [2]. კონფლიქტების დიდი ნაწილი მოდის ექსტრემისტულ ჯგუფებზე. შესაბამისად, ასეთი ჯგუფების მიზნები და იდეოლოგია რთულად ექვემდებარება დარეგულირებას.

რეგულაციურ ეპოქაში, კონფლიქტები გამონეწულია კომპლექსური ფაქტორებით. თუმცა, აღნიშნული კონფლიქტების სწრაფი გადაჭრა ყოველთვის გართულებულია. შესაბამისად, ფორმირდება ახალი, უფრო დაბალანსებული წესრიგი.

არსებითია აღინიშნოს ისიც, რომ პოლიტიკურ დილემას წარმოადგენს ავტორიტარული რეჟიმების მიერ შეჩერებული კონფლიქტები, რომელიც რეპრესიული რეჟიმებით ქმნიან მშვიდობას.

## II. თავდაცვის ეკონომიკური ბაზენა მსოფლიოში

მსოფლიოში, კონფლიქტების კერების ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა სამხედრო პროდუქციაზე.

2016 წელს, გლობალურმა სამხედრო დანახარჯებმა 1.57 ტრლნ დოლარი შეადგინა[3]. შედარებისათვის, 2012 წელს 1.756 ტრლნ დოლარიყო[4]. 2015 წელს - 1.7 ტრლნ დოლარი[5], ხოლო პროგნოზით, 2025 წლისათვის გლობალური სამხედრო ბიუჯეტი 2.4 ტრლნ დოლარს მიაღწევს[6].

The Washington post-ის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი გააჩნია აშშ-ს (597 მლრდ დოლარი). შედარებისათვის, 14 ქვეყნის სამხედრო ხარჯი (სამხრეთ კორეა, იტალია, ავსტრალია, ბრაზილია, ისრაელი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, იაპონია, ერაყი, საფრანგეთი, ჩინეთი და ინდოეთი) შეადგენს 664 მლრდ დოლარს, ხოლო დანარჩენი მსოფლიოს სამხედრო ხარჯი 317 მლრდ დოლარს აჭარბებს (2015)[7].

2016 წელს თავდაცვისათვის, აშშ-ის სამხედრო ხარჯებმა 622 მლრდ დოლარი შეადგინა (რაც მსოფლიო ბიუჯეტის 40%-ია). ჩინეთის - 191.7 მლრდ, დიდი ბრიტანეთის - 53.8 მლრდ, ინდოეთი - 60.7 მლრდ, საუდის არაბეთი - 48/7 მლრდ, რუსეთის ფედერაცია - 48.4 მლრდ, საფრანგეთი - 44.3 მლრდ, იაპონია - 41.7 მლრდ, გერმანია - 35.7 მლრდ, სამხრეთ კორეა - 33.5 მლრდ. ზემოაღნიშნული 10 ქვეყნის სამხედრო დანახარჯი გლობალური ხარჯების 75%-ს შეადგენს[8].

არსებითია აღინიშნოს, რომ მსოფლიოში, იარაღის ძირითადი ექსპორტიორებს წარმოადგენს (2011-2015წწ-ში): აშშ (უკავია ბაზრის 33%, რუსეთი (25%), ჩინეთი (უკავია ბაზრის 5.9%), საფრანგეთი (5.6%), გერმანია (4.7%), დიდი ბრიტანეთი (4.5%), ესპანეთი (3.5%), იტალია (2.7%), უკრაინა (2.6%) და ნიდერლანდები (2.0%). ძირითად კლიენტებს კი წარმოადგენს საუდის არაბეთი, ინდოეთი, პაკისტანი, მაროკო, ავსტრალია, არაბთა გაერთიანებული ემირატები[9], სამხრეთ კორეა, ერაყი, კატარი.

The Sweden-based Stockholm Peace Research Insti-

tute (SIPRI)-ის კვლევის თანახმად, რუსეთსა და აშშ-ს მსოფლიო ბაზრის 58% უკავია. ხუთეულში შედის ჩინეთი, გერმანია და საფრანგეთი<sup>[10]</sup>.

კვლევების თანახმად, აშშ-მა 40 მლრდ დოლარ-ის იარაღი გაყიდა. გლობალური დაძაბულობისა და ტერორისტული საფრთხეების ფონზე 2015 წელს იარაღით ვაჭრობა 80 მლრდ დოლარამდე შემცირდა (2014 წელს 89 მლრდ-ს შეადგენდა). ამასთან აშშ-მა და საფრანგეთმა იარაღით ვაჭრობის ტემპი გაზარდეს. იარაღის ვაჭრობის ტემპების შემცირება განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის შესუსტებით. ამასთან, ცალკეული ქვეყნის საბიუჯეტო პრობლემებმა მთავრობა შეზღუდა ახალი შეიარაღებისა და შეიარაღების სისტემების შექმნის მიმართულებით. ასევე, არსებული სისტემის გაუმჯობესების, ახლის გამოგონების, კვლევა-ძიების, მხარდამჭერი სერვისის მიმართულებით<sup>[11]</sup>. ამავე ინსტიტუტის კვლევის თანახმად, არმიის ინდუსტრიაში, იარაღის ვაჭრობის მოცულობა 2011-2015 წწ-ში 418 მლრდ-დან 371 მლრდ დოლარამდე შემცირდა<sup>[12]</sup>.

მსოფლიოში სამხედრო-სერვისისა და იარაღის მწარმოებელი კომპანიებიდან შეიძლება აღინიშნოს: Lockheed Martin (იარაღის გაყიდვა \$35490 მლნ, აშშ), Boeing (იარაღის გაყიდვა \$ 30700 მლნ, აშშ), BAE Systems (იარაღის გაყიდვა \$ 26820 მლნ, დიდი ბრიტანეთი), Raytheon (იარაღის გაყიდვა \$ 21950 მლნ, აშშ), Northrop Grumman (იარაღის გაყიდვა \$ 20200 მლნ, აშშ), General Dynamics (იარაღის გაყიდვა \$ 18660 მლნ, აშშ), EADS (იარაღის გაყიდვა \$ 15740 მლნ, Trans-European), United Technologies (UTC) (იარაღის გაყიდვა \$ 11900 მლნ, აშშ), Finmeccanica (იარაღის გაყიდვა \$ 10560 მლნ, იტალია), Thales (იარაღის გაყიდვა \$ 10370 მლნ, საფრანგეთი), Almaz-Antey (იარაღის გაყიდვა \$ 8030 მლნ, რუსეთი), Rolls-Royce (იარაღის გაყიდვა \$ 5550 მლნ, დიდი ბრიტანეთი), DCNS (იარაღის გაყიდვა \$ 4460 მლნ, საფრანგეთი), United Aircraft Corporation (იარაღის გაყიდვა \$ 5530 მლნ, რუსეთი), United ShipBuilding Corporation (იარაღის გაყიდვა \$ 5120 მლნ, რუსეთი), General Electric (იარაღის გაყიდვა \$ 3850 მლნ, აშშ), Leidos (იარაღის გაყიდვა \$ 3920 მლნ, აშშ), ITT exelis (იარაღის გაყიდვა \$ 3560 მლნ, აშშ), Vertolety Rossii (იარაღის გაყიდვა \$ 3500 მლნ, რუსეთი).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს საექსპორტო სტრუქტურაში, წარმოდგენილია შემდეგი სამხედრო პროდუქცია (2015 წელს)<sup>[13]</sup>:

- სამოქალაქო თვითმფრინავები, ძრავები, მონყო-ბილობები და დეტალები (118.9 მლრდ დოლარი);
- სამხედრო თვითმფრინავები, ძრავები, მონყო-ბილობები და დეტალები (11.9 მლრდ დოლარი);
- საძიებო, დეტექტორები, ნავიგაციის ინსტრუ-მენტები (3.8 მლრდ დოლარი);
- რაკეტები, კოსმური აპარატები, რეაქტიული აგრეგატები, მონყობილობები და დეტალები (3.1 მლრდ დოლარი);
- საბრძოლო იარაღი, სამხედრო აღჭურვილობა,

საარტილერიო ქვემეხი და აქსესუარები (2.2 მლრდ დოლარი);

- გემები (1.98 მლრდ დოლარი);
- სამხედრო ბრონირებული ავტომობილები, ტანკები და ტანკის კომპონენტები (1.3 მლრდ დოლარი).

შეიძლება აღინიშნოს, რომ კონფლიქტების დიდი ნაწილის მოგვარება მოკლე დროში დიდ სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად მის დაძლევას განიხილავენ, როგორც ჰორიზონტალურად რამდენიმე მიმართულებით, ისე ვერტიკალურად სხვადასხვა დონეზე მოქმედებით.

აღსანიშნავია, რომ კიბერ მსოფლიოს მასშტაბები-სა და სირთულეების ზრდასთან ერთად, სახელმწი-ფოები, ნაციონალურ კიბერ სივრცის დაცვისათვის ითვისებენ იმ ინსტრუმენტებსა და იარაღს, რომელ-იც საჭიროა შეტევითი, თავდაცვითი და სადაზვერვო მიზნებისათვის.

Transparency Market Research (TMR)-ს კვლევის ანგარიშით, მსოფლიოს კიბერიაარაღის ბაზარი 390 მლრდ დოლარს შეადგენს (2014), რომლის წლიური ზრდის ტემპი 4.4%-ს წარმოადგენს. პროგნოზით, 2021 წელს 521,9 მლრდ დოლარს მიაღწევს<sup>[14]</sup>. 2016 წელს თავდაცვითი კიბერიაარაღს კიბერბაზრის 78.8%-ს შეადგენს<sup>[15]</sup>.

გლობალური კვლევითი ორგანიზაციის Gartner-ის შეფასებით, მსოფლიოს IT დანახარჯები 2.77 ტრლნ შეადგინა (2016 წელს), ხოლო IT-უსაფრთხოებაზე განუელმა დანახარჯმა - 75.4 მლრდ დოლარი<sup>[16]</sup>.

სხვადასხვა შეფასებით, გლობალური უთანას-ნორობის გადაჭრა და ძალადობის შემცირება 1.36 ტრლნ დოლარს საჭიროებს. აღნიშნული კი მსოფლი-ოს საკვები პროდუქტების ექსპორტის ექვივალენტს უტოლდება<sup>[17]</sup>. პროგნოზით, 2017-2021 წწ-ში მსოფ-ლიოს ხარჯები კიბერ პროდუქციასა და მომსახურე-ბაზე 1 ტრლნ დოლარს მიაღწევს<sup>[18]</sup>.

Transparency Market Research (TMR) კვლევის თა-ნახმად, მსოფლიოს კიბერიაარაღის ბაზარზე, ძირ-ითადი მოთამაშეებს წარმოადგენს: Boeing Company, Lockheed Martin Corporation, General Dynamics Corpora-tion, Raytheon Company, BAE Systems plc, Northrop Grumman Corporation<sup>[14]</sup>.

### III. საქართველოს თავდაცვის ეკონომიკური გავლენა

გლობალურ კონფრონტაციულ გარემოში, საქა-რთველოს უწევს გლობალური და ლოკალური გა-მონვევების პირობებში არსებობა. შესაბამისად, სახელმწიფო გამონვევებზე რეაგირება შესაძლებე-ლია სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის აქტი-ური გამოყენებით, საზოგადოების თავდაცვისუნა-რინობის ამაღლებით, თავდაცვითი მექანიზმების გააქტიურებითა და სამხედრო ხარჯების ზრდით, ანტიკრიზისული გეგმებითა და პოლიტიკით. შთამბე-ჭდავია, რომ დღეს ქვეყანას შეუძლია ლოკალური და

გლობალური გამონვევების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ასეთი პროდუქცია კი წარმოადგენილია სამხედრო პროდუქციითა და ტექნოლოგიებით.

აღსანიშნავია, რომ Institute for Economics & Peace-ის კვლევის ანგარიშით, საქართველოში ძალადობის ლოკალიზაცია საჭიროებს 3,522 მლნ დოლარს (2014 წლის მონაცემებით)<sup>[1]</sup>.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს სამხედრო ხარჯები მშპ-ის 2.3%-ს შეადგენს<sup>[8]</sup>. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 748 მლნ ლარს შეადგენს (2017 წ.). შედარებისათვის, 2016 წელს 670 მლნ იყო, ხოლო 2015 წელს - 679.7 მლნ ლარი. ამასთან, სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილია 28.3 მლნ ლარი, ხოლო შეიარაღების საექსპორტო პოტენციალის ზრდის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ დაფინანსება 29.8 მლნ ლარს შეადგენს<sup>[9]</sup>.

ქვეყნისათვის, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ექსპორტზე ორიენტირება უნდა განვიხილოთ, როგორც ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო ასპექტი, რაც ასახავს სამხედრო-ტექნიკურ უნარებსა და სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს, თავდაცვის ინდუსტრიის მასშტაბებებსა და განვითარების დონეს<sup>[20]</sup>.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ საქართველო ფლობს სამეცნიერო-კვლევითი რესურსს, სამხედრო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტირების დიდ პოტენციალს. ამის კლასიკური არგუმენტია სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ პროდუქცია და პოტენციალი<sup>[9]</sup>. პრაქტიკულად, ქვეყნისათვის თავდაცვისუნარიანობის ექსპორტს გააჩნია სტრატეგიული და ეკონომიკური ფასეულობა. ასევე, უზრუნველყოფს ნაციონალურ უსაფრთხოებას, შემოსავლებს, ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის შეტანას<sup>[21]</sup>.

ამჟამად, საქართველოში ინარმოება შემდეგი სახის პროდუქცია: ჯავშანტექნიკა, ავიაცია, ინდივიდუალური შეიარაღება, საბრძოლო მასალები, საპოლიციო აღჭურვილობა, პერსონალური დაცვის საშუალებები, მოდერნიზაციის პროგრამები და სხვა პროდუქცია<sup>[22]</sup>.

დელტას ხელმძღვანელობის განცხადებით, 2016 წელს დაიგეგმა 300 მლნ ლარის პროდუქციის ექსპორტი<sup>[23]</sup>. აღსანიშნავია, რომ ექსპორტზე გადის იარაღი და იარაღისაგან დაცვის საშუალებები. სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანები<sup>[24]</sup>, დიდგორი, ჩაფხუტები და ჯავშანწილტები, უპილოტო ვერტფრენი (დრონი), სეტყვის სანინალმდეგო სარაკეტო სისტემები და სხვა პროდუქცია გადის ექსპორტზე<sup>[25]</sup>. მათ შორის უნდა აღინიშნოს საუდის არაბეთის სამეფოს მიერ შექმნილი სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანები (100 მლნ ლირებულებით). მოლდოვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილი სეტყვის სანინალმდეგო სისტემა (10 მილიონი დოლარის ღირებულებით). ქართული ჯარის

აღჭურვა „დელტაში“ წარმოებული ჯავშანწილტებითა და ჩაფხუტებით. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველო ბულგარეთიდან და მაკედონიიდან სეტყვის სანინალმდეგოს სისტემის რაკეტების შექმნას ახდენდა, ხოლო 2016 წელს კი „დელტამ“ რაკეტების წარმოება და ექსპორტზე გატანა თავად დაიწყო<sup>[26,27]</sup>.

## შეჯამება

მაშინ, როდესაც ქვეყანაში ფინანსური და ეკონომიკური გამონვევების მიზეზებს გლობალურ კონფლიქტებსა და მეზობელ ქვეყნებში არსებულ გამონვევებს მიაწერენ, ამ ფონზე სტრატეგიული აქცენტი უნდა გაკეთდეს სამხედრო წარმოების ზრდასა და მის საექსპორტო პოტენციალზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების გარდა გააჩნია ექსპორტის კონტროლის სამართლებრივი ვალდებულებაც. სამხედრო პროდუქციის ექსპორტის კონტროლს გააჩნია დიდი ხნის ისტორია. ჯერ კიდევ 8 საუკუნეში, ფრანკთა სამეფოს იმპერატორმა კარლო დიდმა, ფრანკთა ვაჭრებისათვის სიკვდილით დასჯა დაანესა ვიკინგებზე ხმლების გაყიდვის შემთხვევაში. დღეს, კი სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, გააკონტროლოს იარაღის მარშრუტი, იმისათვის რომ იარაღის კანონიერი გადაადგილება იქნას გარანტირებული და თავიდან იქნას აციებული მისი უცხო ხელში მოხვედრა<sup>[28]</sup>.

გლობალური კონფლიქტების პირობებში, ქვეყნების დიდ ნაწილს აქვს სპეცსაშუალებებზე მოთხოვნა და სამხედრო პროდუქციის შექმნის საჭიროება. შესაბამისად, საქართველოს სჭირდება გლობალური პოლიტიკა, სტრატეგიული აქცენტი იარაღის საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სამხედრო პროდუქციის ექსპორტით შემოსავლების მიღების მიზნით.

გლობალურ კიბერარქიტექტურაში, საქართველო წარდგენილი უნდა იქნას ნაციონალური მართვის კიბერიარალით, კიბერკონფლიქტებთან ბრძოლის ნორმებითა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით.

კიბერსივრცესთან წვდომის გლობალიზაციის პირობებში, ქვეყანას სჭირდება კიბერიარალის შემუშავებაზე ორიენტირება. კიბერიარალის შექმნა განპირობებული უნდა იქნას სტრატეგიული წარმატების უზრუნველყოფისათვის, თავდაცვისა და ეკონომიკური მიზნებით.

დაბოლოს, ქვეყანამ გეოპოლიტიკური ხელსაყრელობის გამოყენებით უნდა დასახოს ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღების გზები. ამასთან, გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ეკონომიკის გაძლიერებით შესაძლებელია გეოგრაფიული დომინანტური როლის ზრდაც.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- 1 Institute for Economics&Peace. Global Peace Index. 2016. [http://static.visionofhumanity.org/sites/default/files/GPI%202016%20Report\\_2.pdf](http://static.visionofhumanity.org/sites/default/files/GPI%202016%20Report_2.pdf) <https://www.theguardian.com/global-development/2016/jun/08/conflict-and-terrorism-cost-the-world-trillions-says-global-peace-index>
- 2 <http://www.warsintheworld.com/?page=static1258254223>
- 3 Chabba S. Donald Trump May Increase US Military Spending; China, UK, India Follow In Defense Budgets. 12/14/16 AT 5:50 . International Business Times. <http://www.ibtimes.com/donald-trump-may-increase-us-military-spending-china-uk-india-follow-defense-budgets-2460134>
- 4 <http://www.globalissues.org/article/75/world-military-spending>
- 5 <https://www.sipri.org/media/press-release/2016/world-military-spending-resumes-upward-course-says-sipri>
- 6 <https://www.strategyanalytics.com/access-services/components/defense/market-data/report-detail/global-defence-budget-expenditure-forecast-2015---2025#.WGvzc-dJ97IV>
- 7 [https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2015/02/11/chart-u-s-defense-spending-still-dwarfs-the-rest-of-the-world/?tid=a\\_inl&utm\\_term=.61fbcee-67a8f](https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2015/02/11/chart-u-s-defense-spending-still-dwarfs-the-rest-of-the-world/?tid=a_inl&utm_term=.61fbcee-67a8f)
- 8 <http://news.ihsmarkit.com/press-release/2016s-15-trillion-global-defence-spend-kick-decade-growth-ihs-markit-says>
- 9 <http://books.sipri.org/files/FS/SIPRIFS1602.pdf>
- 10 <https://www.rt.com/business/333223-russia-global-arms-market/>
- 11 THOM SHANKER DEC. U.S. Sold \$40 Billion in Weapons in 2015, Topping Global Market. dec 26, 2016. [http://www.nytimes.com/2016/12/26/us/politics/united-states-global-weapons-sales.html?\\_r=0](http://www.nytimes.com/2016/12/26/us/politics/united-states-global-weapons-sales.html?_r=0)
- 12 <https://www.sipri.org/databases/armsindustry>
- 13 <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/us/Documents/manufacturing/us-manufacturing-ad-export-competitiveness.pdf>
- 14 <http://www.transparencymarketresearch.com/pressrelease/cyber-weapon-market.htm>
- 15 [http://www.researchandmarkets.com/research/vp-c9zj/global\\_cyber](http://www.researchandmarkets.com/research/vp-c9zj/global_cyber)
- 16 <http://cybersecurityventures.com/cybersecurity-market-report/>
- 17 <https://www.theguardian.com/global-development/2016/jun/08/conflict-and-terrorism-cost-the-world-trillions-says-global-peace-index>
- 18 <http://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS?end=2015&start=1988>
- 19 [http://mof.gov.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI\\_VI.pdf](http://mof.gov.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI_VI.pdf)
- 20 <http://mof.gov.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/ssipebi-29.11.2016.pdf>
- 21 Deloitte, Global Defense Outlook 2016. <https://www2.deloitte.com/global/en/pages/public-sector/articles/gx-global-defense-outlook.html>
- 22 Andrew Dorman, Matthew Uttley and Benedict Wilkinson . A benefit, not a burden . The security, economic and strategic value of Britain’s defence industry. King’s College London, April 2015. <http://www.kcl.ac.uk/sspp/policy-institute/publications/A-benefit-not-a-burden.pdf>
- 23 <http://delta.gov.ge/>
- 24 <http://delta.gov.ge/history/>
- 25 <http://georgiatoday.ge/news/3396/Georgian-Delta-to-Increase-Export-to-GEL-300-Million>
- 26 <https://mod.gov.ge/c/news/delta-javshanjiletebi>
- 27 <http://ick.ge/articles/27860-i.html>
- 28 <https://www.kent.ac.uk/economics/documents/GES%20Background%20Documents/Defence/Smith&Garcia-Alonso%20Law.pdf>



# ბიზნეს-ინჟინერინგი ფარმაციაში

## ჩვეულებრივი კაკლის (JUGLANS REGIA) და თხილის (CORYLUS) ნაყოფების, მოზრის (CUCURBITA) და ნესვის (CUCURBITA) თესვების სამკურნალო მნიშვნელობა ქართული ხალხური წყაროების მიხედვით

გიგა პატარიძე, ნანა გელოვანი, მამუკა მაისურაძე

### რეზიუმე

სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტის გაზრდის მიზნით, პერსპექტიულ სახეობათა ძიება ხდება ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლით და ოფიცინალურის მონათესავე სახეობების ფოლოგენეტიკური კვლევის საფუძველზე. ხოლო ნედლეულის ბაზის გაფართოება - ველურად მოზარდი მცენარეების კულტივირებით, უცხო ფლორის სახეობების ინტროდუქციით და ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერული კვლევების ჩატარებას. რათა განსაზღვრული იქნას მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები.

მცენარეებიდან კვლევისათვის შევარჩიეთ: 1. თხილის (Corylus) ნაყოფი, 2. ჩვეულებრივი კაკლის (კაკალი, ნიგვზის ხე (ლათ. Juglans regia) ხის ნაყოფი, 3. გოგრის (ლათ. Cucurbita) თესლი, 4. 5. ნესვის (Cucumis melo) თესლი.

ნედლ და გადამუშავებულ თხილის გულს ფართოდ მოიხმარენ საკონდიტრო წარმოებაში. გახეხილი თხილის გული გამოიყენება მშრალი საუზმისათვის, აგრეთვე შოკოლადის კრემის წარმოებაში და სხვ. თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება და ორი წლის განმავლობაში არ კარგავს კვებით ღირებულებას და ზეთოვან თვისებებს.

ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენძს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის.

ნიგვზის ზეთის მიღების უკუჩვენებები: ნიგვზის ზეთი-ჰიპოალერგიული პროდუქტია, მაგრამ ინდივიდუალური აუტანლობის შემთხვევაში მისი მიღება უნდა შეწყვიტოს. არ შეიძლება მისი მიღება აგრეთვე მონამვლის, ღებინების, მალალი ტემპერატურის შემთხვევაში. ეროზიული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დაბალი მჟავიანობის დროს თავი უნდა შევიკავოთ ნიგვზის

ზეთის მიღებისაგან. ამ დიაგნოზით დაავადებულმა ადამიანებმა ნიგვზის ზეთის მიღების წინ უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან.

საქართველოში გოგრას მრავალი დასახელება ჰქონდა: გოგრა, კვახი, ხაპი და აყირო. სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი. რბილობი შეიცავს პექტინებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედის, ორგანულ მჟავებს, კაროტინს; კალიუმის, მაგნიუმის, რკინის მარილებს, შაქრებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. თესლში არის ფიტოსტერინები, ორგანული მჟავები, ფისები, ვიტამინები.

სამკურნალოდ გამოიყენება აყიროს თესლი და რბილობი. იადიგარ დაუდიში მითითებულია, რომ მოხარშული და დანაყული აყიროს ნაყენი არჩენს "სტომაქის სიცხეს და სიმზურვალეს" ყურის ტკივილს, შეკრულობას, სიმსივნეს, ციებას, ცხელებას, თავის ტკივილს, ხველას

ნესვის თესლი - პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა. ამ მიზნით უმი თესლის დაღვწვაა რეკომენდებული, უმჯობესია, თაფლთან ერთად და აუცილებლად ზომიერების დაცვით - არა უმეტეს დღეში ორი გრამისა.

ნესვის თესლი მდიდარია თუთიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: ვიტამინები, ორგანული მჟავები, ნიგოზი, თხილი, ნესვი, აყირო.

### THE MEDICINAL VALUE OF JUGLANS REGIA AND CORYLUS FRUITS, CUCURBITA AND CUCUMIS MELO SEEDS ACCORDING TO GEORGIAN FOLK SOURCES

Giga Pataridze, Nana Gelovani,  
Mamuka Maisuradze

### SUMMARY

In order to increase the range of medicinal plants, the prospective species are searching for folk medicine experiences and on the basis of phogenetic research of the related species; While expanding the base of the raw material - cultivating wild plants with the introduction of foreign flora and biotechnological methods.

A large number of plants used in folk medicine require a number of scientific researches on them. To determine the content of biologically active substances in them, the area of their distribution, natural resource and production capabilities.

From the plants we have selected: 1. The fruit of the cactus, 2. The usual walnut (nut, juglans regia), 3. Cucurbita seeds, 4. Cucumis melo seeds.

The raw and processed nut heart is widely consumed in confectionery. Grated hazelnuts are used for dry breakfast, as well as chocolate cream production, and so on. The hazelnut oil is used in food, food, technical and perfumes. Dry hazelnuts are made from a flour that is used for baby food products and for two years do not lose their nutritional value and oily properties.

Nutmeg oil contains A, E, C, B vitamins, micro and macroelements (zinc, copper, calcium, magnesium, iron, phosphorus). It is necessary for older people

Contraindications of nitrogen oil: The nutrient oil is a hypoallergenic product, but in case of individual intolerance it should stop taking. It can not be taken in case of poisoning, vomiting, high temperate. Erosion gastritis, gastric and duodenal ulcers, at low acidity, should be avoided to obtain nitrogen oil. People diagnosed with these diagnoses should consult a doctor before taking nitrogen oil.

In Georgia there were many names of pumpkin: pumpkin, kvakh, khapi and akri. Pulp and seeds are used for treatment. Pulpin contains pectins, proteins, fats, carbohydrates, cellulose, organic acids, carotene; Potassium, magnesium, iron salts, sugars, phytosystems, vitamins. Seeds are phytosterols, organic acids, resins, vitamins.

Used to treat seeds and pulp. Yadgari Daudi indicates that the cooked and smoked nut is a "smoker's fever and loudness" of ear pain, constipation, tumor on the body, cirrhosis, fever, headache, cough

Melon's seed is an ancient way to increase potential. For this purpose, the seedlessness of the seed is recommended to be good, it is better to cover with honey and in moderation, not more than two grams per day.

The seed of the melon is rich in zinc, which means that it is useful for improving hair and skin conditions.

მედიცინაში ამჟამად ბევრი სამკურნალო საშუალება გამოიყენება. რომელთა სანყისი აღებულია ხალხური მედიცინიდან. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი იყენებდა სამკურნალო საშუალებებს. სამკურნალო საშუალებების მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მცენარეული და ცხოველური ნედლეული. დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული წარმოშობის პრეპარატებს, ისინი გამოირჩევიან უსაფრთხოებით და მაღალი ეფექტურობით. ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერული კვლევების ჩატარებას. რათა განსაზღვრული იქნას მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და

დამზადების შესაძლებლობები, რათა შეიქმნას ახალი, დახვეწილ და სრულყოფილ იქნას სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამუშავების არსებული ტექნოლოგიური პროცესები.

სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტის გაზრდის მიზნით, პერსპექტიულ სახეობათა ძიება ხდება ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლით და ოფიცინალურის მონათესავე სახეობების ფოლოგენეტიკური კვლევის საფუძველზე; ხოლო ნედლეულის ბაზის გაფართოება - ველურად მოზარდი მცენარეების კულტივირებით, უცხო ფლორის სახეობების ინტროდუქციით და ბიიტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერული კვლევების ჩატარებას. რათა განსაზღვრული იქნას მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები. ნიგვზის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით.

მცენარეებიდან შევარჩიეთ:

### 1. თხილის (CORYLUS) ნაყოფი



ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. გვარი შეიცავს 20-მდე სახეობას, რომლებიც საქართველოში გავრცელებულია ტყეებში ზღვის დონიდან 1500-1800 მ-მდე ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana) ბუჩქი ან 8-მდე სიმაღლის ხეა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ქვეტყედ მუხნარებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპური მეჩხერში. ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერში.

თხილის გული შეიცავს 5%-მდე წყალს, 60-70% ცხიმებს, 15-16% ცილებს. მას მაღალი კვებითი ღირებულება აქვს, კალორიულობით იგი 2-3-ჯერ აჭარბებს ხორბალს, 3-5-ჯერ ხორცს. ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობასა და ტექნიკაში უმაღლესი ხარისხის საპოხი ზეთების მისაღებად. მისი სასაქონლო-საექსპორტო პროდუქტის დადებითი მხარეა ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადა, მაღალი ტრანსპორტაბელურობა.

თხილის კულტურის განვითარების ერთ-ერთ კერად ითვლება შავი ზღვის სანაპირო, მცირე აზიის ქვეყნები. საქართველოში თხილი მალალ მოსავალს იძლევა კოლხეთის დაბლობის ზონაში.

საქართველოში თხილის კულტურას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ტომები აშენებდნენ თხილის გარეულ ფორმებს, რომელთა ბუნებრივი ჰიბრიდიზაციის და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული, მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ფორმების სიმრავლე. დღეისათვის საქართველოში გავრცელებული რამდენიმე ათეული აბორიგენული ჯიშის სახელწოდებები - შველისყურა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და მრავალი სხვა, მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვიტოვებს.

ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ თხილის საკვებ და სამკურნალო თვისებებსაც. მას წარმატებით იყენებდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა კერძების საკაზმად, არამედ შექმნეს უნიკალური ტრადიციული პროდუქტიც - "ჩურჩხელა", რომელიც გამორჩეულია თავისი კალორიულობითა და საუკეთესო გემოვნური თვისებებით. ამ ღირებულების გამო "ჩურჩხელა" ისტორიულად მეომართა ყოველდღიური კვების რაციონში შედიოდა და დღესაც იგი საქართველოში ერთ-ერთ პოპულარული ტკბილეულია.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, თხილს საქართველოში იცნობენ შემდეგი დასახელებებით; თხილი (*Corylus*) მთ. რჭ. ფთხირი, ფთხილი; ჭნ. მთხირი; მგრ. თხირი; სვ. შდის, შდგხნდ, შდისხნდ.

თხილი დათვისა ნ. დათვის თხილი. დათვისთხილა (*Corylus iberica* Wittm. Et Kem. Nath. (= *Corylus colurna* auct. cauc.) ქრთ. დათვისთხილა; ინგ. ტყიურა თხილ; მგრ. ტყარ თხილი.

თხილი კოლხური ნ, კოლხური თხილი. კოლხური თხილი (*Corylus colchica* A L B ).

თხილი ლომბარდიული ნ. ლომბარდიული თხილი. ლომბარდიული თხილი (*Corylus maxima* Mill. (= *C tubulosa* Boissa.).

თხილი მანჯურული ნ. მანჯურული თხილი. მანჯურული თხილი (*Corylus manshurica* Max ).

თხილი მიწისა ნ. არაქისი. არაქისი მიწის თხილი (*Arachis hipogaea* L. მგრ. დიხაში თხირი.

თხილი პონტორული ნ. პონტორუი თხილი. პონტორული თხილი *Corylus pontica* C. Koch.

თხილი ჩვეულებრივი ნ. ჩვეულებრივი თხილი. ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avelana* L) მთ. რჭ. ფთხილი, ფთხირი; ჭნ. მთხირი, ნთხირი; მგრ. თხირი; სვ. შდის, შდგხნდ.

### თხილის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით

ნედლ და გადამუშავებულ თხილის გულს ფართოდ მოიხმარენ საკონდიტრო წარმოებაში. გახეხილი თხილის გული გამოიყენება მშრალი საუზმისათვის,

აგრეთვე შოკოლადის კრემის წარმოებაში და სხვ. თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება და ორი წლის განმავლობაში არ კარგავს კვებით ღირებულებას და ზეთოვან თვისებებს.

თხილს სამკურნალო თვისებებიც აქვს. ძველბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ანემიის, ეპილეფსიის, თმის ცვენის, სხვადასხვა დაავადებების დროს, თხილის ნაყოფის საბურველის (ჩენჩოს) ნახარშს სვამენ მოჭარბებული სიმსუქნის დროს, ფოთლების ნახარში კი ასუფთავებს სისხლს და მიმართავენ ათეროსკლეროზის და კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. ამასთან თხილი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს გამოდევნიან და ხელს უწყობენ იმუნური სისტემის გაძლიერებას. აშშ-ში, პორტლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, თხილის ექსტრაქტში აღმოაჩინეს ნივთიერება პაქლიტაკსელი, რომელიც შედის დღეისათვის ყველაზე ცნობილ ანტიბიოტიკურ პრეპარატის (TAXOL) შემადგენლობაში. დღემდე ამ ნივთიერების ერთადერთ ბუნებრივ წყაროდ ითვლებოდა ტისის მერქანი (ერთ-ერთი იშვიათი მცენარე, რომელიც გავრცელებულია წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში). აღმოჩნდა, რომ თხილი ამ ნივთიერებას იგივე რაოდენით შეიცავს.

**თხილის ზეთზე „იადიგარ დაუდიში“ არის ასეთი მითითება** „...არის უკეთესი ზეთთაგანი იხმარებოდა წამლად...“. თირკმელების და ნეკნების ტკივილის შემთხვევაში რეკომენდირებულია შემდეგი მცენარეები: „... თუ ესე ნეკთა და თირკმელის ალაგისა ტკივილი სიმხურვმლისაგან არის, ... ამისი წამალი ეს არის რომე მხურვალი ოყნაები უყონ, მხურვალის ზეთებითა თბილსა ალაგსა შექონონ. ასფურის თესლის ერბო, ვითამცა და ალი სარჩულის ერბო, ინდოურის ნიგუზის ზეთი, ნაჟვის ზეთი, ყუსტის ზეთი, თხილის ზეთი, წიფლის ზეთი, სელის ზეთი, ნიგვზის ზეთი თბილ თბილი შეიცხონდა ამ ზეთებშიგა ნუშის ზეთი გაურიონ და ჭამონ... „

ახლად გამოჯანმრთელებულ ადამიანებს ურჩევენ - „...მაგრამ ესე ბრონეულისა შარბათი სიქან ჯუბინითა იყოს და ნაჟუის გულისა ნიგოზსა, თხილსა, ნიშასთასა, და ჰალავაებსა და ტკბილსა საჭმელებსა ყუელას უფრთხილდენ, თვარადა უსათუოდ კიდევ შეაქცევს.

თხილი, ამა თხილსა სიხმე და სიმხურვალე ორივე სწორად და ზომიერად აქუს. კაცმან რომე თხილი ჭამოს, ხველისათვის მწოედ კარგი არის. და დედაკაცმან რომე ესე თხილი ჭამოს ბევრს რძესა ჩაუყენებს. და სიცივისა და სიგრილისაგან კაცსა რომე გული და სტომაქი სტკიოდეს და ესე თხილი ჭამოს, გულისა და სტომაქის ტკივილსა მაშინვე უშველის, მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების, კაცი გვიან მოიდნობს, კაცსა თავსა აატკივებს, თესლსა გაუხმობს და მწოედ

მოაკლდებს. საფრას მოუმატებს, ქარს აუგდებს, და თუ კაცმან ბევრი თხილი ჭამოს და აწყინოს, ამისი ნამალი და აქიმი შაქარი და შაქრიანი საქმელები არის, ჭამონ და ეშველებს.

მუდამ წყლის ალაგსა თაფლ ჭყალი სუან. და ხილებისაგან თხილსა, ნაჟუსა, მართალსა ნიგოზსა, წიფელსა და ინდურის ნიგუზის გულსა მუდამად სჭამდენ”.

**2. ჩვეულებრივი კაკლის (კაკალი, ნიგოზის ხე (ლათ. JUGLANS REGIA) ხის ნაყოფი**



კაკლის გავრცელებული ჯიშებია: 1. ჩვეულებრივი, 2. შამირა, 3. შავი კაკალი, 4. რუხი კაკალი, 5. გულისებრი კაკალი, 6. მანჯურის კაკალი (კერკეტა) და 7. ჩანდლერის, რომელიც მიიღება მცნობით და გამოირჩევა შედარებით მაღალი მოსავლიანობით. ასევე გვხვდება კაკლის შემდეგი ფორმები: ვაზისუბნის თხელნაჭუჭა, კახი-16, შილდა 31, ვაზისუბნის 95, თბილისური 223 და სხვა მრავალი.

საქართველოში ველური კაკლის ყველაზე დიდი კორომია მდინარე ალაზნის ნაპირებზე — პანკისის ხეობაში (10 ჰა) და ჯუმას ყურეში (ალაზნის ველის ტალაში, 40 ჰა). კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45-77%), ცილებს (8-21%), B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მკვახე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მნიშვნელოვან კაკლის გულისაგან — ნიგოზისაგან — ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში. წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, კაკალს საქართველოში შემდეგი დასახელებით იცნობენ: კაკალინ. ჩვეულებრივი კაკალი. ჩვეულებრივი კაკლის ხე, კაკალი (Juglans regia L). გურ., იმ., მგრ ნეძი; სვნ. კაკრა, კაკ, გაკ.

კაკალი წყლისა ნ. წყლის კაკალი. წყლის კაკალი, ჭულუმბური. მგრ. ოხოხია; ჩ. ბალახნაზლა.

ნიგოზის ზეთი დაავადებათა წინააღმდეგ:

**კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები:** ბეტა-სიტოსტეროლი ამცირებს ქოლესტერინის ნაწლავებში შენთვის უნარს, ასუფთავებს მის კედლებს. ნიგოზის ზეთის რეგულარული მიღება აჯანსაღებს

კუჭ-ნაწლავის სისტემას, კურნავს წყლულებს. ნაჩვენებია მისი მიღება მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის შემთხვევაში. ზეთი დაბლა წევს კუჭის წვენის მჟავიანობას, აქრობს გულძმარვას. წარმატებით გამოიყენება ქოლესტერინის, კოლიტის, წყლულის კომპლექსურ მკურნალობაში. აძლიერებს ნაღვლის წვენის გამოყოფას, ხდის ნაღვლის სადინარებს ელასტიურს, აძლიერებს და ალაღვებს ღვიძლის უჯრედებს. რეკომენდირებულია მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტის დროს. ყველაფერ ამის გარდა ნიგოზის ზეთი ხელს უწყობს ჭიების გამოდევნას ორგანიზმიდან.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა:** ნიგოზის ზეთი ანესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ზეთის ზემოქმედებით სისხლძარღვები ხდებიან მკვრივები და ელასტიურები. ზეთი დაბლა წევს ქოლესტერინის დონეს სისხლში. ანესრიგებს არტერიულ წნევას. დაბლა წევს ინსულტისა და ინფარქტის წარმოქმნის რისკს. აფერხებს ათეროსკლეროზისა და ტრომბოფლებიტის წარმოქმნას. ნიგოზის ზეთი ეფექტურად გამოიყენება ვენების ვარიკოზული დაავადების შემთხვევაში, ამავე დროს იგი იწვევს სისხლის წარმოქმნის პროცესის სტიმულირებას.

**ენდოკრინული სისტემა:** არეგულირებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას. რეკომენდირებულია ჯირკვლის მომატებული ფუნქციის (ჩიყვის) დროს. რეგულარული გამოყენებისას ამცირებს შაქრის დონეს სისხლში.

**ნერვული სისტემა და თავის ტვინი:** ზეთში შემავალი ვიტამინები დადებითად მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე. ზრდიან გონებრივი მუშაობის შესაძლებლობას, ანესრიგებენ ძილს და ხსნიან დაღლილობას. ამ ზეთის აქტიური კომპონენტები აუმჯობესებენ თავის ტვინის კაპილარების ელასტიურობას, კვებავენ თავის ტვინის უჯრედებს.

**შარდსასქესო სისტემა:** ხელს უწყობს თიორკმლების რბილ გასუფთავებას. რეკომენდირებულია თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს. აძლიერებს სისხლის მიმოქცევას სასქესო ორგანოებში. მამაკაცებში აძლიერებს სპერმატოგენეზს.

ონკოლოგიური დაავადებები: ნიგოზის ზეთის რეგულარული მიღება დაბლა წევს წინამდებარე ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის, საკვერცხეების და მკერდის კიბოს წარმოქმნის რისკს. გარდა ამისა იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან. მაღლა წევს ორგანიზმის წინააღმდეგობას რადიაციული და რენდგენოლოგიური დასხივების მიმართ. გამოყოფს რადიონუკლიდებს და კონცეროგენებს ადამიანის ორგანიზმიდან.

**სუნთქვითი სისტემა:** უძველესი დროიდან გამოიყენება ფილტვის დაავადებათა სამკურნალოდ, კერძოდ ტუბერკულოზის. ნიგოზის ზეთი აძლიერებს იმუნურ სისტემას, აქედან გამომდინარე ამაღლებს ორგანიზმის მდგრადობას რესპირატორული დაავადებების მიმართ. სასურველია გამოვიყენოთ შემოდგომა- გაზაფხულზე, როგორც გრიპისა და გა-

ციების პროფილაქტიკული საშუალება.

**მხედველობისა და სმენის ორგანო:** ნიგვზის ზეთის რეგულარული მიღება აუმჯობესებს მხედველობას. ის გამოიყენება ოტიტის დროს.

**საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა:** ნიგვზის ზეთი ეფექტური საშუალებაა ართრიტების და ართროზების პროფილაქტიკისათვის. ამ ზეთის კომპონენტები არეგულირებენ სასახსრე სითხის სტრუქტურას.

**კანის დაავადებები:** ნიგვზის ზეთი გამოიყენება კანის ნებისმიერი ანთებითი დაავადებების დროს. ის აჩქარებს ჭრილობების, ნახეთქების, დამწვრობების შეხორცებას. გამოიყენება ფსორიაზის, ეგზემის, ფურუნკულოზის დროს.

ნიგვზის ზეთი, ასევე რეკომენდირებულია ფეხძიმეთათვის, რადგან მასში შემავალი კომპონენტები მონანილობენ ნაყოფის ნერვული უჯრედების ჩმოყალიბებაში. მეძუძურ დედებში აძლიერებს ლაქტაციის პროცესს, აუმჯობესებს დედის რძის კვებით ღირებულებას.

ეს უნიკალური ზეთი საჭიროა ბავშვებისათვის, რადგან ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ და სქესობრივ სრულფასოვან განვითარებას. განსაკუთრებით სასურველია მისი მიღება მოზარდებისათვის.

როგორც მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტი, ის აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული ოპერაცია გადატანილ ავადმყოფთა რაციონში.

ნიგვზის ზეთი გამოიყენება გასახდომად, არაჩვეულებრივად წვავს ცხიმებს. ნიგვზის ზეთი არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს გაახალგაზრდავებას.

ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენძს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის

ნიგვზის ზეთის მიღების უკუჩვენებები: ნიგვზის ზეთი-ჰიპოალერგიული პროდუქტია, მაგრამ ინდივიდუალური აუტანლობის შემთხვევაში მისი მიღება უნდა შეწყვეტილიყოს. არ შეიძლება მისი მიღება აგრეთვე მონამვლის, ლებინების, მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში. ეროზიული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დაბალი მჟავიანობის დროს თავი უნდა შევიკავოთ ნიგვზის ზეთის მიღებისაგან. ამ დიაგნოზებით დაავადებულმა ადამიანებმა ნიგვზის ზეთის მიღების წინ უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან.

**„იადიგარ დაუდის“ 1932 წლის გამოცემაში აღნიშნულია,** რომ ნიგოზი „... მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე ნიგოზი წმიდად დანაყო და კაცსა რომე სევდის სიმსივნე ჰქონდეს სიმსივნეზედა დაადვას, ან ამ ნიგუზისა ზეთი შესცხონ სიმსივნეს უსათუოდ უშველის ძალითა ღთისათა ...“

ფილენჯის ქარის ქორეას (Chorea) სამკურნალოდ რეკომენდაცია აქვს განუული ნიგვზის ზეთს - „... ნიგუზისა, ნაჟვისა, და წიფლის ზეთების ჭამა, და

მტიკვანსა ალაგსა შეცხება, ფილანჯისა და ყოვლის ფერის ფილანჯის ქარისათვის, მწოვედ კარგი არის, რომე ცალი კერძო მხარი და ბარკალი შეეცაცოს, და თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის ...“.

იგივე გამოცემაში ვკითხულობთ საუბარია ზეთების გამოყენებაზე ყურის ტკივილის დროს: „... ვინცა მწარის ნუშის ზეთი, ან ტკბილის ნუშის ზეთი, ან ნიგუზის ზეთი, და ან ჭერმის კურკის ზეთი, და ან აყიროსა, ან იისა ლულუფისა, და ან ვარდის ზეთი, ამ ზეთებშიგა რომელიც იყოს გაათბეთ და კაცსა თბილი ყურშიგა ჩაანვეთეთ, და ყურის ტკივილსა ყუელა უშველის, და ბუილსა და ყუილსა ყველას გაუგდებს...“

ხოლო ჭიის დასაყრელ წამლად მითითებულია რამოდენიმე მცენარეთა კრებული რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად გათვალისწინებულია ნიგვზის ზეთი - „... ანე თასანუჯი, ემთილას, წამლები ის არის, რომე როცა წამლები ფილენჯისა და ფილენჯის ქარზედა დაგვიწერია, ისივ წამლები ამავე თასანუჯი, ემთილას, უნდა უყოთ. და მუდამ თავსა და გულზედა ყუსტის ერბო, სუზაბის ერბო, ნიგუზისა და ნაჟვის ზეთი, წიფლის ზეთი გამოჰხადონ, გაათბონ და შესცხონ, და დანაყილი მარილი, უზანლუხის ან თესლი ან ფოჩი საჯშიგა ესეები მოხალონ და მწოედ გააცხელონ, და ერთსა სამოსლისა ნაჭერშიგა ჩაყარონ და თბილ თბილი გულსა და სტომაქზედა დაადვან...“

ღვიძლისა და თირკმელის ტკივილების დროს - „... ანე ამა სენისა წამალი ეს არის რომე, მხურვალის ზეთებითა ცეცხლის პირსა თირკმლის ალაგები კარგად დაიზილოს, და კარგად ცეცხლი იმცხუნვარონ, რომე ქარი და სიცივე გაადგოს და თირკმელსა ძალი მისცეს. ასფურის თესლის ზეთითა, ვითამცა და იფენის ხის თესლის ზეთითა ან ნიგუზის ზეთითა, ან ნაჟვისა და ინდაურის ნიგვზის ზეთითა, ან ნუშის ზეთითა, ან წიფლის ზეთითა, და ან მართლის ერბოთა ან თხილისა ან ზეთის ხილის ზეთითა, ან სელისა და ან ყუსტის ზეთითა, ან ქათმისა ან იხვისა და ან ბატის ქონითა შეიქონონ და კიდეცა ჭამონ.

საერთო სისუსტის და ცხვირიდან სისხლდენის დროს და „... უერბოვო ცივი დო ასუან და კიტრი საზამთრო და ნიგოზი ბევრი აჭამონ ... ცხვირშიგა იის ზეთი ჩაანვეთონ და თავზედა აყიროს ზეთი შემოსცხონ ...“

### 3. გობრის (ლათ. CUCURBITA) თესლი

გოგრის 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვანი 3 სახეობა: მსხვილნაყოფა ანუ გიგანტური გოგრა, რომლისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები — თეთრი თაფლა 611, მსხვილნაყოფა 1 და სხვა; მაგარკანიანი ანუ ჩვეულებრივი გოგრა (ხოკერა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული).

თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვი-



თალოა, გოგრის ძირითად ღირსებად მიიჩნევა კაროტინისა და ვიტამინების დიდი რაოდენობა. ამ ბოსტნეულის რბილობი ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით D ვიტამინს. ბავშვებისთვის ის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან აჩქარებს ზრდას, ხოლო მოზრდილებში აუმჯობესებს კალციუმის შეწოვას, ამაგრებს ძვლებს და კბილებს, გარდა ამისა, გოგრაში არის B, C, D, PP, E ჯგუფის ვიტამინები. ისინი აწელებენ დაბერების პროცესს და ეხმარებიან ადამიანს ოპტიმალური წონისა და სექსუალური აქტივობის ნორმის ფარგლებში შენარჩუნებაში. ისევე, როგორც ყველა ნარინჯისფერი ნაყოფი, გოგრა ცანტიდეგურ-სანტად მიიჩნევა.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, გოგრას საქართველოში შემდეგი დასახელებით იცნობენ: ინგ. გუგრაა; იმ., რჭ. ლჩხ.კვახი; გურ. აჭარ. ხაპი; აყირო; ჭნ. კაიში, ყოყორე, ჭელი; მგრ. კოპეშია; სვ. კვახნეს, კოპეშია.

გოგრა ყელიანი ნ. აყირო - აყირო ყელიანი გოგრა (*legeneria vulgaris Ser*) კხ. წყლის გოგრა გრ. კხ. თათრული გოგრა; თშ. კოკოშია.

გოგრა თაფლა ნ. თაფლა - გოგრა. თაფლა- გოგრა (*Cucurbita moschata Duchesne*). კხ. თაფლა - გოგრა.

გოგრა თეთრი ნ. მსხვილი გოგრა. მსხვილი გოგრა, თეთრი გოგრა (*Cucurbita maxima Duch*). მცხ. ქესტანა; ქვ. იმ. თეთრი კვახი; გურ. ბამბის ხაპი; მგრ. ჩქი-ნობურა კოპეშია.

გოგრა მეჭეჭიანი ნ. მეჭეჭიანი გოგრა. მეჭეჭიანი გოგრა (*Cucurbita verrucosa L*). კხ. ხორკლიანი გოგრა, მუნუკიანი გოგრა; თშ. კეტრიანი გოგრა; ზმ. იმ. კვახკვერცხა; მგრ. ხოკორია, ტკიანი კოპეშია,

ბუსკულამი კოპეშია.

გოგრა ხოკერა ნ. ხოკერა გოგრა. ხოკერა - გოგრა (*Cucurbita pepo L*). კხ. ქერეჭა - გოგრა, ხაკარა გოგრა; იმ. ხოკერა, ხოკორა - კვახი, შავკვახა; გურ. ხაპერაი; ჭნ. ხოპერაში; მგრ. ხოკორია - კოპეშია, ხოკო.

**გოგრის თესლისაგან ხდიან საჭმელ ზეთს.** საქართველოში გოგრას მრავალი დასახელება ჰქონდა: გოგრა, კვახი, ხაპი და აყირო. სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი. რბილობი შეიცავს პექტინებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედის, ორგანულ მჟავებს, კაროტინს; კალიუმის, მაგნიუმის, რკინის მარილებს, შაქრებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. თესლში არის ფიტოსტერინები, ორგანული მჟავები, ფისები, ვიტამინები.

გოგრის რბილობს გააჩნია ნალველმდენი, დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო და შარდმდენი თვისებები; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. თესლი გამოიყენება ჭიის დასაძენად. გოგრას იყენებენ ანემიის, ტუბერკულოზის, სიყვითლის, ჰიპოტონიის, ნევროზის, ნიკრისის ქარის, ქოლეცისტიტის სამკურნალოდ. იგი მდიდარია დასუსტებული თვალებისთვის აუცილებელი კერატინით. ხალხურ მედიცინაში გოგრისგან გამოხდილ წვენს იყენებენ თირკმლებისა და ღვიძლის დაავადების დროს.



აყირო, ყელიანი გოგრა *L. Lagenaria vulgaris Ser.*

კახური - წყლის გოგრა; გარეკახური - თათრული გოგრა; თუშური - კოკოშია; იმერული - კვატურა; რაჭული, ლეჩხუმური, ზემოიმერული - მწარე კვახი, სარწყულა კვახი; მთისრაჭული - ხრიკა, ხრიკას კვახი; გურული - მწარე ხაპი; აჭარული - კოში; ინგილოური - კოტოში; ჭანური - კარკალა, კოკოჩა, ჭურა; მეგრული

- კოლო ჭურა, ჭურა, ტუტლა, ჭურაში კოპეშია; სვანური - ტუტვირ; რაფიელ ერისთავი - ყარყარა კვახი.

Synonym: გოგრა თათრული, გოგრა წყლისა, კოში, კოტოში, კოკოშა, კვატურა, კვახი მწარე, კვახი სარწყულა, კვახი ყარყარა, მწარე კვახი, მწარე ხაპი, თათრული გოგრა, სარწყულა კვახი, წყლის გოგრა, ხაპი მწარე, ხრიკა, ხრიკას კვახი, ყარყარა კვახი.

**აყიროს გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით.** სამკურნალოდ გამოიყენება მისი თესლი და რბილობი. იადიგარ დაუდიში მითითებულია, რომ მოხარშული და დანაყული აყიროს ნაყენი არჩენს "სტომაქის სიცხეს და სიმხურვალეს" ყურის ტკივილს, შეკრულობას, სიმსივნეს სხეულზე, ციებას, ცხელებას, თავის ტკივილს, ხველას... (გვ. 165; 232)... "აყირო გრილი და ნედლი არის საფარას გააცულებს, სისხლისა სიმხურვალესა დაავსებს, ძველის ხველისთვის მწოდ კარგი არის, სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოდ კარგი არის, კაცსა რომე, ან ეს აყირო მოხარშოთ (ხელით ჩამატებული) და აჭამოთ და ან დანაყოთ და ამისის გულის წყალი ასვათ, გულისა და სტომაქის სიმხურვალესა და სიცხესა მაშინვე ყველას გაუგდებს, კაცსა ყელსა და მკერდსა დაულობს. კაცსა რომე სიმხურვალითა ყური სტკიოდეს და ამა აყიროს წვენი გამოჰხადოს და ყურშია ჩაინვეთოს, მაშინვე ყურის ტკივილს უშველის, კაცსა მუცელშია შეჰკრავს და კაცისა სტომაქშია ფიცხლად დადნების. კაცმან რომე ნედლი აყირო ცეცხლშია ჩაფლას და კარგად შეინვას ამოილოს და ამისი წყალი გამოჰხადოს, გააციოს, შაქარი ურიოს და სუას, ყოვლის ფერის მხურვლის სენის წამალი და აქიმი არის. ცხელებისა, სნებისა, იარაყანისა და მხურვლის ხაფაყანისა. მაგრა ბევრი ამა აყიროს ჭამა ბევრს ფერსა ხილთებსა აშლის, ბალღამსა გააძლიანებს ნელებსა და ფაშვებსა აწყენს და სტომაქსა აშლის. თუ კაცი ან შიგნით, ან გარეთ გასივდეს მოიტანე ნედლის აყირო დანაყეთ, წვენი ასვით და ტლედ სიმსივნეზედა დასდევით და მაშინვე უშველის.

ვინცა აყიროს წვენი და ღვინო ერთგან გარიოს და სუას მაშინვე მუცელშია გახსნის. თუ აყირომ კაცსა აწყენოს, ამისი წამალი და ნაწყენის გამქარვებელი მდოგვი, პილპილი, მხურვალი მაჯუნები და კევითა იქნების.

ამავ აყიროს ერბო, გრილი და ნედლი არის, კაცსა ტვინსა და დამალსა დაულობს და მალხულისა სენისათვის და სარსამისათვის მწოდ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე ესე აყიროს ზეთი ცხვირშია ჩაინვეთონ. კიდევ ესე აყიროს ერბო ცხარსა ძმარშია გაურიონ წამოადულონ (ჩამატებულია ხელით) და სიმხურვალითა მტკივანს თავზედა შემოსცხონ, მაშანვე თავის ტკივილს უშველის და კაცსა ძილად მიაგდებს და ტკბილად დაეძინების, და კაცსა რომე დამალი სიხმელითა გაუხმეს, და ყელი და ხახა გაუშრეს და ამა აყიროს ერბოსაგან ცხვირშია ჩაინვეთონ და ცხვირზედაცა

დასცხონ, და ორივე ყურები ამა აყიროს ერბოშია უნდა ედვას, უსათუოდ დამალი გაუნედლების, და ყელი და ხახაცა უსათუოდ დაულობის და კაცი მორჩების. (ამ ფურცლის გვერდის ამიაზე სწერია დედნის ხელით „ამის ზეთს ერბო ჰქვიან“

თოხმაქანისა, კიტრისა და აყიროს თესლები დანაყონ, და ამათი ლუბაი გამოჰხადონ და ასვან. საზამთროსა, შუმხიარისა და ქასნის თესლი ამავ რიგად ასვან, და თუ შაქარი იყოს, შაქრითა ასვან, და თუ შაქარი არ იყოს უშაქროდ ასვან, და ნედლი აყირო ცომშია ჩადვან და ცხელს ნაცარშია ჩაფლან, რომე კარგად შეინვას, მერმე გამოილონ წყალი გამოჰხადონ, გააციონ, შაქარი ურიონ და ასვან, ყოვლის მხურვლის სენისწამალი არის.

ვინცა აყიროს ზეთი ცხვირსა და ყურშია ჩაინვეთოს, და ან ხშირად უსუნოს, თავის ტკივილი ეშველოს უსათუოდ და დამალი და ტვინი გაუნედლოს. ან ვინცა ესევე ერბო ძმრით გააყენოს და წამოადულოს, და თავსა და საფეთქლებზედა შეიცხოს თუ თავი ან საფრისა, და ან სისხლისა და ან სხვის სიმხურვალისაგან სტკიოდეს, უსათუოდ თავის ტკივილი ეშველოს, და ტკბილად დაიძინოს.

კიდევ ვისცა დამალი გაუხმეს, და ან ყელი და ხახა გაუშრეს, მოიტანე ესე აყიროს ზეთი და ორსავე ცხვირშია აანურე, და ცხვირზედაცა შეუსვი, და ორივე ყურები ერთსა ჟამადისინ, ამა აყიროსა ზეთშია ჩაუდევე, და უსათუოდ დამალი გაუნედლების, და ყელი და ხახა გაუნედლების და დაულობის.

და თუ ამა ავად მყოფსა ძილი არ მოუვიდოდეს, ცხვირშია იის ზეთი ჩაანვეთონ და თავზედა აყიროს ერბო შემოსცხონ ან ისევე იის ერბო შემოსცხონ, და ხელი და ფეხი კარგად დაუზილონ.

თავზედა აყიროსა, ან იისა და ან ლულუფრის ერბო შეიცხონ. თავის ტკივილს უსათუოდ უშველის.

გველისა და მოერიელის ნაკბენის შემთხვევაში ურჩევენ... მოიტანე ერთი მომცრო პირ მოჭრილი აყირო და ამა აყიროშია ცოტა დაწენილი ბამბა ჩადევ და ამა ბამბასა სანთლითა ცეცხლი მოუკიდე და ნაკბენზედა დაადევ, კოტოშსავითა მოუჭირებს და მოეკიდების, და როდისცა მწოვედ მოკიდოს, ძალად უნდა მოგლიჯონ და შხამსა უკან უკმოაბრუნვებს და გამოიღებს

#### 4. ნახვის (CUCUMIS MELO) თესლი

საქართველოში ნესვი დიდი ხანია ცნობილია. კულტურაში უმეტესად სუფრის ნესვია გავრცელებულია. ნესვის თესლი ბრტყელი, კვერცხისებური და გაგრძელებულია.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, ნესვს საქართველოში იცნობენ შემდეგი სახელით; ნესვი (Melo sativus Sageret) (= Cucumis melo L. var. cultus Kurz.) ინგ. ნეს; ჭნ. კავონი; მგრ., სვნ. შინკა.

**ნესვის თესლი** - პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა. ამ მიზნით უმი თესლის დაღეჭვა რეკომენდებული, უმჯობესია, თაფლთან

ერთად და აუცილებლად ზომიერების დაცვით - არა უმეტეს დღეში ორი გრამისა.

ნესვის თესლი მდიდარია თუთიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას. საკმარისია, დღეში 2-5 გრამი ახალი თესლის მიღება (შეიძლება თავლთან ერთადაც), რომ გარეგნობა შესამჩნევად გაგვიუმჯობესდება.

**ნესვზე იადიგარ დაუდიში ვკითხულობთ ასეთ მითითებას;**

... “ასრე კაცმან პირველ ის წინა ხილები ჭამოს და ამას უკან ესეები ჭამონ. და რა ნესუი ჭამონ, ნესტუან სხვა ხილი და საჭმელი აღარა ჭამონ. ამისთვის რომე რასაც საჭმელთანა ნესუსა სჭამ, იმა ყოველსა საჭმელსა წაახდენს.

კაცსა რომე შარდი სწვეთდეს, და ან შარდი გასდიოდეს, იმას დაუჭირავს და უშველის. და ვინცა ორი დრიჰამი ნესვის თესლი გამოარჩიოს და ჭამოს, კაცსა კარგად შეერგების, გულსა და სტომაქსა გაუთბობს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

თუ კაცსა შარდი დაჭირული ჰქონდეს, მოიტანე ცერეცო და წყლით მოადულონ, და ცოტა იის წყალიცა გაურიონ და ზომიერი თაფლი ჩააგდონ, მოადულონ და კიტრისა და ნესვის თესლები დანაყონ და წყალი გამოჰხადონ, და ესეც ამა ცერეცოს წყალშია ჩაურიონ, მოადულონ, ყავამზედა მოიყვანონ და სვან. ესე შარბათი ამა სენისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის. მაგრა ესე შარბათი და წამლები მწოვედ ცხელი არ უნდა სვან, თვარამდა ესე იცოდით, მწოედ შარდსა უფრო შეხუთავს.

ციებ ცხელების დროს საჭმელი ცოტა აჭამონ და ყველასა დანოლის დროსა კიტრისა, ნესვისა, შუმხიარისა და ქასნის თესლის გულები დანაყონ, და ამათი რძე გამოჰხადონ, და სიქანჯუბინშია გაურიონ და ასვან, და გულსა და სტომაქსზედა ცივი ვარდის ერბო გარდაკრან”.

გველისა და მორიელის ნაკბენზე სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ნახსენებია სელის ზეთი. სელის ზეთის ბაზაზე დამზადებული მალამო... ვინცა თეთრის ნესვის თესლი ან გული დანაყოს და ამისი წვენი ასვას და ნაკბენზედაცა დასცხოს ყოველის მძრომლისა, ნაკბენისა, თერიაყი და გამქარვებელი არის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Паронян В.Х. и др. Технология жиров и жирозаменителей. - М.: Легкая и пищевая промышленность, 2000.
2. Паронян В.Х., Новокшенов Ю.И. Моделирование и оптимизация процессов рафинации жиров. - М.: Агропромиздат, 1985.
3. Паронян В.Х. К вопросу оптимизации процессов пищевых производств // Сборник научных трудов АГРОНИИТЭИПП «Проблемы экономического развития и информационного обеспечения пищевой про-

мышленности». - М., 2000.

4. Лисицын А.Н., Ключкин В.В., Паронян В.Х. Масложировая промышленность / В монографии: «Пищевая промышленность России в условиях рыночной экономики». - М.: Пищепромиздат, 2002. Вологды.// Вологда, 1972, стр. 28-33;

5. Аринштейн А.И., Радченко Н.М. - Новые эфирномасличные растения, перспективные для внедрения в культуру в Крыму.// Растительные ресурсы, 1978, том 14, Вып. 1, стр. 20-19;

6. Бузинов П.А. - Удобрения эфирномасличных культур// В книге «Масличные и эфирномасличные культуры», 1963;

7. Бузинов П.А., Серебрякова Н.В. - Использовать отходы эфирномасличной промышленности для удобрения.// Журнал «Маслобойно-жировая промышленность», 1958, №4;

8. Бурьяненко Н.А. - Научно-исследовательская работа по эфирномасличным культурам. М., 1940;

9. გელოვანი, თ. ცინცაძე, ხ. ნიქარიშვილი, ი. გველესიანი, ლ.თარგამაძე //ნესვის (CUCUMIS - MELO) კულტურა ქართულ ისტორიულ წყაროებში// საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ.11, (4), 469-471 (2011).

10. რ. სხილაძე, ნ. გელოვანი, ხ. ნიქარიშვილი // წამალთა ტექნოლოგია// საგამომცემლო სარეკლამო კომპანია “საუნჯე”, თბილისი 0177, 2009 წ.

11. რ. სხილაძე, ნ. გელოვანი, ხ. ნიქარიშვილი //წამალთა ტექნოლოგიის სათავეებთან// საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2009 წ.

12. ქუთათელაძე ი. `სამკურნალო წამალთა და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში”, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1945წ, 33გვ.

13. კოპალიანი ლ., “საქართველოს სამკურნალო მცენარეები. უძველესი და თანამედროვე ფიტოთერაპია”, ქუთაისი, 2002წ. 295გვ

14. იოსელიანი დ. „ხალხური მედიცინის ენციკლოპედია”, გამომცემლობა „ცხოვრება” 2003წ 240 გვ.

15. ხეტეშვილი ს. ჯანმრთელობის საგანძური, „ხელოვნება” თბილისი 2008წ.

16. გოგიჩაძე გიორგი, ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები / გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე. - თბ. : [მერიდიანი], 2011. - 442გვ.

17. <http://vinoge.com/samzareulo/bostneulifxaleuli/gogra-kvaxi-ayiro>.

18. <https://sputnik-georgia.com/society/20161010/23-3461777/mkurnaloba-xalxuri-meTodebiT-selis-Tesli.html>

19. „იადიგარ დაუდი” – XVI საუკუნის ქართული სამედიცინო ენციკლოპედია (ავტორი დავით XI, დაუთხანი) უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: [3 ტომად]/ შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოცე. - [თბ.]: ფანტაზია, 2006. - 28სმ. [MFN: 136149]



# ქრონიკულ დაავადებათა პრევენცია თანამედროვე ჯანდაცვაში

ჩიქავა მედეა - სტუ-ს ასოც. პროფ.

ცინცაძე თამარ - სტუ-ს პროფ.

ელიავა გიორგი - სტუ-ს პროფ.

სულაშვილი ნოდარ —

საქ. უნივერსიტეტის ასისტ. პროფ.

## რეზიუმე

ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის მოდელის მიზანია, გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, რათა: დაავადებული პოპულაცია გამოჯანმრთელდეს, დაავადებამ არ განიცადოს პროგრესირება; რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდები არ გახდნენ ავად; პრაქტიკულად ჯანმრთელი პირები დარჩნენ ჯანმრთელები.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მოზარდთა საჭმლის მომნელებელის სისტემის ქრონიკულ დაავადებათა რისკის ფაქტორები. კვლევის პირველ ეტაპზე მოზარდებმა შეავსეს სკრინინგ-ანკეტები, ჩაუტარდათ ობიექტური გამოკვლევები. მეორე ეტაპზე მათ მიერ შევსებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევის სპეციალიზებული რუკა-კითხვარები რისკის ფაქტორთა შესაფასებლად. მათგან გამოყოფილ იქნა მაღალი რანგის მქონე 10 ძირითადი ფაქტორი,

რანგის მიხედვით, პირველ ადგილზეა კვებითი დარღვევები, მაგრამ მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, არის ქრონიკული გადატვირთვები და ფსიქოემოციური დაძაბულობა. ამიტომ, დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოზარდთა კვებითი დარღვევების მიმართ, მაგრამ მნიშვნელოვანია აგრეთვე – ქრონიკული გადატვირთვების შემცირება და ენდოგენურ შესაძლებლობათა გაძლიერება.

## Summary

### Chronic Diseases Prevention in Modern Healthcare

Chikava Medea

Tsintsadze Tamar

Eliava George

Sulashvili Nodar

The aim of chronic diseases prevention models is preventive measures handling in order to recover diseased population, to stop disease progression, at-risk individuals not to get sick, healthy people to stay healthy.

We have studied adults digestive system chronic diseases risk factors. At the first stage of the research the adults have filled in the screening questionnaires and were conducted objective examinations. In the second stage they were asked to fill in the specialized map-questionnaires of

epidemiological research assessing risk factors. 10 major factors have been highlighted from them.

According to the rank, nutritional disorders are in the first place; chronic strain and psycho-emotional tension are in the second and third places, respectively. Therefore, first and foremost it is necessary to be taken timely prophylactic measures for adolescents nutritional disorders, but it is also important to reduce the chronic strain and enhance endogenous capabilities.

ქრონიკულ დაავადებათა პრევენციის მოდელის მიზანია, გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, რათა: დაავადებული პოპულაცია გამოჯანმრთელდეს, დაავადებამ არ განიცადოს პროგრესირება; რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდები არ გახდნენ ავად; პრაქტიკულად ჯანმრთელი პირები დარჩნენ ჯანმრთელები [1].

პრევენციული ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს ეტიოლოგიური ფაქტორების შემცირებისკენ, მაგრამ მრავალი არაინფექციური დაავადების, მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (კნტ) პათოლოგიათა, ეტიოლოგიური ფაქტორების ხასიათი უცნობია [2]. ვინაიდან დაავადებათა ფორმირება რისკის ფაქტორების არასასურველ ზემოქმედებასთანაა შეჭიდული, ამიტომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ამ ფაქტორების შესწავლას. რისკის ფაქტორი – ესაა ნიშანი, რომელიც დამოუკიდებლად და დაკავშირებული მოვლენის აღმოცენების ალბათობასთან იმდენად, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი პროგნოზირებისთვის.

კვლევის თავდაპირველ ეტაპზე დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური მეთოდების გამოყენებით მოვიპოვეთ მონაცემები მოზარდთა ასაკში საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკულ დაავადებათა (სმსქდ) გავრცელების, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებების შესახებ და ფორმულირებულ იქნა ჰიპოთეზები ამ დაავადებათა განვითარების რისკის ფაქტორების შესახებ. შემდგომ ეტაპზე ანალიზური ეპიდემიოლოგიური მეთოდებით შეფასდა ეს ჰიპოთეზები. ეპიდემიოლოგიური კვლევის საბოლოო ეტაპზე კი მათემატიკური მოდელირებით მოხდა რისკის ფაქტორთა შეფასება სხვადასხვა მარჯვენების მიხედვით.

რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება სოციალური და ბუნებრივი გარემოს ელემენტები, ადამიანთა ქცევის თავისებურებები და (ან) ორგანიზმის შინა-

განი სისტემის მდგომარეობები, რომლებიც ზრდიან დაავადებათა აღმოცენების რისკს. აღსანიშნავია, რომ ეტიოლოგიური ფაქტორებისგან განსხვავებით, რისკის ფაქტორები არ იძლევა გარანტიას, რომ დაავადება არ განვითარდება [2]; მაგრამ იძლევა საშუალებას, გამოიყოს მაღალი რისკის მქონეთა ჯგუფები, რომელთა მიმართაც აუცილებელია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება დაავადებათა ფორმირების თავიდან ასაცილებლად.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა მოზარდთა გამოკითხვის ორეტაპიანი მოდელი. პირველ ეტაპზე მოზარდებმა შეავსეს სპეციალურად შემუშავებული სკრინინგ-ანკეტიები, ჩაუტარდათ ობიექტური გამოკვლევები. მეორე ეტაპზე მათ მიერ შევსებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევის სპეციალიზებული რუკა-კითხვარები, მოზარდთა სმსქდ-სა და კნტ-ის პათოლოგიის განვითარების ხელშემწყობ მემკვიდრეობით, სამედიცინო-ბიოლოგიურ, ეგზოგენურ, კვებით, სოციალურ და ენდოგენურ რისკის ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად. შესწავლილი რისკის ფაქტორები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი № 1

შესწავლილი რისკ-ფაქტორების ხარისხობრივი განაწილება

I. მემკვიდრეობითი ფაქტორები	1. სმსქდ დედებში და ახლო ნათესავებში დედის მხრიდან
	2. სმსქდ მამებში და ახლო ნათესავებში მამის მხრიდან
II. სამედიცინო-ბიოლოგიური ფაქტორები (გადატანილი დაავადებები)	1. წლამდე ასაკში ნაწლავთა ხანგრძლივი დისფუნქცია
	2. გადატანილი მწვავე ინტესტინური ინფექციები
	3. გადატანილი ვირუსული ჰეპატიტი
	4. ხშირი მონამვლები
	5. ხშირი რესპირაციები (წელიწადში 3-4-ჯერ და მეტად)
	6. ჭიებით ინვაზია
	7. ლამბლიოზი
	8. ხშირი ანგინები
	9. ბავშვთა ინფექციები (3-ზე მეტი)
III. ეგზოგენური ფაქტორები	1. მედიკამენტების ხშირად და ხანგრძლივად მიღება
	2. კვებითი და მედიკამენტური ალერგია

IV. კვებითი ფაქტორები	1. არარეგულარული კვება, ხშირად საუზმის გარეშე ყოფნა
	2. წვნიანი საკვების იშვიათად მიღება
	3. სიჩქარე კვების დროს
	4. წინაკანი საკვების ხშირი მიღება
	5. რძისა და რძის პროდუქტების არარეგულარული მიღება
	6. ხილისა და კენკროვნების არარეგულარული მიღება
	7. გაზიანი სასმელების რეგულარული მიღება
	8. ცხიმოვანი საკვების ჭარბად მიღება
	9. არასაკმარისი საკვების მიღება
	10. ყოველდღიურად 2-ზე მეტი ჭიქა ყავის მიღება
	11. ჭარბი კვება, სიმსუქნე
V. სოციალური (სოციალურ-პიგენური და სოციალურ-ეკონომიკური) ფაქტორები	1. მოზარდის გაძლიერებული დატვირთვა სწავლით
	2. მოზარდის მავნე ჩვევა (ალკოჰოლის მიღება)
	3. მოზარდის მავნე ჩვევა (სიგარეტის მოწვევა)
	4. ნაცნობთა უმრავლესობა ეწვევა
	5. პასიური მოწვევა (1-2 წ. და მეტი ხნის განმავლობაში)
	6. არადაამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები
	7. კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, სასწავლებელში
	8. უარყოფითი ვითარება ჭამამდე ან ჭამის დროს
	9. კომპიუტერის, ტელევიზორის არარაციონალ. გამოყენება
	10. ჰიპოდინამია
	11. სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობისას
	12. ქრონიკული გადატვირთვები
	13. მშობლები – დაუქორწინებლები ან განქორწინებულები
VI. ენდოგენური ფაქტორები	1. შფოთვის მაღალი დონე
	2. ჯანმრთელობის მდგომარეობის დაბალი თვითშეფასება
	3. ნევროზული მდგომარეობა


გამოკვლევული 430 მოზარდიდან კნტ-ის მხრივ დარღვევები აღმოაჩნდა 84 მოზარდს, რამაც გამოკვლევული პოპულაციის 19,5% შეადგინა (I ჯგუფი). მათ კონტროლად დავუყენეთ პირობითად ჯანმრთელი 346 მოზარდი (II ჯგუფი). განსაზღვრული რისკის ფაქტორის არსებობასა და დაავადების არსებობას შორის კავშირი განსაზღვრულ იქნა „შემთხვევა-კონტროლის“ მეთოდით. ჯგუფებში რისკის ფაქტორების განაწილების სინშირეთა შორის არსებულ განსხვავებათა შეფასების მიზნით, გამოთვლილ იქნა ორმხრივი  $\chi^2$  კრიტერიუმი, რომლის დამაჯერებლობა შემოწმდა ცხრილების მეშვეობით [3].

თითოეული რისკის ფაქტორისთვის განსაზღვრულ იქნა შანსების თანაფარდობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად აღემატება საკვლევ (რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფში სმსქდ-ის ან მისი რისკის არსებობის შანსი, საკონტროლო (რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფში – შესაბამის შანსს. I და II ჯგუფებში გამოთვლილ იქნა ასოციაციის ძალის დონე თითოეულ რისკის

ფაქტორსა და სმსქდ-ს შორის (OR).

იმის დასადგენად, თუ რა თანმიმდევრობითაა მიზანშეწონილი პრევენციულ ღონისძიებათა გატარება, სმსქდ-ის განვითარების პრედიქტორები რანჟირებულ იქნა ზღ სიდიდის კლების მიხედვით. მათგან გამოიყო მაღალი რანგის (ზღ) მქონე 10 ძირითადი ფაქტორი, რომელთა ჯგუფებს შორის განაწილების სიხშირეები წარმოვადგინეთ რანჟირებული თანმიმდევრობით (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1  
რისკის ფაქტორთა სიხშირეთა განაწილება I და II ჯგუფებში (%)



1. კვებითი დარღვევები
2. ქრონიკული გადატვირთვები;
3. ფსიქოემოციური დაძაბულობა;
4. სმსქდ-ით დამძიმებული მემკვიდრეობა;
5. მოზარდის მავნე ჩვევები;
6. სიმსუქნე;
7. არადაამაკაყოფილებელი ცხოვრების პირობები;
8. გადატანილი დაავადებები;
9. კომპიუტერის, ტელევიზორის გადამეტებული გამოყენება;
10. ეგზოგენური ფაქტორები.

ფსიქიატრიული ეპიდემიოლოგია იკვლევს ფსიქიკურ დარღვევათა აღმოცენებისა და მიმდინარეობის პირობებს, მიზეზებს, რისკის ფაქტორების და დაავადების ეპიზოდების გამომწვევი ფაქტორების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით [4]. ანალიზური ეპიდემიოლოგიის მიზანია — იხელმძღვანელოს ჰიპოთეზებით და განსაზღვროს, რასთანაა დაკავშირებული დაავადება და როგორია მისი დეტერმინანტები. ჩვენს მიერ ჩატარებული ფსიქიატრიული ეპიდემიოლოგიური კვლევით შესწავლილ იქნა შუა და გვიანი პერიოდის მოზარდთა ქრონიკული გადატვირთვები და ფსიქოემოციური დაძაბულობა. ჭმანსების თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით რანჟირებით, რომელიც გვიჩვენებს თითოეული ფაქტორის სმსქდ-თან კავშირის ძალას, კვებითი დარღვევების შემდეგ, ამ დაავადებებთან ყველაზე მეტი ასოცირების დონე აღმოაჩინდა ქრონიკულ გადატვირთვებს, ფსიქოემოციურ დაძაბულობას, სმსქდ-ით დამძიმებულ გენეალოგიურ ანამნეზს.

სტრესორები და სტრესის დაძლეველი მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქიკურ და სომატურ დარღვევებთან. გადატვირთვები შეიძლება იყოს მიზეზი (ან ერთ-ერთი მიზეზი) ან გამწვევი ფაქტორი (ან ერთ-ერთი მათგანი) დარღვევებისა. სტრესული მოვლენების პათოგენური ზემოქმედება დამოკიდებულია პიროვნულ ნიშნებზე, ინდივიდის მიერ სტრესის დაძლევის შესაძლებლობებზე და სხვა.

ცალკეული ფსიქიკური დარღვევები შეიძლება გავიგოთ როგორც გადატვირთვების დაძლევისთვის დამახასიათებელი მოდალობები. მაგ., დიდი მოცულობით (გადაუმუშავებელი) ტელეინფორმაციის მიღების შედეგად წარმოქმნილი შფოთვა შეიძლება იყოს ამ გადატვირთვის დაძლევისთვის განვითარებული მოდალობა. ფსიქიკური დარღვევები და სომატური დაავადებები, ჩვეულებრივ, თვით არის მეტ-ნაკლებად მიმე გადატვირთვები, რომელთა დაძლევა ასევე ახდენს გავლენას ცხოვრების ხარისხზე, ზოგჯერ კი — დაავადების მიმდინარეობაზეც.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგებით, I და II ჯგუფებში, ქრონიკული გადატვირთვებისა და ფსიქოემოციური დაძაბულობის დონეთა შორის განსხვავების მიხედვით (დიაგრამა №1). შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაძლევის შესაძლებლობები ჯანმრთელებში გარკვეულად აღემატება კნტ-ის პათოლოგიით დაავადებულთა შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ სტრესორები და მათი დაძლევის ენდოგენური შესაძლებლობები არაა სპეციფიკური კუჭ-ნაწლავის პათოლოგიის განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ, რანგის მიხედვით, სმსქდ-თან ასოცირებულ რისკის ფაქტორთა შორის, პირველ ადგილზეა კვებითი დარღვევები, მაგრამ მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, არის ქრონიკული გადატვირთვები და ფსიქოემოციური დაძაბულობა. ამიტომ, დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოზარდთა კვებითი დარღვევების მიმართ, მაგრამ მნიშვნელოვანია აგრეთვე — ქრონიკული გადატვირთვების შემცირება და ენდოგენურ შესაძლებლობათა გაძლიერება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Henri Hietala. // The rules of the game and business models in primary prevention. 2010. <http://www.slideshare.net/PREVEproject/the-rules-of-the-game-and-business-models-in-primary-prevention>
2. Беляков В. Д., Яфаев П. X. // Эпидемиология. Москва, Медицина, 1989.
3. ყვავილაშვილი ჯ. // მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, (გაზომვა და სტატისტიკა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
4. Хейнер X., Вейпер З. // Эпидемиология. Клиническая психология. 2-е межд. изд., Питер. Москва, Санкт-Петербург, Нижний Новгород, Воронеж, Ростов-на-Дону, Екатеринбург, Самара, Киев, Харьков, Минск, 2003, 342-357.

# ბიზნეს-ინჟინერინგო

## ტრანსპორტი

### РАСЧЕТ ПОСАДКИ, ОСТОЙЧИВОСТИ И ОБЩЕЙ ПРОЧНОСТИ СУДНА В ПРОЦЕССЕ ЭКСПЛУАТАЦИИ

Гегешидзе Э.И., Палавандишвили Г.А.

Грузинский технический университет

#### РЕЗЮМЕ

В работе рассмотрены некоторые конкретные вопросы, связанные с расчетом продолжительности рейса и судовых запасов. Рассчитываются судовые запасы в зависимости от суточного расхода топлива и воды. Строятся грузовая шкала и грузовой размер на КЭТЧ для посадки судна на ровный киль, бездифферента и изгиба корпуса. Распределяются запасы судовых запасов. Производится размещение грузов в первом приближении.

**Ключевые слова:** грузовая шкала, киль, крена, дифферента, стандартная плотность, судовое помещение.

При выполнении эксплуатационных расчетов по составлению грузового плана и проверке остойчивости и общей прочности судна используются следующие исходные данные:

- судовая документация;
- чертежи общего расположения судна;
- грузовая шкала;
- кривые элементов теоретического чертежа;
- эпюра емкости или таблица объемов;
- чертежи размещения грузов на судне;
- интерполяционные кривые плеч остойчивости формы (пантакарены);
- график изменения осадок оконечностей от приема 100 т груза или диаграмма осадок носом и кормой;
- характеристики судна;
- главные размерения судна:  $L, B, T_{cp}, H$ ;
- тип и мощность силовой установки:  $N_e$ ;
- плановая скорость судна в полном грузу:  $V_6$ ;
- численность экипажа:  $n_3$ ;
- площадь парусности судна в полном грузу:  $S_n$ ;
- аппликата центра парусности;
- характеристики заданного рейса;
- параметры посадки судна перед загрузкой:  $T_n(d_n), T_k(d_n), T_{cp} = (d_{cp}), T_{xc} = (d_{xc})$ ;
- количество принимаемого груза  $P_{гр}$  и его удельный погрузочный объем:  $\mu$ ;
- расстояние между портами:  $S$ ;
- плотность морской воды в порту отправления:  $\rho$ ;
- скорость судна:  $V$ ;

Примечание: в скобках даны обозначения, принятые в Пр. Регистре.

Продолжительность рейса рассчитывается по заданному расстоянию между портами:

$$t_{pc} = \frac{S}{V_s}, \text{ час}$$

$$t_{pc} = \frac{t_p}{24}, \text{ сут.}$$

Судовые запасы рассчитываются в зависимости от суточного расхода топлива и воды и продолжительности рейса:

- необходимое количество топлива с учетом штормового запаса (принять равным 10% в т):

$$P_m = 1,1N_e \cdot t_{pr} \cdot \frac{P_m}{1000}, \text{ т}$$

$P_m$  – удельный расход топлива.

Для судов с двигателями внутреннего сгорания:

$$P_m = 0,170 - 0,200 \text{ кг/эл. с. час.}$$

Для судов с паротурбинными установками:

$$P_m = 0,230 - 240 \text{ кг/эл. с. час}$$

$N_e$  – мощность силовой установки.

Запас смазочного масла обычно составляет 0,4-0,6% запасов топлива:

$$P_s = (0,004 - 0,006) \cdot P_m.$$

Запас пресной воды для нужд экипажа определяется исходя из санитарной нормы 70-100л на человека в сутки:

$$P_g = 0,1 \cdot t_{pc} \cdot n_s.$$

Запас провизии определяется исходя из нормы 3 кг на человека в сутки:

$$P_n = 0,003 \cdot t_{pc} \cdot n_s.$$

Для судов с паротурбинными установками необходимо также учесть запас котельной питательной воды в количестве 30-50 тонн.

При заданной посадке судна ( $T_n, T_k$ ) водоизмещение определяется с помощью грузовой шкалы или кривых элементов теоретического чертежа (КЭТЧ).

Грузовая шкала и грузовой размер на КЭТЧ строятся для посадки судна на ровный киль, без крена, дифферента, изгиба корпуса, а также для стандартной плотности воды. Поэтому к водоизмещению, подсчитанному по грузовой шкале или грузовому размеру, необходимо вводить поправки.

1. Рассчитывается средняя осадка  $T_{cp}$  и дифферент  $d$  судна

$$T_{cp} (d) = \frac{T_n - T_k}{2}, \quad d(\Delta) = T_n - T_k.$$

2. По грузовой шкале снимаются водоизмещение для  $T_{cp}$  и при  $\rho_{sol}$ .

По кривым элементов теоретического чертежа снимаются элементы плавучести и рначальной остойчивости для осадки  $T_{cp}$  и

$q$  – число тонн на 1 см осадки;

$\bar{x}_\omega$  – абсцисса центра величины;

$z_\omega$  – аппликата центра величины;

$x_f$  – абсцисса Ц.Т. площади ватерлинии;

$r_0$  – поперечный метацентрический радиус;

$R_0$  – продольный метацентрический радиус;

$S_0$  – площадь ватерлинии.

При отсутствии на чертеже величины  $q$  ее можно рассчитать по формуле:

$$q = \frac{\rho \cdot S}{100}.$$

3. Находится поправки к водоизмещению, определенному по грузовой шкале:

– поправки на плотность воды:

$$\Delta D_m = \frac{\rho_u - \rho}{\rho} \cdot D_0$$

$\rho_u$  и  $\rho$  – соответственно измеренная и стандартная плотность воды,

– поправка на дифферент

$$\Delta D_{diff} = 100 \cdot q_0 \cdot x_{f_0} \cdot \frac{d_0}{L};$$

$q_0$  – число тонн на 1 см осадки,

$x_{f_0}$  – абсцисса ц.т. площади ватерлинии.

– поправка рна обводы корпуса в оконечностях:

$$\Delta D_{омв} = 50 \cdot q_0 \cdot \frac{d_0}{L} (l_n - l_k),$$

где:  $l_n, l_k$  – отстоящие марок углубления от носового и кормового перпендикуляров соответственно, определяется по боковому виду судна.

– поправка на изгиб корпуса:

$$\Delta D_{изг} = 0,74 \cdot q_0 \cdot f,$$

$f$  – стрелка прогиба корпуса, см.

$$f = (T_{xc} - T_{cp}) \cdot 100.$$

4. Водоизмещение судна с учетом поправок при начальной посадке судна

$$D_0 = \bar{D}_0 + \Delta D_{nn} + \Delta D_{омф} + \Delta D_{омв} + \Delta D_{изг}.$$

5. Определяется положение центра величины по длине судна с учетом дифферента по формуле:

$$x_{co} = \bar{x}_{co} + R_0 \frac{d_0}{L}.$$

При составлении грузового плана используются:

для танкеров – таблицы судовых помещений

для сухогрузочных судов – эпюра емкостей или чертеж размещения грузов на судне.

Судовые запасы обычно распределяются в такой последовательности: топливо размещается в расходные цистерны, затем в топливные бункера и танки, расположенные в районе МКО, танки двойного дна, затем в диптанки и в последнюю очередь топливобалластные танки. Топливные танки заполняют с учетом температурного расширения. Объем, занимаемой топливом, определяется по формуле:

$$V = 0,97V_0, \text{ м}^3.$$

0,97 – коэффициент для учета температурного расширения;

$V_0$  – объем танка.

При распределении пресной воды цистерны обычно заполняются полностью.

Расположение провизионных кладовых, если нет точных данных, может быть ориентировочно определено по чертежам.

Расчет координат Ц.Т. принятых запасов ведется в таблице 1.

Координаты Ц.Т. принятых запасов определяются по формуле:

$$x_3 = \frac{\sum M_x}{\sum P_z}, \quad z_3 = \frac{\sum M_z}{\sum P_x}.$$

Таблица 1

Распределение судовых запасов

Запасы и их размещение	Вместимость помещений м <sup>3</sup>	Количество пронятых запасов $T$	Координаты Ц.Т. запасов		Моменты	
			$x$	$z$	$M_x$	$M_y$
Топливо Расходная цистерна шп. 129×134						
Топливо всего Смазочное масло Пресная вода Провизия						
Итогол запасов		$\sum P_{зал}$	$x_3$	$z_3$	$\sum M_x$	$\sum M_z$

Размещение грузов по судовым помещениям ведется методом последовательных приближений. После предварительного размещения грузов рассчитывается посадка и остойчивость судна. Если они удовлетворительны, то проводится перестановка (перераспределение) грузов и снова проверяются посадка и остойчивость судна.

Размещение грузов в первом приближении производится в следующей последовательности:

а) определяется объем груза, размещаемого в судовых помещениях:

$$V_{gp} = \mu \cdot P_{gp}$$

Объем груза не может превышать суммарной вместимости судовых помещений:

$$V_{gp} = \mu \cdot P_{gp} \leq W_c \text{ — для сухогрузных судов}$$

$$V_{gp} \leq 0,97 \sum W_n \text{ — для нефтеналивных судов}$$

$\mu$  – удельный погрузочный объем груза

$W$  – вместимость помещений, м<sup>3</sup>.

Government's one of the main obligation is to prevent Eco and Natural disasters, which are daily increasing. The article shows how government strategies, policies and services related to prevention in Progressive countries are greatest examples to follow. Preparedness and recovery are important in countries like Georgia, where Effective — and cost-effective — disaster reduction must be grounded in a thorough understanding of the physical forces a community faces and their likely impacts on the human, built, and natural environment.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მზარდი ტენდენციების პირობებში, კაცობრიობის, როგორც დედამიწის გარდაქმნის გამომწვევით ფაქტორის როლი განუზომლად დიდია. შესაბამისად, ადამიანის გარემოზე ზემოქმედების ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის მიზნით პროცესების საჭირო მიმართულებით წარმართვა-ბუნების კანონების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ბუნების განვითარების კანონები კი მის თვითგანვითარებას იწვევს.

ჭეშმარიტებაა სხარტად გამოთქმული ფრაზა: „ადამიანი განაგებს ბუნებას მანამდე, ვიდრე ანგარიშს უწევს მის კანონებს.“

ამჟამად გარემოს ეკოლოგიური ოპტიმიზაცია მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ხოლო არქიტექტურის ეკოლოგია ერთ-ერთი პრიორიტეტია ამ პრობლემის რეგულირების საქმეში.

ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ანთროპოგენური პროცესები, თავისი შედეგებით მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ამიტომ ადამიანის საარსებო გარემო მრავალმხრივი შესწავლის, დისკუსიების მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების საგანი გახდა.

XXI სუკუნეში ეკოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფები უფრო ხშირია, შესაბამისად იზრდება ზარალის რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით. 2000 იანი წლებიდან სხვადასხვა სტიქიურმა მოვლენებმა ორას მილიონზე მეტი ადამიანი დააზარალა. ასეთი მოვლენები ნელნელა აფხიზლებს მსოფლიოს, არქიტექტორებს, ინჟინერებს, დიზაინერებს და სხვა პროფესიის ადამიანებს მოუწოდებს უფრო აქტიურად ჩაერთონ ადამიანთა უსაფრთხოებისა და გარემოს გაუმჯობესების რეფორმებში.

ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ ადამიანი ფაქტობრივად უძლურია, მაგრამ გარკვეული საშუალებებით ახერხებს თავის დაცვას და გამკლავებას. გამოსავლის მოძებნა იწყება პრობლემის შესწავლითა და ანალიზით, შესაბამისად მმართველი ორგანოს მიერ სახელმწიფოს გეო-პოლიტიკური ანალიზი ლოკალური უსაფრთხოებისთვის უპირველესი ეტაპია, ამასთან, რა თქმა უნდა, მნიშ-

ვნელოვანია სტიქიათა თავისებურებების შესწავლა და მათი პროგნოზირება.

ქვეყნის გეოგრაფიულმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ანალიზმა უნდა გვიჩვენოს: არის თუ არა მზად ქვეყანა სხვადასხვა ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავებისთვის. მზად ყოფნა გულისხმობს საკმარის ბუნებრივ რესურსებს, დაზარალებულთათვის დროებით თავშესაფრებს, მდგრად კონსტრუქციულ შენობებს, (მაგ. სეისმომდებელი არქიტექტურა, სეისმურ საფრთხესთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის კონსტრუქტურული დაპროექტების საწყის ეტაპზე) ინფორმაციის მინოდებისა და გავრცელების სწრაფ საშუალებებს, მათ შორის სტიქიათა პროგნოზირებას.

არქიტექტორთა გარკვეული ჯგუფი ბუნებრივ კატასტროფებზეა ორიენტირებული, ისინი მუშაობენ სპეციალურ, მდგრად კონსტრუქციებზე, რომელთა უმეტესობაც ბუნებრივი მასალების გამოყენებით მარტივი ასაგებია, ისინი დროებით თავშესაფრებს წარმოადგენენ დაზარალებულთათვის. მმართველი ორგანოები ხელს უწყობენ ამ ტიპის შენობების დანერგვას შედარებით დაბალგანვითარებულ და სტიქიურად აქტიურ რეგიონებში.

განვითარებული ქვეყნები, რომლებიც უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით შედარებით მარტივად აღწევენ თავს სტიქიური მოვლენებით გამონეულ ზარალს და დროის მოკლე პერიოდში ახერხებენ რეაბილიტაციას, მიუხედავად მათი საფრთხისმომცველი გეოგრაფიული მდებარეობისა ასეთი ტიპის ქვეყნები მოქალაქეებისთვის შედარებით უსაფრთხოდ ითვლება.

სახელმწიფოს ორგანიზებულობის ნათელი მაგალითია იაპონია, რომელსაც მსოფლიოს ქვეყნებში ბუნებრივი და ეკო კატასტროფების რისკის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს.

ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ვულკანური წარმონაქმნია და მასზე 108 მოქმედი ვულკანია. ხშირია ცუნამის გამომწვევი დამანგრეველი მიწისძვრები, წყნაროკეანურ ცეცხლოვან რკალში მდებარეობის გამო.

2011-2012 წლებში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად იაპონიამ მსოფლიოს ერთერთ საუკეთესო მაგალითი უჩვენა. სახელმწიფომ იდეალური გამოსავალი იპოვა თუ, როგორ უნდა დაიგეგმოს პრესარეაბილიტაციო სამუშაოები, რას უნდა მიექცეს ძირითადი ყურადღება და რა გზებითაა შესაძლებელი მოკლე პერიოდში ქვეყნის მთლიანი რეაბილიტაცია.

9 ბალანმა მიწისძვრამ სახელმწიფოს უმძიმესი ზარალი მოუტანა, გამოიწვია ეკოლოგიური სახის კატასტროფებიც, აფეთქდა ფუკუშიმის ატომური

სადგური. “მეორე მსოფლიო ომის დასრულების 65 წლის შემდეგ, ეს არის ურთულესი და უმძიმესი კრიზისი, იაპონიისთვის” - იაპონიის პრემიერ-მინისტრი ნატო კანი. მიწისძვრამ დაანგრია რკინიგზა, საავტომობილო გზები. მთლიანმა ფინანსურმა ზარალმა შეადგინა 100 მილიარდი დოლარი.

სახელმწიფომ 2 წლის მანძილზე მოახერხა ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანა, გამოცხადდა საგანგებო ევაკუაცია ატომური სადგურის ახლო ტერიტორიებში, რადიაციულობის დონის დასადგენად ანალიზი გაუკეთდა თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო ნივთს და საკვებს, დაიწყო მშენებლობა და რეკონსტრუქცია სპეციალურ ზონებში, დაზარალებულთა დასახმარებლად შეიმუშავეს რამდენიმე ტიპის გეგმა, მისცეს დროებითი თავშესაფრები, უზრუნველჰყვეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით და მათი უმეტესობა დაასაქმეს.

საქართველოში ყველაზე ხშირია მიწისძვრები და წყალდიდობები, ასევე მრავლადაა ზვავსაშიში და მენყერსაშიში ტერიტორიები. ოდითგანვე მოყოლებული ქართველები ცდილობდნენ სხვადასხვა ხერხით აერიდებინათ სტიქიური უბედურებებით გამონეული ზარალი, ამის იდეალური მაგალითია ტრადიციული მეთოდით აგებული სახლები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოში, სამწუხაროდ, არ არის ბოლომდე გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები, საცხოვრებელი პუნქტების მშენებლობებისას ბევრნიუანსს არ ითვალისწინებენ, მრავალსართულიანი შენობები განთავსებულია სტიქიურად საშიშ ტერიტორიებზე და ა.შ. ამის კარგი მაგალითია 2015 წელს მდ. ვერეს ხეობაში მომხდარი სტიქიური უბედურებას, რომელმაც საკმაოდ დიდი ზარალი მოუტანა ქვეყანას.

ზოოპარკი და მრავალსართულიანი სახლები გაშენებული იყო მდინარის ქალაქალაპოტზე, რომელიც მდინარის კუთვნილებაა, არის გამოც, ვერემ წყალდიდობის შედეგად ჩამოყოლილი ხე-ტყე და ქვიშოვანი მასალა ვერ გაატარა. როგორც გეოლოგი მერაბ გაფრინდაშვილი განმარტავს ეს არ იყო პირველი შემთხვევა 1930 იანი წლებიდან 6 მსაგვის სტიქიური მოვლენაა დაფიქსირებული. სახელმწიფო დადგა რამდენიმე პრობლემის წინაშე, აუცილებელი გახდა სწრაფი სარეაბილიტაციო სამუშაოების გატარება დაზარალებულთა უზრუნველყოფა საყოფაცხოვრებო ნივთებით, საკვებით და მათი გადაყვანა დროებით საცხოვრებლებში.

გარემოს ეკოლოგიური ოპტიმატიზაცია მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ხოლო არქიტექტურის ეკოლოგიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტია ამ პრობლემის რეგულირების საქმეში.

განვითარებულ სახელმწიფოებში უამრავი რეფორმა ტარდება სწორედ ეკოგარემოს გაუმჯობესებისთვის, რაც მოიცავს ეკოარქიტექტურას, ეკოდიზაინს, გარემოს დიზაინში გამწვანების ელემენტების უფრო აქტიურ გაჩენას და ა.შ

საქართველოშიც ნელნელა დაიწყეს სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქტიურობა, გატარდა რეფორმები, შეიქმნა აპლიკაციები რომელიც ადამიანებს გარემოს გასუფთავებისკენ, თუნდაც ხეების დარგვისკენ მოუწოდებს. გარკვე-

ულ ტერიტორიებზე ხის მოჭრა ახლა უკვე იკრძალება, სამწუხაროდ ვერც ხეობაში უამრავი ხე მოიჭრა, რამაც სტიქია გაამწვავა.

საქართველოში ნელნელა გაჩნდა ეკოარქიტექტურული მაგალითები, თუნდაც მწვანე სახურავები, (მაგალითი) ამიტომ ვიმედოვნოთ რომ დროთა განმავლობაში ეს მცირედი რეფორმები ხელს შეუწყობს ეკოლოგიური გარემოს მონესრიგებას და დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად ვიზრუნებთ ეკოგარემოს გაუმჯობესებაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <https://www.publicsafety.gc.ca/cnt/mrgnc-mngmnt/dsstr-prvntn-mtgtn/index-en.aspx>
2. <http://www.emeraldinsight.com/journal/dpm>
3. <https://www.theguardian.com/environment/2017/feb/03/fukushima-daiichi-radiation-levels-highest-since-2011-meltdown>
4. [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90\\_\(2015\)](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_(2015))

## რეზიუმე

ეკოლოგიური უსაფრთხოება არის მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებას. მისი უზრუნველყოფა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა არის გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის მთელი სისტემა, რომელიც წარმოიქმნება საზოგადოების რეკრეაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების ათვისების, გამოყენების, გარდაქმნისა და წარმოების შემთხვევაში.

ტურისტული რეკრეაციული კვლევების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური პირობების შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენენ რეკრეანტების ჯანმრთელობასა და დასვენებაზე.

მდგრადი სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კომპრომისი მოსახლეობას, გარემოსა და სახელმწიფოს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგია, ეკოლოგიური უსაფრთხოება, რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა, რეკრეაცია, დასვენება, ტურისტული რეკრეაცია, ეკოტურიზმი, სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა.

## РЕЗЮМЕ

В статье освещаются современные экологические проблемы, ресурсы и виды экологического туризма в Грузии, а также экономически и экологически виверенная организация отдыха которая сохраняет природу.

Экологическая безопасность это состояние защищенности природной среды и жизненно важных интересов человека от возможного негативного воздействия хозяйственной и иной деятельности, чрезвычайных ситуации природного и техногенного характера, их последствий.

Безопасность играет существенную роль в развитии туризма. Ее обеспечение обусловлено потребностями государства, общества и граждан в пресечении угроз для туристов, обеспечении надежности и комфорта в осуществлении путешествий внутри страны и за рубежом.

ეკოლოგიური უსაფრთხოება არის მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებას. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა. ამასთან, ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოება არ არის ვინაობა ჩარჩოებში მოქცეული ერთი სახელმწიფოს პრობლემა. იგი გლობალური მნიშვნელობისა და მსოფლიოს ეკოლოგიური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია.<sup>1</sup> ამ პრობლემის სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა.

ამერიკელი ფსიქოლოგ-ფილოსოფოსი აბრაჰამ მასლოუ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წყურვილისა და შიმშილის დაკმაყოფილების შემდეგ ადამიანს უჩნდება თვითშენარჩუნების, უსაფრთხოების მოთხოვნილება. ეს მოტივი განაპირობებს მოგზაურობაზე ურის თქმას არასტაბილურ რეგიონებში. უსაფრთხოების და მათ შორის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ტურისტისთვის (რეკრეანტისთვის) ტურის ან დასასვენებელი ადგილის შერჩევისას.

ტურისტული რეკრეაციული კვლევების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური პირობების შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენენ რეკრეანტების ჯანმრთელობასა და დასვენებაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს გარემოზე ანთროპოგენური შედეგების გავლენა, რომლებიც რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის ორგანიზებისას ვლინდება. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა არის გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის მთელი სისტემა, რომელიც წარმოიქმნება საზოგადოების რეკრეაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების ათვისების, გამოყენების, გარდაქმნისა და წარმოების შემთხვევაში.

რეკრეაციული საქმიანობა ერთი მხრივ ხელს უწყობს ფიზიკური ძალების აღდგენას, მეორე მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო რამდენიმე წელია ჩნდება ტურიზმის ისეთი მდგრადი ფორმები, რომლებიც გარემოსადმი მეგობრულადაა განწყობილი. იგი კონცენტრირებულია ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროსა და ტურისტების რეკრეაციის გაუმჯობესებაზე. ეს არის ეკო, მდგრადი ტურიზმი, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდა-

<sup>1</sup> მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სახელე“; თბილისი 2002 70,

ცვით, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს, მისი მიზანია ბუნებრივი და ადამიანური გარემოს შესახებ ტურისტების და მასპინძელი საზოგადოების მეტი განათლების ჩამოყალიბება. „ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც საპასუხისმგებლო მოგზაურობა ბუნებრივ ტერიტორიაზე, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“.<sup>2</sup>

რეკრეაციისა და დასვენების რაიონებში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურისტის პირად უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და ეკონომიკურ ინტერესებს. ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის ინტენსიური დაბინძურება და მრეწველობისა და ტრანსპორტის გადაჭარბებული ხმაური შეუთავსებელია დასვენებასა და კომფორტთან. სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი დამაბინძურებელი ნივთიერება ამცირებს ლანდშაფტის რეკრეაციულ მიმზიდველობას. დასაშვებზე მაღალი დაბინძურების შემთხვევაში საერთოდ მიუღებელია ლანდშაფტის გამოყენება რეკრეაციული მიზნით. თუ ასეთ რაიონებში კარგად არის შენარჩუნებული მცენარეული საფარი, ტურისტებს ექმნებათ ზედაპირული შთაბეჭდილება სრულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, მაგრამ ურბანიზებული რაიონების მიმდებარე ეკოსისტემა შეიცავს მაღალი რაოდენობით მტვერს, მძიმე მეტალებს, ტოქსიკურ გაზებს. ჭის წყალი მაღალი ალბათობით შეიცავს ბარიუმის ქლორიდს, ხოლო მცენარეთა ფესვები შესაძლოა შეიცავდნენ მიკროელემენტებს.

ეკოლოგიურ უსაფრთხოებას აქვს რეგიონული (მსოფლიოსთან მიმართებაში) ასპექტები, რის გამოც მისი უზრუნველყოფის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოძველებული მოწყობილობები და ტექნოლოგიებია, რომლებსაც დომინირებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში და განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს იძლევა მათი გამოყენება გადამამუშავებელ დარგებში. ეკოლოგიური საფრთხის ერთ-ერთ გამოვლენად შეიძლება დასახელდეს ჯანმრთელობისათვის საშიში კვების პროდუქტების იმპორტი, რაც სურსათის უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს. მოსახლეობისათვის დაბალ ფასებში მინოდებული იმპორტირებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეესაბამება ეკოლოგიურ სტანდარტებს. ამასთან დემპინგური ფასებით სურსათის იმპორტი არყევს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობას და აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.<sup>3</sup>


2016 წლის ივნისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კვლევა გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ თბილისში ჰაერის ერთ კუბურ მეტრში

Pm10-ის მაჩვენებელი 55-იყო, რაც დასაშვებ ნორმას 3-ჯერ აღემატებოდა (Pm10 ჰაერში 10 მიკრომეტრის დიამეტრის მქონე ნაწილაკების არსებობას გულისხმობს. ასეთი შეიძლება მტვერის ნაწილაკები იყოს). ასევე თბილისში ჰაერის ერთ კუბურ მეტრში Pm2.5-ის მაჩვენებელი 29 იყო, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ დასაშვებ ნორმაზე 2-ჯერ მეტია (PM2.5 ჰაერში 2.5 მიკრომეტრის დიამეტრის მქონე ნაწილაკების არსებობას გულისხმობს და ასეთი ნაწილაკები ატმოსფეროში სანვავის წვის შედეგად ხვდება).

დაავადებათა კონტროლის ცენტრისგან გასხვავებით, ქართველი ონკოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ კიბოს რიცხვის ზრდის მიზეზი მხოლოდ მოსახლეობის დაბერება, მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა და კიბოს შემთხვევების აღრიცხვის გაუმჯობესება არ არის. ექიმები თვლიან, რომ ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაში, რაც სხვა შემთხვევებთან ერთად მოიცავს სიმსივნესა და სასუნთქი გზების დაავადებებსაც.

2016 წლის აგვისტოში კლინიკა “მედიკლაბის” ექიმებმა განაცხადეს, რომ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საგრძობლად იმატა სიმსივნეების, სასუნთქი გზების დაავადებებისა და ალერგიების სიხშირემ. ამის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი ეკოლოგიური პირობების გაუარესებაა.

**საქართველოში მოსახლეობის რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა პირველადი დიაგნოზით (ათასი) 2015 წ.**




სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის მონაცემებით, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 72.9 წელს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.3 პუნქტით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელზე 1.8 პუნქტით ნაკლებია. ამასთან, 2006-2014 წლების სტატისტიკის თანახმად, 2014 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შემცირდა როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი, 2013 წელს იყო (75.2).

2 რაჯებაშვილი გ. ტურიზმის განვითარება საქართველოში, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თბერვალი, 2012

3 მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიხლე“; თბილისი 2002 74,

**საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის  
საშუალო ხანგრძლივობა 2015 წ.**



საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წლიდან წლამდე მცირდება. თუკი რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი 76 წელი იყო, დღეს უკვე 72

წლამდე ჩამოვიდა. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ყოველ სამ წელიწადში საშუალოდ თითო წლით უფრო ხანდაზმული ხდება – ბერდება. ქვეყანა ითვლება დაბერებულად, თუ მასში 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ს აღემატება, საქართველოში ეს მაჩვენებელი 14,4%-ია, რუსეთში – 12%.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებელია ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც კარგად არის განვითარებული მრეწველობისა და ენერგეტიკის სექტორები. ქვემო ქართლის რეგიონის წილმა ქვეყნის მასშტაბით საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევაში 2014 წელს 28,12% შეადგინა, რაც ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში მხოლოდ იმერეთის რეგიონის წილზე (46,12%) ნაკლებია. მნიშვნელოვანია, რომ ქ. რუსთავის წილი ქვეყნის დაბინძურებაში 17%-ს შეადგენს. რეგიონში, ეკონომიკური საქმიანობების ანალიზის შედეგების მიხედვით, მრეწველობის სექტორზე მოდის გაფრქვევების 71,26%, ხოლო ენერგეტიკის სექტორზე - 28,74%. ატმოსფერული

ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, ძირითადი საქმიანობებია ცემენტის (33,4%), მეტალურგიული (15,5%) და ქიმიური (7,55%) წარმოებები, რომელთა გაფრქვევების ხვედრითი წილი მთლიანი გაფრქვევებიდან 56,42%-ს შეადგენს. რეგიონში არსებული სტაციონალური და დიფუზიური წყაროებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში აღინიშნება ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი ზრდა (2014 წლისთვის წინა წელთან შედარებით ნახშირჟანგის ემისია გაიზარდა დაახლ. 13%-ით, აზოტის ჟანგბულების - დაახლ. 90%-ით და ა.შ.). ამასთან, დაბინძურება დაშვებულ კონცენტრაციაზე მაღალია. დაბინძურების ზრდის მიზეზია მოქმედ საწარმოთა რიცხვის და შესაბამისად, გაფრქვევების რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე რეგიონის მასშტაბით სატრანსპორტო საშუალებების გაზრდილი რაოდენობა და მოსახლეობის მიერ გასათბობი საშუალებების (განსაკუთებით, გაზის გამათბობლების) გამოყენების მზარდი ტენდენცია.

ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორია, საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება-რეაქტივაციის და ახალი კერების ჩასახვა-განვითარების თვალსაზრისით, მიეკუთვნება დაბალ და საშუალო საშიშროების რისკის კატეგორიას, რომლის დაზიანების კოეფიციენტი 0,25-0,4-ია.

რეგიონის ტერიტორიაზე სტიქიური გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარებას და მათ პერიოდულ აქტივიზაციას განაპირობებს სხვა მიზეზებთან ერთად ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე - ტყის მასივების უსისტემო მასობრივი გაჩეხვა, არასწორი მორწყვა; მნიშვნელოვანი ფართობების დამარილება-დამლაშება; დაჭაობება; საძოვრების უყაირათო ექსპლუატაცია; ბალახის კორდის დარღვევა; პირველადი რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია სამთო მოპოვების ობიექტებზე, მათი კარიერული წესით და აფეთქებითი მეთოდებით დამუშავების გამო.

**საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2016 წელი**

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები											
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	74.3	75.1	74.2	73.6	74.4	74.5	74.7	75.2	75.2	72.9	72.9

წყარო: <http://www.geostat.ge/>

მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტის რამდენიმე თემში: დამია-გურარხი, კაჩალანი, კასუმლო, შულავერი, ყულარი, თამარისი უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყლის დაბინძურება, რაც გამოწვეულია სომხეთიდან შემომავალი მდ. დებედას დაბინძურებული წყლისგან. ეს მდინარე დაბინძურებულია ალავერდის ტერიტორიაზე არსებული ძვირფასი ლითონების მომპოვებელი საწარმოს მიერ, აგრეთვე ალავერდისა და შამლუხის სამთო გამამდიდრებელი კომბინატების მიერ. ასევე ადგილი აქვს მუნიციპალიტეტში არსებული ქვის მომპოვებელ-გადამამუშავებელი საწარმოების მიერ წარმოების პროცესში ჰაერის დაბინძურებას. აგრეთვე აღსანიშნავია გარემოს დაბინძურება უკანონო ნაგავსაყრელებით, რომლებიც განლაგებულია პრაქტიკულად ყველა სოფლის ტერიტორიაზე და წვიმის დროს ჩაირეცხება ნიადაგში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე ქვემო ქართლის შინამეურნეობების ოჯახების 16.4%-ს არც ერთი წევრი არ ყავს პრაქტიკულად ჯანმრთელი, ანუ ოჯახების 83.6%-ში მინიმუმ ერთი წევრი მაინც არის ჯანმრთელი. ამ კითხვაზე მიღებული მონაცემების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონის ოჯახებში პრაქტიკულად ჯანმრთელი საშუალოდ 3 წევრია. თუკი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას რაიონულ ჭრილში გავანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი წევრები უფრო ხშირად მარნეულის რაიონში მცხოვრებ შინამეურნეობებშია მაშინ, როცა ჯანმრთელობის პრობლემებს უფრო ხშირად თეთრწყაროს რაიონში მცხოვრები ოჯახები უჩივიან. ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ რეგულარულ მკურნალობას გასული 12 თვის განმავლობაში, ოჯახების 43.3%-ში ერთ წევრს მაინც ჰქონდა. რაიონების მიხედვით ქრონიკული დაავადებები უფრო ხშირად გავრცელებულია თეთრწყაროს რაიონში მცხოვრებ შინამეურნეობებში. კვლევაში მონაწილე ოჯახების 3.1%-ში არის ოჯახის ერთი წევრი მაინც, რომელიც მძიმედ დაავადებულია და საჭიროებს მუდმივ მოვლას (კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მძიმე დაავადებით დასნებოვანებული პირი ქვემო ქართლში სულ 114-ია).

2016 წლის დემოგრაფიულ მაჩვენებლებში ქვემო ქართლის რეგიონში გარდაცვლილთა რიცხოვნობა საკმაოდ მაღალია, მეხუთე ადგილზეა თბილისის, იმერეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთისა და კახეთის შემდეგ, მაგრამ მათგან განსხვავებით შობადობა უფრო მაღალია და მატება შეინიშნება. ზოგადად, საქართველოში რეგიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დემოგრაფიული მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების ფონზე ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების საფუძველს იძლევა ის დიდი პოტენციალი, რომელიც

რეგიონში კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის სახით გაგვაჩნია.

ქვემო ქართლს დიდი და უძველესი ისტორია აქვს. აქ გაიარა კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდი. შექმნილია უბრწყინვალესი თრიალეთის ყორღანების დიდი კულტურა, რომელიც უფრო ძველია ვიდრე ლეგენდარული კოლხეთი და მასთან დაკავშირებული მთიი არგონავტებზე. რეგიონში დღემდე შემორჩენილია ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ჩასახული ნაქალაქარი და სხვა ღირსშესანიშნაობები. მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და განსაკუთრებულ არქეოლოგიურ აღმოჩენად ითვლება პირველყოფილი ადამიანის ადგილსამყოფელისა და თვით ადამიანის ნაშთების აღმოჩენა დმანისის ნაქალაქარზე. სპეციალისტების მიერ დადგინდა, რომ დმანისელი ჰომინიდი ამ ტერიტორიაზე ბინადრობდა 1,8 მილიონი წლის წინათ და იგი ევროპასა და აზიაში უძველესია. შესაბამისად, დმანისის ევროპისა და აზიის ყველაზე ადრეულ დასახლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუში შემოგვინახა ბოლნისის სიონის ტაძარმა და იგი V საუკუნით თარიღდება. სულ ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთა შორის 300-მდე ტურისტულ მარშრუტებშია ჩართული. ქვემო ქართლში ერთი კურორტი - მანგლისი და რამდენიმე დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღება შესაძლებელი. საკურორტო ზონებია დმანისის, ბოლნისის, თეთრწყაროს, გარდაბნისა და ნალკის მუნიციპალიტეტებში.

ქვემო ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვ.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია კულტურულ - შემეცნებითი ტურიზმი. აგროტურიზმი განვითარებულია თამარისის და ყულარის თემების ტერიტორიაზე. გარკვეული საკურორტო პოტენციალი გააჩნია ახკერჰს. მარნეული შევიძლია განვიხილოთ როგორც შუალედური პუნქტი ქვემო ქართლის სამხრეთ ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც თბილისში იწყება და ბოლნისში მთავრდება.

ქვემო ქართლის ტერიტორიის ფართობის 1,57%-ზე მდებარობს გარდაბნის აღკვეთილი (3484 ჰა) და ალგეთის ეროვნული პარკი (6822 ჰა), რომელსაც გააჩნია რეკრეაციულ-კურორტოლოგიური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. ამჟამად, დაცულ ტერიტორიაზე განვითარებულია ეკოტურიზმის ისეთი



მიმართულებები, როგორცაა საფეხმავლო, საცხენოსნო და კულტურული ტურები. ტურისტთა მზარდი ინტერესის მაჩვენებელია პარკის ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა. ეროვნულ პარკს ეკო-ტურიზმის (სალაშქრო, საცხენოსნო, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვების, ეკოლოგიური და ბოტანიკური ტურები) განვითარების საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. შესაძლებელია ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართვა ეკო-ტურისტულ საქმიანობასა და სხვადასხვა სოციალურ პროექტებში, როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება გიდის სერვისის უზრუნველსაყოფად, საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარება და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა.

ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული ტურისტული პოტენციალი საკმარისია რეგიონში თუნდაც შიდა ტურიზმის განვითარებისათვის.

საქსტატის 2016 წლის მონაცემებით პირველ სამ კვარტალში ქვემო ქართლის რეგიონში დაფიქსირდა 184 ათასი ვიზიტორის შემოსვლა. 2015 წლის იმავე პერიოდის განმავლობაში რეგიონი მონახულა 172 ათასმა ვიზიტორმა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდა შეინიშნება, მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ტურიზმის განვითარება ქვეყნის მასშტაბით, ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ არ გაითვალისწინა SW Associates მიერ 2007 წელს მომზადებულ ტურიზმის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასა და გეგმაში მოცემული რეკომენდაციები, სადაც ნათქვამია: „მაღალი მხარჯველობითი პოტენციალის მქონე ვიზიტორების შემოსვლა დასავლეთევროპის ბაზრებიდან და შორეული ქვეყნებიდან საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ეკონომიკურ მდგრადობას სასტუმროების ქსელის მიმდინარე და ვიზიტორთა სხვა სახის მომსახურების განვითარებისათვის“, ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ისეთი ტურების შეთავაზება, რომელიც მიმზიდველი იქნება ტურისტებისათვის რათა საქართველოში და მის რეგიონებში ჩამოვიდნენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, პრიორიტეტებად მიჩნეულია მიმართულებები: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება; საბაზო ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განვითარება; სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა; ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება; ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება.

ქვემო ქართლის ტურისტული ობიექტები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, რეგიონში აღინიშნება სასტუმროების ნაკლებობა. ქ. რუსთავში ხუთი სასტუმროა. მუნიციპალიტეტებში საოჯა-

ხო ტიპის სასტუმროებმა ჯერჯერობით სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის წალკასა და დმანისში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. სექტორის მთავარ პრობლემებად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი - მომსახურების დაბალი ხარისხი.

### ქვემო ქართლის რეგიონის ტურიზმის განვითარებისთვის ფაქტორული (SWOT) ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>- შემეცნებითი ტურიზმის და აგროტურიზმის განვითარების პოტენციალი;</li> <li>- ნაციონალური მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული მონუმენტები;</li> <li>- სარეკრეაციო რესურსები;</li> <li>- მრავალფეროვანი კლიმატური პირობები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაბამისი მომსახურებისა და კადრების დაბალი დონე;</li> <li>- სასტუმროების, გასართობი ცენტრების, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და საინფორმაციო ცენტრების ნაკლებობა;</li> <li>- რეგიონის არასაკმარისი რეკლამირება;</li> <li>- მოძველებული სატრანსპორტო სისტემა</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>- ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამიზნე პროგრამები;</li> <li>- რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსების წარმატებული ათვისება;</li> <li>- ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული თავისებურებების კომერციალიზაციაში ინვესტირებული უცხოური/დონორული კაპიტალი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბუნებრივი კატასტროფები;</li> <li>- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება (ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება გარემოზე);</li> <li>- რეგიონული და მუნიციპალური განვითარების გეგმის სუსტი იმპლემენტაცია, მათ განხორციელებაზე სუსტი მინიტორინგი.</li> </ul>

მდგრადი სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კომპრომისი მოსახლეობას, გარემოსა და სახელმწიფოს შორის. სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემაში მიმდინარე პროცესები განისაზღვრება საზოგადოების მოღვაწეობის ოთხი კრიტერიუმით: 1. სამუშაო ძალა (მოსახლეობა-სოციალური ფაქტორები); 2. ადამიანის შრომით შექმნილი ძირითადი კაპიტალი (საზოგადოება-ბუნება); 3. ბუნების მიერ შექმნილი ძირითადი კაპიტალი (ეკოლოგია-ბუნება); 4. ნორმატიულ-საკანონმდებლო და

საკრედიტო-საფინანსო კომპონენტები(ინფრასტრუქტურა).

ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შემუშავდეს ეროვნული ეკოლოგიური პროგრამა, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო - ნორმატიული აქტების სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს აგრეთვე ამ სისტემის კონტროლის მექანიზმს. უნდა შემოღებულ იქნეს სხვადასხვა ადმინისტრაციული სანქციები და ჯარიმები, რაც უზრუნველყოფს დადგენილი ნორმატივების დაცვას. აუცილებელია ჩაჯდეს განსაზღვრულ ნორმაში ატმოსფერული ჰაერის მომნამვლელი გაზებით დაბინძურების მაჩვენებლები. ამისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას, დაბინძურებისაგან წყლის რესურსების დაცვას და ა.შ.

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური მექანიზმის შექმნისათვის აუცილებელია ექსტერნალიები (გარე ეკონომიკური ხარჯები externalities, eqsternal costs) აისახოს წარმოების ხარჯებში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველზე, იმ პრინციპით, რომ უნდა გადაიხადოს იმან ვინც უშუალოდ აბინძურებს გარემოს. ამ მექანიზმის დანერგვა საწარმოს აიძულებს ეძებოს ეფექტიანი გზები გარე ეკონომიკური ხარჯების შემცირებისათვის.<sup>4</sup>

მთავარი პრობლემა არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის ამოცანების ოპტიმალური შეხამება, ისე რომ არცერთი მხარე - არც ეკონომიკური განვითარება და არც გარემოს დაცვა არ დაზიანდეს. მიღწეულ იქნეს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ჩვეულებრივ, ტურისტულ პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე უნდა მომზადდეს ტურიზმის სტრატეგიული გეგმა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სექტორულ სტრუქტურებთან, ადგილობრივ ტურისტულ და ბიზნეს ოპერატორებთან, არასამთავრობო ორგანიზებთან და სამეცნი-

ერო ინსტიტუტებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მოხდეს მისი მიღება. გეგმა უნდა შეიცავდეს, სარსებულები და პოტენციური ტურისტული მიმზიდველობების ინვენტარიზაციას; უნდა ადგინდეს, რისი გაკეთებაა საჭირო ტურისტული შესაძლებლობების გასაფართოებლად; ასევე უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს მარკეტინგის და ადგილის მიმზიდველობის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სამიზნე ქვეყნების ნათელი სურათი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას პოტენციური ვიზიტორების და მათი სურვილების შესახებ. ზედმინეწვით უნდა იქნეს შესწავლილი ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და უნდა მომზადდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. მალლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიახლე“; თბილისი 2002
2. რაჯებაშვილი გ. ტურიზმის განვითარება საქართველოში, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თებერვალი, 2012
3. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ. 2014
4. სამოხინი ა. ა. ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები, კრასნოდარი 2009
5. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=196&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=196&lang=geo)
6. <http://factcheck.ge/>
7. <http://www.economy.ge/>
8. <http://static.mrdi.gov.ge/52b30e8f0cf2f9b6fab6b489.pdf>
9. <http://ww.bpn.ge/ekonomika/14696-sicockhlis-sashualo-khangrdzlivoba-shemcir-da-pensionertharaodenoba-ki-gaizarda.html?lang=ka-GE>
10. [http://www.for.ge/view.php?for\\_id=10230&cat=3](http://www.for.ge/view.php?for_id=10230&cat=3)
11. <http://www.cida.ge/site/index.php/Geo>

<sup>4</sup> მალლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიახლე“; თბილისი 2002 71,

# პოლიტიკა და სამართალი

## ტრანსფორმაციული ლიდერობა და ტანდემი - დავით აღმაშენებელი და გიორგი მნიგნობართუხუტესი-ჭყონდიდელი

დარეჯან ცუცქირიძე,  
სტუ-ს ასისტენტი-პროფესორი,  
ნინო პეტრიაშვილი  
კონფლიქტოლოგი

### რეზიუმე

სტატია ეხება ტრანსფორმაციული ლიდერობის საკითხებს XI-XII საუკუნეების მიჯნის საქართველოში. ავტორები ითვალისწინებენ შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, ასევე ტრანსფორმაციული ლიდერობის თეორიულ ასპექტებს და ასკვნიან რომ დავით IV აღმაშენებლის მმართველობის დროს ლიდერობის ფორმა ტრანსფორმაციული იყო. ავტორები გვთავაზობენ მეტად თამამ მიდგომას საკითხისადმი და გვიჩვენებენ რომ დავით IV აღმაშენებლის ლიდერობა განვიხილოთ გიორგი მნიგნობართუხუტესთან ტანდემის კუთხით. ავტორები ავლენენ ტანდემური მუშაობის გადამწყვეტ როლს რეფორმებისა და ფუნდამენტური ცვლილების განხორციელებისათვის, რამაც საქართველოს სახელმწიფო განვითარება და წარმატება განაპირობა. საკუთრივ მაგალითი საინტერესოა, რამდენადაც, ტრანსფორმაციული ლიდერობის თქმის ყველა თვისება აღინიშნება: დიადი მიზანი, პროგრესისკენ სწრაფვა, ორიენტირება გრძელვადიან პრესპექტივაზე, მორალურ-ეთიკური კომპონენტი, პიროვნული თვისებების როლი, ტანდემური მუშაობა, ახალი პოზიციებისა და ახალი ინსტიტუტების შექმნა, ფუნქციების განაწილება.

ავტორები ასკვნიან რომ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებას გადამწყვეტი ნიშნელობა აქვს და აუცილებელია დღევანდელ გლობალიზებულ და სხვადასხვა ხასიათის კატაკლიზმებით აღსავსე სამყაროში არსებული რთული პროცესების სტრატეგიების წარსამართად.

### TRANSFORMATIONAL LEADERSHIP AND TANDEM: DAVID IV THE BUILDER AND GIORGI MTSIGNOBARTUKHUTSESI

Darejan Tsutskiridze, Assistant Professor of GTU,  
Nino Petriashvili, Conflictologist

### R E S U M E

The article concerns the matters of transformational leadership in Georgia at the end of the XI – beginning of the XII century. The authors contemplate the social-political factors that existed in Georgia during the middle ages, as well as theoretical aspects of transformational leadership and conclude that the leadership under the reign of David IV the Builder was transformational. The authors offer a very provocative approach to the matter and suggest to view the leadership of David IV the Builder through tandem with Giorgi Mtsignobartukhutsesi-Chkondideli. The authors reveal the crucial role of working in tandem regarding reforms and fundamental change that eventually led to Georgia's state development and success. The case itself is interesting, and almost all the signs of transformational leadership can be applied to it: higher purpose, aspiration for progress, orientation on a long-term perspective, moral-ethical component, personal qualities, tandem, establishing institutions, imposing/distributing responsibilities. The authors conclude that it is critical and urgent to consider the accumulated experience in order to lead the strategies of current complex processes in the modern globalized world full of cataclysms.

\* \* \* \*

სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ლიდერსა და ლიდერობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ეთმობა, რაც დიდწილად თანამედროვე გამოწვევებითა და საზოგადოებაში არსებული ინტერესითაა განპირობებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალგზისი მეცნიერული გამოკვლევებისა და თვალსაზრისის მიუხედავად,

საკითხი ბოლომდე შესწავლილი არ არის და არც აქტუალობას კარგავს. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვლევები ძირითადად ახალი და უახლესი ისტორიის ტენდენციების გათვალისწინებით მიმდინარეობს და შედარებით ადრეულ პერიოდს ნაკლები ყურადღება ექცევა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აღნიშნული პრობლემატიკის სწორედ ამ მიმართულებით აქტუალიზაცია, ვინაიდან ერთი მხრივ, წარსულის გამოცდილების შესწავლა-გაზიარება და მეორე მხრივ, გათვალისწინება დღეს მიმდინარე საკმაოდ რთული პროცესების სტრატეგიის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია, შუა საუკუნეებში ტრანსფორმაციული ლიდერობის საკითხი, რომელიც როგორც მოსალოდნელი იყო, ფაქტობრივად, შეუსწავლელი აღმოჩნდა.

**ლიადი მიზნისა და პროგრესისკენ  
სწრაფვა - ორიენტირება გრძელვადიან  
პერსპექტივაზე**

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მნიშვნელოვანი და საინტერესო დავით IV აღმაშენებლის მეფობის პერიოდია. მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სხვა ცვლილებების შედეგად, მოხდა ქვეყნის მართვის სადავების ცენტრალიზაცია [1, 55] / შეიქმნა ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

**მორალურ-ეთიკური კომპონენტი -  
პიროვნული თვისებების როლი**

ტრანსფორმაციული ლიდერები თანამშრომლობის დროს ხელს უწყობენ მოტივაციისა და მორალური ნორმების ამალგებას [2, 91] და რაც მთავარია, საზოგადოების ამოქმედებას, რის შედეგადაც გრძელვადიანი კოლექტიური მიზნები მიიღწევა [3, 12]. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიდერის პიროვნულ თვისებებსა და გავლენის უნარს. დავით IV აღმაშენებელი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის, განათლებისა და დანიანურებისთვის მზრუნველი მმართველი, [4,216] გამოირჩეოდა ლიდერისათვის დამახასიათებელი მრავალი თვისებით - გამჭრიახი გონებით, მიზანდასახულობითა და მიზანსწრაფულობით, სითამამითა და გაბედულებით, წინდახედულებით, ძლიერი ნებით; გადანყვეტილების მიღების, ანალიტიკური აზროვნების, სამხედრო და სხვა უნარებით; ასევე, დავით აღმაშენებელს თითქმის ყველა ის პიროვნული თვისება ახასიათებდა, რომელიც ბენჯამინ სმითის თვალსაზრისით, შუა საუკუნეების ლიდერისათვის იყო ნიშანდობლივი: კერძოდ, ხედვა, სიქველე, მოთმინება, ერთგულება, ზნეობრიობა [5]. იგი იყო თვითმყოფადი, ყოველგვარ სიყალბეს მოკ-

ლებული, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მიმდევრებისა და სრულიად ერისათვის. დავით აღმაშენებლის ეპოქაში არსებული ღირებულებების: რწმენის, გამირობის, ერთიანი და ძლიერი საქართველოს იდეის შენარჩუნება-განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რასაც მხოლოდ ზემოაღნიშნული თვისებებით დაჯილდოვებული ლიდერი, ტრანსფორმაციული ლიდერი თუ განახორციელებდა, რომელიც მაგალითის მიმცემი და შთამაგნებელი იყო ქართველი ერისათვის ბრძოლის ველსა თუ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ის გარემოებაც იყო, რომ მას სამეფო გვირგვინი სრულიად ლეგიტიმურად გადაეცა, რის გამოც მისი სანდოობისა და ლეგიტიმურობის საკითხი ეჭვქვეშ არ დამდგარა [6, 586]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს კიდევ; „ამას მარტოდ-შობილსა გიორგისგან, თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისად; - და, უჭემარიტესი ითქუნ: | თვთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონად თვსი, და საცხებელი მისი წმიდად სცხო; რამეთუ ჳელი მისი შეენია და მკლავმან მისმან განაძლიერა | იგი” [7, 307]. აქვე მოვიხმობთ ორან იანგს, რომელიც მიიჩნევს, რომ ეფექტიანი ლიდერი ლიდერობის რამდენიმე ფორმას უნდა აერთიანებდეს [8, 303]. რაც მას განსაკუთრებულ მოქნილობას ანიჭებს. ტრანსფორმაციულის გარდა დავით აღმაშენებლის ლიდერობა ასევე გამოირჩეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის რიგი საკითხებისადმი დემოკრატიული მიდგომებით. ივანე ჯავახიშვილი მეფის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო ცხოვრებაში დემოკრატიულს უწოდებს, კერძოდ კი წამოსწევს ეკლესიის დემოკრატიზაციისა და სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში მოხელეთა პირადი ღირსებითა და ერთგულებით დაფასების საკითხს [4, 357, 212-215], ასევე აღსაღნიშნავია, მეფის უნარი ყოფილიყო ღია და ტოლერანტული სხვა კულტურისა და აღმსარებლობის მიმართ [4, 217-218, 358].

**ტანდემური მუშაობა - ახალი პოზიციებისა  
და ინსტიტუტების შექმნა -  
ფუნქციების განაწილება**

აღნიშნული საკითხის კვლევისას, ტრანსფორმაციულ ლიდერობას განვიხილავთ არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის მმართველობის, არამედ მისი და გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამშრომლობის ასპექტით. რაც ჩვენი აზრით, ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული, პირველი, ტრანსფორმაციულ ლიდერს აუცილებლად ჰყავს ისეთი ერთგული თანამოაზრე და თანამებრძოლი, რომელთან ერთადაც ტანდემში წარმატებულად მუშაობს; და მეორე, დავით აღმაშენებლისა და გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტანდემი,

შეთანხმებული და მიზანზე ორიენტირებული მოქმედებები XI-XII საუკუნეების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად იქცა, სწორედ აქედან გამომდინარე, ურთიერთობის ამგვარი ფორმა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ტრანსფორმაციული ლიდერობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება. ისმის კითხვა, რას ეფუძნებოდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტანდემი, რომელიც საქართველოს ისტორიაში გამორჩეული მოვლენა იყო. რასაკვირველია, მაღალი მორალური და ინოვაციური კომპონენტების შემცველ დიად მიზნებს [2, 91]. საერთო ღირებულებებსა და მორალურ კოდებს, მორალურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობას, შიდა და გარე ფაქტორების ობიექტურად აღქმისა და ობიექტურად შეფასების უნარს, სწორ სტრატეგიულ ხედვებს, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ გამონვევებზე გააზრებულ რეაგირებას. ტრანსფორმაციული ლიდერები და მათი თანამოაზრეები და თანამებრძოლები ცვლილებებზე არიან ორიენტირებული და ბუნებრივია, გამონვევებსაც ერთად უმკლავდებიან. შესაბამისად, სათანადო და სანდო თანამოაზრეების შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მიზნებსაც დათქმულ ვადებში სწორედ მათზე დაყრდნობით ახორციელებენ.

საოცრად გამჭრიახი და ფართო თვალსაზრისის მქონე მეფისათვის გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პიროვნული ღირსებები, პროფესიული უნარები და მაღალი ზნეობრიობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. რადგან იგი ხორციელისა და სულიერის, საერო და სასულიერო საქმეების ერთ პიროვნებაში თავმოყრის ხორცშესხმული მაგალითი გახლდათ. დავითის ისტორიკოსი გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჳორცთადათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანა-აღზრდილი [პატრონთა] აღმზრდელი პატრონისა და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუანლთა მისთა“ [7, 319]. გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არა მხოლოდ მეფის ნებას აღასრულებდა, არამედ თავადაც ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ, რომლისთვისაც უმთავრესი იყო სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მეფისადმი ერთგულება და თითოეული მისი ნაბიჯი სწორედ ამით იყო ნაკარნახევი. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ რეფორმატორულ პოლიტიკაში მას ცენტრალური ადგილი უკავია, რასაც საერთო მორალური ღირებულებებისა და მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობის გარდა, სხვა, კერძოდ, ნდობის ფაქტორიც განაპირობებდა.

ტრანსფორმაციული ლიდერებისათვის ნიშანდობლივია ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრება-

ში გარდატეხის შეტანა. რეფორმების გატარებით, ახალი ინსტიტუტებისა და პოზიციების დაარსებით, სიახლეების დანერგვით ისინი საშინაო თუ საგარეო ურთულეს გამონვევებს წარმატებით უმკლავდებიან. დავით აღმაშენებლის ძალისხმევით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა სამოხელეო აპარატის შექმნისა და სამხედრო გაძლიერების კუთხით. მის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს შორის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საეკლესიო რეფორმას, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციას უწოდებს [4, 357]. ეკლესიაში განხორციელებული მნიშვნელოვანი გარდაქმნების პარალელურად, ისიცაა საყურადღებო, რომ ეკლესია ხელისუფალთა და მთლიანად ერის მორალურ საყრდენს, წარმოადგენდა. მორალური კომპონენტი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსფორმაციული ლიდერობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. რაც შეეხება მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნას, მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს სამეფო ხელისუფლების რეფორმატორული საქმიანობის [9, 379] გვირგვინი. ორი თანამდებობის მნიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის გაერთიანებით, შესაბამისად, ახალი პოზიციის შექმნით, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა და ქვეყანაში მეფის შემდეგ უმაღლესი თანამდებობა ღირსებით გამორჩეულმა, მეფის პოლიტიკის მხარდამჭერმა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მომხრე მღვდელმთავარმა გიორგიმ დაიკავა [10, 141] გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს გამთლიანებისა და სამხედრო გაძლიერების საქმეში (საქართველოს იურისდიქციაში სამშვილდისა და რუსთავის ციხეების დაბრუნება, ყივჩაღთა ჩამოსახლება [1,56]. სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სასამართლო, რომელიც „უზუნაეს საფეხურშიც მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დანესებულებად იქცა“ [4, 217] და „ყველა იმ საკითხებს არჩევდა და სწყვეტდა, რომელნიც წინათ მომჩივართა მიერ აჯა-მომხსენებლის სახით მეფისათვის იყო ხოლმე წარდგენილი“ [4, 358]. მისი ხელმძღვანელობა მეფემ გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ჩააბარა. ამ ყოველივეს განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა რომ არა მეფის უდიდესი ნდობა გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მიმართ. დავით აღმაშენებლის მიერ ისეთი ინსტიტუტების დაარსება როგორც იყო საგანმანათლებლო - გელათის აკადემიისა და სამედიცინო დანიშნულების - ქსენონის [4, 216-218, 259], სახით კიდევ ერთხელ მიგვითითებს ტრანსფორმაციული ლიდერობის ნიშნებზე.

**დასკვნა**

ორმხრივი კვლევის, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს, კერძოდ, XI-XII საუკუნეების მიჯნის, ისე ლიდერობის ფენომენის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, დავით აღმაშენებლის მმართველობა ლიდერობის ტრანსფორმაციულ ფორმასთან შესაბამისობით ამოვსენით. ჩვენ მიერ შესწავლილ მაგალითში ტრანსფორმაციული ლიდერობის თითქმის ყველა ნიშან-თვისება აღინიშნება:

1. დიადი მიზანი;
2. პროგრესისკენ სწრაფვა;
3. ორიენტირება გრძელვადიან პრესპექტივაზე;
4. მორალურ-ეთიკური კომპონენტი;
5. პიროვნული თვისებების როლი;
6. ტანდემური მუშაობა;
7. ახალი პოზიციისა და ახალი ინსტიტუტების შექმნა, ფუნქციების განაწილება.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებლისა და გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტანდემი საერთო დიადი მიზნის მისაღწევად ორი თვითმყოფადი ლიდერის თანამშრომლობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა. ჩვენი კვლევის საფუძველზე დადასტურდა და გამოიკვეთა ტრანსფორმაციული ლიდერობის მაგალითი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში და ტანდემური მუშაობის გადამწყვეტი როლი რეფორმებისა და ფუნდამენტური ცვლილებისათვის, რამაც შედეგად ქვეყნის უდიდესი წარმატება განაპირობა. ლიდერობის ამგვარი გამოცდილება დღევანდელ გლობალიზებულ და სხვადასხვა ხასიათის კატაკლიზმებით აღსავსე სამყაროში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, ვინაიდან დღეს იშვიათია ისეთი ტანდემი, როდესაც ქვეყნის წამყვან პირებს შორის მიზნისა და მიზნის მიღწევის გზებთან დაკავშირებით აბსოლუტური თანხვედრაა. როდესაც არ არსებობს ანგარება და პირადი ამბიციისა და მათი თითოეული ქმედება მხოლოდ ქვეყნისათვის უანგარო სამსახურითაა განპირობებული. მხოლოდ ასეთ შეთანხმებულ თანამშრომლობას შეუძლია საზოგადოების გაძლიერება დიადი მიზნისკენ და ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდი გარდაქმნების განხორციელება.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლორთქიფანიძე მარიამ, გიორგი ჭყონდიდელი, ჯვარი ვაზისა №1, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989
2. Bell S. David, Political Science, The Oxford Handbook of Leadership, Edited by R.A.W. Rhodes, Paul t'Hart, Oxford university Press, 2014
3. Burns, M. James, Transformational Leadership, Oxford, Oxford University Press, 2003
4. ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1983
5. Principles of Leadership in the Middle Ages: The case of Rodrigo Díaz de Vivar Benjamin Smith, PhD <http://web.mnstate.edu/smithbe/CID%20Leader.pdf>, საბოლოოდ გადამონმებულ იქნა 30. 04. 2017
6. Parker F. Charles And Karlsson Christer, Leadership and International Cooperation, The Oxford Handbook of Leadership, Edited by R.A.W. Rhodes, Paul t'Hart, Oxford University Press, 2014 6.
7. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრებად მეფით-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, „მერიდიანი“ „არტანუჯი“, თბილისი, 2008
8. Oran R. Young Political Leadership and Regime Formation: On the Development of Institutions in International Society, International Organization, 45/3:281-309, 1991
9. მეტრეველი როინ, ნიგნში საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დრიდან XX საუკუნის ბოლომდე), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, ტომი მეორე, საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, რედ.როინ მეტრეველი, თბილისი, 2012.
10. აბაშიძე ზაზა, კიდევ ერთხელ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს შესახებ, რელიგიის ისტორიის საკითხები. №2, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია, თბილისი, 2013.

# შრომის ინსპექცია - საერთაშორისო პრაქტიკა, საპარტულაბრივი პრობლემაბი და მათი გადაჭრის გზები საქართველოში

კობა ჩიხლაძე  
სამართლის მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

## LABOR INSPECTION - INTERNATIONAL PRACTICE, LEGAL PROBLEMS AND WAYS TO SOLVE THEM IN GEORGIA

Koba Chikhladze - Academic Doctor of Law Sciences

### RESUME

The Labor Code imposes an obligation to create labor safety conditions in the workplace. In particular, the Code establishes the obligation to ensure the safe and working environment of the employee's life and health (Article 35.1 of the Labor Code).

On the one hand, the employer must constantly try to introduce a security preventive system, and on the other hand, the role of the state is to support and control the implementation of the employer's obligations.

Until 2015 Georgia has no leverage or state institution to carry out this supervision. In order to protect labor rights, to reduce the risk of occupational injuries and professional disease, and to promote economic development, the State has created a supervisory body as a labor inspection. In this article we tried to maximize the international experience of labor inspection, its legal problems in Georgia, and to provide our vision of solving these problems to minimize the number of accidents.

შრომის კოდექსი დასაქმებულს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას შრომის უსაფრთხო პირობები სამუშაო ადგილზე. კერძოდ, კოდექსი ადგენს დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფის ვალდებულებას (შრომის კოდექსი მუხლი 35.1) [1]

ერთის მხრივ, დამსაქმებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს უსაფრთხოების პრევენციული სისტემის დანერგვას, ხოლო, მეორეს მხრივ, ცალსახა სახელმწიფოს როლი - ხელი შეუწყოს და კონტროლის მექანიზმი შეიმუშაოს დამსაქმებელთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

2015 წლამდე საქართველოში სახელმწიფოს არანაირი ბერკეტი ან სახელმწიფო ინსტიტუტი არ

გააჩნდა აღნიშნული ზედამხედველობის განსახორციელებლად. დასაქმებულთა შრომის უფლებების დასაცავად, საწარმოო ტრავმების შემთხვევებისა და პროფესიული დაავადების შემცირების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ შექმნა საზედამხედველო ორგანო - შრომის ინსპექციის სახით.

**ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია**

*მადლენა კონონაშვილი  
სოციალურ მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი*

**NATO - NEW ARCHITECTURE OF BLACK SEA SECURITY**

**Madeleine Kotsotsashvili**  
AC. Dr. of Social Sciences

**RESUME**

In geopolitical terms, the broader Black Sea region serves as a link between the Caspian, the Aegean, and the Mediterranean basins and constitutes a lucrative corridor to the Middle East. Therefore, historically, establishing control over principal trade routes crossing the Black Sea has always been the interest of global powers. Following the end of the Cold War, the Black Sea region found itself encompassed within the United States' interests due to three key factors: the extension of democracy, security cooperation, and diversification of energy resources. The democratic development of the countries in the region, as well as their close military cooperation with NATO member states is fundamentally contradictory to Russia's interests. The development of alternative projects for the transport of oil and gas to Europe via the region is no less unacceptable for Russia.

Following the annexation of Crimea, the unprecedented militarization carried out by the Russian Federation has shifted the military balance in the Black Sea region in Russia's favor. The latter has enhanced the Black Sea Fleet, as well as air defense facilities and long-range guided missile systems in Crimea, by which Russia can easily reach the mainland territories of all of the Black Sea countries.

Given that three littoral states in the region are members of NATO, the Alliance perceives Russia's significant military advantage and its aggressive policies in the region as an alarming threat to the Black Sea region and as a challenge for the Euro-Atlantic security as a whole. Moreover, the Black Sea region is a stage where NATO and Russian military forces interact most closely, which is a source of constant tension.

\* \* \* \*

შავი ზღვა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკურ არტერიად რჩება, უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთისა და რუსეთის მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი გახდა. სამწუხაროდ, ნატომ გვიან მიაქცია ყურადღება შავ ზღვაზე რუსეთის სასარგებლოდ შექმნილ ახალ რეალობას. ეს საკითხი

დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაისვა, თუმცა რუსეთის მიზნები აღნიშნულ რეგიონში სავსებით ნათელი იყო მაშინაც, როდესაც მან აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ფაქტიურად ხელში ჩაიგდო საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი მონაკვეთი. ოკუპირებული ტერიტორია სულ მალე რუსეთის მძლავრ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.

ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთმა უპრეცედენტო მილიტარიზაცია განახორციელა შავ ზღვაზე, რამაც სამხედრო ბალანსი რეგიონში არსებითად შეცვალა მის სასარგებლოდ. მას უკვე ხელი მიუწვდება შავი ზღვის აკვარტორიის ყველა სახელმწიფოს თითქმის სრულ ტერიტორიაზე.

ყირიმის მილიტარიზაციამ, რაც შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებაში, ნახევარკუნძულზე საჰაერო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად ახალი დაჯგუფების შექმნაში გამოიხატა, ნატოს საპასუხო ზომების მიღებისაკენ უბიძგა. 2016 წლის იანვარში რუმინეთმა გააუღერა ინიციატივა ნატოს წევრი შავიზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი) ერთობლივი ფლოტილის შექმნის შესახებ, რომელიც ამერიკის, იტალიისა და გერმანიის სამხედრო ხომალდებით გაძლიერდებოდა. საქართველომ და უკრაინამ არაერთხელ გამოთქვეს რუმინეთის ინიციატივასთან მიერთების სურვილი.

შავი ზღვის რეგიონი საკვანძო ადგილი უკავია კასპიის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებს შორის და ხელსაყრელ დერეფანს ქმნის ახლო აღმოსავლეთში გასასვლელად. ამდენად ბუნებრივია, რომ მსოფლიო დომინანტი ძალების ინტერესის სფეროში ყოველთვის შედიოდა შავ ზღვაზე კონტროლის დამყარება.

რუსეთისთვის მიუღებელია როგორც რეგიონის ქვეყნების დემოკრატიზაცია და მათი მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ასევე რეგიონის გავლით, ევროპისაკენ ნავთობისა და გაზის ალტერნატიული პროექტების განვითარება. შავ ზღვაზე გავლენის გაზრდისა და რეგიონის დასავლეთთან დაახლოების შესაფერხებლად, რუსეთი ქმნის და ინარჩუნებს კონტროლს რეგიონში არსებულ კონფლიქტურ კერებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის სამი ზღვისპირა სახელმწიფო ნატო-ს წევრია, რუსეთის მნიშვნელოვან სამხედრო უპირატესობას რეგიონში და მის აგრესიულ პოლიტიკას ნატო აღიქვამს, რო-

გორც შემაშფოთებელ გამოწვევას და საფრთხეს შავი ზღვის რეგიონისა და მთლიანად ევროატლანტიკური სივრცისთვის.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც ნატო სათანადოდ არ არის წარმოდგენილი შავ ზღვაზე, თურქეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკაა. რეგიონში ნატო-ს როლის შესაძენად, თურქეთის ინიციატივით, 2001 წელს შეიქმნა მრავალეროვნული სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი „ბლექსი ფორი“, რომელიც მოგვიანებით გაძლიერდა საზღვაო-სამეთვალყურეო ოპერაცია „შავი ზღვის ჰარმონის“ მეშვეობით. რამაც, გამოიწვია ის, რომ შავი ზღვა დღეისათვის არის ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მონყვლადი და ნაკლებად დაცული სეგმენტი. თუმცა სირიის საზღვართან არსებული რთული ვითარების გამო თურქეთის უსაფრთხოება მეტად დამოკიდებულია ნატო-ს ე.წ. „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებზე. თურქეთს იძულებულია შავი ზღვის უსაფრთხოების თანამშრომლობის საკითხში რუსეთთან და ნატო-სთან ბალანსი შეინარჩუნოს.

ისიც უნდა ითქვას, რომ აშკარად იგრძნობა ნდობის ნაკლებობა რეგიონის ქვეყნების საერთო პოლიტიკურ განრიგში, რაც ფაქტობრივად რეგიონალური თანამშრომლობის ყოველგვარ მცდელობებს ძირს უთხრის. რეგიონის არცერთ სახელმწიფოს შავი ზღვის მიმართ თანამიმდევრული და მიზანდასახული პოლიტიკა არ გააჩნია.

უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ხდება სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეების რუსეთის საფრთხესთან შერწყმა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონულ უსაფრთხოებას. ასევე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ნატო-ს წევრი ზღვისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოების გაძლიერებას და მოითხოვს უფრო სტრატეგიულ და სისტემურ მიდგომას, ევროპული უსაფრთხოებისთვის რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა უმოკლეს პერიოდში შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების როლის გასაზრდელად. ამ ეტაპზე საქართველო და უკრაინა ალიანსისგან კონკრეტულ წინადადებებს ელოდებიან და გამოხატავენ მზადყოფნას მათ ხელთ არსებული საშუალებებით სრულად ჩაერთონ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებულ ნატო-ს ღონისძიებებში.

შავ ზღვაზე 1936 წლის მონტროს საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ამერიკის და ყველა დანარჩენი არასანაპირო სახელმწიფოს სამხედრო

გემებს 21 დღეზე მეტით დარჩენა ეკრძალებათ, ამასთან, მათი საერთო წყალწყვა 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებს შავი ზღვის მუდმივად პატრულირება მხოლოდ ნატოს გაერთიანებული ფლოტილის შემადგენლობაში შეეძლება, რადგან შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებს შორის ალიანსის წევრი სამი ქვეყანაა თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი.

მოლოდინი იმისა, რომ ნატი გაააქტიურებდა პოლიტიკას შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ, გარკვეულწილად გამართლდა. ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადების 10-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებას შავი ზღვის აუზში, იყენებს იქ განლაგებულ სამხედრო პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერებისა და დემონსტრირებისთვის, რაც ნატოს ქვეყნებისთვის დამატებითი რისკის ფაქტორს და გამოწვევას წარმოადგენს. იმავე განცხადების 23-ე პუნქტში კი ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში უსაფრთხოების კუთხით ვითარება შავ ზღვაზე გაუარესებულია. ამასთან დაკავშირებით, ნატო გამოთქვამს მზადყოფნას მხარი დაუჭიროს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ, აგრეთვე აღნიშნულ საითხზე გაააქტიუროს დიალოგი საქართველოსთან და უკრაინასთან. შავი ზღვის უსაფრთხოების თემა ასახულია ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაში. მასში ნათქვამია, რომ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართულობას სტრატეგიულ დისკუსიაში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში; დადასტურებულია, რომ ნატო მეტ ყურადღებას მიაპყრობს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

როგორც ვხედავთ, ნატოს ვარშავის სამიტის დოკუმენტებში საუბარი არ არის კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგრამ ისინი შეიცავენ მკაფიო გზავნილებს კრემლისთვის, რომ შავ ზღვაზე არ იქნება დაშვებული რუსეთის სტრატეგიული უპირატესობა. ცხადია, ნატო გააქტიურდება შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და ამ პროცესში თავისი ადგილი ექნებათ ალიანსის არანევრ საქართველოსა და უკრაინას.

საგულისხმოა, რომ ვარშავის სამიტამდე ნატოს არ გააჩნდა პროაქტიური სტრატეგიული ხედვა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში საკუთარი როლის შესახებ. ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს სამოქმედო გეგმები შავ ზღვაზე გამომდინარეობდეს მოკავშირეებისა და ალიანსის სტრატეგიული პარტნიორების გრძელვადიანი ინტერესებიდან და არ ეფუძნებოდეს მხოლოდ რუსეთის მიერ ნაკარნახევ რეალობასთან მორგებასა და მათზე ერთჯერად საპასუხო ქმედებებს. ნატო-ს ინტერესებში შედის, რომ სრულად იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ წევრი ქვეყნების, არამედ სტრატეგი-

ული პარტნიორების თავდაცვითი პოტენციალი. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების, შვედეთისა და ფინეთის, ჩართულობის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ბალტიის რეგიონის სრულფასოვანი დაცვა. ანალოგიურად მნიშვნელოვანია საქართველოსა და უკრაინის როლი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

ასეთია ზოგადი სურათი, თუმცა ჯერ არავინ იცის, კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება. არც ის არის ცნობილი, როგორ უნდა გადაილახოს შავ ზღვაში ნატოს ყოფნის გაზრდის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორი, როგორც არის 80 წლის წინ, 1936 წ. 20 ივლისს, შვეიცარიის ქ. მონტროში ხელმოწერილი კონვენცია, რომელიც იმავე წლის 9 ნოემბრიდან ამოქმედდა. იგი არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს. დოკუმენტს ხელს აწერენ თურქეთი, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და იაპონია.

მონტროს კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გემებს (გარდა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გემებისა) მინიჭებული აქვთ შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში (მუხლი მე-2-7). სამხედრო გემებისთვის კი გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. ძირითადად იგი ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს. მშვიდობიან პერიოდში მათ შეუძლიათ შავ ზღვაში შემოიყვანონ არაუმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემებისა და იყოლიონ იქ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში (მუხლი მე-18). შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის ეს შეზღუდვა არ მოქმედებს.

კონვენციის აღნიშნული მოთხოვნა აიძულებს ხმელთაშუა ზღვაში დისლოცირებული ამერიკის საზღვაო ძალების 6-ე ოპერატიული ფლოტის სათანადო კლასის გემებს შემოვიდნენ შავ ზღვაში მხოლოდ როტაციის წესით. ამასთან დაკავშირებით, მომწიფდა საკითხი მონტროს კონვენციაში ცვლილებების შეტანის გზით არსებული შეზღუდვის მოხსნის შესახებ. პროცედურულად ეს შესაძლებელია. როგორც ცნობილია, კონვენციის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ყოველ 20 წელიწადში ხდება. მიმდინარე წელს მისი მიღებიდან და ამოქმედებიდან 80 წელი სრულდება, რაც მშვენიერი საბაზია კონვენციაში ცვლილებების შესატანად.

ვინაიდან ნებისმიერი ცვლილება მონტროს დოკუმენტში პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ეხება ოკუპირებულ აფხაზეთს და იქ განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს, ქართულ მხარეს მართებს სერიოზული დაფიქრება ამ საკითხებზე. პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ ცვლილებების შეტანა მონტროს კონვენციაში არის აუცილებელი, რისი უშედეგო მცდელობები

გასული ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ ყოფილა. მაინც რა სახის ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი? რა უფრო მომგებიანია საქართველოს უსაფრთხოებისთვის - ცვლილება, რომელიც ხელს შეწყობს, შავი ზღვის შემდგომ მილიტარიზაციას და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას თუ, პირიქით, რომელიც შეამცირებს მილიტარიზაციისა და დაპირისპირების დონეს?

ელემენტარული სალი აზრი გვკარნახობს, რომ შავი ზღვის მილიტარიზაციის დონის შემცირება უფრო მომგებიანია რეგიონის, მათ შორის საქართველოს, უსაფრთხოებისთვის, ვიდრე იარაღის ჟღარუნი და ძალის დემონსტრირება. შესაძლო ცვლილებებიც მონტროს კონვენციაში შავ ზღვაში დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონვენციაში შესატანი ცვლილებების იდეის დონეზე წამოყენება. ჩვენი აზრით, ნებისმიერ შავიზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახდენს მისი ტერიტორიის ოკუპაციას და ანექსიას, უნდა ჩამოერთვას შავი ზღვის სრუტეებში როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემების თავისუფლად გატარების უფლება. ცხადია, იგივე ნორმა უნდა დაწესდეს ამა თუ იმ შავიზღვისპირა სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში მყოფი არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს მიმართაც.

სათანადო დახვეწისა და დაკონკრეტების შემდეგ შემოთავაზებული წინდადების მიღება უეჭველად ხელს შეწყობს შავი ზღვის რეგიონში შექმნილი დედაბულობის განმუხტვას, მის დემილიტარიზაციას, მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქციაც შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე-19-21). ისინი საკმაოდ საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს, ნაკლებად ან საერთოდ არ იცავენ დანარჩენი შავიზღვისპირა სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის მოკავშირეთა ინტერესებს. კონვენციის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია შავ ზღვაში სამხედრო დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია, რომელიც არავის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

თუკი შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია განხორციელდა, ცხადია ნატოს ექნება შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად შემოვიდეს სამხრეთ კავკასიაში და ორმხრივი სერიოზული კავშირები დაამყაროს სტატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან, და რა თქმა უნდა საქართველოსთან. ეს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რუსეთის ზეგავლენის შესამცირებლად კავკასიის და შავი ზღვის რეგიონში.

შესაბამისად 2016 წლის 8-9 ივლისს ვარშავაში ნატოს სამიტის მთავარი ამოცანა შავ ზღვაზე

ნატოს ფლოტის შექმნა იყო, რომლის გემები აღჭურვილი იქნება ერთიანი ამერიკული რაკეტსა-ნინაალმდეგო სისტემის ელემენტებით. მაგრამ სამიტამდე 4 დღით ადრე ბულგარეთმა შავი ზღვის პატრულირებაზე უარი თქვა, რადგანაც თურქეთის გაძლიერების ემინია - მონტროს კონვენციით, შავი ზღვის აუზის ნამყვანი ქვეყნის, რომელსაც ბულგარეთზე და რუმინეთზე შეუდარებლად მძლავრი სამხედრო საზღვაო ფლოტი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ ექვსი შავიზღვისპირა სახელმწიფოდან სამი ნატოს წევრია, დღესდღეობით შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერ მოთამაშედ მაინც რუსეთი რჩება. ერთადერთი ძალა, რომელიც შეიძლება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ გამოვიდეს, ეს თურქეთია. ამჟამად ანკარა მოსკოვთან უფრო კარგი ურთიერთობები აქვს, ვიდრე ბრიუსელთან. ასე რომ, ნატოს რეალური გაძლიერება შავი ზღვის აკვატორიაში ამ ეტაპზე არარეალისტურად გამოიყურება.

დღეს ამკარად გამოიკვეთა ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოპოლიტიკური ღერძი, რომელიც რუსეთს თურქეთთან აკავშირებს. ამ ქვეყნების ლიდერები მჭიდროდ ორმხრივ ურთიერთობებს სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ. იმავდროულად შავი ზღვის რეგიონში დასავლეთ-აღმოსავლეთის დაყოფა შეინიშნება ვინაიდან ნატო და ევროკავშირი დასავლეთ სანაპიროს მიუახლოვდნენ, მაშინ როცა აღმოსავლეთი სანაპირო ამ ორგანიზაციების მიღმა დარჩა. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოება თანაბრად გარანტირებული არ არის და ეს საკითხი უალრესად მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონალიზმი და თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა რეგიონში საერთო უსაფრთხოების პრინციპები გარანტირებულია.

ამდენად რამდენიმე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი გამოიკვეთა: საერთაშორისო შეთანხმებები, რაც გადახედვას მოითხოვს; ნდობის დეფიციტი რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობის

ასპექტში; ძალთა დისბალანსი შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთის სასარგებლოდ და ნატოს არანეგრი ქვეყნების გადაუჭრელი პრობლემები კონფლიქტებთან მიმართებაში. ამდენად, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე, შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში, ნატო-სთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები ჩამოყალიბდეს. რაც მოიცავს მოქმედებათა სრულ სპექტრს, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო, ისე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვითი საშუალებების განვითარების მიმართულებით. შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება არის ერთადერთი ადეკვატური პასუხი არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების სრულფასოვნად შესაკავებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯიჯიშვილი ქ. მსოფლიო პოლიტიკა, თბ 2011;
2. ჩიტაძე ნ. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ, 2008;
3. Шириев З. Каково новая стратегия НАТО. [www.hurriyetdailynews.com](http://www.hurriyetdailynews.com)
4. Kogan I, The Armenian Military and Russian-Armenian Relations, ISSN 1512-4835 ISBN 978-9941-0-8229-0, 2015;
5. Horrell, S. (2016 ოქტომბერი). *A NATO Strategy for Security in the Black Sea Region*. Atlantic Council
6. Gvineria S. Georgia's NATO Integration – Strategic Patience, ISSN 1512-4835 ISBN, 2017
7. გაზ. „ახალი თაობა“, 21.07.2016
8. [www.nato.int/nato-static/assets/pdf/publications](http://www.nato.int/nato-static/assets/pdf/publications)
9. [http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_1-36388.htm?selectedLocale=en](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_1-36388.htm?selectedLocale=en)
10. [www.gfsis.org](http://www.gfsis.org)

**რუსეთის პოლიტიკა საქართველოში  
(ისტორია და თანამედროვეობა)**

ომარ ტაბუცაძე

**რეზიუმე**

სტატია ეძღვნება რუსეთის პოლიტიკას საქართველოში „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დროიდან, ბოლშევიზმის რეჟიმის დამყარებამდე. ასახულია რუსეთის აღმოსავლეთისაკენ სწრაფვის პოლიტიკა, მონღოლთა ბატონობის გადავარდნის დროიდან. ნაჩვენებია ის პოლიტიკური პროცესები საქართველოში, რამაც განაპირობეს კახეთის მეფის გადანყვეტილება რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, რუსეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტის დარღვევა და ქვეყნის სრული ანექსია, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში რუსული სისმპყრობელური და რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება.

**РЕЗЮМЕ**

Статья посвящена политике России в Грузии с периода „Георгиевского трактата“, до большевистской революции. Показывается захватнические политические устремления России уже со времен освобождения от монгольского ига. Отмечено, что постоянные вторжения мусульманской Турции и Ирана в страну, вынудило царя Кахетии искать покровительство у России, что было закреплено договором. Нарушая все пункты договора Россия проводила захватническую и русификаторскую политику.

\* \* \* \*

საქართველოსადმი რუსეთის პოლიტიკას თავისი ისტორია გააჩნია. საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები (ე.წ. პოლოვცები) კიევის რუსეთის მთავართან შეთანხმებით ჩამოსახლა საქართველოში. რუსეთ-საქართველოს შორის აქტიური პოლიტიკური ურთიერთობები (და საერთოდ, რუსეთის განსაკუთრებული ინტერესები საქართველოსა და კავკასიისადმი) ძირითადად, რუსეთის მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლების დროიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება რუსეთის ექსპანსია აღმოსავლეთისაგან ურალი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიით დაინტერესება. ურთიერთობები ირანთან, თურქეთთან, რომელმაც (1453წ.) კონსტანტინოპოლის დაპყრობით საქართველოს და რუსეთსაც (ასევე ბალკანეთის ჩრდილოეთში სლავურ სახელმწიფოებსაც) წაართვა თავის დროზე ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან პოლიტიკური და სულიერი ურთიერთობების საშუალება. საქართველო (და აგრეთვე) საქართვე-

ლოს მეზობელი სამეფოები და სახანოები, თანდათანობით მოექცნენ რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების სკალაში, თუმცა, რეალური პრაქტიკული შემოსვლა რუსეთისა ამიერკავკასიაში და საქართველოში, უფრო მოგვიანებით იწყება, რაც გაპირობებული იყო ერთის მხრივ, თვით რუსეთის დაინტერესებით სამხრეთ კავკასიის რეგიონით, მეორეს მხრივ, საქართველოს გამოუვალი მდგომარეობით (მუდმივი შემოსევები ირანის, თურქეთის, კავკასიელი მთიელების, განსაკუთრებით ლეკების მხრიდან). კახეთის მეფე მფარველობას, ხსნას რუსეთში ხედავდა. თვით რუსეთის ინტერესი (სამხედრო-პოლიტიკური) თვალსაზრისით გაპირობებული იყო თურქეთის გაბატონებით ბალკანეთში (საერთოდ თურქეთის გაძლიერებით იყო შემოფოთებული, მეორეს მხრივ, ირანის გავლენით ამიერკავკასიისა და შუა აზიის რეგიონში). რუსეთსა და კახეთს შორის დადებული ხელშეკრულება გულისხმობდა რუსეთის მფარველობას და დაცვას სამხრეთის (ირანი, თურქეთი) აგრესიული ისლამური სახელმწიფოებისაგან და ასევე ლეკების გაუთავებელი თავდასხმებისაგან. მაგრამ, რუსეთს თავისთავად, კახეთი და ქართველების დაცვა კი არ აინტერესებდა, არამედ ამიერკავკასიაში ფეხის შემოდგმა და ამ რეგიონიდან ირანისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკისადმი დაპირისპირება. საქართველო რუსეთში ხედავდა ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს და ისლამურ ალყაში მოქცეული საქართველო მისგან გარკვეულ მფარველობას მოელოდა. მაგრამ ეს იმედები არასდროს არ გამართლებულა. გარკვეულ შეთანხმებებს მეფე ვახტანგ VI დროიდანაც ჰქონდა ხოლმე ადგილი, თუმცა, რუსეთს კონსტრუქციული ნაბიჯები საქართველოსათვის რეალური დახმარების მიმართულებით არასდროს გადაუდგამს. თვით ვახტანგ VI ხომ იძულებული გახდა (ირანისა და თურქების შემოსევებისაგან და აუტანელი შიდაპოლიტიკური მდგომარეობიდან) თავისი ამალით მოსკოვში გადახვეწილიყო. ერეკლე II დროს თითქოს პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა რუსეთის მხრიდან კახეთის მეფისათვის დახმარების აღმოჩენის მიმართულებით, თუმცა, ესეც ყალბი აღმოჩნდა, უკვე გენერალ ტოტლებენის მუხანათური და დიდმპყრობელური სამხედრო და პოლიტიკური დამოკიდებულებით როგორც მეფისადმი, ისე საქართველოსადმი. აქედან უკვე ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიზანი საქართველოსადმი მფარველობა კი არ ყოფილა, არამედ საკუთარი ინტერესები ამიერკავკასიაში.

ეს ის პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როდესაც სამცხე-ჯავახეთი, აჭარა – ქობულეთი, აფხაზეთი თურქების მიერაა დაპყრობილი, ხოლო დაღესტ-

ნელი მთიელების თარეში მათ მოსაზღვრე ქართულ სოფლებზე და ხშირად მთელ კახეთში, სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. სწორედ ასეთი გამოუვალი პოლიტიკური მდგომარეობით იყო გაპირობებული ერეკლე II ორიენტაცია ჩრდილოეთისაკენ.

კახეთის მეფის ჩრდილოეთისაკენ ორიენტაცია და მისი შესაძლო პოლიტიკური შედეგები გეოპოლიტიკური სივრცისათვის (ირანის ინტერესებისათვის) ყურადღებიდან არ გამოორჩენიათ ირანის შაჰებს. აღამაჰმადხანი თავისი წერილით, ურჩევდა ერეკლე II კარგად დაფიქრებულიყო და არ გადაედგა ნაბიჯი ამიერკავკასიაში რუსების შემოყვანის მიმართულებით. წერილში აღნიშნულია, რომ ირანი ყოველწინაირ მფარველობას აღმოუჩინებს კახეთს და უზრუნველყოფს მის რელიგიურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას. მაგრამ, ერეკლე მეფემ კარგად იცოდა ირანისა და ირანის შაჰების პოლიტიკური ცნობიერების ისტორია და ანმყო, მაჰმადიანური ირანისაგან მფარველობა საქართველოს გამაჰმადიანებას გამოიწვევდა. ეს კარგად ჩანს ირანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ცხოვრებიდან. ირანმა ისინი გაამუსულმანა. ისინი დღესაც შიიტური მაჰმადიანობის მიმდევრები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებაშიც უკვე ცხადი ხდებოდა მკისი გეოპოლიტიკური ზრახვები, რუსეთის მხრიდან კავკასიაში (ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიაში) შემოსვლის მიზანი იყო არა ქართველების და მათი მიწა-წყლის დაცვა, არამედ თვით რუსეთის დიდმპყრობელური ინტერესები. მიუხედავად ამისა, ერეკლე II გამომდინარე ირანისა და თურქეთის საქართველოს მიმართ შეუწყვეტელი აგრესიული პოლიტიკიდან და დაღესტნელი ლეკების ბარბაროსული თავდასხმებიდან ქართულ ოჯახებზე (სადაც ადგილი ჰქონდა მუდმივად ოჯახების გაძარცვას, ბავშვებისა და ქალების გატაცებას და ა.შ.), იძულებულია რუსეთთან ურთიერთობებზე წავიდეს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხელშეკრულება გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით გაფორმდა (ხელი მოეწერა) 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში (ციხესიმაგრე გეორგიევსკში). „გეორგიევსკის ტრაქტატი, ერთის მხრივ, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გააქტიურების, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს მიერ ირან-ოსმალეთის აგრესიისაგან თავის დაღწევის სულ უფრო და უფრო მზარდი მისწრაფების შედეგი იყო“. ტრაქტატისათვის დართულ შესავალში აღნიშნულია, რომ „მონინავე ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა XVI-XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლის პირობებში შეიმუშავეს რუსეთთან დავაშირების საგარეო პოლიტიკური კურსი“. აღმოსავლეთი საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა ითვალისწინებდა ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის, ქართული ეროვნული ღირებულებების უსაფრთხოებისა და თურქების მიერ მიტაცებული

ტერიტორიების დაბრუნებას. მაგრამ ეს „მფარველობა“ არასაიმედო აღმოჩნდა მაშინვე. 1895 წ. აღამაჰმადხანი შემოიჭრა და ააოხრა აღმოსავლეთი საქართველო და თბილისი. ერეკლე II რუსეთისაკენ ორიენტაციით (და უკვე გაფორმებული ხელშეკრულებით) ნაწყენმა (განრისხებულმა) აღამაჰმადხანმა, გაანადგურა თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს საზღვრებთან ახლოს იყო განლაგებული ზოგიერთი რუსული სამხედრო შენაერთები, მათ აღამაჰმადხანის აგრესიის მოგერიებაში ერეკლე მეფისათვის დახმარება არ გაუწევიათ. ხელშეკრულება თითქოსდა რეალურად ამოქმედდა 1801 წლიდან. ქართული მხარე ამ ხელშეკრულებიდან (და რუსეთისაგან) სულ სხვა რამეს (საკუთრივ, მფარველობას) მოელოდა. მაგრამ რუსეთის რეალური პოლიტიკა სხვაგვარი აღმოჩნდა. რუსეთის მთავრობამ, თავისი დიდმპყრობელური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად საქართველოს ანექსია მოახდინა. საქართველომ დაკარგა თავისი ტრადიციული სახელმწიფოებრიობა. რუსეთმა გააუქმა საქართველოში ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობა. საქართველოში გაუქმდა მეფობა (მეფის ხელისუფლება) და ქვეყანა რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობის პოლიტიკურ სივრცეში მოხვდა. საქართველოში ორი გუბერნია – თბილისის და ქუთაისის გუბერნიები შეიქმნა. რუსეთის მთავრობის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უგულვებელყოფას, ხელშეკრულების დარღვევას. უფრო მეტიც, რუსეთმა გააუქმა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქო და ის რუსეთის ეკლესიის (საპატრიარქოს) საეგზარქოსოდ გამოაცხადა.

რუსეთის მთავრობამ თითქოს რამდენიმე მიმართულებით „სასიკეთო“ ნაბიჯები (პოლიტიკა) განახორციელა საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც. რუსეთმა 1828-30 წლებში თურქეთს წაართვა სამხრეთ საქართველო. გაანთავისუფლა სამცხე-ჯავახეთი, მაგრამ ეს არი ყოფილა ამ კუთხის მოსახლეობისათვის დახმარების პოლიტიკა. რუსეთს საკუთარი სტრატეგიული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა ირანთან და თურქეთთან ურთიერთობების მიმართულებით, ამავე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა შემდგომში ოსმალეთის გაღვინისაგან ჯერ აფხაზეთის, შემდეგში ანარის განთავისუფლება. რაც შეეხება განათლების სფეროს, რუსეთმა გახსნა განათლები კერები ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების სახით, მაგრამ სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარებდა. მართალია, ბევრ ახალგაზრდას გზა გაეხსნა განათლებისაკენ და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, მაგრამ, რუსეთში სწავლამაც და ადგილზე რუსული გიმნაზიების მოქმედებაც რუსეთის შორსგამიზნული რუსიფიკატორული, შოვინისტური პოლიტიკის რეალიზაციას წარმოადგენდა. ქართული დიდგვაროვნების ნაწილიც (ამ განათლების შესაბამისად) ჩნდებიან პრორუსული მიმართულების (თუ

ორიენტაციის) აქტიური დამცველები. საქართველოში, რეგიონებში რუსული ჩინოვნიკების აგრესიულ, ნაციონალისტურ, აღვირახსნილ, ხშირად ძალზე დამამცირებელ ქმედებებში ზოგიერთი უკვე გადაგვარებული ადგილობრივიც ეხმარებოდა. ეს კარგადაა ასახული XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ რეგიონებში რუსეთის მიერ გატარებული რუსიფიკატორული და რელიგიური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთიდან (ქართველების), ხოლო შემდეგში აფხაზეთიდან აფხაზების აყრა და თურქეთში საცხოვრებლად გადასახლება. აფხაზეთში მიმდინარე ეს პროცესი კარგადაა ასახული ისტორიკოს ძიძარიას სამეცნიერო ნაშრომში „მუჰაჯირობა ... აფხაზეთში“. ამაზე მითითება აუცილებელია, რადგან, თანამედროვე აფხაზური სეპარატისტული, პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები აფხაზების მასობრივ გადასახლებას თურქეთში ქართველობას აბრალებენ. მაშინ, როდესაც ქვეყანას რუსები მართავდნენ და რუსული პოლიტიკა მოქმედებდა. ძიძარია, აფხაზთა „მუჰაჯირიბას“ (აყრას და თურქეთში გადასახლებას) უკავშირებს ერთის მხრივ, თურქეთის აგრესიულ პოლიტიკურ პროპაგანდას, მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ შოვინისტურ პოლიტიკას. რუსეთის მიერ ქართული სულიერების, ქართული ეროვნული თვითცნობიერების აღმოფხვრის მიმართულებით განხორციელებულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო ბოლომდე ჩაეკლა ქართული სული, ქართული ეროვნული თვითცნობიერება, როგორც მოსახლეობის ფართო ფენებში, ისე იმდროინდელ მონინავე ქართველ ინტელიგენციაში, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული აგრესიული, შოვინისტური და რუსიფიკატორული პოლიტიკით უკმაყოფილო აჯანყებებს ჰქონდა ადგილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. რუ-

სეთის შოვინისტური და ანტიქართული პოლიტიკა ასახული და გამოამჟღავნებული XIXს. დასასრულსა და XXს. დასაწყისში მონინავე ქართველი ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეების წერილებში (პუბლიკაციებში). ქართული ინტელიგენციის ნაწილი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, კერძოდ 1905წ. რევოლუციაზე. მაგრამ ეს რევოლუცია დამარცხდა, შემდგომ დიდი იმედის მოცემად აღიქვეს 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში (თუმცა 1917წ. ნოემბრის რევოლუციით) რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. საქართველომ მართლაც მოიპოვა დამოუკიდებლობა. შეიქმნა ქართული ეროვნული მთავრობა, თავისი პარლამენტი და მმართველობითი ორგანოებით, თავისი დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და პოლიტიკური პლატფორმით. მაგრამ ეს გრანდიოზული ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკური მიღწევაც დროებითი აღმოჩნდა. უკვე ბოლშევიკური იდეოლოგიითა და წითელი დროშით რუსეთმა აგრესია განახორციელა საქართველოში. ეს იყო რუსეთის მხრიდან საქართველოს რიგით მეორეჯერ ანექსია. თუმცა ქართულ ცნობიერებაში არ აღმოფხვრილა ეროვნული თვითცნობიერება, ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობები და არც იმედები ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. გეორგიევსკის ტრაქტატი. თბ., 1983.
2. ჯავახიშვილი ივ., ქართველის ერის ისტორია. ტ. IV, თბ., 1967,
3. Ананишвили Гулабер, Бесславный конец пресловутого „Георгиевского трактата“, Тб., 2012.



# რუსული საპარტოალი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ

რუსუდან ქაზუმაშვილი

## რეზიუმე

სტატიის ავტორი განხილულია რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთლიანად მესამე სექტორის მიმართ, სადაც საჯარო და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური თანამშრომლობის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი. რუსეთის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გადადგმული ნაბიჯები უნდა განვიხილოთ რეპრესიული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად, სადაც სამართლის ნორმები პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად არის გამოყენებული, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც სამოქალაქო საზოგადოების საყრდენს წარმოადგენს, ხელისუფლების „ოპონენტებად“ მიიჩნევიან.

უდავოა, რომ რუსეთის ფედერაციაში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში, ერთი-მეორის მიყოლებით, 2012 წლის 13 ივლისს და 2015 წლის 23 მაისს მიღებული ფედერალური კანონები – „უცხოური აგენტების შესახებ“ და „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“, მკაფიოდ აყალიბებენ რუსული პოლიტიკის კრიზისულ მდგომარეობაში ყოფნას, რაც ძალმომრეობითი მეთოდებით დემოკრატიის, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ადამიანის უფლებების შეზღუდვისაკენ და ქვეყანაში ძალთა არათანაბარი გადანაწილებისაკენ არის მიმართული.

რუსეთის შემთხვევაში დემოკრატიის განმსაზღვრელ კრიტიკულ ნიშნულად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა და შეზღუდვა უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ფორმით ამ ორი სექტორის ურთიერთობა ორიენტირებულია არა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე, არამედ ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოებას და რეპრესიული რეჟიმის ფუნქციას ასრულებს. ხოლო სამთავრობო და სამოქალაქო სექტორების ურთიერთთანამშრომლობა მხოლოდ ფორმალურად არის დეკლარირებული, როგორც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა. ამკარაა, რომ სახეზე გვაქვს რუსეთის მმართველობის ტრადიციული რუსული იმპერიული მოდელები, სადაც დემოკრატიის დეფიციტია და თუ აქამდე რუსეთის ხელისუფლება მოჩვენებით დემოკრატიას თამაშობდა, რუსეთის ფედერაციაში მიღებულმა და დღემდე მოქმედმა ფედერალურმა კანონებმა დაასამარა და განაჩენი გამოუტანა დემოკრატიისა და პიროვნების ღირსების

პატივისცემის იდეას, თვალსაჩინო გახადა რუსული რეალობის არსებითი ნაკლოვანებები. უფრო მეტიც, ავტორიტეტულ საერთაშორისო არასამთავრობო უფლებდაცვით ორგანიზაციებს, თავიანთი უფლებების დასაცავად თავად მოუწიათ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში სარჩელის შეტანა, ხოლო რუსეთის ხელისუფლებისა და რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობის თემა 2013 წლის გაზაფხულზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შეხვედრაზეც განიხილებოდა. რუსეთის მიერ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დანესებული შეზღუდვების გამო, ასევე, მკვეთრად უარყოფითი შეფასებები მოყვა საერთაშორისო საზოგადოებისა და უფლებდაცვითი ორგანიზაციების მხრიდან და რუსეთი სამოქალაქო სექტორზე განხორციელებულ მზარდ ზენოლაში იქნა დადანიშნული.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელისუფლების დამოკიდებულება საერთაშორისო არასამთავრობო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ; სამართლის ნორმები; კანონი „უცხოური აგენტების შესახებ“; კანონი „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“; დასავლეთის რეაქცია არასამთავრობო ორგანიზაციების შეზღუდვებზე.

## LEGISLATION OF THE RUSSIAN FEDERATION AS A WEAPON OF POLITICAL STRUGGLE AGAINST INTERNATIONAL NON- GOVERNMENTAL ORGANIZATIONS

Rusudan Kazumashvili

### SUMMARY

This article discusses the attitude of the Russian authorities towards *International Non-governmental Organizations and the thirds sector as such*, where the existing situation is not favorable for the institutional cooperation of the public and civil sectors. The steps taken by the Russian authorities concerning *International NGO's* should be considered as an element of repressive policies, where legal norms are used as a main weapon of political struggle, whereas *NGO's* that are the pillars of the civil society, are deemed as the opponents of the authorities.

Needless to say, the *Federal Law on Foreign Agents and the Federal Law on Undesirable Non-Governmental Organizations* passed in the Russian Federation re-

*spectively on 13 July and 23 May 2015 clearly reflect the political crisis the Russian politics is experiencing. This situation leads to the limitation of democracy, civil sector, international NGO's and human rights, as well as to the biased distribution of power in the country by way of coercive methods.*

In the case of Russia, the ban on and limitation of international organizations and NGO's should be considered as a critical benchmark in defining democracy, since such form of relations of these two sectors does not support the protection of fundamental human rights and freedoms, but rather weakens the civil society and plays the role of a repressive regime. At the same time, the collaboration of the government sector and civil sector is only formally declared as relations based on democratic principles. It is clear that we deal with a traditional Russian imperial model of governance characterized by the deficit of democracy. If the Russian authorities have played democracy up to now, the above federal laws passed in the Russian Federation that are currently applicable have buried the ideas of democracy and respect of personal dignity, and made the essential deficiencies of the Russian reality obvious. Furthermore, the renowned international NGO's working in the field of rights advocacy had to submit a complaint to the European Court of Human Rights for the protection of their rights, and the relations between the Russian authorities and NGO's working in Georgia were discussed at the meeting of the President of the Russian Federation Vladimir Putin and the Chancellor of Germany Angela Merkel in the spring of 2013. The international community and right advocacy organizations gave a negative assessment to the limitations established in Russia for international NGO's, and Russia was blamed for the growing pressure on the civil society.

\* \* \* \*

სახელმწიფოს დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დემოკრატიის ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორია. რუსეთში დემოკრატიის დეფიციტის გამოხატულებაა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთა სისუსტე. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ნაკლებად ახერხებს თვითორგანიზებას თავისი ინტერესების გარშემო და შესაბამისად, არ არსებობს მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ადეკვატური მექანიზმები. აღნიშნულის შედეგია არასამთავრობო სექტორის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილის, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არასტაბილური, არათანმიმდევრული მონაწილეობა, რასაც ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის პერიოდული კონფრონტაციის სახე აქვს და არ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს.

თუ სახელმწიფოს აქვს იმის ბერკეტები, რომ სერიოზული გავლენა მოახდინოს არასამთავრობო სე-

ქტორზე, როგორც ეს რუსეთშია, ეს არსებითად ამცირებს დემოკრატიული პლურალიზმის განვითარების შესაძლებლობას. თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიებში სამოქალაქო საზოგადოების „სიმნიფე“ დამოკიდებულია არასამთავრობო სექტორის უნარზე – გამოხატონ საზოგადოებრივ ინტერესთა მრავალფეროვნება, განსაზღვრონ და შესთავაზონ საზოგადოებას პრიორიტეტული მიმართულებები.

დემოკრატიისთვის უცხო არ არის პოლიტიკური დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფს შორის, მაგრამ ამას არ უნდა ქონდეს ძალმომრეობითი ხასიათი, პოლიტიკური კონფლიქტები მხოლოდ დემოკრატიული პროცედურების ფარგლებში უნდა წყდებოდეს, სახელმწიფო არ უნდა იქცეს ძალმომრეობით ორგანიზაციად, ხოლო სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა სცდებოდეს იმპერიული ძალმომრეობის პოლიტიკას. მაგრამ, როდესაც ხელისუფლება ვერ სთავაზობს საზოგადოებას მის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს, ის ძირითადად, გადადის საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვაზე, რისი „მდიდარი“ გამოცდილებაც რუსეთს გააჩნია.

რუსეთის შემთხვევაში დემოკრატიის განმსაზღვრელ კრიტიკულ ნიშნულად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აკრძალვა და შეზღუდვა უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ფორმით ამ ორი სექტორის ურთიერთობა ორიენტირებულია არა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე, არამედ ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოებას და რეპრესიული რეჟიმის ფუნქციას ასრულებს. ხოლო სამთავრობო და სამოქალაქო სექტორების ურთიერთთანამშრომლობა მხოლოდ ფორმალურად არის დეკლარირებული, როგორც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა.

2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების დასავლური სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ტიპის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონმა რუსეთის „იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დასახმარებლად, რომლებიც ღია საზოგადოების შექმნაზე მუშაობენ“ სპეციალური ფონდის შექმნა დააანონსა და აღნიშნა, რომ ფონდის მიზანია „დაეხმაროს რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო პლურალისტური და ღია საზოგადოების ფორმირებაში“. ფონდის კაპიტალი 50 (ორმოცდაათი) მილიონი დოლარი იქნებოდა და ობამას ადმინისტრაცია ფონდის შექმნის თაობაზე კონგრესთან მოლაპარაკებებს უკვე მართავდა. ამავდროულად, ტომას მელიმ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა, შრომის საკითხებში თანაშემწემ, რუსეთის ხელისუფლება ნაციონალური სეგმენტის კონტროლის მცდელობაში დაადანაშაულა და ხაზი გაუსვა ფონდის შექმნის მიზანს – „რუსეთის სამო-

ქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა“. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2009 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ რუსეთს 160 (ასსამოცი) მილიონი დოლარი გამოუყო ადამიანის უფლებათა დაცვის, კორუფციასთან ბრძოლისა და დამოუკიდებელი მასმედიის პროგრამების მხარდასაჭერად. [1]; [2]

რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ამერიკის შეერთებული შტატების „შეთავაზება“ – „დაეხმაროს რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო პლურალისტური და ღია საზოგადოების ფორმირებაში“ – დემოკრატიის განვითარების საბაზით საშინაო საქმეებში ღია და პირდაპირ ჩარევად აღიქვა და ამერიკის შეერთებული შტატები არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მხრიდან ამერიკის შეერთებული შტატების „შეთავაზებას“ სამართლის ნორმების გამკაცრება მოყვა, რაც ეროვნული უსაფრთხოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საერთაშორისო ორგანიზაციების შეუფერებელი ქმედებების აღკვეთის აუცილებლობით იყო ახსნილი. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სამართალი პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად გამოიყენა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში, ერთი-მეორის მიყოლებით, 2012 წლის 13 ივლისს და 2015 წლის 23 მაისს მიიღო ფედერალური კანონები – „უცხოური აგენტების შესახებ“ და „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“, რასაც საერთაშორისო საზოგადოებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების (Human Rights Watch და Amnesty International) მხრიდან მკვეთრად უარყოფითი შეფასებები მოყვა და რუსეთი სამოქალაქო სექტორზე განხორციელებულ მზარდ ზეწოლაში იქნა დადანაშაულებული. რუსეთის ხელისუფლებისა და რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობის თემა 2013 წლის გაზაფხულზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შეხვედრაზეც განიხილებოდა.

„უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალურმა კანონმა ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაციების ახალი კლასიფიკაცია, რასაც „უცხოური აგენტები“ ეწოდა. კანონმდებელს ტერმინით – „უცხოური აგენტი“ საზოგადოებაში შემოაქვს მოსაზრება, რომელიც ამკვიდრებს რუსეთისადმი მტრულად განწყობილი და უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ამ კანონის მიღებით და არასამთავრობო სექტორისათვის შეზღუდვების დაწესებით მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მოახდინა ძალის დემონსტრირება და იმის ლუსტრაცია, როგორ ღიად ებრძვის პოლიტიკურ ოპონენტებს რუსეთი, რაც საზოგადოებაში სახელმწიფო ინტერესების გატარების აუცილებლობით, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის

სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევით, საქმიანობის ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფით და საზოგადოებაზე „ზრუნვით“ იყო მოტივირებული. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ნორმებით განსაზღვრულია კრიტერიები, რაც პირს ანიჭებს უცხოური აგენტის კვალიფიკაციას. უცხოურ აგენტად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სხვა პირის, ანუ პრინციპალის (principal - პიროვნება, რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი) დავალებით, ბრძანებით, თხოვნით მოქმედებს და ეწევა „პოლიტიკურ მოღვაწეობას უცხოელი პრინციპალის ინტერესებში“. [3]

„უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალური კანონის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაცია (გარდა პოლიტიკური პარტიებისა) სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში (წესდებაში) დასახული ამოცანებისა და მიზნების მიუხედავად, მიჩნეული იქნება რუსეთის ტერიტორიაზე პოლიტიკური საქმიანობის განმახორციელებლად, თუ მონაწილეობას იღებს (მათ შორის დაფინანსების გზით) პოლიტიკური აქციების ორგანიზებაში და გამართვაში სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებისა და კონკრეტული მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შესაცვლელად, ასევე საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით. ფედერალური კანონის დათქმის თანახმად, საქმიანობის შემდეგი სფეროები – მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, განათლება, ქველმოქმედება, ჯანმრთელობის დაცვა, მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერა, ეკოლოგია და ა.შ., არ განეკუთვნება პოლიტიკურ საქმიანობას იმ პირობით, თუ მათი საქმიანობა გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო სტრუქტურებზე.

იმ შემთხვევაში თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, იღებს ფულად სახსრებს (თუნდაც ნაწილობრივ დაფინანსებას), ან სხვა ქონებას უცხო ქვეყნიდან, ეს გარემოებები ორგანიზაციას ავალდებულებს დარეგისტრირებას „უცხოური აგენტების“ (Foreign agent) სახით რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში, ხოლო შემდეგ, ამ კატეგორიის ორგანიზაციათა რეესტრში, რაც ამავე უწყებაში წარმოებს. [4] ორგანიზაციას, რეესტრში რეგისტრაციამდე, არა აქვს საქმიანობის უფლება „უცხოური აგენტის“ ფუნქციით. თუ „უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე ორგანიზაციამ განცხადებით არ მიმართა იუსტიციის სამინისტროს რეესტრში რეგისტრაციისათვის, ამ უწყების თანამდებობის პირებს აქვთ უფლება თავიანთი გადაწყვეტილებით შეაჩერონ ორგანიზაციის საქმიანობა არაუმეტეს ექვსი თვისა. თავის მხრივ, ორგანიზაციას უფლება აქვს სასამართლო წესით გაასაჩივროს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება, ან დაეთანხმოს და რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს. [5] რეგისტრაციის შედეგად, „უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციისათვის და მისი სტრუქტურული დანაყოფისათვის

სავალდებულოა ყოველკვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების, აუდიტის დასკვნის, ფულადი სახსრების ხარჯვის და სხვა ქონების გამოყენების, მათ შორის უცხო წყაროებიდან მიღებული სახსრების შესახებ დოკუმენტაციისა და ხელმძღვანელი პირების შემადგენლობის პერსონალური მონაცემების წარდგენა, საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტის მეშვეობით გამოქვეყნება და სხვა. ამის გარდა, უნესდებათ გარკვეული შეზღუდვები მოხსენებების გაკეთების, ინფორმაციის მინოდება/მიღებაზე; მასმედიის ან ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებულ ან გამოცემულ ნებისმიერ მასალას უნდა მიეთითოს, რომ მასალა გავრცელებულია ან გამოცემულია როგორც „უცხოური აგენტის“ მიერ შექმნილი მასალა.

„უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების გეგმიური შემოწმება ტარდება არაუხშირეს წელიწადში ერთხელ. ფედერალურმა კანონმა განსაზღვრა არაგეგმიური შემოწმების საფუძვლებიც, რომელთა შორისაა კანონის ზუსტ შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ფარგლებში, პროკურორის მოთხოვნა პროკურატურის ორგანოებში შესული მასალებისა და მიმართვების საფუძველზე არაგეგმიური შემოწმების ჩატარების შესახებ. [6]

„უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ „უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალური კანონისა და ამ კანონის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, მათ შორის შესაბამის სახელმწიფო უწყებაში ზემოხსენებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება – ინვესტრუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სისხლის სამართლის კოდექსით ფიზიკური და იურიდიული პირების დაჯარიმებას, საქმიანობის შეჩერებას ან დახურვას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. [7]; [8]

2014 წლის 8 აპრილს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, „უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალური კანონი კონსტიტუციურად სცნო, და მიიჩნია რომ სადავო ნორმები ემსახურებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფედერალური კანონი მოწოდებულია უზრუნველყოს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობა, რომლებიც უცხო წყაროებიდან ფინანსდებიან და პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივ ინტერესის დასაცავად. ერთადერთი, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიიჩნია, რაც გავლენას ვერ იქონიებდა გადაწყვეტილებაზე, ეხება „უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანი-

ზაციებისათვის საქმიანობის წესის დარღვევაზე ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაკისრებას სასჯელის ნაწილში. [9]

2014 წლის 4 ივნისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა კიდევ უფრო გაამკაცრა „უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალური კანონი და იუსტიციის სამინისტროს მიეცა უფლება თავად გაატაროს რეესტრში „უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ექვემდებარება გასაჩივრებას. ამ ფონზე, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტებმა, 2014 წლის 13-14 ივნისს გამართულ 99-ე პლენარულ სესიაზე გაანალიზეს „უცხოური აგენტების შესახებ“ ფედერალური კანონი და რუსეთის ხელისუფლებას არასამთავრობო ორგანიზაციების ცალკე რეგისტრაციის რეჟიმის გადახედვის რეკომენდაციები მისცეს. [6]

რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს „უცხოურ აგენტთა“ რეესტრის მონაცემებით, კანონის ამოქმედებიდან ორი წლის განმავლობაში „უცხოური აგენტის“ ფუნქციის მქონე ორგანიზაციად რეგისტრირებული იყო 150-ზე მეტი ორგანიზაცია. [10] პრაქტიკულად პირველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც 2012 წელს ფედერალური კანონის მიღებისთანავე რუსეთის ტერიტორიაზე საქმიანობა შეწყვიტა იყო ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო (USAID), რომელსაც ორი ათწლეულის განმავლობაში სამ მილიარდამდე დოლარი ქონდა დახარჯული სხვადასხვა პროფილის პროგრამებზე. [11] 2016 წელს შეიქმნა პირველი პრეცედენტი და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის პირველი ნაწილით (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე), ფედერალური კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა კავშირი „დონის ქალების“ (რუსეთი) ხელმძღვანელს ვალენტინა ჩერევატენკოს. [12]

საერთაშორისო ორგანიზაციები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ ფედერალურ კანონს იმ რეპრესიული ფუნქციის გამო, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ორ ძირითად უფლებას – გამოხატვის თავისუფლებას (კონვენციის მე-10 მუხლი) და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი).

ავტორიტეტულმა საერთაშორისო არასამთავრობო უფლებადაცვითმა 11-მა ორგანიზაციამ - International Memorial, Moscow Helsinki Group, Mashr, The Committee against Torture, Memorial Human Rights Group, Citizens Watch, Civic Assistance Committee, Golos, Public Verdict, The Movement for Human Rights, Ecodefence — მათ მიმართ გატარებული სანქციების გამო (შედეგად, ორგანიზაციები დაექვემდებარნენ დაჯარიმებას, საქმიანობის შეჩერებას ან დახურვას), საჩივრით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს და ითხოვა საჩივრის

დაუყოვნებლივ განხილვა. საჩივრის ავტორთა მტკიცებით, ფედერალურმა კანონმა სრულიად უსამართლოდ და ყოველგვარი საფუძვლიანი მიზეზის გარეშე არასამთავრობო ორგანიზაციები ჩააყენა არათანაბარ პირობებში, დაუწესა დამატებითი ფინანსური კონტროლი, უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ რეპუტაციაზე და სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე. ამასთან, კანონმა არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები ჩააყენა სერიოზული სანქციების გატარების საშიშროების წინაშე, როგორცაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

საერთაშორისო უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ასევე გაასაჩივრეს „უცხოელი აგენტის“ სტატუსი, რაც მოსახლეობაში ასოცირდებოდა ჯაშუშობასთან, სამშობლოს ღალატთან და უარყოფით განწყობას ქმნიდა არასამთავრობო სექტორისადმი. [13]

რუსეთის ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი, რამაც კიდევ უფრო არასახარბიელო სიტუაცია შექმნა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისათვის, გააჩინა დიდი უფსკრული ხელისუფლებასა და მესამე სექტორს შორის, რაც, ცხადია, სრულიად გამორიცხავდა საჯარო და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციურ თანამშრომლობას, გახდა „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიღება. კანონის თანახმად, „არასასურველი ორგანიზაციის“ სტატუსი შეიძლება მიიღოს უცხო ქვეყნის ორგანიზაციამ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ იმ შემთხვევაში, თუ მიჩნეული იქნება, რომ მისი საქმიანობა რუსეთის ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნის რუსეთის კონსტიტუციურ წყობილებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ან სახელმწიფო უსაფრთხოებას. „არასასურველი ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭებისთანავე, მასთან წყდება ყველა სახის ფინანსური ოპერაცია, „იყინება“ საბანკო ანგარიშები, მატერიალური და არამატერიალური აქტივები. კანონი ასევე კრძალავს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე „არასასურველი ორგანიზაციის“ შვილობილი ორგანიზაციების, სტრუქტურული ერთეულების, ფილიალების შექმნას/გახსნას (უკვე გახსნილი სტრუქტურული ერთეულები და ფილიალები ექვემდებარება დახურვას) და საინფორმაციო მასალის გავრცელებას. „არასასურველი ორგანიზაციას“ ეზღუდება უფლება დააფუძნოს რუსული არასამთავრობო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები. ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვა დაუწესდება ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილე პირებს.

კანონის დამრღვევთა მიმართ (მაგ. „არასასურველმა ორგანიზაციამ“ რუსეთის ტერიტორიაზე გააგრძელა საქმიანობა, „არასასურველი ორგანიზაციასთან“ თანამშრომლობს მესამე პირი – ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი), გამოიყენება

ადმინისტრაციული ჯარიმა. ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენისათვის სახდელის ორჯერ დადების მოქმედების პერიოდში ანალოგიური ქმედების განხორციელება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია, რაც ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე. ვინც ნებაყოფლობით შეწყვიტავს „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციაში“ საქმიანობას და თუ ამის თაობაზე დროულად განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

„არასასურველი ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭების უფლებით სარგებლობენ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი ან მისი მოადგილე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. გენერალურ პროკურატურაში შემოწმების შემდეგ (შემოწმების საგანს წარმოადგენს ორგანიზაციების საქმიანობის, მათ მიზნებსა და რუსეთის კანონმდებლობას შორის შესაბამისობის შესწავლა) იუსტიციის სამინისტრო ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს „არასასურველი ორგანიზაციათა“ ჩამონათვალს („СТОП-ЛИСТ“), რაც იგზავნება „რუსეთის გაზეთის“ რედაქციაში. კანონში გათვალისწინებულია ორგანიზაციის სტატუსის შეცვლისა და „არასასურველი ორგანიზაციათა“ ჩამონათვალიდან ამოღების მექანიზმი. [14]

მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ კანონის მიღებიდან სულ მოკლე პერიოდში – 2015 წლის 8 ივლისს – რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურას შესამოწმებლად გაეგზავნა პირველი ოფიციალური სია („СТОП-ЛИСТ“) 12 (თორმეტი) ორგანიზაციის ჩამონათვალით, რომელთა შორის იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბების ხელშემწყობი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები: ჯეიმსტაუნის ფონდი (ჟამესტონი ფონდი), ევრაზიის ფონდი (Eurasia Foundation), ნაციონალური ფონდი დემოკრატიისათვის - (National Endowment for Democracy - NED), ფორდის ფონდი (ჰორდ ფონდი), მაკარტურების ფონდი (MACArthur Foundation). [15] 2015 წლის ნოემბერში, კანონის მიღებიდან რამოდენიმე თვეში, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ კონსტიტუციურ წყობილებასა და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობის საფუძველით „არასასურველი ორგანიზაციებად“ გამოაცხადა ჯორჯ სოროსის მიერ დაფუძნებული ფონდები – „ლია საზოგადოება“ (Open Society Foundations) და „თანადგომა“ (OSI Assistance Foundation). 2016 წელს, იგივე საფუძველით, „არასასურველი ორგანიზაციებად“ გამოაცხადდნენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (International Republican Institute – IRI), რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა ამერიკის შეერთებული შტატების არიზონას შტატის

სენატორი, რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი და მასმედის განვითარების საინვესტიციო ფონდი (Media Development investment fund - MDF). [16]

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინის განცხადებით, ევროკავშირი შემფოთებულია რუსეთის მიერ „არასასურველი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიღებით. ევროკავშირის მიერ 2015 წლის 24 მაისს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მათი შემფოთება გამოწვეულია რუსეთის ნაბიჯით -სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მასმედიისა და პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ დანესებული შეზღუდვების გამო. [17]

დღევანდელი გადმოსახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთადერთი, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობა არის შეზღუდული, ეს ავტორიტარული ხელისუფლებაა, სადაც მივიწყებული აქვთ დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებები – დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერე. შესაბამისად, ცხადია რამდენად ქმედითუნარიანია სამოქალაქო საზოგადოება რუსეთში, რასაც დღევანდელი რუსეთი გამალებით ებრძვის და რა მდგომარეობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დაცვა. ისიც ხომ ფაქტია, რომ საერთაშორისო არასამთავრობო უფლებდაცვითი ორგანიზაციებს თავიანთი უფლებების დასაცავად სარჩელის შეტანა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში მოუწიათ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://geonews.ge/geo/news/story/19611-ashsh-xe-lisuleba-ruseti>, აშშ-ს ხელისუფლება რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას 50 მილიონი დოლარით დაეხმარება. 15 დეკემბერი 2011. (ბოლოს ნანახია 23.01.2017.)
2. <http://www.ambebi.ge/msoplio/45468-obamas-adminitracia-rusethis-arasamthavrobo-seqtoris-dakhmarebis-fonds-qmnis.html>, 15-12-2011. ობამას ადმინისტრაცია რუსეთის არასამთავრობო სექტორის დახმარების ფონდს ქმნის. (ბოლოს ნანახია 23.01.2017.)
3. <https://lenta.ru/news/2016/12/23/agents/>, 23 დეკემბერი 2016, Госдеп призвал Россию отменить закон об иностранных агентах. (ბოლოს ნანახია 03.02.2017.)
4. <http://unro.minjust.ru/RegOrgs.aspx>, Предоставление информации физическим и юридическим лицам о зарегистрированных организациях. (ბოლოს ნანახია

01.02.2017.)

5. <http://www.garant.ru/article/529521/>, Законодательство о некоммерческих организациях, выполняющих функции иностранного агента: соответствует Конституции РФ или нет. Алина Михайлова. 12 марта 2014. (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
6. <https://ria.ru/spravka/20140616/1011656413.html>, Федеральный закон „Об иностранных агентах“. 16.06.2014. (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
7. Уголовный Кодекс РФ, ст. 330.1 (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
8. Кодекс РФ „Об административных правонарушениях“. Изменения от 12 ноября 2012 года №192-ФЗ. (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
9. <http://www.consultant.ru/law/hotdocs/32917.html>, Нормы законодательства об иностранных агентах признаны конституционными. 14.04.2014. (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
10. <http://polit.ru/article/2016/12/31/sova/>, 31 декабря 2016. Глеб Корепанов, Президент обещает – преследования продолжают. (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
11. [http://www.eurocommunicator.ge/geo/view\\_myth/97](http://www.eurocommunicator.ge/geo/view_myth/97), კანონმდებლობა. 25 აგვისტო 2015. ინფორმაცია, თითქოს პოლონეთში არასამთავრობო ორგანიზაციების უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსება აკრძალულია, მცდარია. (ბოლოს ნანახია 23.01.2017.)
12. <http://polit.ru/article/2016/09/04/cherevatenko/>, 04 сентября 2016, Людмила Вахнина, Мы позволим это уничтожить? (ბოლოს ნანახია 01.02.2017.)
13. [http://hrp.ge/portal/alias\\_HRP/newsid\\_2104/callerModID\\_8913/tabid\\_4609/default.aspx](http://hrp.ge/portal/alias_HRP/newsid_2104/callerModID_8913/tabid_4609/default.aspx), 12.02.13. ნამყვანი რუსული უფლებდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები უპირისპირდებიან კანონს „უცხოური აგენტის“ შესახებ. (ბოლოს ნანახია 02.12.2016.)
14. Российская газета – Федеральный выпуск №6682 (111). 26 мая 2015г. Федеральный закон от 23 мая 2015 г. №129-ФЗ „О внесении изменений в отдельные законодательные акты Российской Федерации“.
15. <http://izvestia.ru/news/588570>, 9 июля 2015, „Список нежелательных организаций расширят до 20“. (15.12.2016.)
16. Российская газета – Федеральный выпуск №7053 (185). Генпрокуратура признала нежелательным пребывание в России института, руководимого Джоном Маккейном.
17. <http://www.rosbalt.ru/main/2015/05/24/1401339.html>, 24 мая 2015. Евросоюз обеспокоен российским законом о нежелательных организациях. (ბოლოს ნანახია 03.02.2017.)

## კვლავ კულტურის პოლიტიკის პრობლემებზე...

ქეთევან ახოვაძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

### რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ცვლილებები ისე სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რომ უმთავრესი გამოწვევების ცვლილებებზე რეაგირებას და გაანალიზებას საქართველოში ვერც კი ვასწრებთ, მათი განჭვრეტისათვის ხედვაც კი არ გავაჩნია. ამიტომ სჭირდება ხელმძღვანელ ორგანოებს ასეთ სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში სწორი ჩართვა. სტატიაში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა, განხილულია კულტურის პოლიტიკის როგორც სახელმწიფო მართვის განსაკუთრებული მეთოდი, ისტორიულ-თეორიული, სამართლებრივი ასპექტით და ამ კუთხით საქართველოში არსებულ პრობლემებზე.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეროვნული კულტურის პოლიტიკა, ალბათ, პირველ რიგში, მოდის ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგიიდან, რადგან სახელმწიფო განსაზღვრავს კულტურის პროცესებს და პრიორიტეტებს შემოქმედსა და სოციალურ შორის. კულტურისა და ხელოვნების სფეროს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობა გააჩნია, შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაშიც და წინსვლაშიც. რადგან დღეისათვის ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასული, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები თვლიან, რომ კულტურამ უნდა შეძლოს თავისი თავის ფინანსური უზრუნველყოფა და სახელმწიფო დამკვეთად არ უნდა განიხილებოდეს. ასეთი მიდგომა სფეროში ახალ პრობლემებს იწვევს, რადგან ნებისმიერი სახის კულტურის ნაწარმოებები და მასის მოთხოვნები, ხშირად, ერთმანთს არ ემთხვევა.

კულტურის სფეროს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ კულტურის სფერო მარტო ინვესტირებას კი არ ითხოვს, არამედ თვითონ გააჩნია ინვესტირების უდიდესი პოტენციალი. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა ჩვენს ქვეყანაში ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, რომელთა უმრავლესობა არა საკითხის ახლებურად გააზრების სირთულეს, არამედ დამკვიდრებულ სტერეოტიპებსაც უკავშირდება. მიუხედავად თემის აქტუალობისა ამ საკითხზე საქართველოში სულ რამდენიმე ავტორი მუშაობს.

კულტურისა და ხელოვნების სფერო, ეს არის ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი სექტორი ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც თავისთავად შეიცავს კომერციულ ნაწილს თუ კარგად იქნება დანახული, გააზრებული და დათვლილი.

**საძიებო სიტყვები:** კულტურის პოლიტიკა, გაერო, UNESCO, მოდელი, სისტემური ანალიზი

### AGAIN REGARDING CULTURAL POLICY ISSUES...

Ketevan Akhobadze

#### SUMMARY

The changes are moving so fast in the modern world, that in Georgia we can't manage to react on the main challenges and analyze them, we don't even have the vision to predict them. It therefore needs the governing body to get involved in a rapidly changing and competitive environment. The article presents the author's view, discusses the cultural policy of the state as a special management method, historical - theoretical, legal aspects and in this terms the existing in Georgia problems.

Current national cultural policy of our country, probably, first of all, comes from its political ideology, as the state determines culture processes and priorities between the creator and the society. The field of culture and art has its Economic opportunity; it can make the largest contribution to economic development and progress of the country. At present, because of the existing market economy in our country, governmental officials believe that culture should be able to maintain its own financial coverage and the state shouldn't be considered as the customer. This approach leads to the new problems in the field, because any kind of culture work and mass requirements, often do not coincide with each other.

The economic opportunities of culture field are already openly discussed and is emphasized that the field of culture doesn't require the investment only, but has the greatest potential for investment itself. The discussion on these issues in our country is linked with the lot of difficulties, most of which is not related to the rethinking of the issue but is associated with the established stereotypes. Despite the importance of this issue only few authors are working in this field in Georgia.

The field of culture and art is one of the most intensively developing sectors of the country's economy and itself contains a commercial part, if will be seen, understood and counted properly.

**Keywords:** Cultural Policy, United Nations, UNESCO, Model, System Analysis.

\* \* \* \*

კულტურას და ხელოვნებას სახელმწიფოსგან მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით, მუდამ სჭირდება. ვფიქრობ, თანაც ეს დახმარება ისეთი უნდა, რომელიც ხელს არ შეუშლის არც თავისუფალი ბაზრის არსებობას და არც ინოვაციების წინსვლას ჩვენს ქართულ სივრცეში (ვგულისხმობ კულტურას, განსაკუთრებით კი კომერციულ კულტურას). კულტურისა და ხელოვნების სფეროში, ექსპერტების აზრით, როცა საბაზრო ურთიერთობების თავისუფლება შენ-

არჩუნებულია უნდა გავითვალისწინოთ ორი ფაქტორი: ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა და აღზრდა-განათლების საკითხი.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის ბიზნესის განვითარების მხრივ დადგა მომენტი, როცა მენეჯმენტის ახალი მეთოდების შექმნის და დანერგვის აუცილებლობა გახდა საჭირო. ამიტომ გაჩნდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდი, რომელმაც დროთა განმავლობაში ბევრჯერ იცვალა სახე, რადგან არაერთი ექსტრემალური გადანყვეტილების მიღება აუცილებელი იყო. ინოვაციური სტრატეგიული აზროვნის გაჩენამ ხელი შეუწყო სტრატეგიების სრულყოფას. გრძელვადიანი დაგეგმვის უსარგებლობამ პროგრესულად მოაზროვნე მენეჯერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრების ჩქარმა ტემპებმა მოკლევადიან სტრატეგიულ აზროვნებაზე გადასვლა მოითხოვა.

მისასაღებელია, რომ საქართველოს რეალობაში ერთხელ მაინც მოხდა კულტურის და ხელოვნების სფეროში გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა, მაგრამ როგორც ვხედავთ, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გრანდიოზული, მრავალმილიონიანი პროექტების განხორციელების მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ ჩანს სფეროს სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის მოკლევადიანი გეგმის შემუშავება-განხორციელების პერსპექტივა.

შეგახსენებთ, რომ რადგან საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 1 ივლისს დაამტკიცა სტრატეგიული დოკუმენტი „კულტურა 2025“ (ხარვეზების განხილვა ამ წერილში, ამ ფორმატში, არ არის ჩვენი მიზანი), რასაკვირველია, დგება საკითხი მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება-შესრულების შესახებაც. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, მეც და ალბათ ბევრ სხვა მონაწილეს, ამ სტრატეგიული იდეით ხომ ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის სფეროს საერთო სურათის სამომავლო ხედვა უნდა მიგვედო, რომელიც შემდგომი წარმატების პერსპექტივას შერგვიქმნიდა?!

არმინდა ძალიან მკაცრი ვიყო, მაგრამ ვვარაუდობ, რომ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას, მიუხედავად უამრავი უცხოელი პროფესიონალების რჩევა-კონსულტაციებისა, ჯერაც ვერ აქვს ჩამოყალიბებული თუნდაც 2-წლიანი პრიორიტეტების გამოკვეთისათვის ხედვა და ამ საკითხების რეალური გარემოებების შესახებ ერთიანი წარმოდგენა, რომელიც სწორ გადანყვეტილებამდე მიიყვანს.

თუ ჩვენს ქვეყანაში კულტურის და ხელოვნების სფეროს განვითარების მიმართულებით მუშაობაზე ვიფიქრებთ, მაშინ უამრავი საკითხი იჩენს თავს:

- აუცილებელია მართვის კომპლექსური სისტემა;
- შესწავლა, თუ რა მდგომარეობაშია ეს სფერო;
- არსებული გარემოს გაანალიზება;
- სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომლის განხორციელებისთვის შესაბამისი კონცეფციის და ინსტრუმენტების შექმნას მოითხოვს.
- უცაბედი ცვლილებების პროგნოზირება.

დარწმუნებული ვარ, რომ სამწუხაროდ, სამინისტროს არანაირი სწორი წარმოდგენა არ აქვს საქართველოს კულტურის და ხელოვნების სამომხმარებლო მოთხოვნილებების შესახებ, არც ერთი სერიოზული კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. ამიტომ, ყოველთვის გაძნელება სამინისტროს მიერ მისი მისიის აღსრულება, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომების და აქტივობების გარეშე, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის მიზნების განსაზღვრის იდენტიფიცირება და მითუმეტეს, მიღწევა - შეუძლებელია.

კულტურის და ხელოვნების სფეროს რესურსების სწორი მეპინგი განსაზღვრავს ჩვენი კულტურის სამინისტროს ორგანიზმის წარმატებას. ამ სფეროს მართვისათვის საჭიროა (ამაზე არა ერთხელ ვისაუბრეთ, დავწერეთ...) კულტურის და ხელოვნების სფეროს ყველა მიმართულების შესწავლა და კვლევა-ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობიერება.

თუ, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა მისი ეგიდით მიღებულ კულტურის სტრატეგიას არ მოიაზრებს ისე, რომ ეს არის - კონკურენციის და ბიზნესის ორგანიზების მეთოდების კომბინაცია, რათა ჩვენი, მომხმარებელთა მოთხოვნები დააკმაყოფილოს და მრავალი განსახორციელებელი იდეებისაკენ, მათი მიღწევისაკენ არ იქნება ორიენტირებული, არაფერი გამოგვივა.

მაგრამ შედეგამდე მისასვლელი გზა ჯერ არ ჩანს და მანამდე არ გამოჩნდება, თუ სამინისტროს ხელმძღვანელობის სტრატეგიული პოზიცია გაურკვეველი იქნება, თუ მას არ ეცოდინება თავისი მუშაობის სტრატეგიული მიზნები. ამის გარეშე, ვერც შესრულების ხარისხზე ვისაუბრებთ, ვერც მოქმედების და კომპეტენციის სფეროს დავაკონკრეტებთ. არადა, თუ კარგად მიმოვიხედავთ გარშემო, თანამედროვე მსოფლიოში ცვლილებები ისე სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რომ უმთავრესი გამოწვევების ცვლილებებზე რეაგირებას და გაანალიზებას ვერც-კი ვასწრებთ, მათი განსჭვრეტისათვის ხედვაც კი არ გაგვაჩნია. ამიტომ სჭირდება ხელმძღვანელ ორგანოებს ასეთ სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში სწორი ჩართვა.

ასევე ვფიქრობ, რომ კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბების დროს, ყველა დონეზე, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ნაციონალური კულტურის და ხელოვნების მიმართ და არა, სამწუხაროდ, საქართველოში დამყარებულ „სახელმწიფოს პატერნალიზმზე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> paternus — (ფრანგული, მამობრივი) ეს არის ერთიერთობის ისეთი სისტემა, როცა ხელისუფლება აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს, ამის საფასურად კი თვითონ კარნახობს ქვეყნის მოდელებს, როგორც საზოგადოს, ისე პირადულს. ასახავს შეზღუდულ პერსპექტივებს, როცა ხდება ერთადერთი კოდექსის- ეთიკის კოდექსის მიღება; ინტერესები შეზღუდულია და მიღებულია გამოცდილების მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. (მაგალითად: როგორც ჰქონდა სსრკავშირს პატარა ქვეყნებთან, ვითომ გვფარველობდა და თან გვაკონტროლებდა. ან, პატრიარქალური ოჯახი, სადაც მამა მუდმივად აკონტროლებს შვილებს).



სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ დღეს, 2016 წელს, ვერანაირად ვერ ვსაუბრობთ ვერც კონკურენციაზე, ვერც კულტურის და ხელოვნების „პროდუქტის“ წარმოების გაფართოებაზე, რადგან ასეთი ბაზარი ქვეყანას ჯერ არ გააჩნია, არც რა რესურსებს ფლობს - არ შეუსწავლია.

ამასობაში კი საბაზრო კანონებმა და ახალმა ინოვაციურ-ტექნოლოგიურმა მიდგომებმა საზღვრები გააქრო დარგებსა და სეგმენტებს შორის, ინფორმაციები სწრაფად ძველდება და გარდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მატერიალუ-სულიერი ძეგლების იმ ნიმუშებისა, დრო-სივრცეს რომ გაუძღვს, თანამედროვე კულტურის და ხელოვნების „პროდუქტის“ სასიცოცხლო ციკლი (ხშირ შემთხვევაში) ხანმოკლეა.

ამიტომ სჭირდება კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებს სტრატეგიული მენეჯმენტის სწორი წარმართვა-განხორციელებისათვის ამ პრობლემების გააზრება, რადგან: ერთია სტრატეგია შეიმუშაო, ეს შედეგი უკვე დევს რეალურად, მეორეა - მისი განხორციელება. მაგრამ როგორ?! პასუხის გაცემაც კი ურთულესია.

შესაძლოა, სამინისტროს კულტურებში ვილაცამ დასვა კითხვები: რისი მიღწევა სურს და რისი შემოთავაზება შეუძლია მას ჩვენთვის, სოციუმისათვის?

თუ ახლებურად აზროვნების დაწყებას ვაპირებთ, მაშინ იქნებ ინოვაციური სტრატეგიის გამოყენებით სცადოს ამის შეთავაზება კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ საზოგადოებისათვის. ალბათ, უკვე საკმარისად დრო გავიდა და ის დრო დადგა, როცა კულტურის ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის სამინისტრომ კულტურის და ხელოვნების დარგების მწარმოებლებსაც და მომხმარებლებსაც ახალი შეთავაზებების მხარდაჭერას მიმართოს?! თანაც, ეს შემოთავაზებები უცილობლად უნდა ხასიათდებოდნენ მაღალფუნქციური და ღირებულებითი მახასიათებლებით, მოთხოვნადი იყოს და თანაც მიმზიდველი. ახალი ორიენტირების გამოკვეთა, მათში უპირატესის გამოყოფა და ამ იდეების განსახორციელებლად რთული სამუშაოს ჩატარება მოუწევს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რადგან ეს სამუშაო პროცესი როგორც საქმიანობის მასშტაბების ახლებურ გააზრებას, ისე ქმედებების მასშტაბების შეცვლას მოითხოვს. ასეთი აზროვნება კულტურის და ხელოვნების სფეროს მართვისათვის ქვეყანას სჭირდება განვითარებისათვის, რადგან სტრატეგიები დროთა განმავლობაში იცვლებიან და მათ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დამატებითი აქტივები სჭირდება. ბოლო რამდენიმე წელი, გარეგნულად, თითქოს „თანდათანობითი სრულყოფის სტრატეგიით“ მივდივართ წინ. რასაკვირველია, ეს ცუდი არაა, თუმცა ამ პროცესებს თავისი რისკებიც თან ახლავს და პროგრესს ნაკლებად გულისხმობა. როგორც მარკეტოლოგები მიიჩნევენ, როცა საქმე განვითარება-გაფართოებას ეხება, ამ

საქმიანობაში რეცეპტები არ არსებობს და ვერც იარსებებს. ხოლო მათ, მისაც ამ საკითხებზე ფიქრი და საქმით კეთება ევალებათ, უნდა განსჭვრიტონ კულტურის და ხელოვნების სფეროს განვითარებისათვის საკვანძო საკითხები, ხელი შეუწყონ ახალი შესაძლებლობების გაჩენას და მათ აღსრულებას.

ეხლა გავარკვიოთ იმაში, რომ ჩვენ სათანადოდ გვესმის კულტურის პოლიტიკა?! რომ ეს არის:

- სახელმწიფოს ქმედება, მიმართული კულტურის, ხელოვნების სფეროსკენ;
- შეგნებული ქმედება, მიღებული იქნას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ყველა იმ საკითხზე, რომელიც საჭიროა სოციუმში კულტურის განვითარების რეგულირებისათვის;
- ეს ნიშნავს, რომ: სახელმწიფო აწვდის საზოგადოებას ურთიერთობის მოდელს - კულტურით;
- ადგენს და განსაზღვრავს კულტურის სფეროში არსებულ პრიორიტეტებს;
- გვთავაზობს მექანიზმებს მისი შესრულებისთვის.

ამიტომ, სახელმწიფო აქ გვევლინება, თავისთავად, უკვე, გარანტიად - კულტურის და ხელოვნების განვითარების საქმიანობაში.

სოციოლოგები და მთელი რიგი მკვლევრები, მივიდნენ იმ საერთო აზრამდე, რომ „კულტურის პოლიტიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ სისტემას მიზნების, პრაქტიკული ამოცანების და საშუალებებისა, რომლებიც მიმართულია საზოგადოების გარკვეული ჯგუფისადმი.“ ეს პოლიტიკა შეიძლება სხვადასხვა ჩარჩოებში განხორციელდეს (მთავრობის, ქალაქის, რაიონის, გაერთიანების, საწარმოს, სკოლის და ა.შ.), მაგრამ, თუ ის გულისხმობს დიდვადიან მიზნის არსებობას, იმ შემთხვევაში - არადა-მოუკიდებლად, რადგანაც წარმოადგენს რთულ ერთიან სისტემას.

ამ საკითხებზე დღესაც მიდის სამეცნიერო კვლევა-ძიება, რომელიც არაერთაზროვნად ხდება, რაღაც ერთი ასპექტის განხილვა იწვევს, მეორის გაჩენას, ეს კი გარკვეულ პრობლემას აღმოაჩენს. ამიტომ, სამაგალითოდ და სახელმძღვანელოდ ბოლომდე არც არის შემუშავებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ კულტურის მართვის სფეროში ერთი, გარკვეული იდეალური კონცეფცია.

ჩვენთან ეხლა იქმნება?!

ნებისმიერი სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა რომ განვიხილოთ, ყველგან გამოიყოფა 3 ასპექტი:

- კონცეპტუალური (განსაზღვრავს კულტურის არსს, ფასეულობებს, ავლენს პრიორიტეტებს, რომლის ტრანსლირება ხდება საზოგადოებისთვის);
- ეკონომიკური;
- საკანონმდებლო.

სამეცნიერო წრეებში მიაჩნიათ, რომ: სწორედ კულტურის პოლიტიკა აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლებას და ახდენს მის რეალიზებას. ამიტომ, თუ გვსურს სახელმწიფოში კულტურის პოლიტიკის განხორციელება, საჭიროა კონცეპტუალური მხარეს

შერწყმა ეკონომიკურ-საკანონმდებლო მხარეებთან. ეს სამი მხარე არის ძირითადი მექანიზმები კულტურის პოლიტიკის განხორციელებისთვის.

ასევე, კულტურის სფეროს და ხელოვნების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ - არის ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკურ მხარდაჭერაში ამოსავალი ნერტილი. როდესაც დაფინანსებაზე ვსაუბრობთ, ეს სულაც არ გულისხმობს სრულ ფინანსირებას. დაფინანსება შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, რომ კულტურის სფეროში, მისი განვითარებისთვის განხორციელდება უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი, რაც ხდება გარანტი იმის, რომ კულტურა და ხელოვნება შეძლებს - იარსებოს ქვეყანაში. რაც შეეხება კანონს, ეს კულტურის პოლიტიკის ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა. ის პირდაპირ განსაზღვრავს ჩარჩოებს საორგანიზაციო-შემოქმედებითი პროცესებისთვის. მაგრამ, აქაც ცალმხრივად ვერ შევხედავთ საკითხს. მართო კანონები - ვერ უზრუნველყოფს კულტურის სფეროში არსებული პრობლემების სრულყოფილად მოგვარებას. ამიტომ, აქ საჭიროა, შერეული, ურთიერთ-გადამკვეთი კანონებიც. ეს მთელი სისტემაა საკანონმდებლო აქტების, არა მარტო კონკრეტული ქვეყნის - მაგალითად, საქართველოს შიგნით, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისითაც, რადგან ამის გარეშე, წარმოუდგენელია ერთიან სივრცეში თანამშრომლობა, მუშაობა და განვითარება. თუ ყველა ამ პირობას გავითვალისწინებთ, ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საქართველოში კულტურამ იფუნქციონიროს და განვითარდეს სწორად.

რატომ დგას დღეს ეს საკითხები ასე მწვავედ? ჯერ ის, რომ დაგვაგინყდა!

- ქვეყნის კულტურა და ხელოვნება მისი მოსახლეობის, მოქალაქეების რეალური სახეა!

- კულტურა და ხელოვნება სოციალურად აუცილებელი და სასარგებლო ყველასთვის, რადგანაც თავის თავში აკუმულირებს და შემდეგ ტრანსლირებს საზოგადოებაში საბაზისო ღირებულებებს;

- კულტურა და ხელოვნება აძლიერებს ბუნებრივი გარემოს ღირებულებებს - შენობები, ქალაქის გაფორმება, ტურიზმის და დასვენების სფეროს განვითარება, პროდუქტი და ა.შ.

- როდესაც ქვეყანაში ხდება კულტურის და ხელოვნების სფეროს ურთიერთ-სასარგებლო თანამშრომლობა საქმიან, ბიზნეს წრეებთან, ეს ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებას ფორმირებაში (აქ ვგულისხმობ ისეთ საზოგადოებას, რომელსაც თვითგანვითარების უნარი აქვს).

წინსვლისთვის რომ კულტურის და ხელოვნების ფაქტორი უდიდესია, განვითარებულ ქვეყნებში უკვე აღარც დაობენ. თანაც, საზოგადოების კოლსოლიდაციაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მას დიდი ადგილი უჭირავს.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, კულტურის პოლიტიკას - ნაკლები ადგილი ეთმობა სახელმწიფოს საქმიანობაში, რადგან აქ, კულტურ-

აზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბიზნესის სფერო, რომლის ხელშიც არის მნიშვნელოვანი თანხები და მარეგულირებელიც თვითონ არის და დამკვეთიც, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, სადაც იზრდება კულტურის თვითმყოფადობისათვის, კულტურული იდენტობისათვის სწრაფვა და ბრძოლა. განვითარებად ქვეყნებში, სახელმწიფო მთავარი ინსტიტუტი, რადგანაც ის ერთადერთია, რომელსაც შეუძლია კულტურის განვითარება უზრუნველყოს, რომელიც აუცილებლად თანახმიერებაში უნდა იყოს ქართველი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებთან.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამიტომ ჩვენი ურთიერთობები და ეკონომიკა საერთაშორისო დონეზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურულ, ტურისტულ ან სახვითი ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის წარდგინებით, მიწოდებით. ჩვენი ქალაქის მიზიდველობას, სამუხაროდ, ჰოსტელების და სარესტორნე სერვისი აცოცხლებს და არა დასვენებითი, კულტურული, ხელოვნების ან სპორტული ღონისძიებები, გამონაკლისია - ახალგაზრდული ევროპის ქვეყნების ოლიმპიადა „თბილისი 2015“, ბარსელონას საფეხბურთო გუნდის ვიზიტი თბილისში (2015, აგვისტო), GEM Fest და Chick in Georgia სხვა ღონისძიებები.

კულტურის სფერო არაკომერციული მოღვაწეობაა და მასში ფული ჩნდება თანხების, ინვესტიციების მოზიდვით. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის და ხელოვნების სფერო საინტერესო არ არის კომერციული კუთხით. ეს არის ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი სექტორი ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც თავისთავად შეიცავს კომერციულ ნაწილს თუ კარგად იქნება დანახული, გააზრებული და დათვლილი. მაგალითად: ხელოვნების მუზეუმს ჰქონდეს სუვენირების წარმოება (ხელოვნების მუზეუმივით), ტიპოგრაფია და ა.შ.

კულტურის სფეროს რამდენიმე ბაზარი გააჩნია. წარმატებული საქმიანობისთვის, ყველაზე მინიმუმ - მომხმარებლის და ინვესტორთა ბაზრის კონიუქტურის ცოდნაა აუცილებელი.

რადგან ინვესტიციები ვახსენეთ, უნდა ვთქვათ, რომ დღეს საქართველოს რეალობაში, მცირე გამონაკლისის გარდა, კულტურის, ხელოვნების და ბიზნეს ინტერესთა პრობლემები მარტო ტექნოლოგიურ შინაარსზე არ არის დამყარებული. დღეს ეს თანამშრომლობა თითქმის არ არსებობს. საქართველოში, ჯერჯერობით, მაღალ დონეზე, კულტურის და ხელოვნების სფერო არ და ვერ იარსებებს და განვითარდება - სახელმწიფოს თანადგომის გარეშე.

მაგრამ, აუცილებელია, სახელმწიფოს ინტერესების გვერდით, მოზიდული იქნას თანხები მრეწველობის და სავაჭრო სექტორებიდან, რათა შენაჩუნდეს კულტურული მემკვიდრეობა და განვითარდეს შემოქმედის პოტენციალი, კულტურული ცხოვრება.

განვითარებულ ქვეყნებში, ბიზნესიც დაინტერესებულია კულტურის სფეროსთან თანამშრომლობით, რომელიც მათ აძლევს თავიანთი რეპუტაციის

გამყარების საშუალებას. ეს ხდება კულტურასთან პირდაპირი თანამშრომლობით და არა - მარტო კულტურის ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე.

დღეს თუ ხვალ, ბიზნეს სექტორი ალბათ მიხვდება, რომ კულტურასთან თანამშრომლობა აუცილებელია და, დაინყებს ფიქრს - მოძებნოს თანამშრომლობის გარკვეული და საჭირო ფორმები, მოდგომები, რომელიც გულისხმობს თვითგანვითარებად და თვითრეგულირებად პროცესებს. ვფიქრობ, სხვაგვარად სრულყოფილად ვერ განვითარდება დემოკრატიული პრინციპები საქართველოში.

უნდა დავფიქრდეთ და გავიაზროთ, რომ დღეს, ხელოვნების და კულტურის სფეროში არსებული და მიმდინარე პრობლემები არ შემოიფარგლება მარტო დარგისმიერი პრობლემებით.

ყველა ქვეყანაში კულტურის პოლიტიკა ვერ იქნება ერთნაირი; შესაძლებელია, რომ ტიპები და მოდელები რაღაცაში დაემთხვეს, მაგრამ კონკრეტული მიდგომები ყოველთვის იქნება განსხვავებული, რადგან ისინი ვითარდებიან კონკრეტულ დროსა და სივრცეში და არის - სახელმწიფოებრივ-სოციალური მოვლენა, თანაც მრავალ დონეთა სისტემა. ყველაფერ ამაზე კი დომინირებს პიროვნების და საზოგადოების სულიერება.

კულტურის პოლიტიკა დღეს ყველასთვის, ცივილიზებული სამყაროსთვის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად დგას. ევროპული ქვეყნების ნამყვან ინსტიტუტებში ასეთი დისციპლინაც კი შემოიღეს: „კულტურის პოლიტიკა და დაგეგმარება კულტურაში“.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეროვნული კულტურის პოლიტიკა, ალბათ, პირველ რიგში, მოდის ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგიიდან, რადგანაც სახელმწიფო განსაზღვრავს კულტურული პროცესებს და პრიორიტეტებს შემოქმედს და სოციუმს შორის — ეს იდეალურ შემთხვევაში. ყველა დროს, წარსულშიც და დღევანდელობაშიც, შემოქმედებითი სანყისი, კულტურაში, შემოქმედის ინდივიდუალურ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს ხელისუფალთ, ბოლო რამდენიმე ათეულ წელზე მეტია, ავიწყდებათ, რომ როცა სახელმწიფო ითვალისწინებს საერთო ნაციონალურ ინტერესებს, რომელიც ეროვნულ კულტურაზეა დაფუძნებული და ის ორიენტირებულია ამ კულტურის რეგულაციისთვის გამოიყენოს თავისი ბერკეტები და არა ავტორიტარულ ბიუროკრატიაზე ან ძალადობაზე (ამის უამრავი მაგალითი არსებობს), ქვეყანა მით უფრო წარმატებულია!

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საქართველოში კულტურის სფეროში არასწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის გამო, მიმდინარე პროცესების ანალიზიდან მიღებული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფლება არაგონივრულად იყენებდა მის ხელთ არსებულ რესურსებს, არ უთმობდა სათანადო დროს, ხშირ შემთხვევაში არც ინდომებდა, რომ განხორციელებინა მისი ქვეყნის ადამიანებისთვის ეკონომიკური,

სოციალური და კულტურული უფლებების პაქტით მონიჭებული უფლება. არადა, ქვეყანაში ნამდვილად არსებობს იმის რესურსი, რომლის გონივრული დაგეგმა და გამოყენება შესაძლებელია.

არასწორი გადაწყვეტილებები სერიოზულ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის კულტურას, მის კულტურულ მემკვიდრეობას. არადა, კულტურის პოლიტიკის პრინციპიალური ფუნქცია არის თაობებს შორის სოციალური გამოცდილების ტრანსლაცია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსში განიხილება.

ასევე პრინციპულია, რომ მოხდეს სოციალური ნორმების ტრანსფორმაცია, განხორციელდეს ისეთი პრაქტიკული ქმედებები, რომელიც მიმართული იქნება ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარებისათვის.

თუ სახელმწიფო ცივილიზურია, ის თავად განსზღვრავს კულტურის პოლიტიკას, წარმოადგენს მას თავის კონსტიტუციაში როგორც უმთავრესს მართვის ინსტრუმენტს, აწესებს რეგულაციებს, ქმნის სტრუქტურებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კულტურის სფეროში ქვეყნის ჩართულობაზე. საქართველოში ასეთია კულტურის სამინისტრო, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ქვედა სტრუქტურებს, რათა განახორციელოს დასახული მიზნები.

კულტურის სფერო რაღაც ასპექტით მიეკუთვნება მომსახურების სფეროსაც, ამიტომ საბაზრო პირობებში ის რეალურად ხდება ეკონომიკის სეგმენტი, მაგრამ იმავე დროს საზოგადოებისთვის ასრულებს საგანმანათლებლო-განმავითარებელ ფუნქციას.

ჩვენს ქვეყანაში, კულტურის ორგანიზაციებში, კულტურული პროცესების არაეფექტურობა, ძირითადად განსაზღვრულია „უაზრობამდე“ დასული დირექტივებით, სადაც, პირიქით, უნდა იყოს კეთილგანწყობილი ატმოსფერო პიროვნების თვითგანვითარებისა და რეალიზაციისათვის, რომელიც ნაყოფიერების საწინდარია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან ახოზაძე, „Scripta manent“, თბილისი, N4(24), 2014, 95-115
2. ქეთევან ახოზაძე, კულტურული მემკვიდრეობა როგორც ეკონომიკის დარგის განსაკუთრებული საშუალება. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ N4(65), 2015, 41-55
3. [www.unesco.org/ulis/en/faq.html](http://www.unesco.org/ulis/en/faq.html) – იუნესკოს დოკუმენტები და პუბლიკაციები
4. [www.justice.gov.ge/Ministry/Index/315](http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/315) – გაერო (UN)საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
5. [www.bu.org.ge](http://www.bu.org.ge) – ადამიანის უფლებათა ლექსიკონი
6. [www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=538&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=538&lang_id=GEO) – იუნესკოს დოკუმენტები.

**საკუთრების უფლების შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საპარტოლის მიხედვით**

*ცირა კომახიძე*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული მასწავლებელი*

**რეზიუმე**

ნაშრომში, განხილულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეზღუდვა, შეზღუდვის განმაპირობებელი მიზეზები, დაცულ სფეროში ჩარევის ფარგლები, ჩარევის გამართლებულად მიჩნევისათვის დადგენილი კრიტერიუმები, საკუთრების ჩამორთმევისა და საკუთრების გამოყენების კონტროლის გამიჯვნის საკითხები.

სტატიაში გადმოცემულია ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში გაკეთებული განმარტებები საკუთრების უფლების დასაშვებ შეზღუდვასთან დაკავშირებით.

**THE RESTRICTION ON THE RIGHT OF PROPERTY ACCORDING TO EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND THE CASE LAW OF EUROPEAN COURT**

**Tsira komakhidze**

*Invited teacher of Batumi Shota Rustaveli State University*

**RESUME**

In present work, is complexly reviewed the content of the right of property from the solutions of the European convention of right and decisions of European court of human rights, limiting conditions, intervention in protected area and established criteria what is considered to be justified.

The article is about explanations made by European court in vital decisions with regard to the permissible limitation of the rights of property.

**შესავალი**

საკუთრების უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას რომლის დაცვასა და უზრუნველყოფას ემსახურება არაერთი შიდა-სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართალში არსებული ინსტიტუტი. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს და წარმოადგეს

ძირითად საერთაშორისო აქტს, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურად გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფილია ევროპული სასამართლოს მეშვეობით. ნაშრომის მიზანია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეზღუდვის განმაპირობებელი მიზეზების, დაცულ სფეროში ჩარევის ფარგლების და ჩარევის გამართლებულად მიჩნევისათვის დადგენილი კრიტერიუმების განხილვა.

**1. საკუთრების უფლების შეზღუდვა**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად: „ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების მშვიდობიანად სარგებლობის უფლება. არავის უნდა ჩამოერთვას მისი საკუთრება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საზოგადოებრივ ინტერესებშია და ექვემდებარება კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით უზრუნველყოფილ პირობებს. თუმცა წინამდებარე დებულებებმა არ უნდა შეზღუდოს სახელმწიფოს უფლება ძალაში გაატაროს ის კანონები, რომლებიც მას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთრების გამოყენების კონტროლისათვის ან გადასახადების თუ სხვა შესატანების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფისთვის აუცილებლად მიაჩნია“. როგორც ვხედავთ, ევროპული კონვენცია, რომელიც ადგენს საკუთრების უფლებას, თავად მუხლში ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს იმ წესებს და პირობებს, რაც დადგენილია თავად ამ ნორმით და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სპორონგი და ლონროსი შვედეთის წინააღმდეგ“, განმარტა, რომ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დებულება, მოიცავს სამ წესს:

- ✓ პირველი წესი აცხადებს საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის პრინციპს და ის ზოგადი ხასიათისაა;
- ✓ მეორე წესი მოიცავს ქონების ჩამორთმევას, რომელსაც უქვემდებარებს ცალკეულ პირობებს;
- ✓ მესამე წესი აღიარებს სახელმწიფოს უფლე-

ბას გააკონტროლოს ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესების შესაბამისად, ისეთი კანონების მიღებით, რომელსაც ის ჩათვლის აუცილებლად ამ მიზნის მისაღწევად.<sup>1</sup>

თავდაპირველად, სასამართლო განსაზღვრავს სიტუაცია მიესადაგება თუ არა მეორე ან მესამე წესს. თუკი სიტუაცია არ მიიჩნევა არც საკუთრების ჩამორთმევად და არც საკუთრების კონტროლად, მსჯელობს ხომ არ არის სახეზე პირველი წესი. პირველი წესი არის ზოგადი ბუნების მქონე და მოიცავს ყველა სიტუაციას, რომელიც პირის საკუთრების უფლებაში ერევა, მაგრამ, ამასთანავე არ წარმოადგენს საკუთრების ჩამორთმევას ან საკუთრებით სარგებლობის კონტროლს.<sup>2</sup>

**1.1. საკუთრების ჩამორთმევა თუ კონტროლი საკუთრების გამოყენებაზე?** მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას გულისხმობს საკუთრების უფლების ჩამორთმევა და როდისაა სახეზე საკუთრების გამოყენების კონტროლი. არის შემთხვევა, როდესაც კონტროლი საკუთრების გამოყენებაზე იმდენად ინტენსიურია, რომ ის საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სპორონგი და ლონროსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმარტა, რომ კერძო საკუთრების შეზღუდვამ მესაკუთრეს თავისუფლების განსაზღვრული დონე უნდა დაუტოვოს, სხვაგვარად, ეს შეზღუდვა საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი იქნება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემოიტანა ფაქტობრივი და ფორმალური ექსპროპრიაციის ცნება. ფორმალური ექსპროპრიაცია ეს არის ის შემთხვევა როცა, ხდება საკუთრების ფორმალური გადასვლა, როცა საკუთრების ობიექტი მესაკუთრის მფლობელობიდან გამოდის და ის კარგავს საკუთრების ყველა იმ ელემენტს რაც მას ახასიათებს. არის შემთხვევა, როცა საკუთრების ობიექტი მესაკუთრის ხელშია, მაგრამ მისი მფლობელობა, განკარგვა, თუ სარგებლობა ისეა შეზღუდული, რომ ფაქტობრივად მისი განხორციელება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს დე ფაქტო ექსპროპრიაციას. ეს მიდგომა არის საერთაშორისო სამართლის მსგავსი, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შედეგად საკუთრების უფლება შეიძლება იმდენად გამოუყენებადი გახდეს, რომ ეს უფლება ექსპროპრირებულად ჩაითვალოს მაშინაც, როცა სახელმწიფო უარყოფს ექსპროპრიაციის ფაქტს და ქონება ფორმალურად მესაკუთრის ხელშია.<sup>3</sup> თუმცა ევროპულ სასამართლოს აქვს საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებული მიდგომა საკუთრების ჩამორთმევის განმარტებისას. კერ-

ძოდ, საერთაშორისო სამართალი საკუთრების ჩამორთმევად მიიჩნევს ვითარებას როდესაც, ჩარევა სცილდება საკუთრების გამოყენებაზე სოციალური კონტროლის ფარგლებს, კონვენციის ინსტიტუტის განმარტებით კი ჩამორთმევას ვინრო გაგება აქვს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „სპორონგის და ლონროსის“ საქმეში არ დაადგინა დე ფაქტო ექსპროპრიაცია მიუხედავად იმისა, რომ ქონების გამოყენების და განკარგვის უფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და თავად საკუთრების უფლებას დაემუქრა საფრთხე. თუმცა საქმეში „პაპამიჩალოპოულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ“, რომელშიც საქმე ეხებოდა განმცხადებლების ფორმალურ საკუთრებაში არსებული მიწების სახელმწიფოს მიერ საზღვაო ძალისათვის გადაცემას, სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწები განმცხადებლების საკუთრებაში იყო, საზღვაო ძალებმა ფაქტობრივად დაისაკუთრეს ეს მიწები, დაიწყეს მასზე მშენებლობა, აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს არ ჰქონდათ საკუთარი ქონების სარგებლობის, გაყიდვის, იჯარით თუ მემკვიდრეობით გადაცემის, გაჩუქების შესაძლებლობა, ამიტომ განკარგვის შესაძლებლობის მოსპობა განხილულ იქნა დე ფაქტო ექსპროპრიაციად.<sup>4</sup> როგორც ვხედავთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიიჩნევა საკუთრების უფლების შეზღუდვა დე ფაქტო ექსპროპრიაციად.

## 2. საკუთრების უფლების შეზღუდვის კრიტერიუმები

საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, რომ ჩაითვალოს გამართლებულად და დასაშვებად ევროკონვენცია ისევე, როგორც ევროპული სასამართლო ადგენს იმ პირობებს (კრიტერიუმებს) რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ჩარევა. ეს კრიტერიუმებია: 1) შეზღუდვა კანონით უნდა იყოს დადგენილი; 2) შეზღუდვა უნდა ემსახურობდეს საერთო ინტერესის კანონიერ მიზანს; 3) იგი საჭირო უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის (ეს კრიტერიუმი მნიშვნელოვანია ექსპროპრიაციის დროს); 4) დაცული უნდა იყოს პროპორციულობა მიზანსა და მისაღწევ საშუალებას შორის.<sup>5</sup>

**2.1. კანონიერების (კანონის გასაგები ფორმით არსებობის) პრინციპი.** კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ადგენს, რომ ქონების ჩამორთმევა უნდა „აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ პირობებს“, ხოლო მის გამოყენებაზე კონტროლი კი დასაშვებია თუ ის ეფუძვნება ისეთ კანონებს, რომლებსაც სახელმწიფო სავალდებულოდ მიიჩნევს. „კანონი“ არ ნიშნავს მხოლოდ „კანონ-

1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 368

2 სახელმწიფო სამართალი (3) // გამომცემლობა ალმანახი, თბ., 2001, გვ. 10-11

3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 381

4 იქვე, გვ. 382

5 საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე // ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები, N10, 2008, გვ. 15

ნს“ მისი ოფიციალური გაგებით. იგი მოიცავს სხვა საკანონმდებლო აქტებსაც. ასევე, კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ პირობებს, იგი უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, მისი დებულებები მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, რათა პირს შეეძლოს განსაზღვროს შედეგები.<sup>6</sup> თუმცა ეს არ გულისხმობს აბსოლუტურ სიცხადეს. სასამართლო ხშირად აღნიშნავს, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტის მიღწევა კანონის შექმნისას, მაგრამ მიუხედავად ამისა კანონი, რომელიც იძლევა მოქმედების თავისუფლებას, უნდა მიუთითებდეს ამ თავისუფლების ფარგლებს. ანუ კანონის გარკვეულობის პრინციპის მოთხოვნა, რომ ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად, შეზღუდვა უნდა ეყრდნობოდეს შიდასახელმწიფოებრივ დებულებას, ასევე უნდა არსებობდეს მისი განხორციელების სამართლიანი და სათანადო პროცედურა, შეზღუდვა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს მიერ უნდა განხორციელდეს და ხელისუფლება არ უნდა იქცეოდეს თვითნებურად.<sup>7</sup> თუკი სასამართლო დაადგენს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა არ პასუხობს კანონიერების მოთხოვნას, აღარ არის საჭირო გაირკვეს ჩარევა განხორციელდა თუ არა კანონიერი მიზნით, ან იყო თუ არა პროპორციული. ამ დროს ავტომატურად დგინდება პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა.

**2.2. საერთო (საზოგადოებრივი) ინტერესით განპირობებული კანონიერი მიზანი.** საკუთრების უფლებაში კანონიერი ჩარევა გამართლებულად ჩაითვლება, თუ ის ემსახურება საერთო (საზოგადოებრივი) ინტერესებით განპირობებულ კანონიერ მიზანს. აღნიშნული ერთდროულად ეხება, როგორც საკუთრების უფლების ჩამორთმევას, ასევე საკუთრების სარგებლობის კონტროლს. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე ნინადადება, რომელიც ადგენს საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას, საუბრობს საზოგადოებრივ ინტერესზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ადგენს საკუთრებით სარგებლობის კონტროლს (შეზღუდვა), მიუთითებს საერთო ინტერესზე. ამასთან, როგორც სასამართლომ განმარტა არ არსებობს რაიმე განსხვავება პირველი პუნქტის მეორე ნინადადებაში ნახსენებ „საზოგადოებრივ ინტერესსა“ და მეორე პუნქტში ნახსენებ „საერთო ინტერესებს“ შორის. პრეცედენტულ სამართალში ამ ტერმინთა შენაცვლებით გამოყენების მაგალითიც გვხვდება.

„საზოგადოებრივი ინტერესი“ არის საკმაოდ ფართო ცნება. ამასთან საზოგადოებრივი ინტერესი არ გულისხმობს იმას, რომ საკუთრების შეზღუდვამ სა-

6 კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2008, გვ. 18

7 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 400-403

რგებელი უნდა მოუტანოს მთელ საზოგადოებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმარტა, რომ საკუთრების ჩამორთმევა, რომელიც კერძო პირისათვის სარგებლის მინიჭების გარდა, სხვა მიზანს არ ემსახურება, არ შეიძლება შედიოდეს საზოგადოებრივ ინტერესში, თუმცა საკუთრების ჩამორთმევა ლეგიტიმური სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა პოლიტიკის გატარების მიზნით, შეიძლება საზოგადოებრივ ინტერესში იყოს, მიუხედავად იმისა საზოგადოება პირდაპირ იყენებს თუ არა ამ ჩამორთმეულ საკუთრებას.<sup>8</sup> ეს მიდგომა გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც განმარტა, რომ საზოგადოებრივი აუცილებლობა არ გულისხმობს, აპრიორი, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვამ, პირდაპირი სარგებელი უნდა მოუტანოს ადამიანების ფართო ჯგუფებს.

სასამართლოს მიდგომა საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებით არის ლოიალური, ის პატივს სცემს ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებებს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უკეთ იცნობენ საკუთარ საზოგადოებას და მის საჭიროებებს და შესაბამისად საზოგადოებრივი ინტერესის დადგენისას მათ უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ ვიდრე ევროსასამართლოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს სახელმწიფოს შეუზღუდავ თავისუფლებას. სახელმწიფოს ხშირად უწევს იმის დამტკიცება, რომ არსებობდა საზოგადოებრივი საჭიროება და ეკისრება ვალდებულება საამისო მტკიცებულებების წარსადგენად.<sup>9</sup> რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს ის შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგალითად, ეროვნული უშიშროება, ეკონომიკური ინტერესი, დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობის და ზნეობის დაცვა და სხვა.<sup>10</sup> სასამართლო თითოეულ საქმეზე ადგენს, არსებობდა თუ არა შეზღუდვის დაწესების საერთო ინტერესით განპირობებული კანონიერი მიზანი, რაც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ჩარევის დასაშვებად მიჩნევისათვის.

**2.3. პროპორციულობის ტესტი.** საკუთრების ხელყოფა, ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, რომ ჩაითვალოს გამართლებულად და დასაშვებად, უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის. უნდა დამყარდეს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტალური უფლებების მოთხოვნას შორის.

8 სახელმწიფო სამართალი (2) // გამომცემლობა აღმანახი, თბ., 2001, გვ. 13

9 საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე // ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები, N10, თბ., 2008, გვ. 17

10 კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2008, გვ. 19

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ სასამართლო ხელშემკვერელ სახელმწიფოებს საკმაოდ ფართო დისკრეციას უტოვებს, რადგან ზოგადი მოსაზრების შესაბამისად სახელმწიფოს აქვს მეტი შესაძლებლობა შეაფასოს, როგორც შეზღუდვის მოთხოვნა, ისე მისი აუცილებლობა, რადგან ამას პირდაპირი კავშირი აქვს სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა პროცესებთან. სახელმწიფოსათვის მინიჭებული ამ დისკრეციის ფარგლებს „უფლებამოსილების ზღვარს“ უწოდებენ. მისი ფარგლები დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, კონვენციით გარანტირებული უფლებების ბუნებაზე, კანონიერი მიზნის ბუნებაზე, ასევე ჩარევის ინტენსიურობაზე. ამასთან ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე „მელაჰერი ავსტრიის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ პრობლემის გადანაცვლების ალტერნატიული გზების შესაძლო არსებობა თავისთავად არ გულისხმობს გასაჩივრებული კანონმდებლობის უსამართლობას, იმ პირობით, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მოქმედებდა შეფასების ზღვრის ფარგლებში.<sup>11</sup> თუმცა, მეორე მხრივ, როდესაც ხდება პროპორციულობის საკითხის გარკვევა სასამართლო მხედველობაში იღებს ალტერნატიული ღონისძიების არსებობას.<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, არ ერიდება სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიებების კრიტიკას და აკეთებს შეფასებებს სახელმწიფოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ზღვრის შესაბამისად. პროპორციულობის საზომი, საკუთრების ჩამორთმევისა და საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის დროს, ამკარად განსხვავებულია. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, საკუთრების ჩამორთმევა უფრო სერიოზული მოვლენაა ვიდრე, მის გამოყენებაზე კონტროლი, ამ უკანასკნელ შემთხვევაში სრული საკუთრება შენარჩუნებულია. პროპორციულობის ანალიზი უნდა მოხდეს საკუთრების უფლებაში ჩარევის ტიპის გათვალისწინებით.<sup>13</sup>

**2.4. უფლების აღდგენის სამართლებრივი საფუძველი - კომპენსაცია.** სასამართლო პროპორციულობის ტესტის შეფასებისას დიდ ყურადღებას აქცევს, მოხდა თუ არა სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდა, იმ პირისათვის რომლის საკუთრების უფლების ხელყოფა განხორციელდა. როცა საქმე ეხება საკუთრების უფლების ჩამორთმევას (ექსპროპრიაციას) ეს საკითხი ცალსახაა და აუცილებელია კომპენსაციის გადახდა. საქმეზე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმა-

11 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 394-395  
12 საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე // ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები, N10, თბ., 2008, გვ. 18-19  
13 სახელმწიფო სამართალი (2) // გამომცემლობა აღმანახი, თბ., 2001, გვ.15

რტა, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება კომპენსაციის პრინციპის არარსებობის პირობებში, ილუზიური და განუხორციელებელი იქნებოდა. კომპენსაციის საკითხი მნიშვნელოვანია, მაშინაც როცა სახეზე არ არის საკუთრების ჩამორთმევა და საქმე ეხება საკუთრების შეზღუდვას. საქმე „საშანიუ საფრანგეთის წინააღმდეგ“ არის იმის მაგალითი, რომ სასამართლო მხედველობაში იღებს კომპენსაციის საკითხს საკუთრების უფლების ისეთი ხელყოფისას, როცა ადგილი არ აქვს საკუთრების ჩამორთმევას. საქმე ეხებოდა განმცხადებლების საკუთრებაში არსებულ მიწებზე სხვა პირებისათვის ნადირობის უფლების დათმობას. სასამართლომ პროპორციულობის პრინციპის შეფასებისას, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ განმცხადებლებს არანაირი კომპენსაცია არ ეძლეოდათ, მაშინ როცა ხდებოდა მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა, რაც მიიჩნია დარღვევად კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლისა.<sup>14</sup> ამასთან სასამართლო ადგენს, რომ კომპენსაციის ოდენობას ქონების ღირებულებასთან გონივრული კავშირი უნდა ქონდეს.<sup>15</sup> თუმცა საჯარო ინტერესი, როგორცაა ეკონომიკური რეფორმა ან სოციალური თანასწორობის მიღწევის ზომები, შეიძლება ითვალისწინებდეს საბაზრო ფასზე ნაკლები ოდენობით ანაზღაურებას.<sup>16</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა ითვალისწინებს კომპენსაციას მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევისას და არა საკუთრების უფლების შეზღუდვისას, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს, განსაკუთრებით მაშინ როცა იმდენად დიდია საკუთრების უფლებაზე ზემოქმედება, რომ ის შეიძლება დე ფაქტო ექსპროპრირებულად ჩაითვალოს.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს იმისათვის, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა ჩაითვალოს დასაშვებად. აუცილებელია შეზღუდვა იყოს საერთო ინტერესით გათვალისწინებული კანონიერი მიზნის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონიერების მოთხოვნას და უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის. ამასთან უფლების შეზღუდვას, თან უნდა ახლდეს კომპენსაციის გადახდა, რაც

14 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 397-398  
15 სიმონ ჰაპუაშვილი, საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით // ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2009, გვ. 183-184  
16 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 399

მნიშვნელოვანი კომპონენტია სამართლიანი ბალანსის შეფასებისას. ევროსასამართლო პრაქტიკით ავლეს იმ ზღვარს, რომლის შიგნითაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ, თუმცა საბოლოოდ სახელმწიფოს ჩარევა საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს, ამას წყვეტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც წარმოადგეს უმაღლეს და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს.

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის გამოცემით, თბ., 2010;
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბ., 2004;
5. იზორია ლევან, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი // ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპულ და საერთაშორისო სამართალში, თბ., 2002;
6. კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2008;

7. ლაშა ჭელიძე, საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა // ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემა, თბ., 2007;
8. პაატა ტურავა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, 2006, <http://library.court.ge/index.php?id=2284> ;
9. საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე // ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები #10, 2008;
10. სახელმწიფო სამართალი (3) // გამომცემლობა ალმანახი, თბ., 2001;
11. სიმონ პაპუაშვილი, საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით // ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2009.

**ბადანწყვეტილებები:**

1. „ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Ilascu and Others v. Moldova and Russia); 2004;
2. ჯემსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (James and Others v. the United Kingdom), 1986 წელი
3. სპორონგი და ლონროსი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonroth v. Sweden), 1982 წელი.



# ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ტრანსფორმაცია რბილიდან ჭკვიან ძალამდე

ლიზა ამილახვარი  
სოციალურ მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

## UNITED STATES FOREIGN POLICY STRATEGY TRANSFORMATION FROM SOFT TO SMART POWER

Liza Amilakhvari  
PhD in Social Science

### SUMMARY

The aim of this article is to describe the historical path of transformation of United States foreign policy strategy from “Soft Power” to “Smart Power” and the results of these strategies.

US has always claimed that it has been implementing the status quo policy, even when it was expanding, while conquering Latin American states or during military interventions. All this actions were carried out by using the “Hard Power” strategy, which appeared to be pretty flexible to be transformed into “Soft Power” strategy adequately to the changed conditions.

Soft power is a concept developed by Joseph Nye of Harvard University to describe the ability to attract and co-opt rather than by force, using force or giving money as a means of persuasion. Soft power is the ability to shape the preferences of others through appeal and attraction. A defining feature of soft power is that it is no coercive; the currency of soft power is culture, political values, and foreign policies.

This concept was widely used during and post cold war period, until then, the balance of power in global politics has not changed drastically.

Later Joseph Nye reintroduces the idea and argues for its relevance in forming the post-September 11 U.S. foreign policy. He argues that successful states need both hard and soft power - the ability to coerce others as well as the ability to shape their long-term attitudes and preferences. This new strategy was called “Smart Power” and became US 44<sup>th</sup> president – Barack Obama’s administration’s main principle.

Within the framework of this work we discussed some aspects of United States foreign policy strategies and analyzed the results of these strategies.

\* \* \* \*

მიზნებისა და საშუალებებს შორის განსხვავება საკვანძოა, საერთაშორისო საგარეო პოლიტიკის ფორმულირებისათვის. საგარეო პოლიტიკის მიზანში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ამოცანების ერთობლიობას, რაც განაპირობებს სახელმწიფოთა ქმედებებს,

საგარეო პოლიტიკურ საშუალებებში კი იმ სტრატეგიებს, რომლებსაც სახელმწიფოები მიმართავენ საკუთარი ამოცანების რეალიზების მიზნით. მიზნები თავისი არსით არის ფართო და რთულად ცვალებადი, რაც შეეხება სტრატეგიებს, ისინი შეიძლება იყოს პრაგმატული, ტაქტიკური და იცვლებოდეს დროთა განმავლობაში პოლიტიკური რეალობის შესაბამისად. მეოცე საუკუნიდან დღემდე აშშ-მ რამოდენიმეჯერ მოახდინა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შეცვლა.

აშშ ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი ახორციელებდა სტატუს-კვოს პოლიტიკას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ფართოვდებოდა, ახდენდა ლათინური ამერიკის სახელმწიფოების დაპყრობას ან სამხედრო ინტერვენციას. მის ამგვარ ქმედებებს წარმართავდა “ხისტი ძალის” სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც გულისხმობდა ეროვნული ინტერესის დაცვას ძალის გამოყენების საშუალებით. “ხისტი ძალის” სტრატეგია საკმაოდ მოქნილი გამოდგა იმისათვის, რომ შეცვლილი პირობების ადექვატურად მომხდარიყო მის გარდაქმნა „რბილი ძალის“ (soft power) სტრატეგიად.

თავად ტერმინი „რბილი ძალა“ (soft power) სამეცნიერო და პოლიტიკურ ლექსიკონში შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ 1990 წელს.

როგორც ჯოზეფ ნაიმ აღნიშნავს, რბილი ძალა არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატანების ან გადახდის, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით“. ნაიმს მიხედვით, „ქვეყნის „რბილი ძალის“ უმთავრესი ელემენტები შეიცავენ მის კულტურას, მის ღირებულებებს და მის პოლიტიკას.“ „რბილი ძალის“ გამოყენების მექანიზმებია „საჯარო დიპლომატია, მაუწყებლობა, გაცვლითი პროგრამები, განვითარების ხელშეწყობა, შემწეობის აღმოჩენა კატასტროფების ჟამს“. ცხადია, აქედან თითოეულს შეუძლია ქვეყნის კონკრეტული იმიჯის შექმნა და მისი პოპულარიზება, რითაც ის სხვა ქვეყნების თვალში მომხიბვლელობას იხვეჭს და მათ ნებაყოფლობით იზიდავს.[1]

„რბილი ძალის“ პოლიტიკა ჩამოყალიბდა „ცივი ომის“ პერიოდში. ჯ. ნაიმ შეამჩნია, რომ ცივი ომის მოგება მოხდა თავშეკავების სტრატეგიის დახმარებით. საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლო ანტაგონიზმის გამოყვანა სამხედრო დაპირისპირების ფარგლებიდან. თავისი უპირატესობის გამოყენებით, ის აქტიურად აგრძელებდა შეტევებს ეკონომიკურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ სფეროებზე.

„რბილი ძალა“ არის ინტერვენცია, რომლისთვისაც არ არსებობს ზღუდე ინფორმაციული საზოგადოებისა და ღია საზღვრების პირობებში. ამ ინტერვენციის ინსტრუმენტები მრავალფეროვანია, არ შეიძლება მათი უბრალოდ კულტურულ და ინფორმაციულ ექსპანსიებთან შედარება. „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებად მოიაზრება ვაჭრობა, ეკონომიკური დახმარება, ტურიზმი, მეცნიერული და კულტურული გაცვლა და ა. შ. ეს წყნარი, შეუმჩნეველი ექსპანსიაა, რომელსაც შეუძლია მოსახლეობის სულიერი ფასეულობებისათვის დანაკარგის მოტანა.

„რბილი ძალი“ სტრატეგია რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს:

**პირველი:** „მიმზიდველობა“ — დასავლეთის პოპულარული მუსიკის, როკ-ენ-როლის, ჯინსებისა და ჟურნალების გლობალიზაცია. ეს კომპონენტი ეფექტურად მოქმედებს ახალგაზრდებზე. განსაკუთრებით ეფექტურად კი იმ ქვეყნების ახალგაზრდებზე, სადაც არის სახალხო დემოკრატია.

**მეორე:** „ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ს დიპლომატია ფართოდ იყენებდა სხვა ქვეყნებში შინაგან პროცესებზე ზეგავლენის ტაქტიკას. ის ეყრდნობოდა პროამერიკულ ძალებს, რომელთაც ხელსუფლებაში კანონიერი გზით მოსვლის შანსი ჰქონდათ.

ცვლილებების ე. წ. ლეგიტიმურ მაგალითს წარმოადგენს ბილ კლინტონის მმართველობის პერიოდში 1998 წელს ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული „ერაყის განთავისუფლების აქტი“, რომელიც სწორედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის ცვლილებას ისახავდა მიზნად.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ სტრატეგიის გამოყენებასთან მიმართებაში ნათელი სურათის მისაღებად ალბათ საინტერესო იქნება განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა:

1. 1953 წელს ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად დემოკრატიულად არჩეული ირანის პრემიერმინისტრის - მუჰჰამედ მოსადექის ჩასანაცვლებლად მოქმედებდა. პრემიერმინისტრი ირანის ნავთობის ნაციონალიზაციას ცდილობდა, რაც დარტყმას მიაყენებდა ამერიკისა და გაერთიანებული სამეფოს ნავთობკომპანიების ინტერესებს. ამიტომ, მათ მიზნად დაისახეს შაჰის, რეზა ფეჰლევის, დაბრუნება და მისთვის განუზომელი ძალაუფლების გადაცემა.

2. 1954 წელს გვატემალაში ამერიკამ დემოკრატიულად არჩეული მთავრობა ჩაანაცვლა მისთვის ხელსაყრელი რეჟიმით.

3. 1964 წელს ბრაზილიის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ჟოაო გულარტი ამერიკის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის აქტიური ჩართვის შედეგად შეიცვალა ახალი ავტორიტატული რეჟიმით, რომელიც 21 წლის მანძილზე გაგრძელდა.

4. 2000 წელს სერბეთის სოციალისტი დიქტატორი სლობოდან მილოშევიჩი ამერიკის მიერ მხარდაჭერილი რევოლუციის შედეგად ჩანაცვლდა პროდასავლური მთავრობით.

**მესამე:** „რბილი ძალის“ კომპონენტებში უნდა განვიხილოთ დახმარებები, რომელზედაც დამოკიდებულნი არიან პატარა ქვეყნები. ყველა დახმარების პროგრამას საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი და ის ყოველთვის ორიენტირებულია საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაზე. ჯერ კიდევ აშშ-ს მეორე მსოფლიო ომში ჩართვამდე, რუზველტმა გამოაცხადა ამერიკა „დემოკრატიის არსენალად“. ომის დამთავრების შემდეგ ეკონომიკურმა დახმარებამ უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია. პირველი გრანდიოზული პროექტი იყო „ევროპის აღდგენის პროგრამა“, რომელიც ცნობილია, როგორც მარშალის გეგმა. [2] ეს პროგრამა არ ნიშნავდა მხოლოდ განადგურებული ეკონომიკის აღდგენას. მისი სტრატეგიული პოლიტიკური მიზანი იყო, არ დაეშვათ ქაოსი და სოციალური რყევა ევროპაში, აღედგინათ სტაბილურობა და რაც ყველაზე მთავარია, გეგმა აღმოჩნდა ინსტრუმენტი, რომელმაც ბოლო მოუღო „სამხედრო პერიოდის საბჭოთა ხასიათს“.

**მეოთხე:** „რბილი ძალის“ პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად ითვლება საჯარო დიპლომატია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში იმედიანი განწყობის შექმნაში. ტრადიციული დიპლომატია — ეს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მექანიზმი და კავშირის ფორმაა, საჯარო დიპლომატია კი მოსახლეობასთან ურთიერთობის მრავალფეროვანი ფორმებია. იგი არის პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთ თავისი ქვეყნების დადებითი იმიჯის ფორმირებას. გერმანული ფილოსოფოსის ვ. ვ. ლეიბნიცის თეორიის მიხედვით სახელმწიფოს იმიჯის შექმნას საგარეო პოლიტიკაში აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე თვითონ რეალობას.

„რბილი ძალის“ პოლიტიკური სტრატეგია ეყრდნობოდა ლიბერალური იდეალიზმის ტრადიციას, რომელიც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში აღმოცენდა საერთაშორისო ურთიერთობებში და რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იყო აშშ-ს პრეზიდენტ ვუდრო უილსონის „იდეალიზმის მანიფესტად“ წოდებულ 14 პუნქტიან მანიფესტზე. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატიის აღკვეთისა და შეთანხმებების ღია დადების აუცილებლობის შესახებ. მოუწოდებს სახელმწიფოებს იმისკენ, რომ იყოს თვითგამორკვევა ყველა სათვის, შეამცირონ შეიარაღება და ჩამოაყალიბონ ერთა ლიგა, უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ დაუშვებს ძალის გამოყენებას და დაიცავს მშვიდობას.

ლიბერალური იდეალიზმის ტრიუფმს წარმოადგენდა 1928 წლის ბრაიან-კელოგის პაქტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები უარს აცხადებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ძალის გამოყენებაზე, თუმცა, ფაშიზმის აღმოცენებამ და მეორე მსოფლიო ომმა ლიბერალური ილუზიის კრახი გამოიწვია.

ლიბერალური დემოკრატიის კიდევ ერთხელ აღმოცენება გამოიწვია ცივი ომის დასრულებამ. სო-

ციალიზმისა და დემოკრატიული „იდეოლოგიების ჭიდილში“ ამ უკანასკნელის გამარჯვებამ კიდევ ერთხელ შექმნა ილუზია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა სრული იდილია, გარემო, სადაც აღარ მოხდებოდა ძალის გამოყენება, ამაზე საუბრობს ამერიკელი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა თავის ცნობილ ნაშრომში — „ისტორიის დასასრული, უკანასკნელი ადამიანი,“ რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ფუკუიამა ამტკიცებდა, რომ „საბოლოოდ“ და „დამაჯერებლად“ გამარჯვა დემოკრატია, მმართველობის ფორმამ, რომელსაც საყოველთაო კეთილდღეობა უნდა გამოეწვია. „ვამტკიცებ, რომ ლიბერალური დემოკრატია „კაცობრიობის იდეოლოგიური ევოლუციის უკანასკნელი საფეხური“ გახდება და „ჩამოყალიბებს ჰუმანური ფორმის საბოლოო მთავრობას“ და სწორედ ეს გახდება ისტორიის დასასრული. [3]

ფუკუიამას ნაშრომის არსი 20-ე საუკუნის დასაწყისის ლიბერალური იდეალიზმის ხედვის მსგავსია. თუკი „ისტორიის დასასრულს“ და „იდეალიზმის მანიფესტს“ შევადარებთ, შევამჩნევთ, რომ მათ შორის გარკვეული მსგავსება არის. უილსონი ამტკიცებდა, რომ ერთა ლიგას შეეძლო მსოფლიო მშვიდობის დაცვა, ხოლო ფუკუიამა კი ამტკიცებს, რომ ცივი ომის დასრულებით გამარჯვა ლიბერალურმა ღირებულებებმა, როგორც ერთადერთმა, შეუცვლელმა იდეოლოგიამ და სწორედ იგი გახდება მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი. ფუკუიამას ნაშრომისა და 20-წლიანი იდეალიზმის შედარებით, ნათელი ხდება, რომ ორივე მათგანი ცდებოდა, როცა საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის როლის დაკნინებას წინასწარმეტყველებდა.

ამის დამადასტურებელია რევოლუციების სერია, რომლებიც „ფერადი რევოლუციების“ სახელწოდებით არის ცნობილი და „არაბული გაზაფხული“ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დასავლეთმა აშშ-ს ხელმძღვანელობით, ნატანჯი საბჭოთა ხალხების უკეთესი მომავლის იმედებით ისარგებლა. ამ პროცესის კულმინაციაც გახდა „ფერადი რევოლუციები“ 2003 წელს საქართველოში, 2004 წელს უკრაინაში და 2005 წელს ყირგიზეთში.

„ხავერდოვანმა რევლუციებმა“ - სახალხო აჯანყებებმა ძველი ლიდერების წინააღმდეგ, ხელისუფლებაში რეფორმებზე ორიენტირებული პოლიტიკოსები მოიყვანა, რომლებმაც პირობა დადეს, რომ კორუფციის პოსტსაბჭოთა ჭაობს, თანამედროვე სახელმწიფოებად გარდაქმნიდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ მარცხი განიცადეს.

თუკი ამ პროცესის პოლიტოლოგიური ანალიზს მოვახდენთ, დავინახავთ, რომ პასუხი ძალიან მარტივია. კანონის უზენაესობამ ამ ქვეყნებში ფესვები ვერ გაიდგა. ძალიან ხშირად, ფერადი რევოლუციის მთავრობები დემოკრატიული სტანდარტების მიღმა ან მათი მცირედი გათვალისწინებით მოქმედებდნენ.

„არაბული გაზაფხული“ უწოდეს დემონსტრაციებისა და გადატრიალებების იმ ტალღას, რომელ-

იც 2010 წლის 18 დეკემბერს ტუნისიდან აგორდა და არაბულ სამყაროს გადაუარა.

ფორმალურ მიზეზად ითვლება 2010-ის დასაწყისში ტუნისელი ბოსტნეულით მოვაჭრის მუჰამედ ბუაზიზის თვითმკვლელობა, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფალთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაინვა მიყრუებული ქალაქის სიდი ბუზიზის ადმინისტრაციის შენობის წინ. თვითმკვლელობას ისეთი მასშტაბური ცვლილებები მოჰყვა, რომელთა შედეგებსაც ანალიტიკოსები ოტომანთა იმპერიის რღვევას ადარებენ.

ტუნისის შემდეგ გადატრიალებები მოხდა ეგვიპტესა და იემენში, სამოქალაქო ომები – ლიბიაში (სადაც დაემხო რეჟიმი), სირიაში (სადაც დღემდე გრძელდება), სამოქალაქო აჯანყება ბაჰრეინში, მასობრივი პროტესტები ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში, ომანში და ნაკლებმნიშვნელოვანი არეულობანი – სხვა სახელმწიფოებში.

ნიშანდობლივია ამ „ჯაჭვური რეაქციის“ გავრცელების სისწრაფე, რაც შესაძლებელი ხდება განვითარებული მოვლენების მხოლოდ გარედან მაღალი დონის კოორდინაციის პირობებში.

„არაბული გაზაფხულის“ შედეგად რეჟიმების დამხობის შემდეგ, დემოკრატიული არჩევნების გზით, არაბული სახელმწიფოების ხელსუფლებებში ძირითადად ისლამისტი ძალები მოვიდნენ. ამ ჯგუფებმა კარგად გამოიყენეს არაბულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები და მათ ხელისუფლებებში აღმოჩნდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს „არაბული გაზაფხულის“ გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.

„არაბულმა გაზაფხულმა“ ვერ გაამართლა, რადგან ხელწერა, რომელიც დასავლეთის ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყნებში კარგად „მუშაობს“, არაეფექტურია იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანია. მაღრიბის ქვეყნებში ვერ დამკვიდრდებოდა ამერიკელების მიერ შეთავაზებული ღირებულებები, რადგან არაბული სახელმწიფოების სოციალური წყობილება თემური, კლანური, გვარტომული წყობილებაა, რომელშიც ეთნიკური ფაქტორი დომინირებს. სამოქალაქო პოლიტიკური რეჟიმები არსებობს ავტორიტარი უცვლელი ლიდერით სათავეში, დამყარებულია მკაცრი იერარქია. ამ ფონზე და ამ რეალურ ვითარებაში დემოკრატია, რომელიც „რევოლუციას“ უნდა მოეტანა, ფეხს ვერ მოიკიდებდა.

„რბილი ძალის“ სტრატეგია აშშ-ს წარმატებული პოლიტიკის საწინდარი იყო მანამდე, სანამ გლობალურ პოლიტიკაში ძალთა ბალანსი კარდინალურად არ შეიცვალა: მარშალის გეგმით ფაქტიურად „დამორჩილებულმა“ ევროპამ თანდათან ამერიკისაგან განსხვავებული პოზიციის დაკავება დაიწყო, კრიტიკულად დაიძაბა აშშ-ს ურთიერთობები ირანთან. ასევე გარკვეული წინააღმდეგობა იყო ჩინეთთან ურთიერთობებშიც, რომელსაც თითქოს ძლიერ ძალად გადაქცევის „ლოდინის რეჟიმი“ დაუმთავრდა და ამავე დროს ცალსახად დაუჭირა მხარი ერთ დროს

საბჭოთა კავშირის დანგრევით გამოწვეულ, შოკში მყოფი რუსეთის გადაქცევას მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ ძლიერ, გავლენიან და არაპროგნოზირებად აქტორად.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ მოახერხა და „ფერადი რევოლუციების“ წყალობით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უმრავლესობა ამერიკულ ბანაკში გადაიყვანა. თუმცა დემოკრატიზაციის ილუზია მალევე დასრულდა. ჯ. ბუშის პოლიტიკას პრობლემები შეექმნა ბალკანეთშიც — კოსოვოს აღიარება ჩამოყალიბდა პრეცედენტად, რომელსაც ჰქონდა მრავალი ნეგატიური შედეგი.

სწორედ ამ რთულ ვითარებაში მოხდა ამერიკის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი - 2009 წელს ამერიკის 44-ე პრეზიდენტად აირჩიეს თეთრი სახლის პირველი აფრო-ამერიკელი ლიდერი, ბარაკ ობამა, რომელმაც „ჭკვიანი ძალის“ (smart power) სახით საზოგადოებას შესთავაზა თვისობრივად ახალი სტრატეგია.

„ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია შემუშავდა 2003 წელს ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ, იგი იყო რეაქცია ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულ საგარეო პოლიტიკაზე და მის ლიბერალურ ალტერნატივას წარმოადგენს. „ჭკვიანი ძალა“ თავის თავში გულისხმობს დიპლომატიური მექანიზმების აქტიურად გამოყენებას, დარწმუნების უნარს, ნდობის აღდგენას და ამ საშუალებებით გავლენის მოპოვებას.[4]

„ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად დაედო თითქმის მთელ მსოფლიოში ჩატარებული კვლევები, რომლის მიხედვითაც ნათელი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯი შეილახა. საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა გლობალური მასშტაბით მის აღდგენას.

ჩვენ 11 სექტემბრის ტერაქტის დროს ორმაგად დაეზარალებით. თავდაპირველად, მსხვერპლით, ადამიანებით ვინც დაიღუპნენ თვითმფრინავების შეჯახების დამო, მაგრამ ასევე ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ნაციონალური ნდობა და ოპტიმიზმი, ღირებულებები, რომელიც ასახულია ჩვენს კონსტიტუციაში, ეკონომიკური სისტემა, და სანდო ლიდერის როლი გლობალური მასშტაბით მაგრამ „ჭკვიან ძალად“ ქცევის შემთხვევაში ჩვენ მათ დავიბრუნებთ“, — მიანჩნია სტრატეგიის მთავარ შემოქმედს ჯოზეფ ნაის.[5]

„ჭკვიანი ძალა“ არ არის არც „ხისტი“ და არც „რბილი“ — ის არის ამ ორის კომბინაცია. ეს არის მიდგომა, რომლისთვისაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია ძლიერ სამხედრო ძალა, მაგრამ ასევე, ძლიერი ალიანსები, პარტნიორობა და მაღალი დონის ინსტიტუტები, რომელთაც შეეძლება ლეგიტიმურობის მინიჭება ამერიკის ქმედებებისთვის. „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკამ უნდა გააძლიეროს ამერიკის გავლენა, და როგორც კონცეფციის შემქმნელები აღნიშნავენ ამერიკამ უნდა მოახდინოს არა „სიძულვილის, არამედ იმედის და ოპტიმიზმის, ექსპორტი“.[6]

ბ. ობამას ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ერთერთ მიღწევას წამოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის სანქციებთან დაკავშირებული რეზოლუციის მიღება, როდესაც მან რუსეთისა და ჩინეთის მხარდაჭერა მოიპოვა. თუმცა, მნიშვნელოვან მარცხად მიიჩნევა მის მიერ წამოწყებული რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ პროცესი.

2009 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა „გადატვირთვის“ ლილაკს დააჭირეს ხელი. ამით, ცივი ომის მეტოქეებს შორის თანამშრომლობის ახალი ერა უნდა დაწყებულიყო. მართლაც, მხარეებს შორის შედგა შეთანხმება ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით; მოლაპარაკება დაიწყო „ბირთვული იარაღის შემცირების“ ახალი ხელშეკრულების შემუშავების მიზნით. 2009 წლის 6 ივლისს ობამას მოსკოვში ვიზიტისას ხელი მოეწერა ხელშეკრულების წინასწარ ვარიანტს. ახალ ხელშეკრულებას უნდა ჩაენაცვლებინა მისი წინამორბედი — „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების“ 2008 წლის დეკემბერში ვადაგასული, ხელშეკრულება. მიუხედავად ზედაპირული შედეგებისა, ვაშინგტონის „რუსეთთან ურთიერთობის“ გადატვირთვის პოლიტიკა ობამას ადმინისტრაციისთვის ცალმხრივი დათმობების სერიად გადაიქცა. საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების დაგეგმვამ იმ იმედით, რომ რუსეთის ხელისუფლება საიმედო პარტნიორია, რომელიც ისევე ზრუნავს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, როგორც აშშ და მისი დასავლელი პარტნიორები, ვაშინგტონში იმედგაცრუება გამოიწვია. ეს გარდაუვალი იყო რუსეთის მმართველი რეჟიმის ბუნებიდან და მოტივაციებიდან გამომდინარე — უსაფრთხოების ცნება კრემლისთვის მხოლოდ რეჟიმის უსაფრთხოებით შემოიფარგლება.[7]

ბევრი მეცნიერი, მათ შორის ჩარლზ კრაუჰამერი — პულიცერის პრემიის ლაურეატი და პოლიტიკური მიმომხილველი ობამას ამ სტრატეგიას კაპიტულაციას უწოდებს: „ისე იქცევიან, თითქოს რუსეთთან ვალში არიან, ცდილობენ პუტინს ასიამოვნონ, იფიქრებ რუსეთია სუპერძალაა. 1970-80-90-იან წლებში, როდესაც რომელიმე სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ჰქონდა, ვაშინგტონი მოდიოდა. ახლა შეხედეთ, ვისთან მიდიან არაბი ლიდერები, სირია, თურქეთი, ისრაელიც კი მოსკოვში მიდის. მოსკოვი გახდა დომინანტი ძალა. გადატვირთვის პოლიტიკის შედეგად რუსეთს მოქმედები არეალი გაეხსნა ახლო აღმოსავლეთში, ამერიკამ დათმო ჩვენსა და პოლონეთში ანტისარაკეტო ფარის პროექტი, ხელი შეუწყო რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო, მოკლედ, რითაც შეეძლო ასიამოვნა. ამ დროს პუტინი რას აკეთებს? — გაშმაგებული ანტიამერიკანიზმითაა დაკავებული, ქვეყნიდან აძევებს ყველას და ყველაფერს, რაც ჩვენ გავლენასთან ასოცირდება, რადიო თავისუფლების

ჩათვლით. ჩვენ კი ვიღიმიტ და არაფერს ვამბობთ. ასე რომ, „გადატვირთვა“ უბრალოდ კაპიტულაცია იყო. [8]

ობამას საგარეო პოლიტიკა კონცენტრირებული იყო დიდ სახელმწიფოებზე და სწორედ მისი მეშვეობით ცდილობდა პრობლემების მოგვარებას. თუმცა, ამ დროს აშშ-ის ყველაზე ახლო პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში — თურქეთი, შტატებისგან დამოუკიდებელ და ხშირ შემთხვევაში სანინალმდეგო პოლიტიკის გატარებას იწყებს. საბოლოოდ ანკარა ამერიკის ერთ-ერთ მთავარ მონინალმდეგედ იქცა, მაშინ, როცა ისლამურ სამყაროში თურქეთის მხარდაჭერა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რას ნიშნავს ეს, ობამას პოლიტიკის სისუსტეს და „ჭკვიანი ძალის“ მარცხს?

„ჩვენ გვჯერა ცვლილებების“ — სლოგანის, რომელიც 2008 წელს ამერიკული ელექტორატის უმეტესობამ ირწმუნა, ობამას პრეზიდენტობის ბოლოს 40%-ს თუ სჯეროდა, თუმცა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია არ არის გათვლილი მოკლევადიან მიზნებზე და კვლავ შეიძლება მიეცეს თავისი სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცების შანსი.

## ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Joseph S. Nye, Jr. Soft Power: The Means to Success in World Politics; Published in the United States by PublicAffairs; 2004
2. <http://marshallfoundation.org/marshall/the-marshall-plan/>
3. ნ. დევდარიანი, ლიბერალიზმის დასასრული და უკანასკნელი ლიბერალი, საქართველო და მსოფლიო, 2012წ.
4. Suzanne Nossel, Smart Power – Reclaiming Liberal Internationalism, PublicAffairs; 2004  
[http://www.huffingtonpost.com/joseph-nye/smart-power\\_b\\_74725.html](http://www.huffingtonpost.com/joseph-nye/smart-power_b_74725.html)
5. Joseph S. Nye, Jr. Get Smart: Combining Hard and Soft Power; PublicAffairs; 2009
6. გრიგოლ გეგელია, რბილი უძღურება, ჟურნალი ტაბულა, 2013 წ.  
[http://www.washingtonpost.com/opinions/charles-krauthammer-obamas-inaction-enables-putins-grab-for-ukraine/2014/03/06/c4222690-a55f-11e3-84d4-e59b1709222c\\_story.html](http://www.washingtonpost.com/opinions/charles-krauthammer-obamas-inaction-enables-putins-grab-for-ukraine/2014/03/06/c4222690-a55f-11e3-84d4-e59b1709222c_story.html)

საზოგადოებრივი აზრი - ანტინარკოტიკული პოლიტიკის ოპიონი

ოთარ კუპრაშვილი  
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი ანალოგების მოხმარებისა და გავრცელების დღეისათვის შექმნილი სიტუაცია ერთ-ერთ ყველაზე განხილვად და ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული თემის მნიშვნელობა მსოფლიოში შექმნილ რთულ ნარკოსიტუაციასთან არის დაკავშირებული და მისგანვე გამომდინარეობს სახელმწიფო ანტინარკოტიკული პოლიტიკის ადეკვატური კონცეპტუალური მოდელის მოძებნის აუცილებლობა. ნარკოტიკაციის პრევენციის სფეროში არსებული ამოცანები ტრადიციულად სამედიცინო და იურიდიული მეცნიერებების ფარგლებში წყდებოდა და ნაკლებად განიხილებოდა სოციოლოგიაში და ფსიქოლოგიაში. ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოს პირობებში ანტინარკოტიკული პოლიტიკის რეალიზაციის პროცესზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. პირველ რიგში საჭიროა ნარკოსიტუაციის პოლიტიკური მართვის ახალი ფორმები, რისი რესურსებიც ინფორმაციულ სფეროში არსებობს.

ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს განსხვავებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, როგორც უკანონო ნარკოტიკულ საქმიანობაში ჩართულ პირებზე ზეწოლის, ასევე, ზოგადად ნარკოტიკების ბრუნვის სახელმწიფო პოლიტიკური პროცესის რეგულირების თვალსაზრისით, რაც მიუღწეველია საინფორმაციო სფეროს საქმიანობის გაძლიერების გარეშე და დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრის გადანყვევტილებებზე ზემოქმედების მოხდენის ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ, პოლიტიკური მმართველობის შესაძლებლობების მიმართვა ანტინარკოტიკული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის თანამედროვე ანტინარკოტიკული პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს და თეორიულ ანალიზს მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** ანტინარკოტიკული პოლიტიკა, საზოგადოებრივი აზრი, პრონარკოტიკული საზოგადოებრივი აზრი, ფსევდონარკოტიკული (ადამიანთა ჯგუფის) აზრი, ანტინარკოტიკული საზოგადოებრივი აზრი.

RESUME

The situation with the consumption and distribution of narcotic drugs, psychotropic substances and their analogues is one of the most frequently discussed and intractable problems. The importance of this topic is determined by the difficult situation prevailing in the world, and the consequent necessity of finding an adequate conceptual model of the functioning of the state anti-drug policy as an important component of domestic policy.

Scientific problems in the sphere of counteraction of drug addiction traditionally was solved in the framework of medicine and jurisprudence, primarily, and to a much lesser extent found themselves in sociology and psychology.

The conditions of the modern world leave their mark on the process of implementation of anti-drug policy. Require new forms of political management of the situation, the resources which lie in the field of information and are an example of soft compulsion to follow social norms.

The Central problem here is the formation of a special public opinion as to exert pressure on members of illegal drug trafficking and for regulation of the political process of control over drug trafficking. that, of course, cannot be achieved without a strengthening of work in the information sphere. Today, public opinion has become one of the significant factors influencing the decision-making processes. At the same time, the problem of formation of panarkticheskoy public opinion is extremely sensitive. Therefore, the alignment of political and management activities on the formation of public opinion against drugs is one of the priority tasks of modern drug policy and requires its own theoretical analysis and reflection.

**Key words:** Anti-drug policy, Public opinion, Panarkticheskoy public opinion, Pseudomyrmecinae opinion, Anti-drug public opinion

\*\*\*

**საზოგადოებრივი აზრის** ფენომენის არსი, საზღვრების ცნება, მისი შესაძლებლობებისა და პირობების ზემოქმედება პოლიტიკურ სისტემებზე, სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სადისკუსიო საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის ანალიზი დიდი ხანია მიმდინარეობს, განსახილველი რჩება საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრი, რის გამოც საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ მითითებული პრობლემატიკის ძირითად მეცნიერულ შეხედულებებზე და გამოვყოთ ამ გამოკვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მახასიათებლები და დებულებები.

თუ ჩავთვლით, რომ „... საზოგადოებრივი აზრის პროტოტიპი სალი აზრის ცნებაა“<sup>1</sup>, მაშინ „საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნა საჯარო პოლიტიკისა და მისი ფუნქციების სფეროს გააზრების აუცილებლობას უკავშირდება.“<sup>2</sup> ისტორიულად, საზოგადოებრივი აზრის პრობლემის გააზრება ორი ფაქტორის გამო ხდება. ჰპირველი, - მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ნ.ლუმანი აღნიშნავდა, რომ „ჯერ კიდევ საზოგადოებრივი აზრის ცნების საკმარისად მკაფ-

იოდ ფორმულირებამდე, პრესა ამბიციური პოლიტიკური ცნობების მიმართ საზოგადოებრივი რეაქციის გამოსანვევად გამოიყენებოდა.<sup>3</sup> მეორე, - აღნიშნული ფენომენის გააზრების აუცილებლობა დემოკრატიული რეჟიმების პოლიტიკური მმართველობის პრობლემების ფორმირებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება. მაგალითად, ლიბერალი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ საზოგადოებრივ აზროვნებაში წინააღმდეგობების აღმოფხვრა უფლებებისა და თავისუფლებების ინსტიტუციური დაცვის და შესაბამისად, — დემოკრატიული საზოგადოების არსებობის წინაპირობაა.<sup>4</sup> დაწყებით ეტაპზე გაბატონებული იყო ნორმატიული მიდგომა საზოგადოებრივი აზრის პრობლემებთან დაკავშირებით და რიგი მკვლევარების (მილტონი, მილი, მარქსი და სხვ.) ნაშრომების ცენტრალურ თემას, როგორც საზოგადოებრივი აზრის დემოკრატიული ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობას, ცენზურისა და თავისუფლების ცენზურისაგან განთავისუფლება წარმოადგენდა.<sup>5</sup> საზოგადოებრივი აზრის ცნება, მისი თანამედროვე გაგებით, პირველად ფორმულირებული იყო ფრანგი სოციოლოგის გ.ტარდის მონოგრაფიაში „საზოგადოებრივი აზრი და ბრბო“.

ნაშრომში იგი საზოგადოებას განიხილავს როგორც ადამიანების ერთობას, რომლებსაც ერთი და იგივე ინფორმაციის საფუძველზე უყალიბდებათ იდენტური მოსაზრებები და შეფასებები, ხოლო საზოგადოებრივ აზრს, - როგორც „იდებების შეჯერება-ზემოქმედებას“<sup>6</sup>, რომელიც დაფუძნებულია ერთნაირად მიწოდებულ და ემოციურად შეფერადებულ ინფორმაციაზე.

გ.ტარდის მიხედვით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს მსჯელობა (საჯარო სიტყვა), ტრადიცია და გონება წარმოადგენს,<sup>7</sup> ხოლო საზოგადოებრივი აზრი დიფერენცირდება მისი დონეების: საზოგადოებრივი ფენის ადგილობრივი, ნაციონალური, ინტერნაციონალური სულისკვეთების მიხედვით. ჩგ.ტარდი პროგნოზირებს მასობრივი კანალებით დაკავშირებული საზოგადოების სულ უფრო მზარდ ინტერნაციონალიზაციას, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის დაახლოებას.<sup>8</sup> გ.ტარდის მიერ გამოყოფილი ტენდენციების მართებულობამ მკვლევარები აიძულა დაბრუნებოდნენ საზოგადოებრივი აზრის კომპეტენტურობის პრობლემას. ერთ-ერთი პირველი დიდი გამოკვლევა ამ თემაზე იყო უ.ლიპმანის ნაშრომი „საზოგადოებრივი აზრი“, რომელშიც იგი შეეცადა გაეფანტა მითი „ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე მიქალაქეზე“. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ გამოსაკვლევ პრობლემაში საზოგადოებრივი აზრის კომპეტენტურობის ხარისხის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. ძირითადი წინააღმდეგობების სათავეები ჯერ კიდევ ამერიკული დემოკრატიის დამაარსებლების: ჯეფერსონის, გამილტონის და მედისონის დისკუსიებიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ სამივე პოლიტიკოსი იცავდა

მასების წარმომადგენლობის, ხელისუფლების დაყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების იდეებს, საზოგადოებრივი აზრის კატეგორიას ისინი განსხვავებულად აღიქვამდნენ. გამილტონი საზოგადოებრივ აზრს არ თვლიდა დემოკრატიის მნიშვნელოვან ინსტიტუტად და ბრალს სდებდა მას უმეცრებაში, სტიქიურობაში, არამდგრადობაში (ცვალებადობაში) და ა. შ. კერძოდ, ის წერდა: „ამბობენ, რომ ხალხის ხმა — ღვთის ხმაა, და მიუხედავად იმისა, რომ განადიდებენ და სჯერათ ამ ხატების, სინამდვილეში იგი მცდარია. ხალხი მშფოთვარე და ცვალებადია, იშვიათად იგებს იდეის მნიშვნელობას და იშვიათად მსჯელობს სწორად“.

თითქმის ანალოგიურად მსჯელობდა მედისონი, რომელიც თვლიდა, რომ საზოგადოებრივი აზრი ცუდად ინფორმირებული და დანანევრებულია, ხოლო მისი ბუნებრივი მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, ქონებრივი უთანასწორობით გამოწვეული კონფლიქტია. არისტოტელეს კვალდაკვალ, მედისონსაც მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივ აზრზე ორიენტირებული დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის გახრწნას უწყობს ხელს.<sup>10</sup> ჯეფერსონი, თავის მხრივ, თვლიდა, რომ ადამიანებს, როგორც ერთობას, აქვთ ინფორმირებული და თანმიმდევრული შეფასებების უნარი. როგორც ვხედავთ, აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს საზოგადოებრივი აზრის სუბიექტზე განსხვავებული შეხედულებები წარმოადგენს. გამილტონი და მედისონი მას უთანასწორო ატომიზირებული ინდივიდების ერთობად აღიქვამდნენ, ხოლო ჯეფერსონი - თანაბარი სტატუსის და საერთო ისტორიის, როგორც საერთო ღირებულებების და მრწამსის ფორმირების საფუძვლის, შედეგად გაერთიანებულ ადამიანებს.

საზოგადოებრივი აზრის პრობლემა, ეხლა უკვე მისი დინამიკის გამოკვლევისა და ფიქსაციის აუცილებლობის კუთხით, ზედაპირზე წამოატივტივა მანამდე გადაუწყვეტელი საკითხები. 1960-იან წლებში დაწყებული გამოკვლევების ეპოქაში, დისკუსიები საზოგადოებრივი აზრის წარმოშობისა და ბუნების შესახებ არსებითად გამწვავდა, რადგან გამოკითხვების შედეგებმა აჩვენა, რომ აზრის ფიქსაციას ყოველთვის არ მიყვარათ გაჩენილ კითხვებზე მიღებულ დასაბუთებულ პასუხებამდე. კერძოდ, პ.ბურდიეს ვერდიქტით: „საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს“.<sup>11</sup> პ.შამპანი ასე აღწერს ამ სიტუაციას: „გამოკითხვების ინსტიტუტებს, ისევე როგორც სოციოლოგებს, აქვთ საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული განსაზღვრის პრეტენზია, მაშინ როდესაც მას მხოლოდ დიდი სოციალური მნიშვნელობა მიანიჭეს... გამოკითხვების სპეციალისტებს სჯერათ საზოგადოებრივი აზრის არსებობის და ცდილობენ მის მაქსიმალურად სწორად გაზომვას, მაშინ როდესაც სოციოლოგიური თვალსაზრისით ეს მხოლოდ კოლექტიური რწმენაა, რომლის ობიექტურ პოლიტიკურ ფუნქციას, დემოკრატიული ტიპის რეჟიმებში, პოლიტიკური ბრძოლის რომელიმე ფორმის რეგულირება წარმოადგენს.“<sup>12</sup>

მასობრივ ცნობიერებაში, საზოგადოებრივი აზრის ბუნების კვლევის ფარგლებში, გამოირჩევიან მისი წარმომქმნელი ძირითადი ბლოკები. პირველი — ადამიანების ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან დაკავშირებული მოლოდინები და ამ მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედების შესაძლებლობა. მეორე — განწყობა, რომელიც ხალხის მიერ არსებული მდგომარეობის, მთავრობის, ლიდერების, კონკრეტული პოლიტიკური მოვლენების შეფასებებთანაა დაკავშირებული. მესამე - სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებებიდან გამომდინარე გააზრებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური არჩევანი.

საზოგადოებრივი აზრის ფუნქციონირების საზღვრები შეზღუდულია საზოგადოებრივი ინტერესების გამომწვევი, აქტუალურობითა და მნიშვნელობით გამორჩეული, ფაქტებითა და მოვლენებით. გ.ტარდის მიდგომიდან გამომდინარე, შევნიშნავთ, რომ საზოგადოებრივი აზრი ინფორმაციული სისტემის ფარგლებში („საჯარო სიტყვაში“) რეალიზდება, რის შემდეგაც მოვლენები მასებისათვის მნიშვნელობას და აქტუალურობას იძენს.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე საქართველოში ნარკომდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის რაიმე სისტემატური მონიტორინგის არსებობაზე საუბარი გაგვიჭირდება, ამ თემაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც იყო ჩატარებული რამდენიმე სოციოლოგიური გამოკვლევა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ როგორც საზოგადოებრივი აზრის, ასევე მისი კვლევის მეთოდების მნიშვნელოვანი მახასიათებლები.

თუ ვისაუბრებთ იმაზე, რა ინვესტ მკვლევარების განსაკუთრებულ ინტერესს, მაშინ საკითხები შესაძლოა დავყოთ რამდენიმე ჯგუფად. პირველი — ყველაზე ხშირად მიმდინარეობს რესპოდენტების აზრის გამოკვლევა საქართველოში ნარკომანიის პრობლემების აქტუალურობის შესახებ (რამდენად სერიოზულია, მოსახლეობის აზრით, ნარკომანიის პრობლემა, წარმოადგენს თუ არა სერიოზულ საშიშროებას და ა. შ.). მეორე — მკვლევარებს აინტერესებთ მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხი ნარკოტიკების მავნებლობისა და მათი მოხმარების შედეგად მიღებული ზიანის შესახებ. მესამე — პრობლემის გადანყვეტაში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ (მოხმარებასთან დამოკიდებულება, პირადი გამოცდილება, გარშემომყოფებში მოხმარებელთა არსებობა და ა. შ.). შემდეგ შესაძლოა გამოვყოთ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა ამ სფეროს მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის დამოკიდებულება და მისი შეფასება, მოსახლეობის მოსაზრებები ამ მოვლენებთან ბრძოლის ამა თუ იმ საშუალებების ეფექტურობის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ განხილული საკითხები უნდა დაგვეხმაროს გამოვყოთ საზოგადოებრივი აზრის დღეისათვის ვერგამოვლენილი მახასიათებლები, რის გამოც აღნიშნული ინსტიტუტი მოკლებულია საშუალებას საკმარისი ეფექტურობით იფუნ-

ქციონიროს. ზემოაღნიშნული ცნების ანალიზის შედეგად გვეძლევა საფუძველი დავაფიქსიროთ, რომ პროპაგანდის მიზნებს წარმოადგენს: პირველი — საზოგადოებრივ აზროვნებაში ცალკეული, განსაზღვრული იდეების ჩანერგვა; მეორე - მასობრივი პრაქტიკული საქმიანობის აქტივიზაცია. ასევე, საზოგადოებრივი აზრის ცნების გაანალიზების შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ იგი ვლინდება ორი ფორმით: სულიერი (მსჯელობა) და სულიერ-პრაქტიკული (მოქმედებისათვის მზადყოფნა). ვფიქრობთ, დღეისათვის არსებული მიდგომები პირველ რიგში ორიენტრებულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შესახებ მსჯელობების ფორმულირებაზე და არა ანტი-ნარკოტიკული საქმიანობის სტიმულირებაზე.

საზოგადოებრივი აზრის არსებული მოდელის ძირითად ნაკლოვანებას მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ანტი-ნარკოტიკული იდეების ყოველდღიური პრაქტიკის განხორციელების შეუძლებლობა წარმოადგენს.

ასევე, აუცილებელია გავიაზროთ, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართულია ამ სფეროში არსებული მიზნებისა და ამოცანების მთელი სახელმწიფო ანტი-ნარკოტიკული პოლიტიკის სისტემის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აუცილებელი იქნება ისეთი ანტი-ნარკოტიკული პოლიტიკის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სტიმულირება.

ამავე დროს სოციალური აქტივობის ასეთი ხარისხის ფორმირება განპირობებულია „გარეგანი აღმზრდელობითი ზემოქმედებით და რეგულირდება მოსახლეობის სოციალურ-სამართლებრივი აქტიურობით, რომელთაც წარმოეშვებათ სოციალური ინტერესების ინდივიდუალიზაციის მოთხოვნილება“.<sup>13</sup>

საქართველოში არ არსებობს პირველადი პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმები, ანუ სოციალურ საგანმანათლებლო და სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დაწყების თავიდან აცილებას და არ არის დანერგილი ექსპოზიციურ ზემოქმედებაზე დაფუძნებული მიდგომები. 2009 წლის ESPAD (European School Program on Alcohol and Drugs) გამოკვლევების თანახმად, ცხოვრებაში ერთხელ არალეგალური ნარკოტიკული საშუალება მოუხმარია ქ.თბილისში მაცხოვრებელი 16 წლის მოზარდების 20%. ლეგალური ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაჩვენებელი კი გაცილებით მაღალია (თამბაქო — 50%, ალკოჰოლი 90%); კვლევამ აგრეთვე გამოავლინა, რომ ახალგაზრდები არ იცნობენ ლეგალური და არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავსირებულ რისკებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტი-ნარკოტიკული პოლიტიკის მიზნებს შორის ჩვენ გამოვყოფთ საზოგადოების ისეთ ექსპოზიციურ ზემოქმედებას ინდივიდზე, რომელიც არ დაუშვებს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების ექსპერიმენტებს ან წარ-



კოტიკების უკანონო ბრუნვაში მათ სხვაგვარ მონაწილეობას. ვიყენებთ რა აღნიშნულ მეთოდოლოგიას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნარკოტიკების უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის სამი ტიპის გამოყოფა (მომხრე, მონი-ნაალმდეგე, თავი შეიკავა):

1. პრონარკოტიკული საზოგადოებრივი აზრი. ასეთი აზრი დამკვიდრებულია საინფორმაციო სფეროში მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფების მიერ გამოთქმული მსჯელობების საფუძველზე, როგორც ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისა და მისი ლეგალიზებისათვის გამოხატული მხარდაჭერა, ნარკოტიკული კანონმდებლობის დეკრიმინალიზაციის და აკრძალული ნარკოტიკების გამოყენების, როგორც ნორმის, დაშვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. ფსევდოსაზოგადოებრივი (ადამიანების ჯგუფის) აზრი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საკითხებზე. ამაში იგულისხმება მოსახლეობის დამოკიდებულება, რაც რეალიზდება საინფორმაციო სფეროში და ფუნქციონირებს მხოლოდ მსჯელობის ფორმით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის საკითხებზე. ფსევდოსაზოგადოებრივი აზრი გამოირჩევა უკიდურესი ცვალებადობით, ხასიათდება აქტიური სოციალური ქმედებებისადმი მზადყოფნის არქონით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის ამ სექტორის შესწავლისას ხშირად კეთდება მცდარი დასკვნები - მზად არის თუ არა საზოგადოება წინ აღუდგეს ნარკოსამიშროებას, მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს ძალისხმევას თუ პირიქით, იკავებს ტოლერანტულ პოზიციას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პოზიციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს არა მოქმედებებისათვის მზადყოფნა, არამედ მხოლოდ მსჯელობა რაღაც პრობლემებზე, რასაც საბოლოო ჯამში იქით მივყავართ, რომ ერთი და იგივე კითხვებზე პასუხებისას, დავალების ფორმულირებიდან გამომდინარე, რესპონდენტი სხვადასხვა პოზიციას იკავებს.

საზოგადოებრივი აზრის ისეთი დამახასიათებელი თვისება, როგორცაა პოზიციის მერყეობა, შესაძლოა უფრო საშიში გამოდგეს ვიდრე პრონარკოტიკული პოზიცია, თუნდაც აღნიშნულ მომენტში რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ, რომ არ მიესალმებიან ნარკოტიკების მოხმარებას. პოზიციის მერყეობა და ცვალებადობა ნებისმიერი აზრის ფორმირების საშუალებას იძლევა, ხოლო ასეთი აზრის მასობრიობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ხელისუფლებაზე ზეწოლის და საბოლოო ჯამში სახელმწიფოს პოზიციის შესაცვლელად.

3. ანტინარკოტიკული საზოგადოებრივი აზრი. ასეთი აზრის განიხილება საინფორმაციო სფეროში, რეალიზდება პირთა ჯგუფის მსჯელობებში ნარკოტიკების მოხმარების მავნებლობის, საფრთხის შემწვევლობის, არაკანონიერების შესახებ და მზადყოფნაში განახორციელოს სოციალური კონტროლი როგორც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის წი-

ნაალმდეგობის განწევის, ასევე ამ საკითხებში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის რეგულირების ფორმით. ჩვენი აზრით საზოგადოებრივი აზრის ასეთმა დიფერენციაციამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისა და ორიენტირების უფრო სწორად გაგებას ამ სფეროში.

ჩვენ ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნარკოსიტუაციაზე „ფსევდოსაზოგადოებრივი აზრის“ კურსის ფორმირება შედეგს არ გამოიღებს თუ ამ სფეროში ვერ მოხერხდება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფა.

მითითებული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია ხარისხობრივად ახალი მიდგომების დანერგვის გარეშე, რომლებიც დაფუძნებული იქნება როგორც საკუთრივ საზოგადოებრივი აზრის, როგორც ფენომენის, ასევე მისი ფორმირების პროცესში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების ადეკვატურ გათავისებაზე, რომლის თეორიულ საფუძველად უნდა იქცეს ზემოთ ფორმულირებული ანტინარკოტიკული საზოგადოებრივი აზრის ცნება. ეს მიდგომები უნდა დამუშავდეს და დაინერგოს ურთიერთობების სისტემებში, რომლებსაც პირობითად დაერქმევა სახელმწიფო საინფორმაციო ანტინარკოტიკული პოზიცია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- 1 См.: Гадамер Х.-Г. Истина и метод. М, 1988. С. 61.
- 2 Habermas J. The Structural Transformation of the Public Sphere. Cambridge, 1992. P. 88.
- 3 Luhmann N. The Reality of the Mass Media. Polity Press, 2000. P. 105.
- 4 См.: Бенетон Ф. Введение в политическую науку. М, 2002. С. 77.
- 5 См.: Мильтон Дж. Ареопагитика. Речь о свободе печати от цензуры, обращенная к парламенту Англии (1644)/ Современные проблемы. Вып. 1. 1997. С. 31-79. Милль Дж. С. О свободе.// Антология западно-европейской классической либеральной мысли. М, 1995. С. 301. Маркс К. Заметки о новейшей прусской цензурной инструкции.// Сочинения. М, 1955. Т. 1. С. 3-27.
- 6 Капитонов Э.А. История и теория социологии. М, 2000. С. 268.
- 7 Тард Г. Общественное мнение и толпа. М, 1998. С. 301
- 8 Там же – С.308.
- 9 The Federalist Papers. №10. N.-Y., 1961. P. 299.
- 10 The Records of Federal Convention of 1787. Vol.1, New Haven, 1937.
- 11 См.: Бурдые П. Социология политики. М, 1993. С. 159-178.
- 12 Шампань П. Делать мнение. Новая политическая игра. М, 1997. С. 127-128.
- 13.Тонков Е.Е. Государственная правовая политика противодействия наркотизации российского общества СПб, 2004. С. 45.

**ფარული გამოძიება  
(საჯარო ინტერესები და ადამიანის უფლებები)**

*ალექსანდრე ტაბატაძე  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში წამოწეულია თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოწვევის – ტერორიზმის და მასთან ბრძოლის პრობლემური და აქტუალური საკითხები.

ნაჩვენებია ფარული გამოძიება, როგორც ყველაზე ეფექტური საშუალება ტერორიზმთან და სხვა საყოველთაოდ საშიშ დანაშაულებასთან ბრძოლის და ამის ფონზე საჯარო ინტერესების და ადამიანის უფლებების დაცვას შორის ბალანსი. დღეისათვის მეცნიერთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჯარო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება უკიდურესი აუცილებლობითაა გამოწვეული. თუმცა, ეს არ ნიშნავს ადამიანის უფლებების მეორე პლანზე გადაწევას. სწორედ ამ პრობლემების არსებობამ მიგვაღებინა გადაწყვეტილება მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა ჩვენი ხედვები.

**RESUME**

The article focuses on one of the most dangerous challenges in the modern stage - the problematic and topical issues of terrorism and the fight against it.

The hidden investigation is shown as the most effective means of combating against terrorism and other commonly dangerous crimes and in this background, balance between public interests and human rights protection. Today, the majority of scientists has come to the conclusion that giving preference to public interests is due to extreme necessity. However, this does not mean that human rights are secondary. Because of these problems we made a decision to offer our views to the reader.

\*\*\*\*

ფარული გამოძიება დღეისათვის ერთ-ერთ აქტუალურ, ამასთანავე, საზოგადოების მხრიდან ერთგვარ სენსიტიურ თემად გვევლინება, არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგერეთის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებში. ეს ალბათ განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომ წამყვანმა სახელმწიფოებმა გაამკაცრეს და უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს XXI საუკუნის ბოროტებას – ტერორიზმს, მის პრევენციას, დროულ გამოვლენას და გახსნას. ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ ფარული გამოძიები რეგულაციების

უფრო მეტად გაფართოებითა და შემდგომი დახვეწით და რაც მნიშვნელოვანია, აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა უწევთ იმ ფონზე, როდესაც ტერორისტული ორგანიზაციების მიზანმა ყველაზე საშიშ ზღვარს მიაღწია. ისინი არ ერიდებიან მასშტაბურ, ძალადობრივ ოპერაციებს იმისათვის, რომ შექმნან ტერორისტული სახელმწიფო და მათი სამიზნე სწორედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისაკენ (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ესპანეთი და ა.შ.) არიან მიმართულნი, რამაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

ასეთ ვითარებაში ცხადია, მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოები, მათ შორის, ევროკავშირის წევრი ქვეყნები სიტუაციის გამწვავების, მხოლოდ მოლოდინში ვერ იქნებოდნენ და ბუნებრივიცაა, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ მეტნაკლებად ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე მიიღო ისეთი სახის საკანონმდებლო პაკეტი, რომლებიც სპეცსამსახურების უფლებებისა და მათი მოქმედებების არეალის გაზრდისკენ იყო მიმართული, დართეს მათ ნება ისეთივე ფარული ღონისძიებების გატარებისა, რომელიც ადრე შეზღუდული ჰქონდათ, ამით კი ერთის მხრივ, გაზარდეს იმ სუბიექტთა რიცხვი, რომლებსაც მიენიჭათ ტერიტორიულ ბრძოლის ფუნქცია და, მეორეს მხრივ, ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტთა (მაგ. გერმანიაში მონაცემთა შეგროვების უფლებამოსილება მიენიჭათ პირებს, რომელთაც მიაღწიეს 14 წელს, ნაცვლად 16 წლის ასაკისა და ა.შ.) წრემაც, რომელთა მიმართაც გარკვეული ეჭვის საფუძველზე შესაძლოა გატარდეს სპეციალური ფარული ღონისძიება.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის თანამედროვე სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენების გზით ფარული გამოძიების წარმოება არც უცხოა და არც ახალი, ის კარგა ხანია, თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში აპრობირებულია და ტერორიზმისა თუ სხვა სახის დანაშაულებათა წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების, გამოვლენისა და გახსნის საუკეთესო საშუალებაა. ფარული გამოძიება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სენსიტიურია იმ მხრივ, რომ მისი ჩატარების პროცესში დაუშვებელია შეილახოს ან რაიმე ფორმით შეიზღუდოს ადამიანის უფლებათა და თვისუფლებათა ფუნდამენტალური უფლება: პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, სატელეფონო საუბრების და ასევე სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინების ხელშეუხ-

ებლობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ევრო-ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების მიერ ბოლო წლებში მიღებულ კანონმდებლობას თუ რეალურად შევაფასებთ, აშკარაა ის, რომ საჯარო ინტერესები აღემატება კერძო ინტერესებს, ამის მკაფიო გამოხატულებაა გერმანიასა და საფრანგეთში სულ ახლახან მიღებული კანონმდებლობა, რამაც გააფართოვა სპეცსამსახურების მიერ გამოსაყენებელი ტექნოლოგიების არეალი, თუმცა, იმავდროულად საკანონმდებლო ორგანოებმა იქვე გააკეთეს დათქმა იმის შესახებ, რომ სამინისტროს შემდეგ კვლავ დაუბრუნდებიან ამ კანონებს, შეაფასებენ, თუ როგორ იმუშავა პრაქტიკამ და ბოროტად ხომ არ იზღუდება ადამიანის უფლებები, სვანაირად უბრალოდ შეუძლებელია ანტიტერორისტული სამსახურები დაუპირისპირდეს ბოლო წლებში მსოფლიოში განხორციელებულ ტერაქტების ნაირსახეობათა ახალ ტალღას.

რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების ექსპერტები მართალია, არ განიხილავენ ტერორისტული აქტების განხორციელების მალაღი რისკის ქვეყნად, მაგრამ ეს ოდნავაც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას, ამიტომაც ამ მიმართულებით კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და მისი მოყვანა თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტში გადაუდებელ და საშურსაქმედ მიგვაჩნია. ალბათ, ამ გარემოებებით იყო ნაკარნახევი ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა თავის დროზე მის მიერვე უარყოფილმა ფარულმა გამოძიებამ 2014 წლის 10 აგვისტოს კანონით თავისი ადგილი დაამკვიდრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციალურ XV<sup>1</sup> თავში და ის „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისახავდეს გარკვეულ მიზანს, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სისხლისსამართალწარმოების გაუმჯობესებას, საქმეზე ალბათობის მაღალი ხარისხით პირის ბრალეულობის დადგენას, ამასთანავე აუცილებელია აღნიშნული მოქმედებები მთლიანად შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებს, ეთიკურობას, არ უნდა შეილახოს (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადგენს ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის ადგილს, პირადი ჩანაწერების და მიმონერის, სატელეფონო საუბრების და სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობას. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე. კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობით.

ფარული სატელეფონო მოსმენები, ფარული აუდიო და/ან ვიდეო-ჩანაწერი უნდა შეესაბამებოდეს, ასევე,

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. კონვენციის თანახმად, მათი განხორციელება დაიშვება დანაშაულის გამოძიების ან მისი აღკვეთის მიზნით და, ამასთანავე, კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით<sup>[1]</sup>.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვარჩინოთ ფარული გამოძიების პროცესში საჯარო ინტერესებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკა, ალბათ, ურიგო არ იქნება მოკლედ შევეხოთ ფარული საგამოძიებო მოქმედებათა რეგულაციების ცალკეულ ასპექტებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლში გათვალისწინებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებათა სახეები, ესენია:

ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა;

ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;

დ) ფარული ვიდეო-აუდიო ჩანერა, კინო და ფოტო გადაღება;

ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა შეარჩია და საპროცესო კანონმდებლობით გაითვალისწინა ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედებები (სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა, კავშირგაბმულობის მოსმენა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან და ა.შ.), რომლის აუცილებლობაც წარმოიშვება უმეტესწილად ლათენტური, უპირველეს ყოვლისა, ტერორისტული აქტის დანაშაულის გამოძიების პროცესში, რაც ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილ, ობიექტურ და ყოველმხრივ გამოძიებასა და სამართლიანი განაჩენის დადგენას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი და სხვა სახის რაიმე მოქმედების ჩატარება დაუშვებელია, ამასთანავე, დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია, თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143<sup>ბ</sup> მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მეორე ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 255<sup>ა</sup>, 253<sup>ბ</sup> და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 289-ე, 290-ე, 292 – 303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე და 306-ე მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322<sup>ა</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები (სსსკ 143<sup>ბ</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

**ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. როგორც ვხედავთ კანონის ეს მოთხოვნა მიმართულია სწორედ ადამიანის უფლებების და საჯარო ინტერესების დაბალანსებისაკენ და არავითარ შემთხვევაში მათ დასაპირისპირებლად.**

ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელისაზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს, ამასთანავე, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამასთანავე, საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისგან ასხვავებს იმ პირებს, რომლებიც იმუნიტეტით სარგებლობენ და იმათ, ვისაც ასეთი არ გააჩნიათ, მაგალითად, თუ კი ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ, შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო სხვა პირების მიმართ განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის

საფუძველზე, იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე. აქ ერთი შეხედვით თითქოს დაცვის მექანიზმები და ხარისხი სხვადასხვაა მოქალაქესა და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ, მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი მარტო ჩვენი ეროვნული კანონმდებლობისათვის, ასეთი მიდგომები დამახასიათებელია, როგორც ევროპული ქვეყნების სამართლისათვის, ისე ანგლო-ამერიკულისათვის.

**პროკურორის შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს გარემოებები:**

- ადასტურებს, რომ ჩადენილია 143<sup>ბ</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს.

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ამით დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

- მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა, მაგრამ უშედეგოდ, დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული.

კანონმდებელს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, მაგრამ საქმის ობიექტური გამოძიების მიზნით საჭირო ხდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ანდა დანაშაულის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები (ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, დაკითხვები, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.), მაგრამ პირის ბრალეულობის დასადგენად დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული და აუცილებლობა მოითხოვს, ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებები [2].

მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობისა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს შუამდგომლობას ფარული

საგამოძიებო მოქმედებების პროცესუალური წესებითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესით. მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობით დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს და განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიენოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულია **ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გადაუდებელ აუცილებლობასთან დაკავშირებით** და ის შეიძლება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, მოსამართლის განჩინების გარეშე, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემის მოპოვება (სსსკ 112-ე მ.). სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობით გამოწვეულს უფრო ხშირად სპეცსამსახურები იყენებენ ისეთი დანაშაულის აღსაკვეთად ან გასახსნელად, როგორცაა ტერორიზმი, ნარკოკონტრაბანდა, ანდა სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე. დავალებების შესრულების დროს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვა სპეცსამსახურების მუშაკებისგან განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რაც შესაძლებელია **მაღალი პროფესიონალიზმის, პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერების და კანონმორჩილების შემთხვევაში. სწორედ ეს უნდა იყოს ყველაზე მთავარი სპეცსამსახურების საქმიანობაში.**

ისეთ შემთხვევაში, თუ კი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად გამოვლინდა სხვა დანაშაული, რომელზედაც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი. ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესით, გამოძიება წარიმართება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინების გარეშე საერთო წესით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილი ადგენს **ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადას**, რომ-

ლის თანახმადაც მოსამართლის განჩინება გაცივმა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, რაც დასაბუთებული უნდა იყოს მოსამართლის განჩინებით არა უმეტეს 2 თვისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არა უმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. შემდგომი ვადის გაგრძელება დაუშვებელია. **სხვათაშორის ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ ასეთი ვადები კიდევ უფრო გაზარდა, მაგალითად პოლონეთმა. თუ დანაშაული ეხება ჯაშუშობას ან სხვა მსგავს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულს სპეცსამსახურები ვადებით პრაქტიკულად შეზღუდული არ არიან.**

ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყოს.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გასაჩივრების რეგულაციებს (სსსკ 143<sup>3</sup> მუხლის 14-16 ნაწილები) იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ტარდება და ცნობილი გახდა მისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან მის შემდეგ, კერძოდ, პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა მის მიმართ ჭეფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში, ხოლო თუ კი პირმა ინფორმაცია მასზე ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მიიღო საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს, შესაბამის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7

მუხლის (სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას პირის მიერ მისი პირადი ცხოვრების შესახებ პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზანის ანაზღაურების თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>ფ</sup> მუხლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციების სათანადო დატვირთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოებს, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს, უსაფრთხოების სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამოძიებლებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა ორგანომ უნდა აღრიცხოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემები: ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები; ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო; იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება; მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, შემდეგი საფუძველების არსებობისას:

- შესრულება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;
- დადგინება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასაგამოძიებლისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;
- შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- გავა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებს ვადა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ადგენს ოქმს, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო, ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კონკრეტული ადგილი და იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. ეს ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება პროკურორს, აგრეთვე ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით – დაცვის მხარეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>ვ</sup> მუხლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო (პირი) ვალდებულია მაქსიმალურად შეზღუდოს იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი (დაკვირვება), რომელთაც გამოძიებასთან არავითარი კავშირი არ გააჩნიათ. ეს მუხლი პრევენციული ხასიათისაა, მაგრამ მის შინაარსს თუ დაფუძვრებით ცალსახად მიმართულია სწორედ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვისაკენ და უფრო იხრება ამ უკანასკნელისაკენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>ვ</sup>-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ, ანუ ისეთ შემთხვევაში, როცა ბრალდების მხარე საჭიროდ არ მიიჩნევს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას, ამ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის (კანონში მითითებულია საპროცესო „ზედამხედველობის პროკურორი“, რაც ვფიქრობთ, რომ ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა, რადგან საქმის გამოძიებაზე ზედამხედველობის ინსტიტუტს არ იცნობს მოქმედი კანონმდებლობა და უნდა გასწორდეს) განმზოვრებული პროკურორი, ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან/და იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის თაობაზე [3].

ინფორმაციის განადგურების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერის შემდეგ ოქმის ერთი ეგზემპლარი უნდა გადაეცეს ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას, ერთივე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და აისახოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

რაც შეეხება ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას, მას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 261-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქმნის საქართველოს პარლამენტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისია შედგება 7 წევრისაგან და მასში შედიან: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (მას კომისიის წევრად ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე (კომისიის წევრად ნიშნავს საქართველოს მთავარი პროკურორი). საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე კომისიის 2 წევრს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ირჩევს საქართველოს პარლამენტი. კომისიას კი თავმჯდომარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.

ისევე, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის

ქვეყნები, საქართველოს ხელისუფლებამაც გადადგა შესაბამისი ნაბიჯი, ტერორიზმის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, ამის დასტურია ის, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მარტის №157-ე დადგენილებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს დებულება, რომლის თანახმადაც იგი არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ფარული მეთვალყურეობის განხორციელებას, ანუ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და ამ სფეროში კანონმა მას მიანიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება. ამ მიზნით იგი კანონის დადგენილი წესით ახორციელებს:

- ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას;
- ბ) კავშირგაბულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებას;
- გ) კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებას;
- დ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრას;
- ე) საფოსტო-სატელეფონოგზავნილების კონტროლს;
- ვ) ფარულ ვიდეო ჩანერას ან/და აუდიო ჩანერას, ფოტოგადაღებას;

ზ) სახელმწიფო უწყებისა და დანესებულების საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას.

აღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით სააგენტო უნდა იყოს აღჭურვილი მთელი რიგი უფლებამოსილებით, კერძოდ, ჰქონდეს კომუნიკაციის შინაარსი მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში ტექნიკური შესაძლებლობა, შექმნას ელექტრონული კომუნიკაციებიდან მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს და შეიძინოს ტექნიკური აპარატები, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გამოიყენოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე საკუთრებაში არსებული ქონება; უფლებამოსილ ორგანოს მიმართვის საფუძველზე, ფარული მთვალყურეობის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად ჩაატაროს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. მისი მიზნებიდან გამომდინარე, შეამოწმოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და ა.შ.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მთავრობის აღნიშნული დადგენილების მიღებისა და ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ ხელისუფლება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციები ფართომასშტაბი-

ანი შეტევის ობიექტი გახდა, მათი ძირითადი არგუმენტები ემყარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმის შესახებ, რომ ოპერატიულ-ტექნიკურ სამსახურს არ უნდა გააჩნდეს გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფუნქცია და ამიტომ მისი დატოვება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობაში, ფაქტიურად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებაა და სააგენტო დარჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ სააგენტო გამოძიების ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედებს, ეს კი, მათი აზრით, ადამიანის უფლებების დაცვაში უკიდურესად უარყოფითად აისახება. ხელისუფლების (პარლამენტი, მთავრობა) მიაჩნიათ, რომ სააგენტო ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა და მის ხელმძღვანელს ნიშნავს უშუალოდ პრემიერ-მინისტრი, რაც ასევე კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასახული.

**ვფიქრობთ მართებულია, დროული და დაბალანსებული ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელისუფლების მიერ გადადგმული ზემოაღნიშნული ნაბიჯი და იგი აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს. ამასთან, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამას დაემატება სპეცსამსახურების მუშაკთა კეთილსინდისიერება, კანონმორჩილება და მაღალი პასუხისმგებლობა.**

### **გამოყენებული ლიტერატურა და ნორმატიული აქტები:**

1. პირადი და იჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელების გზამკვლევი, გამ. შ.პ.ს. „პეიტვი“, ევროსაბჭო 2005, გვ. 13.
2. ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, გვ. 94
3. თ. მონიავა, მ. მამნიაშვილი, ნ. რევაზაშვილი, ი. გაბისონია, საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, გვ. 197-198.
4. ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონიას რედაქტორობით. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგად და კერძო ნაწილები), სახელმძღვანელო, სტუ, თბილისი, 2015 წ.
5. საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2015 წ.
6. კანონი ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბილისი, 2016 წ.
7. კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. თბილისი, 2015 წ.
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მარტის №151 დადგენილება.

# ბიზნეს-ინჟინერინგი არქიტექტურასა და დიზაინში

## არქიტექტორი - სუსტი სქანის მამაკაცური პროფესია

*მზია მილაშვილი*

*არქიტექტურის დოქტორი,  
სტუ-ს მონვეული პროფესორი;*

*ვალერი მჭედლიშვილი*

*არქიტექტურის დოქტორი,  
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი;*

*თეა ბიძინაშვილი*

*ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
სტუ-ს მონვეული ასოცირებული პროფესორი*

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა არქიტექტურის დარგში მომუშავე ქალთა პრობლემატიკა. რომელიც მრავალპლანობიანია და მოიცავს, როგორც სოციალური და დემოგრაფიული, ასევე პროფესიული თვალსაზრისით საყურადღებო ასპექტებს.

**საკვანძო სიტყვები:** დიზაინი, არქიტექტურა, ინტერიერი.

### SUMMARY

The article discusses such important issues as women's problems in architecture. Which is multi-layered and includes social, demographics and important professional aspects as well.

### შესავალი

საუკუნეების მანძილზე, ტრადიციულად, არქიტექტორის პროფესია (ბერძნულიდან „მთავარი მშენებელი“) მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი, თავისი ბუნებით, დაუოკებელი მშენებელია, იგი ცხოვრებაში ბევრ მნიშვნელოვანს ქმნის, აგებს და აერთიანებს.

გასული საუკუნე, ქალთა თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით, მრავალმხრივად გახდა მნიშვნელოვანი. ქალებმა მრავალი ახალი პროფესია შეითვისეს, მათ შორის არქიტექტორისაც.

არქიტექტურა ერთ ერთი ის დარგია, რომელიც პროფესიონალისაგან განსაკუთრებულ პრომისმოყვარეობას, თავდადებასა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. „იმისათვის, რომ აღიარება მოემკობებინა, მე მიწვედა მეკეთებინა ათჯერ უკეთესად“ - ამბობდა ზაჰა ჰადიდი, თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი არქიტექტორი ქალი.

იმის გამო, რომ არქიტექტურა ყოველ ეპოქაში

მამაკაცურ საქმიანობად ითვლებოდა, ადვილია დასახელდეს ცნობილი მამაკაცი არქიტექტორები, როგორცაა ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი, მის ვან დე როე, ლუის ხანი, ფრენკ გრეი და სხვა მრავალი. თუმცა, გაცილებით რთულია ამავე რანგის საყოველთაოდ ცნობილი ქალი არქიტექტორების დასახელება. [1]

### ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამყაროში, არქიტექტურის სფეროში მოღვაწე ქალთა თემა პრობლემურ საკითხად თუ არა, მრავალ მხრივად ფართო განხილვის სადისკუსიო თემად ნამდვილად ითვლება.

არქიტექტორის კვალიფიკაციის მიღების შემდგომ, როგორც წესი, ქალი არქიტექტორების უმეტესობა მუშაობას იწყებს ინტერიერის დიზაინის სფეროში. ისინი შენობებს კომფორტსა და სიმყუდროვეს ანიჭებენ, რითაც მათ, თითქოს, სულს შთაბერავენ, ხოლო მამაკაცები, უმეტესად, შენობების კონსტრუქციებსა და მათ გარეგნული გარსს ქმნიან.

მართალია, იმ ქალთა რაოდენობა, რომლებმაც შეძლეს არქიტექტურაში წამყვანი პოზიციები დაეკავებინათ, საკმაოდ მცირეა, მაგრამ თითოეული მათგანი სრულიად უნიკალურია. ამიტომ, არ იქნებოდა მსრთალი იმის მტკიცება, რომ არქიტექტურა მხოლოდ მამაკაცური პროფესიაა.

ვინაიდან, არქიტექტურა თავდადებულ და დაუზოგავ შრომას მოითხოვს, აქ წარმატება შემთხვევით და ადვილად არ მოდის. დიდი არქიტექტორი ეს ამავე დროს, მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომელიც შემოქმედებითი ნიჭითა და კოლოსალური შრომის უნარითაა დაჯილდოვებული. ამიტომაც, განასაკუთრებით აღმაფრთოვანებელია, როცა ასეთი პიროვნება ქალია.

არქიტექტურის სფეროში მოღვაწე ქალთა საკითხების შესწავლის თვალსაზრისით, საინტე-



რესო ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის სტატისტიკის გაცნობა. კერძოდ, 2016 წელს ჟურნალმა „Architectural Review“-მა გამოაქვეყნა, ყოველწლიური, რიგით მეხუთე გამოკითხვის შედეგები, რომელის თემაც იყო - „ქალები არქიტექტურაში“. [2]

კვლევის მიზანს, არა მხოლოდ ბაზრის მოთხოვნების, არამედ ამ პროფესიაში გენდერული პრობლემების შესწავლაც წარმოადგენდა.


გამოკითხვა მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას 1000-მდე ბრიტანელი, ამერიკელი და ევროპელი არქიტექტორი ქალი იღებდა. მცირე რაოდენობით იყვნენ ასევე რესპოდენტები აზიიდან, შუა აღმოსავლეთიდან და ავსტრალიიდანაც.

გამოკითხულთა 80% -ის ასაკი 20 დან 40 წლამდე მერყეობდა, რაც ენ. „ახალგაზრდ არქიტექტორების“ კატეგორიას განეკუთვნება.


საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით გამოკითხულთა არქიტექტორ ქალეთა საერთო რაოდენობის მეხუთედი არ ურჩევდა ქალებს არქიტექტორის პროფესიას. (სქემა 1).

ამ მოსაზრების მქონეთაგან ყველაზე მეტი (25%) ბრიტანელი, ხოლო ყველაზე მცირე (11%) ამერიკე-

**ურჩევდით თუ არა ქალს არქიტექტორის პროფესიას?**



**სქემა 1**



**სქემა 2**

ლი და კანადელი რესპოდენტი იყო. ქალების მხოლოდ 15% თვლის, რომ სამშენებლო ინდუსტრია სრულად აღიარებს ქალთა ავტორიტეტს. (სქემა 2)


მსოფლიო მასშტაბით გამოკითხულ ქალთა თითქმის ნახევარი თვლის, რომ მათ, არქიტექტორად მუშაობისას, მუდმივად ან/და ხშირად უხდებოდათ ზეგანაკვეთური დროით მუშაობა. (სქემა 3).

ამასთან, 40% თვლის, რომ შედარებით მეტ ანაზღაურებას მიიღებდნენ ისინი მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ.

ეს სიტუაცია უფრო რთულდება თანამდებობრივად ზემო ეშელონებში. სადაც, ბრიტანული ბაზარის მონაცემებით, ანაზღაურებას მამაკაცები 31%-ით მეტს იღებენ ვიდრე ქალები. კერძოდ, გამოცდილი ქალი არქიტექტორების საშუალო ანაზღაურება 38 500 ფუნტ სტერლინგს შეადგენს, მაშინ როცა, იგივე საშუალოს შესრულებისასათვის, მამაკაცი არქიტექტორების ანაზღაურება 45 500 ფუნტი სტერლინგია. სხვაობა შთამბეჭდავია და 7 000 ფუნტ სტერლინგია, რაც ხელფასის 18% -ს შეადგენს. თანამდებობრივად ზემო ეშელონებში კი, ეს სხვაობა 19 500 ფუნტია, რაც 31%-ით მეტია ქალი არქიტექტორების ხელფასზე. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში არაა გამოკითხული მამაკაცი რესპოდენტები, რაც უფრო ობიექტურ მონაცემებისა და სრული სურათის შექმნის საშუალებას მოგვცემდა. თუმცა, გამოკითხვაში აღნიშნული ტენდენციაც შემამოფოთებელია. [2]


კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა სამუშაოზე სექსობრივი ნიშნით დისკრიმინაციის არსებობა. რაც თავისთავში მოიცავს სხადასხვა სახით გამოხატულ დისკრიმინაციის ისეთ ფორმებს, როგორცაა: - პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, ძალადობა და ვიქტიმიზაცია (მუქარა). (სქემა 4)

შემამოფოთებელია ის მონაცემი რაც გამოვლინდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოკითხულ ქალთა 72%-ის მიერ გაცემული პასუხით. კერძოდ, ის რომ, მათი არქიტექტურის სფეროში მოღვაწეობის მანძილზე, ისინი მუდმივად განიცდიდნენ რაიმე




**სქემა 3**

არქიტექტურის სფეროში მუშაობისას რომელი სახის დისკრიმინაცია ვრცელდება თქვენზე?




სქემა 4

ვრცელდებოდა თუ არა არქიტექტურის სფეროში მუშაობისას თქვენზე რაიმე ფორმით დისკრიმინაცია?




სქემა 5

შეუძლია თუ არა ქალს მიაღწიოს ბალანსს არქიტექტურის სფეროში მუშაობისას და პირად ცხოვრებას შორის



სქემა 6

არის თუ არა ზაფხვის დაბადება მუშაობისას ხელისშემშლელი ფაქტორი?



სქემა 7

ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციას. (სქემა 5)

გამოკითხვის ერთ ერთ მნიშვნელოვან თემას ოჯახის, კერძოდ კი შვილების მოვლასა და სამსახურს შორის ბალანსის შენარჩუნება წარმოადგენდა.

გამომდინარე აქედან, რომ ტრადიციულად, ოჯახზე, შვილებზე და სხვა ყოფით საკითხებზე ზრუნვა ქალის საქმედ ითვლება, განსაკუთრებით საინტერესოა თუ როგორ ახერხებენ ქალი არქიტექტორები ბალანსის მიღწევას, ერთდროულად, საკუთარი

თავის პროფესიაში რეალიზებასა და ოჯახს შორის. (სქემა 6)

გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ მსოფლიო მასშტაბით, ქალთა საშუალოდ 85% -თვის ზაფხვის დაბადება არქიტექტურის სფეროში მომუშავე ქალისთვის მთელ რიგ უხერხულობას ქმნის. (სქემა 7)


შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებით აიხსნას ის ფაქტი, რომ არქიტექტურის სფეროში მოღვაწე ქალთა 75%-ს შვილები არა ჰყავს. (სქემა 8)

მაგალითად, ბრიტანეთში 31-35 წლის ასაკის ქალთა მხოლოდ 17% -ს ჰყავს შვილები, მაშინ როცა მამაკაცებში ეს პროცენტული მაჩვენებელი ორჯერ მეტია. ამრიგად, ქალი-არქიტექტორების წინაშე ხშირად დგება შვილების ყოლასა და კარიერას შორის არჩევანის გაკეთების საკითხი.

რაც შეეხება ცნობილი არქიტექტორების ცოლ-თანაავტორებს, საზოგადოებისათვის ისინი ცნობილი არაა, რადგან რიგ გარემოებათა გამო, ხშირად ჩრდილში რჩებიან. მაგალითად, ერთ ცნობილ ჩინელ არქიტექტორს ვან შუს, რომელმაც 2012 წელს, მეუღლესთან თანაავტორობით შექმნილ პროექტში პრიტცკერის პრემია მიიღო, მის თანაავტორს მეუღლესა და სტუდია „Amateur Architects“ თანადამფუძნებელ ლუ ვენიუს, იმავე დაჯილდოებაზე, არავითარი ჯილდო არ გადასცეს.


რაც შეეხება არქიტექტურული განათლების სა-

გყავთ თუ არა შვილები ?



სქემა 8

- გაერთიანებული სამეფო
- ევროპა
- აშშ და კანადა
- ავსტრალია და ზელანდია
- ახლო აღმოსავლეთში და აზია
- დანარჩენი მსოფლიო



სქემა 9

კითხს, გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის ისეთ წამყვან ქვეყნებშიც კი როგორცაა აშშ და ბრიტანეთი, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი არქიტექტურული განათლება ძირითადად თანამედროვე მოთხოვნების ექვივალენტურია, იგი ქალებზე ნაკლებადაა ორიენტირებული. (სქემა 9)

აღსანიშნავია, რომ არქიტექტორის პროფესიასა და ქალთა გენდერული პრობლემატიკის მიმართებით კვლევა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის არც საქართველოში, არ ჩატარებულა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზიდან ჩანს, ოცდამეერთე საუკუნეშიც, მიუხედავად მრავალმხრივი სოციალური თუ ტექნოლოგიური პროგრესისა, არქიტექტორის პროფესია

ქალისათვის რიგი სირთულეებისა და წინააღმდეგობების შემცველ პროფესიად რჩება.

#### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Архитектура женского рода: 5 самых известных в мире женщин-архитекторов [электронный ресурс] <http://www.liveinternet.ru/users/ludnov/post318554453>

(ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 31.05.17)

2. Архитектура – «мужской мир»? [электронный ресурс] [http://www.archipeople.ru/index/index\\_603.html](http://www.archipeople.ru/index/index_603.html) (ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 31.05.17)

ინდუსტრია 4.0 და მისი „ღიჯიბალიზაცია“

მარიამ ფოცხვერაშვილი

დიზაინის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის  
მესამე კურსის სტუდენტი,

მამუკა ხოშტარია

აკადემიური დოქტორი, სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო  
სკოლის მასწავლებელი. კომპანია HOMAG-ის  
წარმომადგენელი საქართველოში.

რეზიუმე

ინდუსტრია 4.0 - ე.წ. “მომავლის პროექტი” არის გერმანიის ფედერალური მთავრობის პროექტი. ეს არის გერმანიის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა რომელიც ითვალისწინებს გარღვევას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ითვლება, რომ ინდუსტრიის განვითარების ახალი მიმართულება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას აღნიშნავს.

ამჟამად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გერმანული კომპანია Homag-ის 27 ჩარხი მუშაობს ავეჯის ფაბრიკებში. წელს 2017 წლის მაისში ამ კომპანიამ გერმანიის ქალაქ ჰანოვერში მოახდინა მსოფლიო ხის ინდუსტრიის გამოფენაზე ახალი კონცეფციის **Tapio**\*-ს პრეზენტაცია. ეს ციფრული პლატფორმა ხის დამუშავების ინდუსტრიაში სწორედ რომ ღირებულებათა ჯაჭვის შესაქმნელად შეიქმნა. **Tapio** მოიცავს რთულ ციფრულ ტექნოლოგიებს ხის დამუშავების ინდუსტრიის ათასობით საწარმოო მანქანებისათვის, მრავალფეროვანი მასალების და ინსტრუმენტების მიწოდებას (Internet of things (IoT) ინტერნეტის საშუალებით. მოკლედ რომ ვთქვათ, Tapio მთლიანად მოიცავს ხის დამუშავების ღირებულებათა ჯაჭვს.

\* **Tapio** - არის აღმოსავლეთ ფინეთის ტყის სული ან ღმერთი ფინურ და ნორვეგიულ მითოლოგიაში და ასევე დიდ როლს იკავებს კალევალაში. (ფინური ლეგენდების კრებული რომელიც მე-19 საუკუნემდე ზეპირად გადმოიცემოდა). მონადირეები მასზე ლოცულობდნენ ნადირობამდე და ლოცულობდნენ თხილის ღმერთზე ნადირობის შემდეგ. მისი ცოლი ტყის ქალღმერთია, მელიკიკი. ის იყო ანიკიკის, ტელერვოს, ნიირიკის (ნადირობის ღმერთი) და ტუულიკიკის მამა. იგი „მწვანე მამაკაცის“ არქეტიპია, Tapio-ს აქვს ლიქენების წვერი და ხავსის წარბები.

INDUSTRY 4.0 AND HIS DIGITALISATION

**Mariam Pockhverashvili**, GTU, International Design School, Bachelor, III course.  
**Head – Mamuka Khoshtaria**, PhD, GTU, International Design School, Invited Teacher. Company Homag (Germany) representative in Georgia.

SUMMARY

Industry 4.0 “Future Project” is a German Federal Government project. This is a strategic plan for the development of the German economy, which envisages a breakthrough in the field of information technology. It is believed that the new direction of industry development marks the Fourth Industrial Revolution.

German company Homag’s 27 machines are works in various factories in Georgia. In May 2017, this company presented a new concept of **Tapio** at the World Wood Industry Exhibition in Hanover, Germany. This digital platform was created in the wood processing industry to create a chain of values. **Tapio** comprises complex digital technologies for thousands of manufacturing machines, wooden materials and tools (Internet of things (IoT), and in short, the **Tapio** is fully comprised of a chain of wood processing value.

\* \* \* \*

ჰანოვერის გამოფენაზე ხის დამუშავების დარგში Ligna 2015-ზე და წელს Ligna 2017-ზე ახალი ცნება “ინდუსტრია 4.0” აღნიშნული იყო ყველგან: ბანერებზე, კატალოგებში, სემინარებზე და უბრალოდ საუბრებში. მოდით გავარკვიოთ თუ რა ცნებაა ის, საიდან მოვიდა და რას უნდა ველოდოთ მისგან ჩვენ დარგში.

ინდუსტრია 4.0 - ე.წ. “მომავლის პროექტი” არის გერმანიის ფედერალური მთავრობის პროექტი. ეს არის გერმანიის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა რომელიც ითვალისწინებს გარღვევას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. მაგრამ განსხვავებით, მაგალითად, აშშ-დან, სადაც ანვითარებენ IT ტექნოლოგიებს სოციალური ქსელების, გასართობი კომუნიკაციების მიმართულე-

ბით, გერმანელებმა დაისახეს მიზანი რომ ქსელებში ჩართონ სამრეწველო მოწყობილობები და მთელი წარმოებები. მაქსიმალური ეფექტის მიღებას სავარაუდოდ ელოდებიან ტრადიციულად ძლიერი გერმანული პოზიციებისა ინდუსტრიის დარგის შეერთებით უახლესი ინფორმატიზაციის სფეროს მიღწევებთან.

ითვლება, რომ ინდუსტრიის განვითარების ახალი მიმართულება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას აღნიშნავს. პირველი იყო მე-18 ბოლო და მე-19 საუკუნის დასაწყისში მუშების კუნთების ძალის შეცვლა ორთქლის და წყლის ენერჯიებით პირველ მანქანებში. მეორე - ელექტროფიკაცია და კონვეიერული წარმოების დანერგვა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მესამე რევოლუცია მოხდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რიცხვით პროგრამული მართვის (რპმ) და მიკროპროცესორების განვითარებით. მეოთხე ეტაპი, გერმანელი ექსპერტების აზრით, უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ინტერნეტსა და ხელოვნური ინტელექტზე. “ჭკვიანი მოწყობილობები” “ჭკვიან ფაბრიკებში” იქნება დამოუკიდებელი, ადამიანის მონაწილეობის გარეშე გადის ქსელში, გადასცემს და იღებს საჭირო ინფორმაციას მუშაობისათვის.

გერმანია წარმოადგენს მსოფლიოში სამრეწველო ტექნიკის და ტექნოლოგიების მიმწოდებელს. “დამზადებულია გერმანიაში” ყოველთვის ლაპარაკობდა ხარისხზე და საიმედოობაზე. თუმცა, კონკურენტებს არ სძინავთ. ჩინეთი და ახლა სხვა განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ვითარდებიან და ითვისებენ ახალ ტექნოლოგიების და სთავაზობენ თავიანთ მოწყობილობებს. თუმცა ეს სიტუაცია მეტწილად თვითონ შექმნა დასავლეთის ქვეყნებმა, გადაიტანეს რა წარმოებები მსოფლიოს მესამე ქვეყნებში - შედეგად ისინი გახდნენ დამოკიდებული - ფაბრიკა ქვეყნებზე. ეხლა დგება ამოცანა დამოუკიდებლობისა დაბრუნებისა და ინდუსტრიის აღორძინებისა სამშობლოში.

შეერთებული შტატები ამ პრობლემის მოსაგვარებლად ანახლებს ენერგორესურსების მოპოვებას თავის ტერიტორიაზე, რითაც ქმნიან წინაპირობას აზიიდან და ევროპიდან წარმოებების დასაბრუნებლად. გერმანიას არა აქვს ასეთი ბუნებრივი რესურსები, როგორც აშშ-ს, მუშახელი ძვირია და გარდა ამისა არის დემოგრაფიული პრობლემები რომელიც მოსახლეობის დაბერებითაა გამოწვეული. იმისათვის რომ დარჩეს ლიდერად საჭიროა ისედაც მაღალი ეფექტურობის აწევა და ამავე დროს მაქსიმალურად შეამცირონ წარმოებებში ადამიანების შრომა. ასეთი პრობლემების გადაწყვეტას ისახავს მიზნად პროექტი ინდუსტრია 4.0. - 2011 წლის იანვარი - პროექტის დაწყება. - 2011 წლის ნოემბერი - პროექტი მიღებულ იქნა მთავრობის მიერ “3აი-ი-ტექ სტრატეგია 2020” გეგმის ფარგლებში. - 2012 წლის იანვარ - ოქტომბერი - სამუშაო ჯგუფის შექმნა პროექტის კოორდინაციისათვის და პირველი

რეკომენდაციების გამომუშავება განხორციელები-სათვის.

- 2012 წლის 2 ოქტომბერი - ანგარიში რეკომენდაციებით გადაეცა ხელისუფლებას. - 2013 წლის აპრილი - გერმანიის საწარმოებების გაერთიანება BITKOM, VDMA და ZVEI, რომლებიც აერთიანებს დაახლოებით 5 000 კომპანიას, დააფუძნეს ეგრეთ წოდებული პლატფორმა “ინდუსტრია 4.0» პლატფორმების მხარდაჭერით იქმნება თვითორგანიზებადი სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა ასპექტებით პროექტის დანერგვისათვის. - 2014-2015 ჩატარდა უამრავი ფორუმები და დისკუსიები, პირველი დანერგვა. 2015 წელს, პრაქტიკულად ყველა სამრეწველო გამოფენა H3ანოვერში ჩატარდა ლოზუნგით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, მათ შორის გამოფენა LLigna ხის დამუშავებაზე. - 2015 წლის 14 აპრილი, გამოქვეყნდა პროექტის განშლის სტრატეგია შუალედური ვადებით თითოეულ სექციაში 2020 წლამდე.

- 2012 წლის იანვარში, პროექტი შემოთავაზებულ იქნა ფედერალურ მთავრობას გერმანიის კვლევითი კავშირის (Forschungsunion) მიერ, რომელიც აერთიანებს მეცნიერებისა და ეკონომიკის წარმომადგენლებს.

პროექტის კოორდინატორი - სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ დოქტორი ზიგფრიდ დაისი (Siegfried Dais), Robert-Bosch GmbH H კომპანიის დირექტორის მოადგილე და პროფესორი ჰენინგ კამერმანი (Henning Kagermann), ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

- პროექტის პირველი ეტაპის განშლისათვის მთავრობის მიერ გათვალისწინებულია 200 მილიონი ევროს გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასე უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაფინანსება მხოლოდ გათვალისწინებული იყო პროცესის დაწყების ბაზის ინიცირებისათვის და მომზადებისათვის - მომავალში პროექტის მიზანია საწარმოო ინდუსტრიის განვითარება დამოუკიდებლად. ბიზნესისათვის დამატებით უკვე გამოყოფილია 300 მილიონი ევრო. შედარებისთვის, პროექტები რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკასთან და განახლებადი ენერჯიების წყაროებთან, საერთო ჯამში გამოყოფილია 4 მილიარდ ევროზე მეტი.

- “ინდუსტრია 4.0” ეფუძნება იდეებს “ინტერნეტ საგნები” IoT (Internet of things) და “კიბერფიზიკური სისტემები” - CPS (Cyber-Physical Systems).

საუბარი მიდის უსულო საგნების გარდაქმნაზე (ამ შემთხვევაში - წარმოების სისტემების კომპონენტებზე) ინტერნეტის აქტიურ მომხმარებლებზე. უკვე დღეს ბევრ „ჭკვიან“ სისტემებს შეუძლია ადამიანის ჩარევის გარეშე ქსელებში გასვლა - გავიხსენოთ “ჭკვიანი სახლი”, თანამედროვე ავტომობილები, ინტელექტუალური პარკირება, ეკომონიტორინგის სისტემები, ენერჯის უზრუნველყოფა. ქსელებში ჩართული მოწყობილობების რაოდენობა უახლოეს მომავალში გადააჭარბებს პლანეტის მო-

სახეობას, ხოლო 2020 წლისათვის ანალიტიკოსების პროგნოზებით – ის იქნება 26 მილიარდი.

წარმოებისათვის სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთობა ქსელის საშუალებით წარმოუდგენელ პერსპექტივებს ქმნის. “ჭკვიან ფაბრიკებში” მანქანებს ეძლევათ საშუალება გაერკვნენ გარემოში და შეძლებენ ერთმანეთს დაუკავშირდნენ ქსელური ოქმების საშუალებით, ასევე როგორც ლოგისტიკურ და ბიზნეს სისტემებს, მომწოდებლებს და მომხმარებლებს. საწარმოო ტექნიკა, იღებს რა ინფორმაციის შეცვლილი მოთხოვნების შესახებ, შესძლებს თვითონ მოახდინოს ტექნოლოგიურ პროცესებში კორექტირება. შედეგად ტექნოლოგიურ სისტემებს შეეძლება წარმოების სისტემების და დანადგარებს თვითონ მოახდინონ დიაგნოსტიკა, მოხდება მათი შემდგომი მოქნილობის გაზრდა და პროდუქციის ინდივიდუალიზაცია.

წინამზადი შესძლებს შეატყობინოს ჩარხს თუ რა ოპერაციებია საჭირო მისი დამუშავებისათვის და რომელი ინსტრუმენტი უნდა აირჩიოს, ხოლო სატრანსპორტო სისტემას კი - რომელი მარშრუტით უნდა გადასცეს მომდევნო ოპერაციას. ააგრეთვე ტექნიკის დეტალები თვითონ შეატყობინებენ თავიანთ ცვეთაზე და ინტერნეტით გადასცემენ შეკვეთას დამამზადებლებს სათადარიგო ნაწილებზე და გააფრთხილებენ სერვისის სამსახურს დაგეგმილ რემონტებზე.

ინდუსტრია 4.0, მოქნილობის და ადაპტაციის გამო, რომლებიც უზრუნველყოფილია კიბერფიზიკური სისტემებით, დაეხმარება მოახდინოს მასობრივი წარმოება ინდივიდუალური შეკვეთებით (გერმ.“Losgröße =1” - “პარტიის ზომა=1”), რაც შეამცირებს პროდუქციის ფასს. წარმოების ორგანიზაციის კლასიკური მეთოდები ითვალისწინებდნენ, რომ ნაკადური ხაზით შესაძლებელი იყო დამზადებულიყო მხოლოდ საქონლის დიდი პარტიები. ვარაუდით, Losgröße =1 (იხილე ზემოთ) შეუძლია აწარმოოს მხოლოდ დიდი რაოდენობით საქონელი. წარმოების პროცესების ორგანიზაციის ახალი პრინციპებით შესაძლებელია ინდუსტრიული საშუალებებით ერთეული ნაკეთობების დამზადება.

დღეს უკვე თვალი შეიძლება ვადევნოთ ცვლილებების მდგრად ტენდენციებს წარმოების პროცესების ხისტი ცენტრალიზებული მმართველობიდან დეცენტრალიზებული მოდელის შეგროვებით, ინფორმაციის დამუშავებით და გადანაცვლების მიღებით. ამასთანავე იზრდება ავტონომიურობის დონე. საბოლოო ჯამში, ასეთი სისტემა ხდება აქტიური კომპონენტი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მართოს საკუთარი წარმოების პროცესები.

კიბერფიზიკური სისტემების გამოყენების მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ Chrysler-ის ქარხანა ტოლედოში. აქ ყოველდღე იწარმოება ავტომობილ Jeep Wrangler-ის 700 მეტი ძარა. ამასთანავე აქ ჩართულია 259 გერმანული რობოტი KUKA, რომელიც “ურთიერთობს” 60,000 (!) სხვა მონაცემილობასთან

და ჩარხთან. მონაცემების გაცვლა და შენახვა ორგანიზებულია ღრუბელის ტექნოლოგიით. თანამედროვე გადანაცვლებებმა საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაეზარდათ მწარმოებლურობა და მოქნილობა. აი რას ლაპარაკობს ამასთან დაკავშირებით ხელოვნური ინტელექტის (DFKI) გერმანული კვლევითი ცენტრის უფროსი პროფესორი ვოლფგანგ ვალსტერი (Prof. Dr. Wolfgang Wahlster): “კიბერფიზიკური სისტემები ძირითადად შეცვლის ტრადიციული წარმოების ლოგიკას, რადგანაც თითოეული სამუშაო ობიექტი თვითონ განსაზღვრავს, რა სამუშაო შეასრულოს... გაუჩნდა რა მანქანებს თვისება გაიგოს განსაზღვრული სიტუაცია მიიყვანს აბსოლუტურად ხარისხის ახალ დონეზე ინდუსტრიულ წარმოებებში. დიდი რაოდენობით ცალკეული კომპონენტების ურთიერთქმედებით საშუალებას მისცემს გამოიმუშავოს გადანაცვლებები, რომლებიც ადრე შეუძლებელი იყო დაპროგრამებულიყო საწარმოების დანადგარებზე...” ეს მნიშვნელოვნად გაზრდის წარმადობას და მოქნილობას.

“თვალსაჩინო მაგალითი ამისა არის ჭიანჭველების ბუდე, სადაც თითოეული მწერი ცალკეულად არ არის განსაკუთრებულად ინტელექტუალური, მაგრამ როდესაც დიდი რაოდენობით ჭიანჭველები ურთიერთქმედებენ ერთად, მათ შეუძლიათ გასაკვირი გადანაცვლებების გამოიმუშავება. ეს ფენომენი ასევე გამოიყენება ინდუსტრია 4.0-ში”.

- გერმანელების ინიციატივამ გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში: - ამერიკის შეერთებულ შტატებში 2014 წელს შეიქმნა არაკომერციული კონსორციუმი საწარმოო ინტერნეტისა ( Industrial Internet).

- ჩინეთმა მიიღო დოქტრინა “ჩინური წარმოება 2025” და დააყენა ამოცანა, რომ თანმიმდევრულად მიიყვანს მრეწველობის დონეს 2.0-დან 3.0-მდე და შემდეგ ასევე გააკეთებს გარღვევას 4.0-მდე (იგულისხმება ინდუსტრია 4.0).

- იაპონელები აქტიურად მსჯელობენ საკუთარ კონცეფციაზე “Connected Factories” (ქსელებში ჩართული ქარხნები) თავიანთი ინდუსტრიისათვის (Monodzukuri).

- პროექტი ინდუსტრია 4.0 ინიცირებულია “ზემოდან”. და როგორც ნებისმიერი ასეთი ინიციატივა ნელა მიიწვეს წინ, იმოსება რა დიდი რაოდენობის ორგანიზაციებით. თავად გერმანელები საუბრობენ ზოზინზე, ბიუროკრატის ზრდაზე და რეალური შედეგების არქონაზე. კრიტიკის საგანია ტიპიური გერმანული მიდრეკილება წინასწარ მოხდეს სისტემატიზირება და პუნქტების მიხედვით გაიწეროს და შემდეგ მოხდეს მოქმედება, აქედან გამომდინარე გამოითქმის შიში, სანამ გერმანელები ხვეწენ ფორმულირებებს მრავალრიცხოვან კონფერენციებზე, ამერიკელებმა შეიძლება წინ წაწიონ თავიანთი სამრეწველო ინტერნეტის პრაქტიკულ დანერგვამდე. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმებით, უმჯობესია ნელა, მაგრამ საიმედოდ წინსვლა, ვიდრე არ

ვაკეთოთ საერთოდ. მისასალმებელია ის რომ რომ ერთ-ერთ ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, ხელისუფლება არ ჩერდება მილნულზე, არამედ ძალიან დიდი ძალისხმევით ცდილობს მიმართოს საუკეთესო ტვინები სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად და ამ მიმართულებით ახდენს ბიზნესის და მეცნიერების ერთიან ძალად შეკვრას. - გერმანიის მემარცხენე პოლიტიკოსები არ გამოთქვამენ შიშს, რომ ინდუსტრია 4.0-მა შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებას. მოჰყავთ მონაცემები, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში 30.9 მილიონი სამუშაო ადგილიდან რობოტები და კომპიუტერები ჩაანაცვლებენ დაახლოებით 18 მილიონის - .. ეს კი არის 59%. პროგრესის მომხრეები ამას ეწინააღმდეგებიან - ახალი მიდგომები ზუსტად მიმართულია ევროპის ეკონომიკის სტიმულირებაზე და ფოკუსირებულია აღმოფხვრას საერთაშორისო დასაქმების განაწილება, რომელიც წარმოიშვა მესამე ქვეყნებში წარმოებების გადატანით. ამის გარდა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ემუქრება არა ყველა პროფესიებს. შრომის ბაზარი შეიცვლება და მოთხოვნადი გახდება პროფესიონალიზმი და კომპეტენცია.

პროექტი ინდუსტრია 4.0 პირველ რიგში გერმანიის შიდა პრობლემის მოგვარებაზეა გათვლილი, მაგრამ მისი შედეგები არ შეიძლება არ აისახოს გერმანული ტექნიკის მომხმარებლებზე მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოზე. საქართველოში დღითი დღე იზრდება გერმანული ხის დასამუშავებელი და არა მარტო ხის დასამუშავებელი ჩარხების რაოდენობა.

ამჟამად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გერმანული კომპანია Homag-ის 27 ჩარხი მუშაობს ავეჯის ფაბრიკებში. წელს 2017 წლის მაისში ამ კომპანიამ გერმანიის ქალაქ ჰანოვერში მოახდინა მსოფლიო ხის ინდუსტრიის გამოფენაზე ახალი კონცეფციის **Tapio**\*-ს პრეზენტაცია. ეს ციფრული პლატფორმა ხის დამუშავების ინდუსტრიაში სწორედ რომ ღირებულებათა ჯაჭვის შესაქმნელად შეიქმნა. **Tapio** მოიცავს რთულ ციფრულ ტექნოლოგიებს ხის დამუშავების ინდუსტრიის ათასობით საწარმოო მანქანებისათვის, მრავალფეროვანი მასალების და ინსტრუმენტების მიწოდებას (**Internet of things (IoT)** ინტერნეტის საშუალებით. მოკლედ რომ ვთქვათ, **Tapio** მთლიანად მოიცავს ხის დამუშავების ღირებულებათა ჯაჭვს. **Tapio** იღებს ცოდნას საინჟინრო მექანიკიდან, მომსახურების, პროგრამულ უზრუნველყოფის, მსოფლიოს ყველანაირი ზომის ბიზნესის კონსულტაციების სფეროებიდან, რომ თქვენი შრომა უფრო ადვილი გახადოს. **Tapio** გეხმარებათ ერთგვაროვანი გადაწყვეტის მიღებაში უამრავი სხვადასხვა სახის სამუშაო პროცესის დროს რომ გახადოს ბიზნეს-პროცესი უფრო სწრაფი, მომგებიანი და საიმედო ვიდრე ეს იყო მანამდე.

**Tapio** უზრუნველყოფს ყველანაირ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას ხის ინდუსტრიებისთვის. ეს ციფ-

რული სივრცე უზრუნველყოფს ღია ინტერფეისის პარტნიორებისთვის, მომხმარებლებისთვის და ასევე ტექნოლოგიებისთვის. როგორც ძველი ჩარხები, ასევე ადვილად შეიძლება იყენონ ინტეგრირებულნი, როგორც სხვა მწარმოებლების მიერ შექმნილი პროგრამული გადაწყვეტა თუ პროდუქცია. **Tapio**-ს მეშვეობით შესაძლებელია ვიმუშაოთ ერთად და გადავწყვიტოთ ციფრული ტექნოლოგიების გამოწვევები რომელიც შეიძლება წამოიჭრას და მათი მზერა მიმართულია მომავალსაკენ. მიუხედავად იმისა, იქნება ეს ჩარხზე დაფუძნებული, თუ არ იქნება ჩარხზე დაფუძნებული, საწარმოო პროცესი დღესდღეობით რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეს არის ყველა იმ დეტალისა და პარამეტრისა ჰარმონიზაცია რაც საჭიროა ღირებულებათა ჯაჭვისთვის. ეს იმას ნიშნავს რომ აუცილებელია გაკონტროლებული იყოს მთლიანი პროცესი დანერგული საწარმოო პროცესიდან და დამთავრებული მონაცემების ნაკადებით. **Tapio** იძლევა პასუხებს რამდენადაც იგი მოიცავს თავის თავში შესაძლებლობებს რომლებიც დამყარებულია ჩარხების უნარებზე, პროგრამულ ექსპერტიზაზე, კონსულტაციების მაღალ ხარისხზე, მომსახურების ხარისხზე და მიისწრაფვის რომ ხის დამუშავების ინდუსტრია უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს. **Tapio** გამოიმუშავებს საჭირო ინფორმაციას უზარმაზრი რაოდენობის მონაცემებიდან, რომელიც ხის დამუშავების ინდუსტრიამ შეიძლება გამოიყენოს საკუთარი გაძლიერებისათვის. იგი იცავს ინვესტიციებს მომავალსათვის. ხის დამუშავება რთული ბიზნესია. პარტნიორების და მომხმარებელთა მოთხოვნები და მათი გაგება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტექნოლოგიებისა და ტენდენციების განვითარება.

რა სახის ციფრული შესაძლებლობები არსებობს? რა ენდობება მომხმარებელს მომავალში? და როგორ განვითარდება მომსახურება მომავალში? ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება.

გერმანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს ინდუსტრიების გაციფრების სფეროში ანუ “დიჯიტალიზაციაში” (**Digitalisation**). ამიტომ ამასთან ერთად მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მონაცემების დაცვაზე. იქნება ეს პატარა, საშუალო ზომის კომპანია თუ გლობალური კორპორაცია **Tapio** ბუნებრივად პასუხობს მაღალ სტანდარტებს.

ხანდახან ჩარხების მუშაობის პროცესში თავს იჩენს სხვადასხვა პრობლემა და ოპერატორმა არ იცის არც გამომწვევი მიზეზი და არც შესაძლო გადაწყვეტა. ხშირად ერთადერთი ვარიანტი არის **HOMAG**-ს გუნდის გამოძახება. და მიუხედავად სწრაფი დახმარებისა შესაძლებელია მოხდეს შეფერხება ან საერთოდ წარმოება გაჩერდეს სანამ პრობლემა არ აღმოიფხვრება. მომსახურება გარანტიას იძლევა, რომ დახმარების თხოვნა ავტომატურად გადაეცემა **HOMAG**-ის სერვის ცენტრს, როგორც კი პრობლემა იჩენს თავს. სერვის ბორდი კი საშუალე-

ბას გვაძლევს, რომ დაუყონებლივ დაუწყავშირდეთ და პრევენციული ზომები გატარდეს და შესაძლო პრობლემები გადაიჭრას სანყის ეტაპებზე.

არავინ ისე არ არის ჩახედული ჩარხების მუშაობაში როგორც თვითონ ჩარხის ოპერატორები. გაუთვალისწინებელი შეფერხება ჩარხებისა არ არის სასურველი, თან როცა უკვე არსებობს ჩარხების შესახებ ინფორმაცია რეალურ დროში (აისახება სმარტფონზე ან სმარტ საათებზე და პლიუს ბიძგიც თუ რაიმე ჩარევა იქნება საჭირო ხელითაც). ეს გეხმარება დარწმუნებული იყო რომ ყოველთვის შეგეძლება მანქანასთან თავის დროზე მიხვიდე და დროული რეაგირება მოახდინო. ამასთან ერთად, შეგიძლიათ განსაზღვროთ რიცხვით პროგრამული მართვის (CNC) პროგრამის დარჩენილი დრო ან ნახო მომავალი პროცესების პარამეტრები რათა უკეთ დასახო პარალელური ამოცანები. ყოველი ნაბიჯი შესაძლებელია შესრულდეს გარკვეული თანმიმდევრობით. სახლიდან სამსახურისკენ, გზაში მაგალითად შენ შეგიძლია დისტანციურად ჩართო ნაწიბურის მისაკრავი ჩარხის ნებოს აგრეგატი, რომ არ ელოდო 15 წუთი ნებოს გასაცხელებლად და ამის მაგივრად დრო სხვა საქმეში გამოიყენო.

როცა პროცესთან ან ჩარხთან დაკავშირებული დარღვევა იჩენს თავს, ჩარხი ფუჭდება ან გვაქვს სანარმოო ხაზში ვინრო ადგილი სანარმოო უჯრედში, სანარმოო ოპერაციები ან მასალების ნაკადი შეიძლება შეწყდეს რაც გამოიწვევს იმას რომ სანარმოო ვერ შეასრულებს თავის გეგმას. თუ ასეთი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად არ მოხერხდა, მიწოდების დრო არ იქნება შესრულებული და ახალი შეკვეთების წარმოებაც ვერ დაიწყება თავის დროზე. აი ზუსტად აქ დაგვეხმარება Tapio - ის ასახავს ინფორმაციას წარმოების შესახებ და ასევე რა მდგომარეობაშია ყველა სამუშაო სივრცე მიმდინარე დღეს და ასევე მონიტორინგს უკეთებს ამ პროცესებს. ყველა კომპანია არ უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლების შექმნას. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რესურსების ნაკლებ-

ლობით ან არასაკმარისი IT ტექნოლოგიების ცოდნით. ასეთ სიტუაციებში სერვისის ჯგუფმა შეიძლება მიიყვანოს მწარმოებელი ფატალურ შედეგამდე. უკიდურეს შემთხვევებში მონაცემების დაკარგვა ნიშნავს იმას რომ მონაცემთა ბაზა 0-დან უნდა იყოს აღდგენილი. მონაცემების შენახვა ამცირებს შანსს, მოხდეს უფრო მცირე და დიდ მონაცემთა დაკარგვა და რა თქმა უნდა ამასთანავე თანმხლებ პრობლემებსაც. ეს გადაწყვეტილება გარანტიას იძლევა რომ ყველა უახლესი სისტემათა მონაცემები ინახება ისეთ ადგილას, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი ხდება აუცილებლობის შემთხვევაში.

წარმოების სფეროში ჩარხებისა და სისტემების ოპტიმალური მოხმარება არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმატებისთვის. ზუსტი მაჩვენებლები რომლებიც ეხება ენერჯის მოხმარებას, შეკუმშული ჰაერის სისტემებს, აუცილებელია იმისთვის რომ დაითვალოს მთლიანი საოპერაციო ხარჯები ან საციცოცხლო ციკლის ღირებულება. ამას გარდა ენერჯის მოხმარება წარმოადგენს მთავარ მაჩვენებელს ჩარხის მდგომარეობისა. ენერჯის მონიტორინგი დაითვლის მთლიანად მოხმარებულ ენერჯიას (ელექტრო ენერჯიას თუ შეკუმშულ ჰაერს).

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Что такое индустрия 4.0? Цифры и факты. <http://holzex.ru/chto-takoe-industriya-4-0-tsfryi-i-faktyi/>
2. The digital platform for the wood industry value chain – tapio. <https://www.tapio.one/docs/tapio-brochure-en.pdf>
3. Plattform Industrie 4.0. <http://www.plattform-i40.de>
4. Werkstattpapier: Industrie 4.0 –die Rolle von Cluster-Initiativen im Wandel der Wertschöpfungsketten. [http://www.plattform-i40.de/sites/default/files/150410\\_Umsetzungsstrategie\\_0.pdf](http://www.plattform-i40.de/sites/default/files/150410_Umsetzungsstrategie_0.pdf)



# არქიტექტურული სინთეზი და მისი მნიშვნელობა „ფასადური არქიტექტურა თბილისის მაგალითზე“

ქეთევან სალუქვაძე

არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თეა ბიძინაშვილი

სტუ-ს მონვეული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქალაქ თბილისის მაგალითზე XIX საუკუნიდან დღემდე ფასადის ისტორიის ცვლილება, მისი მნიშვნელობა ქალაქის საერთო იერსახეში. კულტურული მნიშვნელობის ძეგლები და გასულ საუკუნეში აგებული მნიშვნელოვანი შენობების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ქმნიან ქალაქის ხასიათს არქიტექტურული სინთეზს და მის მნიშვნელობას.

**საკვანძო სიტყვები:** ფასადი, სინთეზი, ფორმა, ტრადიცია, დღევანდელი.

## RESUME

The article deals with the example of the city of Tbilisi from the 19th century to the change of facade history, its importance in the general sense of the city. Cultural monuments and a part of important buildings built in the last century that create the city's characteristic architectural synthesis and its significance.

\* \* \* \*

არქიტექტურა სამყოფი სივრცის ფორმირებაა. იდეალური ფორმის ძიება კი მთავარი ამოცანაა, რომელიც მას აკისრია. ოპტიმისტები მიიჩნევენ, რომ ბევრი ჭეშმარიტი ფორმა არსებობს, აქედან ზოგი ვიპოვეთ, ზოგი კი ჯერაც არ გვიპოვია. ეს ვარაუდი ნამდვილად სწორია, რადგან ფორმას ადამიანის გონება აფასებს: ესთეტიურად, ფუნქციურად და ემოციურად. ყველა ეპოქის ადამიანს კი განსხვავებული განვითარების დონე ახასიათებს და ესეც ძალიან ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, არქიტექტურაში ტყუილის, არაბუნებრივობისა და სიყალბის ადგილი არ არის.

გარემოს გარეშე მოცულობა არ არსებობს, მითუმეტეს, ჩვენს დროში, ჩვენ ხომ უკვე უთვალავი წელი და ფორმა გამოვიარეთ რომ აქამდე მოვსულიყავით. ჩვენი გარემო შედეგია წარსულისა და აწმყოსი. ქალაქს, რომელსაც დიდი ისტორია აქვს მოსაყოლი, კუნძულოვანი მოცულობითი ფორმები, ანუ შენობები ვერასოდეს ექნება. ამიტომ, გვინევს ძველისა და ახლის ერთად აღქმა. ტრადიციები და მომავალი, სიმდიდრე და სიღარიბე, მეფეები, კომუნისტები, დემოკრატები... ჩვენს ქუჩებში ყველა და ყველაფერი ერთად არსებობს.

ყველა ადგილს თავისი ისტორია აქვს, საკუთარი ტრადიცია, რომელსაც იცავს, აურა რომელიც დაჰყვება და აგებულება, რომელსაც ვერ შევცვლით. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა შევევხოთ ან თავი შორს დავიჭიროთ მისგან. ადამიანებს არ შეუძლიათ ხელოვნურად აირჩიონ სამყოფი გარემო და ეს ძალიან კარგი თვისებაა. სწორედ იმისთვის, რომ არ დაზარალებს ბუნებრივი ლანდშაფტი ან ისტორიული გარემო, არსებობს სინთეზი. ყველაზე ნათელი მაგალითი ჩვენი ქალაქია. თბილისი ლანდშაფტთან ერთად ვითარდება და არაფრით მის გარეშე, სწორედ გეოგრაფიული მდგომარეობაა ყველა თავისებურების განპირობებელი: ის რომ ქალაქი მტკვარს მიუყვება, აივნები კლდეებზეა შეფენილი, ყველა პატარა დეტალი რაც ძველ თბილისს გახსენებთ ლანდშაფტთან თანაარსებობას, ანუ მასთან სინთეზს განასახიერებს.

სუფთა არქიტექტურაში საქმე რთულადაა. როცა ისტორიულ გარემოში ახალი სხეული თავსდება, ეს რთულად აღსაქმელი პროცესია: როგორც ემოციურად, ისე ვიზუალურად. ყველა ადამიანისთვის ნაცნობი გრძნობაა ადგილის სიყვარული და ცვლილების შიში, ამიტომაც, რომ ხშირად სიმარტივის გამო, არქიტექტორები ცდილობენ ისტორიულ გარემოს შენობა გარეგნულად მოარგონ. შედეგად კი სიყალბეს ვიღებთ. ფასადი ბევრად მარტივი და პირდაპირი გახდა. ჩვენ ვცდილობთ გარემო სრულყოფილი გავხადოთ, ამიტომ ყველა არქიტექტურული ტყუილი უკან გადადგმული ნაბიჯია ფორმის ძიების რთულ გზაზე. ჩვენი კვალის დატოვება აუცილებელიც კია შემგომი სივრცეების გასაგვითარებლად.

ნებისმიერ საგანს დედამიწაზე სულიერს თუ უსულოს აქვს გარკვეული იერსახე ანუ ზედაპირი, რომელიც ანიჭებს მას მომხიბლაობას მიმზიდველობას თუ ვიზუალურ ესთეტიკას. ამ ზედაპირს რომელსაც შემდგომში მოვისხენიებთ როგორც ფასადს, ადამიანის თვალი აღიქვამს წამის მეასედში, ანუ მაშინაც კი როდესაც შეუძლებელია მიზანმიმართულად თავის გონებით დააკვირდეს გარკვეულ ობიექტს. შესაბამისად ჩვენ ვცხოვრობთ ფასადურ რეალობაში, რომელშიც გვინევს ჩვენს საქმიანობაში მოღვაწეობა, განვითარება და ა.შ თუ ჩვენ ამ მსჯელობას დავიყვანთ არქიტექტურამდე და ზოგადად სიტყვა არქიტექტურას განვიხილავთ როგორც სამყაროს ფასადს ანტიკური პერიოდიდან დღემდე, უნდა განვმეორედ და დავუშვათ ის მოსაზრება რომ ფასადი განსაზღვრავს თითოეული

ერის ისტორიას, ხოლო თანამედროვეობაში უმაღლეს ესთეტიკურ ღირებულებას.

ქალაქ თბილისის მაგალათზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ და დავინახოთ როგორ იცვლება ფასადი გასული საუკუნეებიდან დღემდე და ასევე შევამჩნიოთ მიზეზები რომლებიც ახდენს გავლენას ამ ყველაფერზე.

განვიხილოთ კონკრეტულად XIX საუკუნის დღემდე, რა იცვლებოდა, რა არის ახლა და რა კეთდება დღევანდელ თანამედროვე რეალობაში.

შესანიშნავი მაგალითია რუსთავალის გამზირზე დღეს დღეისობით არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, რომელიც ააგეს (1802-07) ნლებში, რუსული კლასიციზმის ზეგავლენით, როგორც მთავარმართებლის სასახლე. შენობამ გამოიარა ორი საუკუნე და დღეს დღეისობით არის ქალაქის

ერთერთი ისტორიული ფასადი, რომელიც უკვე აღწერს დედაქალაქზე გარკვეულ ფაქტებს.

XIX საუკუნის მიწურულში კი უკვე შეიმჩნევა შეიმჩნევა "მოდერნის" მომძლავრება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავლენით ძლიერდება აგრეთვე ინტერესი ქართული ისტორიული არქიტექტურისადმი - შენდება "ქართული სტილის" რამდენიმე საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლი: საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფი (1876, არქიტ. ა. ოზეროვი; ახლანდ. ღვინის ქარხანა № 1), ქაშვეთის ახალი ეკლესია (1910, არქიტ. ლ. ბილფელდი), სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი (1916, არქიტ. ა. კალგინი, მხატვარი ვ. ჰრინევისკი; ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა) და სხვა.

რაც შეეხება XX საუკუნის დასაწყისს, უკვე სო-



ღვინის ქარხანა

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ციალური ყოფითი გავლენა, ფაბრიკა ქარხნები, გზები, ხიდები კარნახობს ქალაქს როგორ განვითარდეს. იზრდება ქუჩების რაოდენობა და შესაბამისად ხდება ახალი შენობების დაგეგმარება. 20-30-იან წლებში იყო სერიოზული ცდები ისტორიული არქიტექტურის მოტივების გამოყენებისა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია, ფუნუკულიორის ზედა სადგური, დინამოს სტადიონი..

ასევე კონსტრუქტივიზმის გავლენით შენდება რამდენიმე ნაგებობა: საქართველოს სსრ კპ ცკ-ის შენობა (ამჟამად ყოფილი მთავრობის სახლი; 1930, არქიტ. ნ. სვეეროვი), რომელიც რუსთაველის გამზირის ერთერთი ნაპყვანი ფიგურაა თავის მატაბური ვიზუალით და მდგრადობით. კლასიკური რეპერტუარია გამოყენებული რამდენიმე დიდი ობიექტის არქიტექტურაშიც: ცირკის შენობა (1940, არქიტ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე), თსუ-ის მეორე კორპუსი (1940, არქიტ. მ. შავიშვილი) და სხვა. ამ ხანის შემოქმედებითი ძიების მაგალითია 2 მნიშვნელოვანი ნაგებობა საქართველოს მთავრობის სახლის ზედა კორპუსი (1938, არქიტ. ვ. კოკორინი, თანაავტორი გ. ლეჟავა) და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი ამჟამად იმელის შენობა (1938, არქიტ. ა. შჩუსევი). მიღწევებთან ერთად უკვე 30-იანი წლების II ნახევარში თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობების არქიტექტურაში თავს იჩენს მონუმენტალობით, მორთულობით გატაცება (სტალინისტური არქიტექტურა). ამ ტენდენციამ მეტი განვითარება ჰპოვა თბილისის 40-იანი და 50-იანი წლების I ნახევრის არქიტექტურაში.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ მეცხრამეტე მეოცე საუკუნის ძეგლები ჩვენს ქალაქში ახლაც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, და ქალაქის ცენტრალურ უბნებში არის მთელი რიგი მონინავე ობიექტები, რომლებსაც მიყავს ქალაქი ვიზუალური ისტორიული ესთეტიკა დღეს დღეისობით. რომელთა დაჩრდილვაც თანამედროვე ზეგავლენით რა თქმა უნდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ისტორიის ცუდი ნიმუშის შესანიშნავ მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ საბჭოთა გადმონაშთი, რომელიც ქალაქში ბინალური ტიპის შენობების აღმართვისას გამოჩნდა „ხრუშოვკის“ ტიპის ხუთ სართულიანი სახლები. რომელმაც XXI საუკუნეში ფაქტობრივად დაკარგა ფუნქციონალურობა და ვეღარ უპასუხა ახალ გამოწვევებს. ვერც კომფორტით, რომელიც ამ სახლებს საერთოდ არ გააჩნია, ვერც ვიზუალით, და ვერც გამძლეობით. შესაბამისად ბოლო წლებში თანდათანობით დაიწყო მათი დეკონსტრუქცია, თუმცა ჯერ ჯერობით მაინც არ ნაშლილა ამ ტიპის სახლების კვალი.

აგრეთვე შეგვიძლია თამამად ვიმსჯელოთ 70-80 იან წლებში დაგეგმარებულ კორპუსებზე, რომლებიც ახლად აღმოჩენილ გარეუბნებში განთავსდა. და მათი ნაცრისფერი, უხეში ვიზუალი დარჩა ფესვებად საბჭოთა კავშირისა დღევანდელ ასე თუ ისე დამოუკიდებელ საქართველოში. და საკმაოდ მყარად განაგრძობს არსებობას..რადგან თანდათანობით მოვუახლოვდით თანამედროვე რეალობას, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მსჯელობა სწორედ გარეუბნების ფასადური ესთეტიკური მხარიდან უნდა განვაგრძოთ.

გარეუბნიდან თუ კი დავბრუნდებით ცენტრალურ უბნებსა და გამზირებზე, ერთი შეხედვით შევხვდებით საპირისპირო პრობლემას, როდესაც თანამედროვე შენობის იერსახე ზემდეტად იჩენს თავს ისტორიული ძეგლის, ან შენობის გვერდით და ჩრდილავს, ფაქტობრივად ანულებს მის ღირებულებას. აქ დანაშაული უფრო მატულობს, რადგან ქალაქის ისტორიული ფასადები, კარგავს აქტუალობას, და მას ანაცვლებს თანამედროვე, ჩემი აზრით უფრო კიჩური, დაუხვეწავი შენობები, რომელიც საერთოდ ამოვარდნილია გარემოდან. მაგალითად: საცხოვრებელი კორპუსი პირველი სკოლის უკან, კაზინო „შანგრილა“ სიონის საკათედრო ტაძარსა და ანჩისხატს შორის, ნუცუბიძის ფერდობი

ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზის პოვნა საკმაოდ მარტივია. თუ კი გადავხედავთ ჩვენს პერიდიკას, 1990 იანი წლების ჩავარდნის შემდგომ, ქალაქის აღმშენებლობა დაიწყო 2004=05 წლებიდან. ეს პროცესი კი საკმაოდ ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა რამაც გამოიწვია ის რომ დღეს დღეისობით ქალაქის იერსახეში უკვე დაშვებულია ძალიან ბევრი შეცდომა. რაც უკვე ანადგურებს ქალაქის ვიზუალურ ესთეკურ კომფორტს ადამიანში და ქმნის ახალ, არეულ რეალობას, რომელიც ვერ გვიჩვენებს ვერც ძველს და ვერც ახალს.

ასეთი მსჯელობა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ისტორიული ძეგლების ნგრევა გამართლებულია, პირიქით. არქიტექტორს უდიდესი ტექნიკა და ცოდნა სჭირდება სინთეზის განსახორციელებლად: თანამედროვე მიღწევა ისტორიულ გარემოში ფონად უნდა იქცეს და არა ატრაქციად. ის უნდა დაგვეხმაროს აღვიქვათ დრო და სივრცე ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ეს რთული ასახსნელია, მსოფლიოში არსებობს სინთეზის შესანიშნავი მაგალითები. სინთეზიც ხომ ჩვენი განვითარებისა და აზროვნების შედეგია, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ქალაქური და ბუნებრივი იერსახის გადასარჩენად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. WWW.GOOGLE.GE
2. WWW.WIKIPEDIA.ORG

**მცირეგაბარიტული ბინების ინტერიერის  
ფორმირების თანხმობა**

*მზია მილაშვილი  
არქიტექტურის დოქტორი,  
ვალერი მჭედლიშვილი  
არქიტექტურის დოქტორი,  
ელენე კანტიძე  
დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია თანამედროვე ბინათმშენებლობის სფეროში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა მცირეგაბარიტული ბინების შიდა სივრცის ორგანიზება, რაციონალური სივრცითი გარემოს შექმნა და მისი მხატვრულ-ესთეტიკური გადანწყვეტა. აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ამჟამად უძრავი ქონების ბაზარზე და კომერციულ ბინათმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება ერთი და ოროთახიანი მცირეგაბარიტული ბინები. ნიშანდობლივია ის ტენდენციაც, რომ მათზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. ეს გარემოება განაპირობებს ასეთი ტიპის ბინების რაციონალური გადანწყვეტის აუცილებლობას.

იმ მიზნით, რომ მცირეგაბარიტული ბინები სრულად პასუხობდნენ კომფორტული, ფუნქციონალურად გამართული და ესთეტიურად სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემოს ფორმირების თანამედროვე მოთხოვნებს, წინამდებარე სტატიაში, პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ჩამოყალიბებულია ასეთი ტიპის ბინების მოწყობისათვის საჭირო რეკომენდაციები და წინადადებები.

**საკვანძო სიტყვები:** დიზაინი, სივრცე, დაგეგმვა, ზონირება

**RESUME**

**MZIA MILASHVILI, Doctor of Architecture  
VALERI MCHEDLISHVILI, Doctor of Architecture  
ELENE KANTIDZE, Doctoral Student,**

This article discusses such important matter in the field of modern flat building, as organizing the interior of flats with little gabarit, creating the rational interior environment and it's artistic and aesthetical features. The actuality of the mentioned matter is caused by the social and economic demand of modern society, since at the moment the single/two room flats with little gabarit are widely used in commercial flat building and operating property market. We should also take note of the tendency that the demand on them keeps growing. This circumstance makes it inevitable to find the rational solution for these flats.

In order for these small gabarit flats to be able to fully satisfy modern demands of comfortable, functionally in working order and aesthetically valuable living environment, in the article above are defined the needed recommendations for organizing flats of this type, with the purpose of future practical use.

**Keywords:** Design, space, planning, zoning

**შესავალი**

თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამჟამად უძრავი ქონების ბაზარზე და კომერციულ ბინათმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება ერთი და ოროთახიანი მცირეგაბარიტული ბინები. ნიშანდობლივია ის ტენდენციაც, რომ მათზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. ეს გარემოება განაპირობებს ასეთი ტიპის ბინების რაციონალური გადანწყვეტის აუცილებლობას.

იმ მიზნით, რომ მცირეგაბარიტული ბინები სრულად პასუხობდნენ კომფორტული, ფუნქციონალურად გამართული და ესთეტიურად სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემოს ფორმირების თანამედროვე მოთხოვნებს, მიზანშეწონილია, სპეციალისტების მხრიდან, შემუშავებული იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები.

მცირე გაბარიტული ბინა რომ სრულყოფილ და მაღალხარისხოვან საცხოვრებელ გარემოდ იქცეს, მისი ინტერიერის ფორმირებისას მრავალმხრივი მიდგომაა საჭირო. კერძოდ, ინტერიერის სივრცის ფუნქციონალურ ზონებად დაყოფა, კოლორისტული გადანწყვეტა, ფერისა და ფაქტურების სწორად შერჩევა, მასშტაბისა და შემადგენელი ელემენტების თანაზომიერების მართვა და სხვა.

ცნობილი ფაქტია, რომ ბინა, რომელშიც მხოლოდ ერთი ოთახისაგან და დამხმარე სათავსოებისაგან შედგება, ერთდროულად სასტუმრო ოთახის, საძინებლის, სასადილო ოთახის თუ კაბინეტის ფუნქციასაც ასრულებს. მცირე გაბარიტული ბინა სტანდარტული, ტრადიციული დაგეგმვებით უკვე ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლის მიმართ თანამედროვე მოთხოვნებს.

იმ მიზნით, რომ მცირეგაბარიტული ტიპის ბინებში შესაძლებელი იყოს რაციონალური და ფუნ-

ქციური გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანია რიგი რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სივრცის რაციონალურ ზონირებასა და ოპტიმალური გეგმარებითი სტრუქტურების ფორმირებას.

### **ინტარიერის სივრცითი ზონირება**

მცირეგაბარიტიანი ბინის ფორმირებისას მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - რაციონალური ზონირებისა და ოპტიმალური გეგმარებითი სტრუქტურის მქონე შიდა სივრცის შექმნა. ამ მიზნით შესაძლებელია ე.წ. „თავისუფალი გეგმარებითი სტრუქტურის“ გამოყენება.

თავისუფალი გეგმარებითი სტრუქტურის გამოყენებისას, სივრცის სხვადასხვა დანიშნულების ფუნქციური ზონირების გამოსაყოფად საჭირო არაა სტაციონალური ტიხრების მოწყობა. სივრცის ზონირება შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი ხერხების საშუალებით როგორცაა: მოძრავი ან ტრანსფორმირებადი, მობილური ტიხრების მოწყობა, თაღებისა და ნახევართათების მოწყობა, სხვადასხვა მასალისა და ფორმის შირმების გამოყენება, ავეჯის ჯგუფების საშუალებით ფუნქციური ზონების შექმნა, მრავალდონიანი, საფეხურებრივი იატაკისა და ჭერის მოწყობა, ზონების შესაბამისად იატაკის, ჭერისა და კედლების მონაკვეთებზე სხვადასხვა მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენება ან და მათი ზედაპირების სხვადასხვა ფერადოვანი გადანყვეტა, ასევე მნიშვნელოვანი ხერხია სხვადასხვა ზონებისათვის შესაბამისი განათების რეჟიმის შერჩევა.

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სტაციონალური ტიხრების არქონას, უზრუნველყოფს რა სივრცის ვიზუალურ გაფართოვებას, თან ახლავს გარკვეული სახის დისკომფორტი, რაც სხვადასხვა ფუნქციის სივრცითი ზონების ვიზუალურ და აკუსტიკურ იზოლირების უქონლობაში მდგომარეობს.

### **ინტარიერის სტილისტური გადაწყვეტა**

მცირეგაბარიტიანი ბინების სივრცით ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისთვის შესაბამისი სტილისტური გადაწყვეტის შერჩევა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, დეკორატიული თვალსაზრისით, ეფექტურად გაფორმდეს ნებისმიერი სივრცე.

მცირეგაბარიტიანი ბინებისათვის რეკომენდირებულია ისეთი სტილისტური გადაწყვეტის გამოყენება, რომელიც არ მოითხოვს დიდი ზომისა და რთული პლასტიკური კონტურის მქონე განსაკუთრებულად დეკორირებულ არქიტექტურულ ელემენტებს, მოსაპირკეთებელ მასალებს, ავეჯსა თუ აქსესუარებს. ასეთი რაციონალური ესთეტიკითა და სტილისტური თავისებურებით ხასიათდება მა-

ლალტექნოლოგიური ჰაი-ტეკი, ლოფტი და მინიმალიზმი, თავისი ეთნიკური სახესხვაობებით (იაპონური მინიმალიზმი, სკანდინავიური მინიმალიზმი და სხვ.).

### **ინტარიერის კოლორისტიული და დეკორატიული გადაწყვეტა**

ცნობილი ფაქტია, რომ ფერი დიდ ზეგავლენას ახდენენ ადამიანის განწყობაზე. ფერების დახმარებით შესაძლებელია გადმოიცეს ემოცია, განწყობა და ხასიათი. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ინტერიერის სწორი ფერადოვანი გადანყვეტა.

ცნობილია, რომ ფერი - ეს ერთგვარი იარაღია ნებისმიერი დიზაინერისთვის. ამიტომ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა იარაღთან, მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეს პატარა ფართს ეხება.

იმისათვის რომ სწორად განისაზღვროს მცირეგაბარიტიანი ბინის ინტერიერის კოლორისტიკა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება თუ რისთვისაა გამიზნული იგი - ესაა ოფისი თუ საცხოვრებელი ოჯახური წყვილისათვის, ასაკოვანი ადამიანებისა თუ ახალგაზრდებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ბინაში მაცხოვრებელი ადამიანის ფსიქოტიპის გათვალისწინება, რომ შერჩეული ფერები ჰარმონიულად შეესაბამებოდეს კონკრეტული ადამიანის ხასიათსა და მის ტემპერამენტს.

ფერთა შერჩევისას მნიშვნელოვანია ასევე შერჩეული სტილისტური მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებაც, რადგან თითქმის ყველა სტილს ახასიათებს საკუთარი განსაზღვრულ ფერთა პალიტრა. ასე, მაგალითად, ჰაი-ტექის სტილში შესრულებული ინტერიერი ფერადოვანი გამოითქმის ძირითადად განსხვავდება რომანტიკული შები-შიკისგან.

პატარა სივრცეში გასათვალისწინებელია ფეთა გამოყენების „ოქროს წესი“, რის მიხედვითაც არაა რეკომენდირებული ერთდროულად სამზე მეტი ინტენსიური ფერის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში ძირითად ფერად შირჩევა რომელიმე ნეიტრალური ფერი (თბილი ან ცივი ტონებიდან) ხოლო დანარჩენი ორი ფერი შედარებით ინტენსიური ფერია, რომლითა საშუალებითაც კეთდება აქცენტები და კონტრასტული ჩანაროები.

### **ხერხები ინტარიერის სივრცის ვიზუალურად გაზრდისათვის**

მცირეგაბარიტიან ინტერიერში სივრცის ვიზუალური გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი დიზაინერული ხერხია სარკეებისა და ამრეკლი ზედაპირის მქონე ნივთების გამოყენება.

ამრეკლი ზედაპირებიდან არეკლილი სინათლე ავსებს მთელს სივრცეს, რაც მას სრულიად გარდასახავს. რადგან არაპირილა ზედაპირი თავის მხრივ

შთანთქავენ სინათლეს, ამიტომ უმჯობესია ინტერიერში მისი გამოყენება მინიმუმამდე შეიზღუდოს.

ფართის ვიზუალურად გაზრდისთვის კარგია ასევე მინის ზედაპირების გამოყენება ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს ტიხარი, კარი ოთახებს შორის თუ ტრანსფორმირებადი მინის თეჯირი.

ფერთა გამა, რომელსაც სივრცის გასაფორმებლად გამოიყენება, მის ფორმებთან და მასშტაბთან „თამაშის“ საშუალებას იძლევა. ფერების სწორად შერჩევის საშუალებით შესაძლებელია პატარა ფართობის ბინის ვიზუალურად გაზრდა. ამ ეფექტს იძლევა ნათელი და ღია ტონალობის ფერების გამოყენება. ყველასთვის ცნობილია, რომ ფერადოვანი პალიტრის ნათელი ფერები ვიზუალურად ადიდებენ სივრცეს, მუქი ტონები კი აპატარავებენ მას, თუმცა მცირე გაბარიტიანი ბინის ინტერიერის გაფორმებისას მხოლოდ ამ პრინციპით ხელმძღვანელობა არაა საკმარისი.

მნიშვნელოვანია ინტერიერში გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალებისა და დეკორატიული ელემენტების, ავეჯისა თუ აქსესუარების ზომებისა, პროპორციების, მათი სტილისა და ფერის სწორად შერჩევა. მაგალითად თუ კი მოსაპირკეთებელი ფილის ან შპალერის დეკორატიული გამოსახულების კომპოზიცია ვერტიკალურადაა მიმართული, მაშინ ოთახი ვიზუალურად მეტად გადიდება სიმაღლეში, ხოლო ჰორიზონტალურად მიმართული ნახატის შემთხვევაში ეს განივი ეფექტის მომცემი იქნება.

ნათელი ფერები ვიზუალურად ადიდებენ სივრცეს, მნიშვნელობა არ აქვს იქნება ეს- ავეჯი, იატაკი თუ კედლები. მთავარია, ეს ყველაფერი არ გადაიქცეს ერთ უზარმაზარ ნათელ ნერტილად, ამიტომ კონტრასტისთვის საჭიროა ცოტაოდენი მუქი ტონების გამოყენება.

**მცირეგაბარიტიანი ბინის ავეჯით მოწყობა**

ინტეგრირებულ და ტრანსფორმირებად ავეჯს შეუძლია მნიშვნელოვნად გაგვიმარტივოს ინტერიერის მოწყობა პატარა ბინის პირობებში. ჩაშენებული ავეჯი და სამზარეულო, ტრანსფორმირებადი დივანი, დასაკეცი მაგიდები - ეს ყველაფერი ნებისმიერ პირობებში უზრუნველყოფს კომფორტს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მცირე გაბარიტიანი ბინების დაპროექტებისას ესაა ტრანსფორმირებადი ავეჯის გამოყენება, რომელთა საშუალებითაც მაგალითად, ბინამ შეიძლება დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალოს თავის დანიშნულება. ის შეიძლება იყოს საძინებელი ოთახი, კაბინეტი, სასტუმრო ოთახი, სასადილო

ოთახი და ისევე საძინებელი ოთახი. ამისთვის დაგეგმვა ავეჯი, რომელსაც მინიმალური შესაძლებლობებით შეუძლია რადიკალურად გარდაიქმნას.

მცირე ფართობის მქონე ბინის ინტერიერში მიზანშეწონილი არაა დიდი ზომის ავეჯის გამოყენება. ავეჯის სწორი შერჩევა და განლაგება დაგვეხმარება სივრცის რაციუნალურად გამოყენებასა და ფუნქციონალურ ზონირებაში.

**ინტერიერის განათება**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ინტერიერის მოწყობისას არის მისი ბუნებრივი და ხელოვნური განათების რეჟისურის შერჩევა. გამომდინარე იქედან, რომ რაც უფრო ნათელია ბინა, მით მეტი ფართობისა ჩანს, მიზანშეწონილია თანამედროვე ნერტილოვანი განათების გამოყენება.

რეკომენდირებულია ასევე კედლების, მაგიდაზე ან იატაკზე დასადგმელი სანათების გამოყენება, რაც კედლისსიმაღლისდაგრძელების ვიზუალურ ეფექტს იძლევა.

ბუნებრივი განათებისათვის, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეკომენდირებულია ფანჯრისა და კარის ლიობების ზომების მაქსიმალური გაზრდა.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ მცირეგაბარიტიანი ბინა არა მხოლოდ ფუნქციონალურად გამართული, არამედ ამავე დროს, იგი კომფორტული და ესთეტიურად ლამაზიც უნდა იყოს.

ამრიგად, მცირეგაბარიტიანი ბინების ინტერიერების სრულფასოვანი ფუნქციური და ესთეტიური გადანყვეტისათვის საჭიროა იმ რეკომენდაციების გათვალისწინება რომელიც უზრუნველყოფს მის სწორ ფორმირებას შემდეგი ისეთი პარამეტრებით-როგორცაა: ბინის რაციონალური გეგმარებითი სტრუქტურა, ბინის სწორი ფუნქციონალური ზონირება, შესაბამისი სტილისტური გადანყვეტა, სწორად შერჩეული კოლორისტული და დეკორატიული გადანყვეტა, შესაფერისი ავეჯით მოწყობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <http://myinterior.info/dizajn-kvartir/12289/tri-rekomendacii-po-otdelke-malenkoj-kvartiry/>
2. <http://home.passion.ru/interer/stil-doma/interery-malogabaritnykh-kvartir.htm>

# ახალი წიგნები

## ცხოვრების ფილოსოფია მეცნიერულ-პრაქტიკული ხედვით

გივი ბედიანაშვილი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
მაია ბენია, ნინო ჩიკვილაძე,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორები.

### გიორგი მაღაშხია, სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად, ცხოვრების ფილოსოფია

გიორგი მაღაშხიას აქამდე ვიცნობდით როგორც გამოჩენილ, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ, ფართო დიაპაზონის მოაზროვნე მეცნიერს. მეცნიერებაში მან შექმნა ეკონომიკის მეტათეორია – ეკონომიკის ფილოსოფია, მრავალი ნაშრომი ეკონომიკის სოციოლოგიაში, თეორიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია, ქართულთან ერთად, ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე ამერიკაში, რუსეთში, უკრაინაში და სხვა ქვეყნებში. მანვე ჩამოაყალიბა რიგი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა და პრინციპი ეკონომიკური კვლევებისათვის – ანთროპოცენტრული, აქსიომეტრიული და ევდენომისტური მიდგომები, გენეტიკური პრინციპი. და სხვა; შეიმუშავა სიმდიდრის (დოვლათის), მოგების, შემოსავლების განაწილების, ეკონომიკურ განვითარების ხარისხის ახალი თეორია, ეკონომიკისა და მთელი ცხოვრების ჰუმანიზაციის გზების კონცეპტუალური თეორიული დებულებები, ჩამოაყალიბა რიგი ეკონომიკური და ზოგად სოციოლოგიური კანონი და ა.შ.

ამჯერად, როგორც მონმენდილ ცაზე ჭეჭა – გრგვინვამ, უეცრად „დაიქუხა“ მისი ლექსების სოლოდურმა (530 გვერდზე მეტი) კრებულმა „სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია“, რომელშიც იგი წარმოგვიდგა ცხოვრების ფილოსოფიის მეცნიერული იდეების პოეზიის საშუალებებით გამომხატველად. როგორც თავადაც აღნიშნავს, ღრმაშინაარსიანი პოეზია ყოველთვის არის მეტ-ნაკლებად ფილოსოფიაც, დაწყებული ჰომეროსიდან, დანტეს თუ გოეთეს, შექსპირის, დიდი ილიას და ბევრ სხვათა ქმნილებები ამაზე მიუთითებს.

გიორგის ლექსების კრებული ორიგინალური, ნათელი და, ყველასთვის ადვილად გასაგები, ამავე დროს ღრმააზროვანი, ფილოსოფიური, მრავალი თემის მომცველი ადამიანთა, მთელი კაცობრიობის ყოფის ირგვლივ.

შთამბეჭდავი, ნათელი ხატოვანი სახეებით და ფერებით, ღრმაშინაარსიანი პასაჟებით ეხება ავტორი მრავალ თემას ადამიანთა ცხოვრების, ხასიათის, ნიშან-თვისებათა, ურთიერთობის, ისტორიის კანონზომიერებათა, წინააღმდეგობათა, ადამიანურ ფასეულობათა შესახებ და ა. შ.

### გიორგი მაღაშხია



### ფიქრები ლექსებად ცხოვრების ფილოსოფია

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ იგი თავიდანვე გამოთქვამს მოსაზრებას პოეზიის გარკვეულ უპირატესობის შესახებ მეცნიერებასთან შედარებით იმ თვალსაზრისით, რომ უფრო ნათლად, მარტივად და საყოველთაოდ ჩასანვდომად ასახოს სინამდვილის რთული მოვლენები.

„მიშველის ლექსი, როცა ძალა ცნებებს არ ყოფნის, როცა ლოგიკა თვით რკინისა ხდება უძლური, რითმა იფეთქებს, ისე ვით თოფი, შემეცნების ჟინს დააოკებს, ვით ღვინო წყურვილს“. („ფიქრები ლექსებად“).

გიორგი მაღაშხიას ლექსების მრავალთემიანი კრებულის განხილვა ვრცელ ნაშრომს მოითხოვს. ჩვენ შევვებით მეცნიერულ-ფილოსოფიური რაკურსით ცხოვრების მოვლენათა ასახვას მის ლექ-

სებში. ამით იგი აგრძელებს პოეზიის, „და კლასიკური პოეზიის, საერთოდ, ქართული პოეზიის საუკეთესო, ტრადიციას, კერძოდ, რომელიც ღრმა აზროვნებით და ფუნდამენტურობით გამოირჩევა.

დავინწყით იმით, რომ პოეტი-მეცნიერი სვამს ფილოსოფიურ საკითხს ცხოვრების საზრისი შესახებ. იგი თვლის, რომ ამ საკითხის დასმა, რაც მეცნიერებასა და თვით პრაქტიკაშიც გვხვდება, არამართლზომიერია. „ცხოვრება არის მოცემულობა“, მას თავისთავად აქვს აზრი შინაარსის, დანიშნულების მიხედვით, იმით, რაც იგი არის ის. მისი აზრის თუ უაზრობის შესახებ მსჯელობა ფუჭია. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ღირს თუ არა ცხოვრება, რა ფასეულობაა იგი, არამედ იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ უკეთ, რა ვაკეთოთ ამისთვის. რაც უფრო ღირსეული, შინაარსიანია ცხოვრება, მით უფრო ფასეულია იგი.

„ გულში ღვიოდეს უქრობი ალი,  
მზე დიდი ღთვლის და სიყვარულის,  
მასში იქნება სიცოცხლის ძალის  
დიდი ზეიმი გამოხატული,  
არ გვინდა ბევრი ფიქრი და დავა,  
მძიმე კითხვების გამოდევნება,  
წლები თუ შრომა-გარჯაში გავა,  
ცხოვრების გზით სვლა არ მოგვწყინდება.“

(„ცხოვრების ფილოსოფია“)

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი ადამიანს, როგორც უმაღლეს ფასეულობას, მის ნიშან-თვისებებს, პოზიტიურ მხარეებს და ხარვეზებს, ქცევას, ფსიქიკას, ხასიათის სირთულეს, დამოკიდებულებას საკუთარ თავთან და სხვების მიმართ, ფაქტობრივად იმას, თუ როგორი უნდა იყოს იგი, ურთიერთობებს საზოგადოებასთან, ბუნებასთან დამოკიდებულებას, ადამიანის სიყვარულს და მის ადგილს პიროვნების ცხოვრებაში.

ადამიანის, როგორც ურთულესი სოციალური არსების, სხვადასხვა მხარეს ავტორი მრავალმხრივ ეხმიანება. ადამიანის ბუნება, მისწრაფებები, ინტერესები ქცევა, სიყვარული, სიძულვილი, მეგობრობა, მტრობა ყოველთვის იყო პოეზიის საგანი. გიორგი მალაშხია აქაც ორიგინალურია, მისი ხედვა ფართოა, მრავლის მთქმელი. მას ახასიათებს ამ მოვლენებში ღრმა წვდომა. იგი არ იმეორებს სხვას. მას თავისი სათქმელი აქვს. მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ადამიანის განუმეორებელ ბუნებას, შემოქმედებით შესაძლებლობებს, სიკეთეს, სილამაზეს. ამასთან დიდ ადგილი უკავია მის წინააღმდეგობრივ ბუნებას, იმას, რომ იგი თავად აყენებს დიდ ზიანს თავისავე თავსა და სხვებს, („რაც მოგივა და ვითაო, ყველა შენი თავითაო“ ხალხური სიბრძნის თანახმად), რაც დასაბამიდან მოსდგამს მას. პოეტის მიხედვით, იგი გამოდის თავისი თავის მტრად და სხვებისაც, რაც ართულებს ცხოვრებას. „ყველა სიავე თვით კაცთან მოდის, . მრუდი ქცევები და აზროვნება აბნევს ყოფასა და საღ გონებას“ ( „არასწორად ცხოვრება“). ყველაზე მეტ სიავე

ადამიანი თვით უმზადებს თავისთავს, სხვა კი არავინ, რადგან ცდება თავისი ინტერესების, მიზნების, სიკეთის გაგებაში და ა.შ. სწორედ ადამიანის ბუნების თავისებურებათა გამოა ცხოვრება რთული და მახინჯიც, მიუღებელი მოვლენებით სავსე, მაგრამ საპირისპიროდ მიმზიდველიც, აზრიანიც თავისი პოზიტიური მხარით.

ცხოვრების გაუმჯობესების გზა დევს სწორედ ადამიანის ნეგატიური თვისებების აღკვეთაში.

.. თუ კი მივყვებით ჭეშმარიტებას,  
თუ დავითაფლებთ გულსა და ენას,  
სულაც იოლად, სულაც მარტივად  
არ დაგვჭირდება თავ-პირის მტვრევა  
თუ კი სიკეთის ხე დიდი დავრგეთ,  
კარგი ცხოვრება ყველას გვენევა..“

(„კარგად ცხოვრება“)

ყოველივე ამას ავტორი უკავშირებს ადამიანურ ფასეულობებს -ზნეობას, სამართლიანობას, მშვენიერებას, მეგობრობას, სიყვარულს და ა.შ., რასაც უპირისპირებს უზნეობას, უსამართლობას, სიძულვილს, ბოროტებას. მას კარგად ესმის, რომ მთელი ცხოვრების სირთულე ამ წყვილად მოვლენებშია, რომელთა არსებობაში მთავარია პირველის გადამწყვეტი როლი, რადგან მეორეთა სრულად აღკვეთა შეუძლებელია, რადგან ადამიანი ყოველთვის უშვებს რალაც შეცდომებს, მას ეს ახასიათებს *erare humanum est*.

გიორგი მალაშხია უთუოდ სამართლიანად უსვამს ხაზს და დიდ ადგილს უთმობს ჭეშმარიტების, მოვლენათა სწორად გაგების, სწორად ქცევის როლს ადამიანთა ცხოვრებაში. იგი თვლის, რომ თუ ყველა სწორად მოიქცევა, კარგად ცხოვრების პრობლემა გადაიჭრებოდა სრულად. მაგრამ ეს ურთულესი და ჯერჯერობით სრულიად გადაუჭრელი პრობლემაა. კაცობრიობა თანდათან უახლოვდება მას, მაგრამ ჯერ ძალიან შორსაა ჭეშმარიტების დამკვიდრებისაგან. კი საჭიროა კი თითოეული მისწრაფოდეს აქეთკენ. მაგრამ ადამიანებში ჭეშმარიტების, „სწორი ქცევის მიდრეკილებას სჭარბობს ინტერესი, თავის სასარგებლოდ მოქმედების სურვილი. თავად ავტორი იგი, „ჭეშმარიტების მისდევს ნათებას,“ აქეთკენ მოუწოდებს სხვებს.

მთელი კაცობრიობა ჯერ კიდევ ჭეშმარიტი ცოდნისა და მოქმედებისაგან სადღაც გზის დასაწყისში იმყოფება. ამიტომაცაა ცხოვრება ასე არასრულყოფილი, გამრუდებული, საერთოდ, თუმცა მის მომხიბვლელ და სასიამოვნო მხარეებს ავტორი კარგად ხედავს.

გიორგი მალაშხიას, როგორც მეცნიერსა და პოეტს, აინტერესებს ისტორიული პროცესი, მისი ხასიათი, კანონზომიერებანი, კონფლიქტები პერსპექტივა. მას არაერთი მეცნიერული ნაშრომი აქვს ამ თემაზე. პოეზიაში იგი ცდილობს ჩანვდეს ისტორიის კანონებს, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების მიზეზებს და შედეგებს, ადამიანთა თანაცხოვრების გაუმჯობესების გზებს. გვანვდის ამ სა-



კითხვებზე ხატოვნად, მხატვრული სახეების, ფერების მეშვეობით წარმოდგენილ კონცეპტს.

ის ამბობს, რომ ისტორიულ უსამართლობათა, მრუდი გზების, სწორი ვექტორიდან გადახრის ფაქტების გამო და თვლის, რომ აუცილებელია მთელი კაცობრიობის ამბობს, რომ ამის წინააღმდეგ, რის გარეშე ადამიანთა მოდგმა თავისვე თავს უმზადებს სუიციდს, რადგან მისი საქციელი მთლიანობაში გაუაზრებელია, უგუნურებას შეიცავს, რამდენადაც შეუთანხმებელი, წინააღმდეგობრივია, კატასტროფის წინაშე აყენებს თავის თავს, თუ კი არ შემობრუნდება გონიერებისკენ. კაცობრიობა მატერიალურ ინტერესებსაა გამოკიდებული, ნაკლებად ფიქრობს და ზრუნავს მომავალ თაობათა ბედზე, მით უფრო შორეულზე. პოეტი არ უარყოფს კაცობრიობის სიბრძნეს, მაგრამ ხედავს მის საზიანო დიდი ცდომილებებს. აბა, რა არის ადამიანებს შორის მტრობა, ერთის მიერ მეორის ჩაგვრა, ძარცვა, ომები და ხოცვა-ჟლეტა, გაუთავებელი ზრუნვა სიმდიდრეზე, ბუნების განდგურება ამ მიზნის მისაღწევად. სამწუხაროდ, ამ მხრივ კაცობრიობა კვლავ ძველ პოზიციას აზღა და დიდად არ დაცილებია შორეულ წარსულს. თითქოს პარადოქსია, ცივილიზაციის მიღწევებით ვამაყოფთ და მართებულადაც. მაგრამ უნდა სირცხვილის გრძნობაც გვანუხებდეს იმ საშინელებათა გამო, რაც ირგვლივ ხდება, თუ კარგად დავაკვირდებით, დავეთანხმებით ავტორის აზრს: „სირცხვილი შენდა homo sapiens!“ ამას შეგვახსენებს ავტორი და ეს, ვფიქრობთ ზედმეტი სულაც არაა, ჯეროვანია. დიახაც, რომ უპრიანია, მით უფრო, თუ ყველასთვის არა, ბევრისთვის მაინც. ეს სიგიჟეს მოგვაგონებს და უბრალოდ დიდი სირცხვილიცაა. პოეტი კვლავ დაკვლავ რომ იმეორებს, „სირცხვილი შენდა, კაცობრიობა“, თამამადაა ნათქვამია, იქნებ ზედმეტად თამამად, მაგრამ სამართლიანად. ეს გაფრთხილება უბრალო ადამიანის, ადამიანთა ერთობის წევრისაგან განა შთამბეჭდავად არ უღერს, როცა ამდენი უბედურება, თვით ადამიანთა მიზეზით მოდებულია ამ პლანეტას! ასევე გასაგებია, ის, რ თუ როგორაა შენუხებული პოეტი ამით და მოუწოდებს ადამიანებს ამ ცდომილებათა დაძლევისაკენ. ყოველივე ეს თითქოს თავისთავად ცხადია, მაგრამ მას ხომ უნდა შესატყვისად გამოხატვა, ხმამაღლა თქმა? ყველა კი ყოველდღიურობისაგან გადატვირთული ამას, როგორც წესი, ვერ ხედავს. ამიტომაც ავტორი ამაში, ჩვენი აზრით, სასვებით სწორ პოზიციას აზღა და კარგ საქმეს აკეთებს, თუ მას გავუგებთ. არ არსებობს კონტრარგუმეტი, რომ უარყოფს აზრს: „სისაძაგლისგან თითქოს მთელი პლანეტა ყარსო“. ამიტომ:

„დასანგრევია ძველი სამყარო,  
სიბინძურის და სიმუხთლის ბუდე,  
სადაც არა ჩქეფს სინმინდის წყარო,  
რასაც საძირკვლად სიავე უდევს!

(„ძველი სამყარო“)

ყოველივე დროს მოაქვს. იგი უძლეველი და უღმობელია, მაგრამ ადამიანებმაც შეიძლება თავის

სასარგებლოდ ბევრი რამ გადაწყვიტონ ისტორიაში. ისტორიის შემოქმედი ხალხია, მაგრამ იგი ჭრელია არაერთგვაროვანი და მიტოვაც ისტორია ორნაირია: დიადი, ღირსშესანიშნავი საოცრებებით აღსავსე და საშინელებებით დატვირთული. რამდენადაც შესაძლებელია ადამიანები პროგრესისაკენ უნდა მიიღწეოდნენ. და პოეტი მიუთითებს პროგრესის გზებზე, სიკეთის გზაზე, რაც ცნობილია, მაგრამ იგი თავის აზრს განუმეორებელი სახეებითა და ფრებით გვიხატავს, თითოეული ადამიანის როლზე მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს ეს როლი ღამაზად და ღირსეულად ცხოვრებისათვის.

ავტორი აქცენტს აკეთებს სიყვარულზე, როგორც ადამიანთა კარგად, ბედნიერად ცხოვრების საკვანძო პირობაზე, უდიადეს, უფაქიზეს გრძნობაზე, რაც ქმნის ადამიანის არსებობის ერთ-ერთ საფუძველს. სიყვარული ღრმა გრძნობაა, იგი ფართოდაა გაგებული, მასში ნაგულისხმევია არა მარტივ მამაკაცისა და ქალი, არამედ ადამიანის, ბუნების, სამშობლოს, საკუთარი თავის, კუთხის, მხარის, სოფლის, თუ ქალაქის, შრომის, სწავლის, სიცოცხლის სიყვარული, კაცთმოყვარობა – ეს მარადიული თემა განხილულია სიძულვილთან, როგორც სიყვარულის ანტიპოდთან, შეპირისპირებით, თავისებური ხედვით, ისეთი სახეებით, რაც ავტორის ნააზრევს ორიგინალობას სძენს.

გამოკვეთილია ავტორის შემოქმედებაში პატრიოტიზმის გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, რაც ადამიანის მთელ უნარს, შესაძლებლობას აათქვამს.

„შენს მთებზე როცა ავალ, ვარწივობ,  
ამირანივით მიფეთქავს მაჯა,  
კავკასიონი მხრით რომ ავნიო,  
მომეჩვენება სულ მცირე გარჯად.“

(„სამშობლოს“)

ავტორის ლექსებში ხაზგასმულია სიცოცხლის სიყვარულის ადგილი, რის გარეშე ადამიანის ცხოვრება სიცარიელეა, ეს სიყვარული უმაღლესია. ადამიანის სიყვარულში ქალისა და კაცის სიყვარული იკავებს დიდი ადგილს, თუმცა ის საერთო ადამიანურ სიყვარულს უსვამს ხაზს, მეცნიერული გაგების მოხმობითაც, „მე შენ მიყვარხარ, ადამიანო“. ამის გარეშე ადამიანი უბრალო ცოცხალ არსებას ემსგავსება.

გარკვეული ფორმით და აზრით, ავტორი ხარკს უხდის თავის პროფესიას. იგი, როგორც ვთქვით, მეტაეკონომიკის შემქმნელია და მისდევს ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა გლობალურ ხედვას, სიღრმეში წვდომას, ძირეულ პროცესთა საფუძველზე ცხოვრების მოვლენათა ახსნას. მან მხატვრულად დაგვიდასტურა, რომ საზოგადოებისა და პიროვნებათა სიმდიდრე შექმნილია არა მარტო მათი უშუალო შრომით, არამედ მთელი ისტორიული ძალების, წინაპართა, მათი გამოცდილების, დაგროვილი ცოდნის, ისტორიის მანძილზე შემუშავებულ გამოგონებათა, კაცობრიობის გონების მონა-

ნილეობით, რომელიც ბუნების ძალებს სულ უფრო ფართოდ და რაციონალურად იყენებს. ასე ახსნა მან სიმდიდრის შექმნა, დანახარჯზე მეტი დოვლათის მიღება, მოგების წარმოშობა, წყაროები, არსებულ თეორიათაგან განსხვავებით. სწორედ ამის საფუძველზეა შესაძლებელი სიმდიდრის გადიდება, მატება, კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს აზრი კარგად მოჩანს მის ლექსებში, „ერთი ვერაჟინ“, სიმდიდრე“ და სხვა.

მოულოდნელი არაა პოეტი-მეცნიერის მიერ ადამიანთა, მთელი საზოგადოების ცხოვრებაში შრომის ადგილისა და როლის წამოწევა და მხატვრულ სამოსელში წარმოჩენა. შრომის თემა მხატვრულ ლიტერატურაში თვით მისი სათავეებიდან, ჰესიოდეს „დღეები და მუშაობებიან“ მოდის. მას ყურადღება დაუთმეს ქართულ ლიტერატურაში გრიგოლ ორბელინმა, დიდმა ილიამ და სხვა ქართველმა პოეტებმა. გიორგი მალაშხიას სტრიქონების წაკითხვით ცხადად აღვიქვამთ შრომის არა მარტო, როგორც ადამიანთა არსებობის წყაროს, არამედ მისი თვითდამკვიდრების, თვითრეალიზაციის, არსების გამოხატვის, სიამოვნებისა და კმაყოფილების, ესთეტიკური ტკბობის საშუალების როლს და მნიშვნელობას. საუბარია თავისუფალ, შემოქმედებითი ელემენტის შემცველ, შინაარსით დატვირთულ შრომაზე, რომელიც ადამიანის ბუნებრივ, შინაგან მოთხოვნილებად და ქცეული. ყველა ადამიანის მთავარ ნოდებად ავტორს მშრომელი მიაჩნია:

„ნოდება ჩვენი მოუსპობელი  
იყო და არის კაცი მშრომელი.“

(„მშრომელი“).

ცხოვრებაში წარმატებები – ეს ადვილი არავისთვისაა, ადვილად მიუღწეველია, მაგრამ არსებობს მისი ერთადერთი უებარი წყარო – შრომა.

„ვერაჟერს ვაღწევ ადვილად,  
მაინც არა მაქვს წყრომა,  
რაც კი მიმართლებს ნამდვილად  
შრომა და მხოლოდ შრომა“.

(„შრომა“)

შრომა არაა ადვილი საქმიანობა, იგი გართობად არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორადაც ერთ დროს მის გადაქცევად ფიქრობდა ზოგიერთი.

ეკონომიკის და სოციალური ცხოვრების ფილოსოფიურ ასპექტებს ეხება მისი ლექსები ზომიერების, უქმი ეკონომიკისა და ზედმეტი მოხმარების, სიხარბის სიავის, ზიანის, დოვლათის სამართლიანი განაწილების შესახებ. აქ დახატულია ის სურათები, რომლებიც წარმოქმნება ამ უარყოფით მოვლენებთან, ადამიანთა არაგონივრულ, არასწორ ქცევებთან დაკავშირებით.

გიორგი მალაშხია მისწრაფის გვიჩვენოს ცხოვრების გაუმჯობესების გზები. ამას ის ხედავს განვითარების ხარისხის გაუმჯობესებაში, არსებულ სიმანხიჯეთა დაძლევაში, ეკონომიკისა და ცხოვრებას ჰუმანიზაციაში. ყოველივე ეს თვით ადამიანის პიროვნების სრულყოფას, მის ცნობიერებას, ქვეყნის განვითარებას, სწორ ქცევას უკავშირდება. ვფიქრობთ, ამ საკითხების მხატვრულ ფორმაში გადმოცემა და ასახვა უთოდ იმათ ყურადღებას მიიქცევს, ვისაც ცხოვრების ღრმა, ფილოსოფიური გაგება აინტერესებს და შეუძლია.

ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლამაზად, ჩვენი აზრით, დანახული სინამდვილის სურათები, ლირიკული ლექსები, რომლებშიც ბუნება თუ ადამიანი სადა, მომხიბლველი ფორმითაა წარმოჩენილი. მაგალითად მოვიტანთ ლექსს „ეგზოტიკა“, რომლის მსგავსი, სიამოვნების მომგვრელი სხვა ლექსებიც ბევრია კრებულში.

„აქ ვივარცხნიდი ლურჯ წყალში ქოჩორს,  
სარკის ლაპლაპით ელავდა ლელე,  
და ზიმზიმებდა იების ფოჩი,  
წყალში იფანი იბანდა ხელებს.  
იდგა მურყანი ნამტირალევი,  
ფესვებს უბანდა ჩანჩქერი თელებს,  
მოჩანდა ცა, ვით ლურჯი თვალეები...“

გიორგი მალაშხიამ პოეზიაში უცებ შემოაბიჯა ფართი ნაბიჯებით ერთბაშად ასობით არაორდინალური ლექსის გამოქვეყნებით, თუმცა რამდენიმე ლექსი ადრე ჰქონდა გამოქვეყნებული, რასაც საზოგადოების ყურადღება არ მიუქცევია. პოეზიაში უშუალოდ, ნათელად გამოხატული აზრებით მის მიერ გადმოცემული ცხოვრების ფილოსოფია, ღრმა აზრი და სირთულეები, დიალექტიკური წინააღმდეგობები და სიდიადე, ვფიქრობთ საინტერესოა სათანადოდ მომზადებული მკითხველისთვის. იგი, თავისი ორიგინალური ხედვებით ქმნის ადამიანთა ცხოვრების ფართო ტილოს, სადაც სინამდვილე მეხსიერებაში ჩამწვდომი სახებითა და ფერებით, გადაუჭარბებელი, ხელოვნური შეფერილობების გარეშე, თავისუფალი სტილითაა მოცემული. ჩვენი აზრით, არ იქნება გადაჭარბებული ვთქვათ, რომ მან საკუთარი ადგილი მონახა ქართულ თანამედროვე პოეზიაში კლასიკოსთა ფილოსოფიურ – პოეტური მემკვიდრეობის ტრადიციების გაგრძელებით, რაც ალბათ დანახული იქნება მკითხველის, პოეზიით დაინტერესებული საზოგადოების მიერ. ჩვენ ამ მოკლე მიმოხილვაში შევეხეთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს ამ კრებულის შესახებ, რა სულაც ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას მასზე. იქნებ ვინმემ იკისროს კიდევ მის ვრცელი ანალიზის გაკეთება, რაც სასურველია.